

ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და  
რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური  
თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის  
ქართულ ლიტერატურაში

დოქტორანტი: ცირა კილანავა

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნათა შესაბამისად*

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური პროგრამა  
(ლიტერატურისმცოდნეობის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ბეზარაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ბელა წიფურია, ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2013

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის  
დეკანს, ქალბატონ ლელა ხომერიკს,

### განაცხადი

*როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ცირა კილანავა

29. 03. 2013

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია მე-18 ს.-ის დასასრულისა და მე-19 ს.-ის ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედებაში ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის ასახვის ისტორია. იმის გათვალისწინებით, რომ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში თავისუფლებაწართმეული საქართველო ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, ქართულ ლიტერატურაში ნაციონალური ავტოპორტრეტი მტრის ხატთან დაპირისპირების ფონზე ფორმირდებოდა. მკაცრი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ნაციონალურ დისკურსში ჩამოყალიბდა საქართველოსა და რუსეთის მარკერთა სისტემა, რომელსაც უნდა უზრუნველყო ნორმატიული ცოდნის შექმნა და ახალ წესრიგში სწორი ორიენტირების განსაზღვრა.

წარმოდგენილ ნაშრომში იდენტიფიცირებული და კლასიფიცირებულია სხვადასხვა ტიპის მარკერი, რომელთა საშუალებითაც ქართულმა ლიტერატურამ, როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიამ, ნაციონალური იდენტობის დაცვა-შენარჩუნების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა. კვლევა წარმართულია შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის დარგის, იმაგოლოგიის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ნაციონალური იდენტობის კვლევების თეორიული მიდგომების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად გამოვლენილია როგორც უცვლელი, ისე მოდიფიცირებული თუ ორიგინალური მარკერები, რომლებიც, აქტუალიზების შედეგად, სტერეოტიპებად ჩამოყალიბდა; დადგენილია პრეკოლონიურ-კოლონიური პერიოდების ქართული ნაციონალური დისკურსის განმსაზღვრელი ლექსიკური ფონდი. დანართში, ცხრილების სახით წარმოდგენილი მასალა თვალსაჩინოს ხდის აღნიშნული პერიოდის ქართულ მწერლობაში ნაციონალური დისკურსის ფორმირების არაერთ მხატვრულ საშუალებას.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ინფორმაციაა კულტურის კვლევებით, იდენტობის პრობლემებითა და საკუთრივ ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ნაციონალური დისკურსი, იდენტობა, მარკერი, სტერეოტიპი, ნაციონალური ავტო- და ჰეტეროხატები, გახსენება

## *Abstract*

The thesis is a study of the history of representation of Georgian-Russian political relations in writings by Georgian classic writers of the late 18<sup>th</sup> and 19<sup>th</sup> centuries.

Georgia has been deprived sovereignty for almost two centuries, being colonized by the Russian Empire, and later, becoming a part of the Russian-Soviet state of USSR. Georgia's self-portrait was depicted in Georgian literature under the heavy ideological pressure from the Empiric discourse, and through interaction/contradiction with the image of the enemy. Within the literary texts the systematized set of cultural markers of Georgia and Russia was collected with the mission of ensuring the creation of normative knowledge and defining new proper benchmarks within the new historic order.

The thesis presents an analysis of the process of formation of Georgian national discourse by identification, classification and description of cultural markers through which Georgian literature could play an essential role in preserving national identity and activating the idea of statehood in collective memory. The research is based on main methodological principles of Imagology, and main approaches of National Identity Studies.

As a result of the study the cultural markers of different types has been identified: original, invariable, and modified, some of them transformed into stereotypes; lexical composition of Georgian national discourse of pre-colonial and colonial periods has been identified; tables of classified markers has been created, which present various ways of shaping national discourse within Georgian literary texts.

The study presents from the new angle some topical issues within the areas of Georgian-Russian relations, Cultural Studies, Identity Studies.

**Key words:** National Discourse, Identity, Marker, Stereotype, Self-image, Hetero-image, Remembering.

## მადლობა

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას იმ ხელშეწყობისთვის, რომელიც გამეწია დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში.

მადლობას ვუხდით პროფ. ქეთევან ბეზარაშვილს სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და გულითადობისთვის.

მადლობას ვუხდით პროფ. ბელა წიფურას, როგორც ხელმძღვანელსა და ადამიანს, რომელთანაც პროფესიულმა და პიროვნულმა ურთიერთობამ ბევრი რამ შემძინა. მასთან თანამშრომლობის შედეგად გადაწყდა საკვლევო თემის პრობლემატიკისა და ქრონოლოგიური არეალის გაფართოება.

მადლობას ვუხდით ჩემს მშობლებს გულშემატკივრობისთვის.

მადლობას ვუხდით მეუღლეს, ირაკლი ხვედელიძეს, რომლის თანადგომის წყალობითაც შევძელი დამესრულებინა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა.

## სარჩევი

სარჩევი .....	vi
ნახატებისა და ცხრილების ჩამონათვალი .....	vii
შესავალი .....	1
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა .....	9
<b>თავი 1. ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისის რეპრეზენტაცია .....</b>	<b>24</b>
1.1. პრეკოლონიური ხანის ნაციონალური/ინდივიდუალური ავტობორტრეტი: „დავითიანი“ ორი სამყაროს კონტექსტში .....	24
1.2. ავტო- და ჰეტეროხატები ბაგრატიონთა ვიზუალურ ნარატივებში.....	32
1.3. „მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა“: ბატონიშვილ ქალთა ლექსების პოლიტიკური ქვეტექსტი .....	38
<b>თავი 2. ისტორიული სინამდვილის ლიტერატურული რეპრეზენტაციიდან მის რეფლექსიამდე: რომანტიკოსთა შემოქმედება .....</b>	<b>45</b>
<b>თავი 3. მხატვრული ლიტერატურა, როგორც ნაციონალური ცნობიერების მაფორმირებელი მედია .....</b>	<b>61</b>
3.1. „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი“: ეროვნული თვითიდენტიფიკაცია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.....	61
3.2. „დამეხსენი, ჩრდილოელო“: რუსეთის იმპერიისადმი რეზისტენტობა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში .....	79
3.3. საქართველო და რუსეთი კავკასიის კოლონიზების კონტექსტში (ალექსანდრე ყაზბეგის პროზა) .....	121
3.4. „მე გავცემ იმას პასუხსა“: პიროვნული/ნაციონალური ღირსების საკითხი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში .....	137
<b>დასკვნა .....</b>	<b>151</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>158</b>

## დანართები: ნახატებისა და ცხრილების ჩამონათვალი

ნახატი 1: დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი (ფრაგმენტი) .....	168
ნახატი 2: დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი (მთლიანი კომპოზიცია) .....	169
ნახატი 3: კონსტანტინე ბაგრატიონის ნახატის რეკონსტრუქცია .....	170
ნახატი 4: იოანე ბაგრატიონის „საქართველო“ .....	171
ცხრილი 1: საქართველოს მარკერები .....	172
ცხრილი 2: რუსეთის იმპერიის მარკერები .....	175
ცხრილი 3: კოლონიური მდგომარეობის ამსახველი მარკერები .....	177
ცხრილი 4: ანთროპომარკერები .....	179
ცხრილი 5: ნაციონალური ავტოპორტრეტის მარკერები .....	181
ცხრილი 6: ლანდშაფტის იმაგოლოგია .....	182
ცხრილი 7: ნაციონალური პოტენციალის გამომხატველი მარკერები .....	183
ცხრილი 8: რუსული განმანათლებლობის/ფსევდოგანმანათლებლობის მარკერები	184

## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს პრეკოლონიური და კოლონიური პერიოდების (მე-18/ მე-19 ს.) ქართულ ლიტერატურაში ნაციონალური დისკურსის ფორმირების კვლევას; კერძოდ, ნაციონალური დისკურსის განვითარების ძირითადი ეტაპებისა და რაგვარობების, დისკურსის ძირითადი ნიშნულების - მარკირების მოდელების, ავტო- და ჰეტეროხატების იდენტიფიკაციას, ქართული ეროვნული ავტოპორტრეტის ძირითად შტრიხთა რეკონსტრუირებას.

ნაციონალური იდენტობის ცნების გააზრებისას ვეყრდნობით *ნაციონალური იდენტობის* ენტონი სმითისეულ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც, “პოლიტიკის სტილსა და დოქტრინაზე მეტად ნაციონალიზმი არის *კულტურის ფორმა* - იდეოლოგია, ენა, მითოლოგია, სიმბოლიზმი და ცნობიერება, [...] ნაციონალიზმი არის იდენტობის ტიპი, რომლის მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა (უპირატესობა) თავად ამ ფორმის კულტურაშია ნაგულისხმევი“ (სმითი 2008, 114).

ნაციონალური დისკურსის,<sup>1</sup> როგორც კულტურის ფორმების ვერბალიზაციისა და სისტემატიზაციის სივრცის, ფორმირება განმსაზღვრელი ფაქტორია ნაციონალური იდენტობისთვის. ნაციონალური დისკურსი შეიძლება მოდიფიცირებას განიცდიდეს ერის ისტორიაში მასშტაბური ცვლილებების შესაბამისად. ამა თუ იმ ერის ნაციონალური დისკურსის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძირითად ნიშნულთა სისტემა: კულტურული მარკერები, ავტო- და ჰეტეროხატები, სტერეოტიპები, ნაციის ვერბალური ავტოპორტრეტი.

ნაციონალური დისკურსის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი კომპონენტია ვერბალური *ავტოპორტრეტი*, რომელიც დისკურსულ ფენომენს წარმოადგენს: მას არა აქვს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული სახე, ის იცვლება ეპოქათა, სახელმწიფო ფორმაციათა და სოციოკულტურულ ვითარებათა შესაბამისად. შედეგად, მოცემული საკითხის შესწავლა კულტურის განზომილებაშია

---

<sup>1</sup> ტერმინ *დისკურსით* აღვნიშნავთ მსჯელობის თანმიმდევრულობისა და ცოდნის ორგანიზების იმგვარ ფორმას, რომელიც ზეგავლენაზეა ორიენტირებული, რადგან „ძალაუფლებათა შორის მიმართება დისკურსის შემადგენელი ნაწილია [...] თხრობა დისკურსის მდინარების ორგანიზების სტრატეგია“ (Routledge Encyclopedia of Narrative Theory 2005, 112).



შესაძლებელი. კულტურის კვლევებში მიღებული თვალსაზრისის თანახმად კი, დანარჩენი ჰუმანიტარული თუ სოციოლოგიური მეცნიერებების დეფინიციისაგან განსხვავებით, *მნიშვნელობა* არის არა სინამდვილის ფაქტი, არამედ ინტერპრეტაციის შედეგი, რომელიც იცვლება სხვადასხვა ტიპის კონტექსტის მიხედვით.<sup>2</sup> ამის გათვალისწინებით, განსხვავებული პასუხები გაეცემა კითხვებს: რას ეფუძნება ქართული ნაციონალური იდენტობა შუა საუკუნეებში და რას - რუსული კოლონიალიზმის ეპოქაში? მართალია, ორივე პერიოდში ფუნდამენტურ კატეგორიად დარჩა *სარწმუნოების* კონცეპტი, თუმცა, ეს უკანასკნელი ახლებური შინაარსით დაიტვირთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ.<sup>3</sup>

რუსეთის იმპერიის ნაწილად გახდომის დღიდან ქართული ლიტერატურა ცდილობდა ეროვნული თვითიდენტიფიკაცია ახალი პოლიტიკური და სოციოკულტურული კონტექსტის ფონზე მოეხდინა. საამისოდ მან, როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიამ, მკაცრი ცენზურის პირობებში ჩამოაყალიბა ნაციონალური დისკურსი. ამ დისკურსში მთავარი როლი შეასრულა ნაციის, ქართველი ერის აღმნიშვნელი ავტოხტების და მტრის, დამპყრობლის აღმნიშვნელი ჰეტეროხტების მკვეთრად პოლარიზებულმა სისტემამ, რომელსაც უნდა უზრუნველყო საკუთარ თავსა და მტერზე ავთენტური წარმოდგენების შექმნა და ახალ წესრიგში სწორად ორიენტირება. ნაციონალური დისკურსის ფარგლებშივე შეიქმნა იმგვარი მხატვრული სახეებიც, რომლებშიც აისახა პრეკოლონიური და კოლონიური ხანების პოლიტიკური და სოციოკულტურული ვითარება.

ზემოთ დასახელებული ტიპის მხატვრული სახეები სადისერტაციო ნაშრომში გაერთიანებულია ტერმინში *მარკერი*, *მარკირებაში* კი იგულისხმება ლიტერატურულ ნარატივში, უმეტესად სიტყვის სახეობრივი ფუნქციის

---

<sup>2</sup> ამ საკითხზე იხ. მარკუს სანდლის სტატია „ისტორიულობა და გახსენება/ისტორიულობის რეფლექსია, გამოწვევა, რომელსაც ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მეხსიერების კვლევა უყენებს“ (Sandl 2005, 89-120).

<sup>3</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, თუ მედიევალური პერიოდის ქართული ნაციონალური იდენტობა მართლმადიდებლობის იდეას ეყრდნობოდა (ქართველი საკუთარ თავს განსაზღვრავდა სარწმუნოების მიხედვით) და მისი შენარჩუნებით იცავდა თავს აღმოსავლეთის ქვეყნებისგან, კოლონიურ პერიოდში მართლმადიდებლობა ვერ იქნებოდა კოლონიზატორი ქვეყნისგან საკუთარი თავის გამიჯვნის გარანტი, რადგან კოლონიზატორი სხვა აღმსარებლობისა კი არ იყო, არამედ ერთმორწმუნე ქვეყანა.

ამოქმედებით, იმგვარი ფაქტის/მოვლენის ფიქსაცია, რომელიც კოლექტიურ წარმოდგენაში სინამდვილესთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს და რომელსაც ერთგვარი საინტერპრეტაციო გასაღების ფუნქცია მიენიჭება. ამასთან, მარკირება არ არის უბრალო სახელდება. ნაციონალური დისკურსის ფარგლებში, ესაა ზეგავლენაზე ორიენტირებული ფენომენი, რომელიც აყალიბებს ნორმატიულ ცოდნას და რეპიციენტის ცნობიერებაში ქმნის კონვენციურ წარმოდგენებს (მარკერის სემანტიკური ველი სხვადასხვა ტექსტში „მოგზაურობის“ დროსაც, არსებითად, უცვლელი რჩება).<sup>4</sup>

აქედან გამომდინარე, ქართულ ლიტერატურაში რუსეთისა და საქართველოს მარკერთა და თვითიდენტიფიკაციის მოდელების ფორმირება/ტრანსფორმირების კვლევა გულისხმობს ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა გამოვლენას და მათ კლასიფიცირებას; ამავე კონტექსტში შემოდის პრეკოლონიურ-კოლონიური პერიოდების სოციოკულტურული და პოლიტიკური ვითარების ამსახველ სხვა მარკერთა დადგენაც. აღნიშნული კუთხით ქართული ლიტერატურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, პასუხი გავცეთ კითხვებს: რა ნიშნის/ნიშნების მიხედვით ახდენდა ნაციონალური მწერლობა მტრისა და საკუთარი თავის მარკირებას? რომელი მხატვრული სახე/სახეები იმემკვიდრევა და ახლებური შინაარსით დატვირთა მან? რა მარკერები შეიქმნა კოლონიური ხანის მხატვრულ ნარატივში? ეს ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს პრეკოლონიური და კოლონიური ხანების ქართული ლიტერატურის ნაციონალური დისკურსის ძირითადი ლექსიკური ფონდი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პოსტკოლონიური კვლევებისთვის.

---

<sup>4</sup> ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მარკირების მოდელები და კულტურული მოდელირების კვლევები ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული მიდგომაა თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მგრძობიარე საკითხებზე (პოსტკოლონიურ თუ პოსტსტრავმულ თემებზე, მიგრანტების, უმცირესობების საკითხებსა და ა.შ.) რეაგირებისას და მათ მიმართ სოციალური განწყობების ფორმირებისას. კულტურული მოდელირების თანამედროვე კვლევები ეფუძნება როგორც სოციოლინგვისტური, ასევე ტექსტური და ტროპული ანალიზის მიდგომებს.

ნაციონალური ავტოპორტრეტის დასაცავად ქართულმა ლიტერატურამ ავტო- და ჰეტეროხატების ფორმირების გარდა, ინტერტექსტურობასაც მიმართა: კულტურული ტექსტებიდან<sup>5</sup> გამოიხმო ცალკეული სახეები და ისინი, თანამედროვე ვითარების/გამოწვევათა გათვალისწინებით, ახალი სემანტიკით გააშინაარსა (მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ამის ტიპური ნიმუშებია ამირანის მითი და „ვეფხისტყაოსანი“, ასევე, თამარის კულტი). კლასიკური ტექსტების აქტუალიზების (შეიძლება ითქვას, რესემანტიზების) გვერდით, მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ, რომელიც კულტურულ სივრცეში პოლიტიკური რეალობის ტრანსფორმირების მძლავრ იარაღს წარმოადგენდა, რეფლექსიის საგნად აქცია უახლესი წარსული (რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია), რითაც კომუნიკაციური მეხსიერების ფაქტებს მიანიჭა კულტურული ღირებულება.<sup>6</sup>

ნაციონალური დისკურსის ფორმირება მჭიდროდ უკავშირდება *გახსენების კულტურის* ცნებას, რომელშიც, *მეხსიერებისგან* განსხვავებით, წარსულისადმი აქტიური, არჩევითი (სელექციური) პოზიცია იგულისხმება. ნაციონალური დისკურსის ფორმირებისთვის სწორედ გახსენებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა. იმის ილუსტრირება კი, თუ რას იხსენებენ ქართველი მწერლები/პერსონაჟები, ისტორიული და უახლესი წარსულისადმი მიმართების რაგვარობას გამოკვეთს. ამ კონტექსტში ისმება ინსცენირების (ისტორიული სინამდვილის ლიტერატურული ფორმით განსახოვნების) საკითხიც.

მწერლობაში გარელიტერატურული რეალობის ასახვის მიზნები განსხვავდება ისტორიული კონტექსტის მიხედვით: თუ მე-18 საუკუნის ქართულ სინამდვილეში

---

<sup>5</sup> ცნება *კულტურული ტექსტი* სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა და დაამკვიდრა ალაიდა ასმანმა, რომელმაც ამ ტერმინით აღნიშნა კოლექტიური იდენტობის სტაბილურობის განმაპირობებელი და სხვადასხვა ეპოქაში ყავლგაუსვლელი ტექსტები (მათ პარადიგმას წარმოადგენს ბიბლია) (Assmann 1995). მოცემულ შემთხვევაში, ნაგულისხმევია ქართულ კულტურაში მითოლოგიური, ისტორიული და ლიტერატურული ნარატივების კლასიკური ნიმუშები, რომელთა ცოდნაზეც აფუძნდნენ ნაციონალური იდენტობის განცდას სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ქართველები. აქედან გამომდინარე, პრედიკატ *კულტურულის* სინონიმად ვიყენებთ მსაზღვრელ *კლასიკურს*.

<sup>6</sup> კულტურული მეხსიერება ეყრდნობა წერილობით წყაროებსა და მყარ წარმოდგენებს, ხოლო კომუნიკაციური, რომელიც ზეპირი გადმოცემის სახით ვრცელდება, ამგვარ მყარ ობიექტივაციებს არ ეფუძნება (Assmann 1992, 48-66).

უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღების პრობლემა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთს შორის არჩევანს გულისხმობდა, მე-19 საუკუნიდან პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა ნაციონალური იდენტობის წაშლის საფრთხემ ჩაანაცვლა. მხატვრულ ლიტერატურაშიც პოლიტიკური და სოციოკულტურული კონტექსტის მიხედვით დაისვა აქცენტები; მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კი არსებული სინამდვილის ლიტერატურული გზით კოდიფიცირებას ცალსახა ფუნქცია დაეკისრა - ასახული სინამდვილის შეცვლა (რითაც თერგდალეულთა თაობის მხატვრული ნარატივი ნაციონალური მისიით დაიტვირთა).

როგორ ცდილობდა ამ დროის ქართული მწერლობა დასახული მიზნის მიღწევას? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად სადისერტაციო ნაშრომში განხილულია კლასიკოს ავტორთა (დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის) მხატვრული შემოქმედების ნიმუშები (მათი უმრავლესობა კომუნისტურ ეპოქაში კლასიკურ ნაწარმოებებად გამოცხადდა და სასკოლო სახელმძღვანელოებში იბეჭდებოდა). მათ გვერდითაა წარმოდგენილი ბატონიშვილი ქალების ლექსებიც,<sup>7</sup> რადგან მათ ნაწარმოებებში (ესთეტიკური თვალსაზრისით ნაკლები ღირებულების მიუხედავად) უკვე იკვეთება ეროვნული პრობლემის ლიტერატურული რეპრეზენტაციის ტენდენცია.

---

<sup>7</sup>ბატონიშვილ ქალთა ლექსები, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ტრადიციული დეფინიციის მიხედვით, ე.წ. გარდამავალ ხანას მიეკუთვნება. ტერმინი *გარდამავალი ხანა* ეკუთვნის კ. კეკელიძეს, ხოლო ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა ისტორიულ-ფილოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილია ტრ. რუხაძის წიგნში (რუხაძე 1939), თუმცა სათანადოდ არაა გათვალისწინებული დასახელებული პერიოდის მხატვრულ ტექსტთა ღირებულება ლიტერატურული პროცესებისთვის (ბატონიშვილთა ლექსებში კი ქართული ნაციონალური დისკურსის საბაზისო ერთეულებია წარმოდგენილი). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე მეთოდოლოგიურ-თეორიული საფუძვლების მიხედვით კი, კულტურის ადეკვატური შესწავლა შესაძლებელია უნიკალურ, განსაკუთრებულ მოვლენებზე, არამედ ფორმათქმნადობის უწყვეტ პროცესებზე დაკვირვებით. თუ აქამდე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათათვის გარდამავალი პერიოდები და ფრაგმენტული მოვლენები მხოლოდ ჰოირისტიკულ საშუალებებს წარმოდგენდა, გამოწკლისად კლასიფიცირდებოდა და ძირითად დებულებათა დასასაბუთებლად გამოიყენებოდა, დღეს კვლევის მთავარ საგნად იქცა (Sandl 2005, 92-93).

პოლიტიკურად უუფლებო ქვეყანაში ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობების ჩამომყალიბებელი მედიის ფუნქცია მთლიანად იკისრა სიტყვიერმა კულტურამ (უპირველეს ყოვლისა, მხატვრულმა ლიტერატურამ), რომელმაც ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებული როლი შეასრულა: ქართულ მწერლობაში განვითარებული ნაციონალური დისკურსი რუსული იმპერიალისტური პოლიტიკისთვის იდეოლოგიური წინააღმდეგობის გაწევის მთავარ საშუალებად იქცა.

ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმირების ლიტერატურული გზების კვლევის მნიშვნელობას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული დიდი ინტერესი იდენტობის (მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალურის) მიმართ და, მეორე მხრივ, კულტურის კონტექსტში საკითხის ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებით შესწავლის აუცილებლობა.<sup>8</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი დროითი არეალი, მე-18 საუკუნის დასასრული და მე-19 საუკუნე, რომლის ფარგლებშიც ვაკვირდებით ქართულ ლიტერატურაში ნაციონალური დისკურსის ფორმირებას, დასავლეთ ევროპის მასშტაბით ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის, დაბადების ეპოქად მიიჩნევა (ანდერსონი 2003, გელნერი 2003, სმითი 2008). დასავლეთის ბევრი ქვეყნის ეროვნული ლიტერატურისგან განსხვავებით, ამ პერიოდის ქართული მწერლობის ნაციონალური დისკურსი განსაკუთრებულ პირობებში - ჯერ აღმოსავლეთის ქვეყნებთან და შემდეგ რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში ჩამოყალიბდა. ამასთან, განუხორციელებელი დარჩა დასავლურ სააზროვნო სივრცეში ინტეგრირების მრავალსაუკუნოვანი სწრაფვაც (თუმცა, რუსეთის იმპერიის პოზიტიური პროფილი, მისი განმანათლებლობის იდეა, სწორედ დასავლეთთან გაშუალებული კავშირის შესაძლებლობას ეფუძნებოდა).

იმის გათვალისწინებით, რომ კოლონიური ხანის (და მთელი მომდევნო პერიოდების) ქართული ლიტერატურის ნაციონალური დისკურსი არსებითად

---

<sup>8</sup> ამ თვალსაზრისით, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევები უკანასკნელ ხანს დაიწყო (მათ შესახებ საუბარია ნაშრომის მომდევნო თავში), თუმცა დასახელებული კუთხით ნაციონალური დისკურსის ფორმირების საკითხი ჯერაც არაა შესწავლილი.

პოლიტიკური კონტექსტითაა განპირობებული,<sup>9</sup> რუსეთისადმი დამოკიდებულებების (რომლებიც პოზიტიურ, ამბივალენტურ, რეზისტენტულ და მკვეთრად ნეგატიურ ფაზებს გადის) საჩვენებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სახელმწიფოს აღმნიშვნელ სტერეოტიპულ სახეთა იდენტიფიცირებას. ეს, თავის მხრივ, შემდგომი პერიოდების (მოდერნულ და პოსტმოდერნულ ეპოქათა) ქართული ლიტერატურის ნაციონალური დისკურსის კვლევისთვისაც მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რა წანამდღვრები ჰქონდა კოლონიური ხანის ქართული ლიტერატურის ნაციონალურ დისკურსს, სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია „დავითიანისა“ და ბატონიშვილ ქალთა ლექსების მიხედვით ქართულ-რუსული ურთიერთობის ლიტერატურული რეპრეზენტაციისა და ნაციონალური იდენტობის კონტექსტში ინდივიდუალური თვითშემეცნების მოდელები;<sup>10</sup> გამოვლენილია ის ლიტერატურული მარკერები, რომლებიც მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ ნაციონალური დისკურსის ფორმირებისას გამოიყენა. აქვეა წარმოდგენილი ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის ორი წარმომადგენლის - კონსტანტინესა და იოანეს - ალეგორიული ნახატების შედარებითი ანალიზიც. ამ ვიზუალურ ნარატივებში ასახულია მე-18 ს.-ის დასასრულისა და მე-19 ს.-ის დასაწყისის საქართველოს მდგომარეობა; იოანე ბაგრატიონის ნახატში დადასტურებულია საქართველოს ის მარკერი, რომელიც ლიტერატურული ნარატივის ნაციონალურ დისკურსშიც გვხვდება.

მეორე თავში - *ისტორიული სინამდვილის ლიტერატურული რეპრეზენტაციიდან მის რეფლექსიამდე* - ნაჩვენებია ნაციონალური დისკურსის ფორმირება ქართული რომანტიზმის სამი კლასიკოსის: ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში; იმის გამო, რომ

---

<sup>9</sup> მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა მკაცრი ცენზურის პირობებში ქართულ კულტურაზე მძლავრ იდეოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა. ამ თვალსაზრისით, სრულიად ბუნებრივია საუბარი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტურული კოლონიზების პროცესზეც.

<sup>10</sup> აბსოლუტურად განსხვავებული მხატვრული ღირებულების მიუხედავად, მათი ერთ თემატურ თავში გაერთიანება განპირობებულია საკვლევი საკითხის დიაქრონიულ ჭრილში წარმოჩენის აუცილებლობით.

მათი მოღვაწეობა მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირებისთვის საექტაპო მნიშვნელობისაა, დასახელებულ ავტორთა მხატვრული ნაწარმოებები არა ცალ-ცალკე, არამედ ერთიან კონტექსტშია განხილული და გამოვლენილია ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ისტორიული მოვლენის (ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების) ლიტერატურული რეპრეზენტაცია რეფლექსიური ხასიათისა გახდა. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ისტორიული ნაციონალური ტრავმის დასაძლევად, რაც მხოლოდ თერგდალეულთა მოღვაწეობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

მესამე თავში - *მხატვრული ლიტერატურა, როგორც ნაციონალური ცნობიერების მაფორმირებელი მედია* - განხილულია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას პროზაულ და პოეტურ შემოქმედებაში ასახული ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის საკითხი; დადგენილია ნაციონალური დისკურსის მთავარი მარკერები და ნაჩვენებია მხატვრულ სახეთა ალეგორიზებისთვის უარის თქმით საქართველოსა და რუსეთის იმპერიის პირდაპირი სახელდება კოლონიალიზმის კონტექსტში. აგრეთვე, გამოკვეთილია ნაციონალური იდენტობის ფორმირება/შენარჩუნებისთვის მწერლისა და ლიტერატურის როლი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რეალიზმის პერიოდში.

სადისერტაციო თემა სრულდება ჩატარებული კვლევის შემაჯამებელი დასკვნით, რომელსაც ერთვის დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი, ბაგრატიონთა ალეგორიული ნახატები და მე-18 ს.-ის დასასრულისა და მე-19 ს.-ის ქართული ლიტერატურის ნაციონალური დისკურსის ფარგლებში გამოვლენილ მარკერთა ცხრილი.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაციისა და ნაციონალიზმის იდეა, ისტორიულ-სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, სოციოპოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტებთანაა დაკავშირებული და მისი დაბადება მე-18-მე-19 საუკუნეებით თარიღდება.<sup>11</sup> ახალი დროის ამ ევროპულ კონცეპტს ე. დ. სმითი საერთოობისკენ კოლექტიურ სწრაფვას უკავშირებს. მკვლევარი გამოყოფს იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც, კონკრეტული საზოგადოება საკუთარ იდენტობას აფუძნებს. სმითის დეფინიციით, ნაციონალური იდენტობის პირველ/მთავარ ნიშნებად წარმოდგენილია ისტორიული ტერიტორია - სამშობლო; საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, ხოლო ის, რითაც კონკრეტული ერი ავტოემანსიპაციას იწყებს, თავის თავს განსაზღვრავს და სხვათაგან გამოარჩევს, არის საკუთარი ისტორიის მითოლოგიზება და ხელოვნების საგნად, შთაგონების წყაროდ ამ ისტორიის „ოქროს ხანის“ ქცევა. სმითის დეფინიციით, ნაციონალიზმი კულტურის ფენომენია და არსობრივად უკავშირდება იდენტობის (ვინაობის) ფენომენს: ”საბოლოოდ, იდენტობის საკითხთან დაკავშირებით ასეთი პასუხი გაიცემა: ”ჩვენ ვართ ისინი, ვინც ვართ”, ჩვენი ისტორიული კულტურიდან გამომდინარე” (სმითი 2008, 122).

ბენედიქტ ანდერსონისთვისაც ”კულტურული ფესვები” ნაციონალიზმის ერთ-ერთი ამოსავალია. მისთვის ”ნაციონალიზმი გაგებულ უნდა იქნეს [...] როგორც

---

<sup>11</sup> ნაციონალური იდენტობის თეორიები დღეისათვის საქართველოში ინტეგრირებულია ისტორიის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში და ქართულად თარგმნილია ამ დარგის ფუძემდებლური შრომები (ანდერსონი 2003, გელნერი 2003, სმითი 2008). თანამედროვე დასავლეთევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ დომინანტური დისკურსის მთავარი თეორეტიკოსის, სმითის, უმთავრესი ნაშრომი, „ნაციონალური იდენტობა“, სწორედ პოსტმედიევალური დასავლური ახალი წესრიგისა და ღირებულებათა სისტემის სათავეში *ეროვნულობის* ფენომენის მრავალმხრივ და ფუნდამენტურ კვლევას წარმოადგენს. ამ კონტექსტში ქართული გამოცდილების განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მით უფრო დღეს, პოსტკოლონიურ ვითარებაში, როცა სულ უფრო იზრდება ინტერესი ახლო და შედარებით შორი წარსულის გამოცდილების გააზრებისა და ეპოქის მიერ შექმნილი კლიშეების გადაფასების მიმართ.



კულტურულ სისტემებთან გათანაბრებული (მოვლენა), რომლებიც წინ უსწრებდნენ მას და მის წარმოშობასაც მისცეს დასაბამი”; ორი შესაბამისი კულტურული სისტემაა ”*რელიგიური საზოგადოებები და დინასტიური სამეფოები*” (ანდერსონი 2003, 29).

რაც შეეხება ნაციონალური იდენტობის, როგორც კულტურის ფენომენის, ლიტერატურისმცოდნეობითი კუთხით შესწავლას, ის მხატვრულ ტექსტთა დისკურსის ფარგლებში არაერთი საკითხის გამოკვეთას უკავშირდება. ამ დისკურსში არსებითად მნიშვნელოვანია იმაგოლოგიის სფერო, კერძოდ, ნაციონალური რიტორიკის იმ სიტყვიერი ფორმულების დადგენა, რომელთა მეშვეობითაც ერი აყალიბებს წარმოდგენას საკუთარ თავსა და სხვაზე (მტერზე); ცდილობს მყარი წარმოსახვითი ავტოპორტრეტის შექმნას, რათა დაიცვას თავისი იდენტობა და ამგვარად დაუპირისპირდეს უცხო საზოგადოებრივ მოდელებს.

კულტურის კვლევების ჭრილში ნაციონალური იდენტობის კვლევა მჭიდროდ უკავშირდება, აგრეთვე, ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების ფენომენებს: იდენტობა/თვისგანსაზღვრა მეხსიერების/გახსენების გარეშე წარმოუდგენელია. *მეხსიერება* ორი ასპექტითაა განხილული: კომუნიკაციურითა და კულტურულით.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ხდება წარსულთან მიმართების რაგვარობის გამოკვეთა ხსოვნისა და დავიწყების პრიორიტეტულობის მიხედვით: ის, თუ რას იხსენებს ერი და რას ივიწყებს საკუთარი წარსულიდან, არსებითად განსაზღვრავს მის ცოდნას საკუთარ თავზე. წარსულის ის მოვლენები, რომლებიც არტეფაქტებად ფორმდება, სიცოცხლისუნარიანობას/აქტუალურობას ინარჩუნებს, იმ ფაქტთაგან განსხვავებით, რომლებიც გახსენების მიღმა რჩება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გახსენება, თავის მხრივ, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაზეა დამოკიდებული: წარსულიდან „გამოიხმობა“ მხოლოდ თანამედროვეობისთვის აქტუალური მოვლენები (მხატვრული ლიტერატურის შემთხვევაში, კონკრეტული ტექსტები, სახეები, მოტივები და ა.შ.). ამდენად, ლიტერატურა პირდაპირ უკავშირდება გარე ლიტერატურულ რეალობას და წარმოდგენილია კოლექტიური მეხსიერების მედიად, რომელიც საზოგადოების ცნობიერებას აყალიბებს.

სადისერტაციო ნაშრომში ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირების კვლევა რამდენიმე ასპექტითაა წარმოდგენილი: იმაგოლოგიური (ნაციონალური

ავტო- და ჰეტეროხატები), კოლექტიური მეხსიერების, წარსულთან დამოკიდებულებისა და გარელიტერატურულ სინამდვილესთან ლიტერატურის მიმართების კუთხით.

გარელიტერატურულ სინამდვილესთან ლიტერატურის მიმართების საკითხის კვლევისას თანამედროვე კულტურის კვლევების და ჰუმანიტარული დისციპლინების<sup>12</sup> სამეცნიერო ლიტერატურა ეყრდნობა პოლ რიკიორის მიერ შემუშავებულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, „მიმესისში“<sup>13</sup> სამი საფეხური გამოიყოფა: პირველ დონეს რიკიორი უწოდებს *პრეფიგურაციას* (*სხვაგვარად - წინარემოდელს*), რომელშიც იგულისხმება ლიტერატურის მიმართება გარელიტერატურულ კონტექსტთან: ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები იქმნება გარკვეულ კულტურულ არეალში, რომელშიც უკვე არსებობს მეხსიერებისა და იდენტობის შესახებ გარკვეული წარმოდგენები, ჩამოყალიბებული კონცეპტები. მეორე დონეზე, რომელსაც *კონფიგურაცია* ეწოდება, ლიტერატურა ასახავს გარელიტერატურულ სინამდვილეს და რეპრეზენტაციის თავისებური საშუალებებით თვალსაჩინოს ხდის მას; მესამე საფეხურში - *რეფიგურაციაში* - რიკიორი გულისხმობს განსახოვნების შედეგად განსახოვნებულზე ზეგავლენის მოხდენას (მეტალიტერატურული რეალობის გარდასახვას), როცა ლიტერატურა აქტიურად ერთვება მეხსიერებასა და იდენტობაზე რეფლექსიისა და მათ შესახებ ცოდნის ჩამოყალიბების პროცესებში (Ricoer 1988).

საზოგადოებრივი თვითგამორკვევის პროცესები და იდენტობის შესახებ ნორმატიული ცოდნა საკუთარ თავსა და უცხოზე არსებულ წარმოდგენებს ემყარება. ამ წარმოდგენათა / შეხედულებათა გენეზისის, კონსტრუირებისა და გავრცელების შემსწავლელი შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობითი დისციპლინის, იმაგოლოგიის<sup>14</sup> კულტურის კვლევების ჭრილში შესწავლის საქმეში საეტაპო

---

<sup>12</sup> თანამედროვე ჰუმანიტარული კვლევები მსოფლიო მასშტაბით სულ უფრო მეტად იძენს კულტურის კვლევების ხასიათს (Nünning 2000, 33-59).

<sup>13</sup> ანტიკურობიდან მომდინარე ეს ტერმინი ლიტერატურის იმანენტური ბუნების განმსაზღვრელ მთავარ კატეგორიას წარმოადგენს.

<sup>14</sup> იმაგოლოგიის საკვლევ სფეროში შედის ლიტერატურაში ავტო- და ჰეტეროხატების გენეზისი, განვითარება და ზემოქმედების პოტენციალი (Nünning 2001, 274-276). ქართულ სამეცნიერო

მნიშვნელობისაა ბირგიტ ნოიმანის ნაშრომი „კულტურულ-ისტორიული იმაგოლოგიის საფუძვლები“ (Neumann 2010), რომელშიც ავტორი თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობით და კულტურის კვლევების დისკუსიებში იმაგოლოგიის ჩართულობის ხარისხის გაზრდის აუცილებლობაზე საუბრობს და ყურადღებას ამახვილებს იმაგოლოგიის საკვლევ საკითხების, უპირველეს ყოვლისა, სტერეოტიპების, არასწორი ინტერპრეტაციის პრობლემაზე; კერძოდ, იმაზე, რომ სტერეოტიპი, როგორც წესი, მიიჩნევა ტექსტისთვის დამახასიათებელ განსახოვნების ისეთ პრაქტიკად, რომელიც გარელიტერატურული სინამდვილის ცვლილებას არ ექვემდებარება. ამის საწინააღმდეგოდ, ნოიმანის მიხედვით (აქ ის ეყრდნობა *ერის რიტორიკის* შესახებ ლერსენის თვალსაზრისს), საკუთარ თავსა და უცხოზე არსებული სტერეოტიპთა ერთსახოვნება რიტორიკულ ხერხად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან სტერეოტიპი არაა უცვლელი მოცემულობა, რომელიც მხოლოდ განმეორდება.<sup>15</sup> ამავე დროს, მას აქვს მდგრადობის მაღალი ხარისხი, რომელიც ისტორიულ ცვალებადობას უძლებს, თუმცა, ამის გარანტია არა უბრალოდ გამეორება, არამედ მუდმივი აქტუალიზებაა.

ამის გათვალისწინებით, *სტერეოტიპი* განსაზღვრულია, როგორც ნორმატიული და მაფორმირებელი ცოდნის ჩამომყალიბებელი საშუალება, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, ტრანსფორმირდება (მისი ადეკვატური აღქმა ნაციის რიტორიკის ფარგლებში თარგმანების პროცესზეა დამოკიდებული).<sup>16</sup> ავტო-

---

ლიტერატურაში იმაგოლოგიის შესატყვისია *სახისმეტყველება*, თუმცა, ეს ტერმინი მხოლოდ ქრისტიანული კულტურის კვლევისას იქნა გამოყენებული.

<sup>15</sup> მ. ფიშერის მიხედვით, სტერეოტიპი ეწოდება ისეთ აღმნიშვნელს, რომელსაც კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში ცალსახა მნიშვნელობა აქვს და ინტერპრეტირებას არ ექვემდებარება (Fischer 1987, 58).

<sup>16</sup> ნაშრომის მე-3 თავში ნოიმანი განიხილავს ნაციონალური ავტო- და ჰეტერომიჯების კონკრეტულ მაგალითებს მე-18 საუკუნის მედიასაშუალებებში და აღნიშნავს, რომ ავტოპორტრეტზე განსაკუთრებული ზრუნვა დაიწყო ნაციონალური სახელმწიფოს იდეის გაჩენიდან (Neuman 2010, 6-19); ამ პერიოდშივე იქცა *უცხო* სპეციალური დაკვირვების საგნად, რაც ლიტერატურაში მოგზაურობითი ჟანრის ნაწარმოებების პოპულარობით გამოიხატა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მე-18 საუკუნის ქართულ ლიტერატურაშიც ანალოგიური ტენდენციები იკვეთება: ნაციონალური ავტოპორტრეტის შექმნის თვალსაზრისით, საყურადღებო ინფორმაციაა მოცემული „დავითიანში“, ჟანრობრივი თვალსაზრისით კი თვალსაჩინო მაგალითია სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“.

და ჰეტეროხატა ნორმატიული ხასიათი უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ეს არაა მხოლოდ აღწერითი ბიპოლარული სტრუქტურა; მას, შესაძლოა, შორს მიმავალი პოლიტიკური მიზნებიც დაუკავშირდეს, რადგან საზოგადოების ცნობიერების მართვას ისახავს მიზნად.

აქედან გამომდინარე, კულტურულ-ისტორიული იმაგოლოგიის მიზნად დასახულია ხატების (იმიჯების) და კულტურული კონტექსტების ერთიანობაში კვლევა და იმის წარმოჩენა, თუ რა შენარჩუნდა და რა შეიცვალა საკუთარ თავსა და უცხოს შესახებ არსებულ წარმოდგენაში.

იმაგოლოგიის თანამედროვე მიდგომების მიხედვით, ლიტერატურა, როგორც კულტურული რეპრეზენტაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, ინახავს "ჩვენს" და "სხვის" მენტალურ სახეებს და ნაციონალურ სტერეოტიპებს. ამგვარად, ლიტერატურა ახდენს ნავარაუდევ ნაციონალური ხასიათების, ერთი მხრივ, გამოსახვას, მეორე მხრივ კი - კონსტრუირებას (Imagology 2007, xiii).

ლიტერატურულ ნარატივში ნაციონალური დისკურსის ფორმირების კვლევისას აუცილებელია წარსულთან დამოკიდებულების რაგვარობის გამოკვეთა (რადგან ნაციონალური იდენტობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის იდენტობა, არ არსებობს წარსულის გარეშე). ამ კონტექსტში პრინციპულ მნიშვნელობას იძენს ორი ცნების: *მეხსიერებისა და გახსენების* ურთიერთგამიჯვნა.<sup>17</sup> თანამედროვე კულტურის კვლევებში კვლევებში უპირატესობა ენიჭება ტერმინ *გახსენებას*,<sup>18</sup> რომელიც, *მეხსიერებისგან* განსხვავებით, აღნიშნავს აქტიურ პროცესს: ის გულისხმობს წარსულიდან გარკვეული ტიპის ცოდნის გამოხმობასა და ახლებურ კონსტრუირებას (ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოცდილებაში

---

რომლის ტიპოლოგიურ ანალოგადაც მე-19 საუკუნეში შეიძლება დასახელდეს გრიგოლ ორბელიანის „მეზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“.

<sup>17</sup> ამგვარი დიფერენციაცია უკავშირდება 1997 წელს გისენის უნივერსიტეტში დაფუძნებული დისციპლინის, მეხსიერების კულტურის ფარგლებში წარმოებულ კვლევათა შედეგებს.

<sup>18</sup> ტერმინი *გახსენება* იმდენად პროდუქტიული აღმოჩნდა, რომ მან თითქმის ჩაანაცვლა *ისტორია*: „იმის ნაცვლად, რომ ისაუბრონ წარსულზე, როგორც ასეთზე, ყურადღება ექცევა წარსულის კონსტრუირებისა და რეპრეზენტაციის შედეგად წარმოქმნილ სიმბოლოთა ერთიანობას, კოლექტიური იდენტობის ფორმირებასა და კულტურული ინტერპრეტაციის გრძელვადიან ნიმუშებს“ (Sandl 2005, 90).

გადასული და გამოცდილების მიღმა დარჩენილი წარსულის ერთმანეთისაგან გამიჯვნა). იმის გათვალისწინებით, რომ გახსენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც პიროვნული, ისე კოლექტიური (და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური) იდენტობის ჩამოყალიბებაში, წარსულის ცოდნის რეკონსტრუირებაში იგულისხმება იდენტობისთვის რელევანტური (და არა ნებისმიერი) გამოცდილების გააქტიურება (Neumann 2005, 152).

გახსენებისა და იდენტობის ნექსუსის (კავშირის) კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრავმის ფენომენს, რომელიც ავტონოეტური ცნობიერების<sup>19</sup> მიღმა შეიძლება დარჩეს, რადგან ამგვარი ინფორმაციის გამინაარსება და მეხსიერების ფონდში შეყვანა ვერ ხერხდება: ის ვერ თავსდება საერთო აზრობრივ მთლიანობაში და მოულოდნელად ამოტივტივდება ხოლმე. „ტრავმა მეხსიერებაში არსებობს უცხო სხეულის სახით, რომელიც კონსტრუქციულ გადამუშავებას არ ექვემდებარება“ (Neumann 2005, 154).

ინდივიდუალური მეხსიერების შესახებ გამოთქმული ეს დებულებები ბუნებრივად მიესადაგება კოლექტიურ მეხსიერებასაც,<sup>20</sup> რომლისთვისაც ნაციონალური ტრავმა ბოლომდე დაუძლეველი დარჩება (როგორც ეს მოხდა მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართულ სინამდვილეში), თუ ამ კოლექტივმა არ მიმართა მის რეფლექსიას, უპირველეს ყოვლისა, კულტურულ კოდებში ტრანსფერის გზით.<sup>21</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ტრავმის დაძლევა პირდაპირ უკავშირდება მის ნარაციას, ხოლო თხრობა, თავის მხრივ, იდენტობის ფორმირების ტოლფარდი ცნებაა: „უპასუხო კითხვას: ვინ ხარ - ნიშნავს [...] მოჰყვე შენს ისტორიას“ (Ricoer 1991, 395).<sup>22</sup>

<sup>19</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ავტონოეტური ცნობიერების (სხვაგვარად - თვითრეფლექსიის) დამკვიდრება უკავშირდება ენდელ ტულვინგის სახელს, რომელმაც ამ ტერმინით აღნიშნა პირადი წარსულიდან გარკვეული გამოცდილების რეაქტუალიზება, რომლის გარეშეც მეხსიერებიდან გამოხმობილი ინფორმაცია იდენტობის ფორმირებისთვის ნეიტრალური დარჩებოდა.

<sup>20</sup> იდენტობისა და კულტურის გამოცხადება წარსულის ათვისებისა და აქტიური თვითრეფლექსიის შედეგად ფრანგი სოციოლოგის - მორის ჰალბვახის - სახელს უკავშირდება. ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც მეხსიერება კულტურულ ფენომენად წარმოადგინა.

<sup>21</sup> წარსულის გახსენებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ იხ. დანიელ შახტარის საპროგრამო ნაშრომი „ჩვენ ვართ მეხსიერება“ (Schacter, 1996).

<sup>22</sup> უკანასკნელი წლების განმავლობაში სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში წარმართულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობების ფორმირებაში

ისტორიის მოყოლა არაა ფაქტთა უბრალო კონსტატაცია, რადგან წარსული გამოცდილების სახე ახლანდებლობის პერსპექტივიდან ყალიბდება.<sup>23</sup> შეიძლება ითქვას, ის სწორედ ნარაცის შედეგად იქმნება: ნარატიულ ფორმას იღებს ის, რაც მანამდე პრენარატიულ ხარისხში იმყოფებოდა.<sup>24</sup>

წარსული გამოცდილების ნაწილისთვის ნარატიული ფორმის მიცემა და ნარაცის მიღმა გარკვეული ნაწილის დატოვება პირდაპირ უკავშირდება *ფუნქციური და დაგროვებითი* მეხსიერებების საკითხს. მეხსიერების ამგვარი დაყოფის მოდელი ეკუთვნის ალაიდა ასმანს, რომელმაც წიგნ „მეხსიერების სივრცეებში“ *ფუნქციური მეხსიერება* განმარტა როგორც ათვისებული მეხსიერება, ხოლო *დაგროვებითი* - როგორც ათვისებელი, ამორფული, იდენტობისთვის ნეიტრალური და აბსტრაქტული. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ დაგროვებითი მეხსიერება ფუნქციურისთვის ერთგვარ რეზერვუარს წარმოადგენს, როგორც „კულტურული ცოდნის განახლების რესურსი“ (Assmann 1999, 130-148).

სადისერტაციო ნაშრომში ამ მოდელის (დეფინიციის პრინციპის) გათვალისწინება საშუალებას იძლევა, აღიწეროს, ნაციონალური დისკურსის

---

განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნარაცია (ამ თემაზე იხ. ფუნდამენტური შრომები: Schacter 1996, Olney 1998, Eakin 1999, 2008).

<sup>23</sup> საკუთარი წარსული გამოცდილებისთვის აზრობრივი მთლიანობის მისანიჭებლად, ადამიანები, როგორც წესი, მიმართავენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ კონვენციურ ჟანრებს (პრეკოლონიური და კოლონიური ხანის ქართულ ლიტერატურაში ამის ნიმუშებია „დავითიანის“ ლექსთა ციკლი, რომელიც ხალხურ მოტივებზეა აგებული და ბატონიშვილ ქალთა ის ლექსები, რომლებიც აღმოსავლური სალექსო ფორმითა და *ღვთისმშობლის დატირების* მოტივზეა დაწერილი). ამგვარად ხდება ფორმის სემანტიზება (წმინდა გახსენებითი/მეხსიერების ჟანრობრივი ფორმებია: ავტობიოგრაფია, მემუარები...). კოლექტიური (საკუთრივ - ნაციონალური იდენტობის) რეპრეზენტაცია/ფორმირებისთვის ასეთ კონვენციურ სემანტიზებულ ჟანრს წარმოადგენს ეპოსი (Neumann 2005, 177). მე-19 საუკუნის ქართულ კოლონიურ ლიტერატურაში ამის თვალსაჩინო ნიმუშია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“.

<sup>24</sup> გახსენების ლიტერატურული ინსცენირების (ფართო მნიშვნელობით - თხრობის ფორმათა ერთობლიობის) შესწავლა უკავშირდება ჟერარ ჟენეტის სახელს, რომელმაც მარსელ პრუსტის რომანის ანალიზისას სამი მთავარი კატეგორია: *წესრიგი, ხანგრძლივობა და სიხშირე* გამოჰყო.

ფორმირებისას რა აქცია ფუნქციური მეხსიერების საგნად საკვლევი პერიოდის ქართულმა ლიტერატურამ და რა დატოვა დაგროვებითი მეხსიერების ფონდში.<sup>25</sup>

დაგროვებითი და ფუნქციური მეხსიერებების ურთიერთგამიჯვნის გვერდით, ალაიდა და იან ასმანებმა, მორის ჰალბვახის თეორიაზე დაყრდნობით, ერთმანეთისაგან გამიჯნეს მეხსიერების ორი ჩარჩო: კომუნიკაციური და კულტურული. ამ უკანასკნელს, კომუნიკაციურისაგან განსხვავებით, მყარი ღირებულება აქვს და კონკრეტული საზოგადოების იდენტობის საფუძვლებს ქმნის.

1988 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „კოლექტიური მეხსიერება და კულტურული იდენტობა“ იან ასმანმა ჩამოაყალიბა ტერმინი *კულტურული მეხსიერების* ცნება, რომელიც ამგვარად განმარტა:

კულტურულ მეხსიერებაში ჩვენ მოვიაზრებთ ყოველი საზოგადოებისა და ყოველი ეპოქისათვის დამახასიათებელ კვლავგამოყენებადი ტექსტების, სურათებისა და რიტუალების ფონდს, რომლის „დაცვაში“ ის (საზოგადოება) უცვლელ ავტოპორტრეტს აფუძნებს და კოლექტიურად გაზიარებულ ინფორმაციას (რომელსაც წარსულთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება), რომელზეც გარკვეული ჯგუფი თავისი ერთიანობისა და გამორჩეულობის იდეას ამყარებს, მემკვიდრეობით ხდის (Assmann 1988, 15).

ამ დეფინიციიდან გამომდინარე, კულტურული მეხსიერება ერის იდენტობისთვის განსაკუთრებით ფასეული, კვლავგამოყენებადი ტექსტების, რიტუალების და ა.შ. ინფორმაციული ფონდია, მისი „დაცვა“ კი საკუთარი თავის გადარჩენის გარანტიაა. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *კვლავგამოყენებადი ტექსტების* თეზა.<sup>26</sup> მასზე დაყრდნობით, საშუალება გვეძლევა, დავაკვირდეთ, თუ რომელი ტექსტების კვლავგამოყენებით / აქტუალიზებით

---

<sup>25</sup> აქვე შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ მე-19 საუკუნის ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ (ორიოდე ეპიზოდურ ჩანართს თუ არ გავითვალისწინებთ), ფაქტობრივად, ყურადღების მიღმა დატოვა უკანასკნელი მეფის, გიორგი მეცამეტის, სახე.

<sup>26</sup> კვლავგამოყენებადი, ანუ კანონიკური ტექსტების ხელახალი წაკითხვა, სიციოკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ახალ-ახალი აქცენტების გამოკვეთას გულისხმობს. ეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება კოლონიურ ვითარებაში. მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ნიმუშად შეიძლება ავიღოთ ამირანის მითის ინტერპრეტაციისას იმის აქცენტირება, რომ მიჯაჭვული გმირი აუცილებლად გათავისუფლდება (ეს კონცეპტი მითოლოგიურ გადმოცემაში არ იკითხება).

განავითარა მე-19 საუკუნის ქართულმა კოლონიურმა ლიტერატურამ ნაციონალური დისკურსი.<sup>27</sup>

თუ კომუნიკაციური მეხსიერება გადაცემის ზეპირ საშუალებას იყენებს, კულტურული მეხსიერებისთვის ბუნებრივია წერილობითი ფორმა (ინფორმაციის ტრადიციული სიმბოლური კოდირება / ვერბალური ინსცენირება).

ამ თვალსაზრისით პრეკოლონიური-კოლონიური პერიოდების ქართულ მწერლობაზე დაკვირვება იმის დადგენის საშუალებას იძლევა, კომუნიკაციური მეხსიერების რომელი ფაქტები იქცა მხატვრული ლიტერატურის საშუალებით კულტურული მეხსიერების ფაქტებად. ამ საკითხის გარკვევა ნათელყოფს ლიტერატურის, როგორც კოლექტიური კულტურული მეხსიერების მედიის,<sup>28</sup> როლს მოცემული ეპოქის ნორმატიული ცოდნის შექმნაში.

ეპოქის ნორმატიული ცოდნის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება კოლონიალიზმის პირობებში. ამ დროს კოლონიზატორი და კოლონიზებული

---

<sup>27</sup> ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ტერმინ *კულტურულ ტექსტს* (რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ალაიდა ასმანმა დაამკვიდრა). მასში იგულისხმება ის ტექსტი, რომელსაც ისტორიული მეხსიერებიდან გამოიხმობენ და ხელახლა კითხულობენ (მის პარადიგმას წარმოადგენს ბიბლია). მკვლევრის განმარტებით, ამ ტიპის ტექსტებს განსაკუთრებული ფუნქცია აქვთ: ისინი ამთლიანებენ საზოგადოებას, წარმოადგენენ რა ნორმატიული და მაფორმირებელი შინაარსის შეტყობინებებს. ლიტერატურული ტექსტის ქცევა კულტურული ტექსტად, არსებითად, მის კანონიზებას, მუდმივ აქტუალობას გულისხმობს. მისი მეშვეობით ვრცელდება სხვადასხვაგვარი იდენტობის (კულტურული, რელიგიური, ნაციონალური და ა.შ.) კონცეპტები. შესაბამისად, მკითხველიც გარკვეულ წრესთან მიკუთვნებულობისთვის კითხულობს მას და არა უბრალოდ ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად. ალაიდა ასმანის მიხედვით, ლიტერატურულ და კულტურულ ტექსტებს, არსებითად, სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი განასხვავებს. კულტურულ ტექსტებს მკითხველი საზოგადოება მრავალგზის და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირებით მიმართავს, რათა არსებული ვითარების შესაბამისად აღიქვას და გამოთქვას თავისი მდგომარეობა (ამასთან, მისი რეცეფციის ჩარჩოს ქმნის ტრადიცია) (Assmann 1995, 243).

<sup>28</sup> ლიტერატურა, როგორც კოლექტიური მეხსიერების მედია, ყურადღების არეალში მოექცა ასმანების „კულტურულ ტექსტთა“ კონცეპტით. ასმანთა თეორიის გვერდით, ლიტერატურისა და მეხსიერების მჭიდრო კავშირი ინტერტექსტურობის კონტექსტში საფუძვლიანადაა შესწავლილი რენატე ლახმანის მიერ (Lachmann 1990) , ასევე ულრიხ ბროიხისა და მანფრედ ფისტერის რედაქტორობით გამოცემულ წიგნ „ინტერტექსტურობაში“ (Broich, Ulrich/Pfister Manfred 1985).



ქვეყნების სააზროვნო მოდელებს ერთ სივრცეში უწევთ თანაარსებობა და ერთმანეთისთვის მძაფრი კონკურენციის გაწევა. ნაციონალური კულტურის განვითარებისთვის მეტად მძიმე მდგომარეობას ქმნის პოლიტიკური ცენზურის არსებობა. ცენზურის, პოლიტიკური წნეხის პირობებში გამოქვეყნებული ლიტერატურა, როგორც წესი, ალეგორიზების ხერხს მიმართავს. ლიტერატურული არტეფაქტები მხოლოდ ვერბალურად კი არ აფორმებენ არსებულ რეალობას, არამედ აყალიბებენ წარმოდგენებს ამ (კოლონიური) რეალობის შესახებ. მათი საშუალებით ნაციონალური დისკურსი უცხო საკუთარის პოლარიზებას ახდენს და ადრესატზე ორიენტირებულ რიტორიკად ყალიბდება.

ამასთან, კოლონიურ დისკურსში ფორმირებულ მეტაფორებს, იმის გამო, რომ ისინი უშუალოდაა განპირობებული კულტურულ-პოლიტიკური კონტექსტით, არა აქვს წმინდად ესთეტიკური მნიშვნელობა; სამაგიეროდ კოლონიური ტრავმის გააზრების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს: მიუღებელი სინამდვილისთვის ვერბალური სახის მიცემა მისი დაძლევის პოტენციალს ატარებს.

იმის გათვალისწინებით, რომ „ლიტერატურა, როგორც სოციალური სისტემა, ინდივიდუალური და კოლექტიური გამოცდილების გადამუშავებისთვის ცენტრალურ ორიენტირებს იძლევა“ (Neumann 2005, 163), მისი, როგორც მედიის, ფუნქცია პირდაპირ უკავშირდება იდენტობის ჩამოყალიბებას, როგორც ამ იდენტობის სტაბილურობის გარანტი. მედიად ყოფნა კი, თავის მხრივ, არ ნიშნავს მხოლოდ ინფორმაციის გადატანასა და გავრცელებას, არამედ დიდი ზეგავლენის მოხდენასაც. სწორედ ზეგავლენის ძალის წყალობით, ლიტერატურა თავად ქმნის კულტურულ პარადიგმებს, რომელთაც ეყრდნობიან ინდივიდუალური თუ კოლექტიური გახსენებისას/ავტორეფლექსიისას (Erll 2005, 258). ნათქვამი ლიტერატურათმცოდნეობის ენაზე რომ ფორმულირდეს, *ლიტერატურა განიმარტება როგორც კულტურული თვითშემეცნების მედია* (ibid.)<sup>29</sup>

---

<sup>29</sup> კოგნიტიური და კულტურის კვლევების თეორიები ხაზს უსვამენ მეხსიერების ფორმირებაზე ლიტერატურის გავლენას, ლიტერატურას გაიაზრებენ ინდივიდუალური და კოლექტიური ფასეულობათა სისტემის ქმნადობის პროცესის მონაწილედ. ასეთია ლიტერატურის როგორც მედიის კოგნიტიური და კულტურის კვლევების შეფასება (Neumann 2005).

დაბოლოს, ჩატარებული კვლევის მასშტაბურ კონტექსტად შეიძლება მივიჩნიოთ პოსტკოლონიალიზმის თეორიული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარეობს კოლონიური გამოცდილების მქონე ქვეყანათა და რეგიონთა კულტურულ-ისტორიული პროცესების გაცნობიერება.<sup>30</sup>

საქართველოს კვლევების სფეროში იდენტობის შესახებ წარმოებული მცირერიცხოვანი კვლევები, ძირითადად, ნაციონალიზმის აღიარებულ თეორეტიკოსთა, ე. სმითისა და ბ. ანდერსონის, ნაშრომებს ეფუძნება.

ისტორიულ-ფილოლოგიურ წყაროებზე დაყრდნობით, წარმოჩენილი და შესწავლილია მედიევალური ხანის ქართული ნაციონალური იდენტობის საფუძვლები (პატარიძე 2009, ჩხარტიშვილი 2006, 2009, დობორჯგინიძე 2010). საკუთრივ პოსტმედიევალური, მოდერნული და პოსტმოდერნული ხანების ქართული იდენტობის შესახებ არსებულ დისკუსიებსა თუ გამოკვლევებს შორის აღსანიშნავია სოლიდური მოცულობის კრებული „საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“, რომელშიც წარმოდგენილია ქართული ნაციონალური იდენტობის, პატრიოტიზმის, ეროვნული სიმბოლოების, ისტორიული გამოცდილების,

---

<sup>30</sup> ამ საკითხზე იხ. ედუარდ საიდის (Said 1994), ჰომი ბაბას (Bhabha 1994), გაიატრი სპივაკისა (Spivak 1999) და სხვათა შრომები. იმ ფონზე, რომ საქართველოს კოლონიური ვითარების თითქმის ორსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს, ხოლო მისი სადღეისო ამოცანები ამ გამოცდილების დამღევას, ახალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის გამძლავრებას უკავშირდება, შესაბამისად, ქართველოლოგიურ კვლევებში პოსტკოლონიური დისკურსის ინტეგრაცია აქტუალური ამოცანაა. ბოლო საუკუნეების ქართული ლიტერატურის ცენტრალური, იდეურად გამაერთიანებელი პრობლემა საქართველოს თავისუფლება ხდება, ხოლო ლიტერატურის ცენტრალური ფუნქცია მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართული ნაციონალური იდენტობის შენარჩუნება და კულტივირებაა. კოლონიურ/პოსტკოლონიურ პერიოდებში ქართული ლიტერატურის ნაციონალური მისიის წარმოსაჩენად და იმ ფორმების შესასწავლად, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ამ მისიის რეალიზაცია, მნიშვნელოვანია ნაციონალური იდენტობის კვლევების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება. ნაციონალური დისკურსის ფორმირებისას საქართველოს კოლონიზაციის ფაქტორის გათვალისწინება (და პოსტკოლონიური ინტერპრეტაცია) გარდაუვალია, რადგან, როგორც მარკირების სისტემის შესწავლაც დაგვანახვებს, თანამედროვე ქართული ნაციონალური დისკურსის ძირითადი ნიშნულები სწორედ საქართველოს კოლონიური ვითარების რეფლექსიას ისახავს მიზნად – ამ ვითარების დამღევის პერსპექტივის ფონზე.

მენტალიტეტის, კულტურისა და პოლიტიკური რეჟიმის შესახებ თანამედროვე ქართველ და უცხოელ ავტორთა ერთმანეთის საწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები, ესსეები, წერილები და დისკუსიის ჩანაწერები. მათგან, წინამდებარე, დისერტაციის საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა ზურაბ კვიციანი წერილი - „ილიას მამული“, რომელშიც მკვლევარი კლასიკური ხანის (X-XI სს.) ტექსტებით დაწყებული, მე-19 საუკუნის ჩათვლით, დიაქრონიულ ჭრილში წარმოადგენს *მამულის* ცნებს ინტერპრეტაციას და ამ ფონზე აანალიზებს ილიას ტრიადას (საქართველო... 2005, 28- 52).

2007 წელს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (ილია ჭავჭავაძე - 170), რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა სამეცნიერო კონცეფციაზე დაყრდნობით შექმნილი საყურადღებო სტატიები ილიას პიროვნების, როლისა და რეფორმების შესახებ, მათ შორის, ნაციონალიზმის ილიასეული ხედვის თაობაზე. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ილიამ, სამოციანი წლებიდან მოყოლებული, ქართველობის ახალი პარადიგმა შექმნა, რომელიც „მამათა“ მაღალი, საეკლესიო სტილის დესაკრალიზაციით დაიწყო და საკრალურის ცნების „მამულზე“ გადმოტანით დამთავრდა“ (ანდრონიკაშვილი 2005, 171-172); „ამოცანა, რომელიც ილია ჭავჭავაძის წინაშე იდგა, ქართული კულტურული მეხსიერების არა მხოლოდ რედაქციას, არამედ მის ფაქტიურად ხელახლა შექმნას საჭიროებდა.“ (მაისურაძე 2005, 177); „იგი (ილია – ც.კ.) ქრისტიანობას აღიქვამდა, როგორც ნაციონალურ მარკერს [...]. ილიას მისწრაფება, შეენარჩუნებინა და ახალი დროის შესაბამისად გაეფორმებინა ქართული იდენტობის ტრადიციული მარკერი, კარგად ჩანს მისი მცდელობით ერთმანეთს გაუტოლოს ნაციონალური და რელიგიური, *ქართველადყოფნა* და *ქრისტიანადყოფნა*. [...] „ილიასთვის ერი ფაქტობრივ ღვთაებაა, ითხოვს თავშეწირვას, მსხვერპლშეწირვას და სამაგიეროდ იძლევა უკვდავების გარანტიას“ (ჩხარტიშვილი 2005, 237-238).

ილიასა და თერგდალეულთა თაობის მიერ ქართული ნაციონალური იდენტობის შექმნის შესახებ საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული 2009 წელს

გამოცემულ კრებულ „ქართველი ერის დაბადებაში.“<sup>31</sup> მასში აღნიშნულია, რომ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიაღში დაბადებული ქართული ნაციონალური იდენტობის შემქმნელი „ელიტა მშვიდად აღიქვამდა რუსეთის იმპერიის წევრობას - და საკუთარი იდეოლოგიის გარდაქმნას ეთნიკურ-პოლიტიკალურ იდენტობად ცდილობდა“ (თევზაძე 2009, 21); ვახუშტი ბაგრატიონისეული ტრიადის საფუძველზე შექმნილი ილიას ტრიადა თვალსაჩინოს ხდიდა სარწმუნოების კონცეპტის გადაფარვას დესაკრალიზებული, ლიტერატურული ენის პრიმატით, რომელიც ქართველი ერის ერთიანობის საფუძვლად იქნა მიჩნეული (რატინი 2009, 42-43) და „თერგდალეულების გაჩენა განაპირობა რუსულ იმპერიულ კულტურასთან აკულტურაციამ. [...] თერგდალეულების ფორმირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც დასაბამი ქართული ეროვნული მოძრაობისა“ (რაისნერი 2009, 63).<sup>32</sup>

2008 წელს ავტორთა ჯგუფმა გამოსცა მონოგრაფია მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილეში რუსული კოლონიალიზმის შესახებ.<sup>33</sup> წიგნში ვრცლადაა აღწერილი საქართველოში რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული კოლონიზატორული პოლიტიკა, კავკასიის რუსიფიკაციის სტრატეგიები და კულტურის სფეროში გატარებული რეფორმები; შესწავლილია რუსული კოლონიალიზმის საფუძველები და არსი. წიგნის ერთი თავი ეძღვნება რუსული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ქართული მწერლობის, თეატრისა და პრესის საკითხს (ბენდიანიშვილი... 2008, 486).

მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილის მილიტარისტული და ლიტერატურული კონტექსტების გადაკვეთაზე ფორმირებული ფაბულები, თემები, მოტივები და ტროპები განხილულია ქ. ნინიძის „მილიტარისტული ნარატივის მორფოლოგიაში“ (ნინიძე 2009), რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ახალი ფიგურის, საზოგადო მოღვაწის გამოჩენის სოციოკულტურული წანამძღვრებია წარმოჩენილი.

---

<sup>31</sup> კრებულში წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის დაბადების ას სამოცდაათი და გარდაცვალების ასი წლისთავისადმი 2007 წელს მიძღვნილ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები.

<sup>32</sup> მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალური მოძრაობის სოციალურ-ისტორიული კვლევა წარმოდგენილია ოლივერ რაისნერის მონოგრაფია „ქართული ნაციის სკოლაში“ (Reisner 2004).

<sup>33</sup> რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას მონოგრაფია მიუძღვნა ლუიჯი მაგაროტომ (მაგაროტო 2008) .

მე-18-მე-19 საუკუნეთა (შესაბამისად, ქართულ-რუსულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეთა) გასაყარზე მოღვაწე ქართველების ლიტერატურული პორტრეტებია მოცემული მერაბ ღაღანიძის წიგნში „ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე“ (ღაღანიძე 2010), რომელშიც ნაჩვენებია ქვეყნის მძიმე ისტორიით განპირობებული პიროვნებათა ტრაგიკული ცხოვრების გზები.

2010 წელს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი *”ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას ”ივერია“* რომლის ფარგლებშიც მომზადდა მონოგრაფია *„ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას ”ივერია“*.<sup>34</sup> მასში წარმოდგენილი ვრცელი ტექსტური მასალის (ძირითადად, პუბლიცისტური დისკურსის) ანალიზის გზით ნაჩვენებია, როგორ მოახერხეს ილიამ და მისმა თანამოაზრებმა პრესის, ბეჭდური მედიისა და საგანმანათლებლო სისტემის საშუალებით შეექმნათ „ქართველთა წარმოსახვითი ერთობა“, საზოგადოება მიეყვანათ ნაციონალიზმის იდეამდე. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილეში ერი და სახელმწიფო ერთმანეთს არ თანხვდებოდა, ილიას (და მის დასელთა) ბრძოლა რეალური ნაციონალიზმი იყო კულტურის სფეროში, პოლიტიკურში კი მხოლოდ პოტენციური ნაციონალიზმის დონეზე გამოვლინდა (ბოლქვაძე 2010, 52).

2010-2012 წლებში რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (წამყვანი ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) განხორციელდა პროექტი: *„კოლონიური/პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურა: კულტურულ პარადიგმათა ცვლა“* (ხელმძღვანელი ბ. წიფურია), რომლის ფარგლებში დამუშავებული მასალაც საფუძვლად დაედო წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ორ თავს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრი მიმდინარე პროექტის (ხელმძღვანელი ნ. დობორჯგინიძე) ფარგლებში იკვლევს XIX საუკუნის საქართველოს და რუსიფიკაციის ენობრივ და რელიგიურ მოდელებს.

ზემოთ აღნიშნული კვლევების ფონზე, წარმოდგენილი სადისერტაციო თემის სახით სისტემატიზებულია ახალი ინფორმაცია პრეკოლონიური/კოლონიური

---

<sup>34</sup> ამავე პროექტის ფარგლებში გამოიცა სხვა მონოგრაფიები (ჩხარტიშვილი, მანია 2010, კიკვიძე 2010).

ხანების ქართულ ლიტერატურაში ფორმირებული ნაციონალური დისკურსის შესახებ. კვლევის შედეგები დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების, არამედ მომიჯნავე დისციპლინათა წარმომადგენლებსაც, რომლებიც დაინტერესებული არიან პოსტმედიევალური პერიოდის ქართული იდენტობის შესწავლით, ქართულ-რუსული ურთიერთობებით, კულტურული/კოლექტიური მეხსიერების საკითხით, კოლონიური/პოსტკოლონიური კვლევებით, სტერეოტიპების ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპთა დადგენით.

ნაშრომში წარმოდგენილი მხატვრული ტექსტები და მარკერთა ცხრილები თვალსაჩინოს ხდის იმ ფაქტს, რომ კოლონიური ხანის ქართული ნაციონალური იდენტობის შექმნაში ლიტერატურამ, როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიამ, განსაკუთრებული როლი შეასრულა. პოლიტიკური და სოციოკულტურული ვითარების ლიტერატურული რეპრეზენტაციის საშუალებათა შორის დომინანტური აღმოჩნდა მარკირება (ავტო- და ჰეტეროხატების: საქართველოსა და რუსეთის მხატვრულ სახეთა ფორმირება). არსებითად, სწორედ მარკირებამ უზრუნველყო არა მხოლოდ ფაქტების ფიქსაცია, არამედ მოვლენათა შეფასება და სწორი ორიენტირების დასახვა. შესაბამისად, ქართული ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალური დისკურსის შესასწავლად არსებითად მნიშვნელოვანია ლიტერატურული მარკერების კვლევა.

## თავი პირველი. ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისის ლიტერატურული რეპრეზენტაცია

### 1.1. პრეკოლონიური ხანის ნაციონალური/ინდივიდუალური ავტოპორტრეტი: „დავითიანი“ ორი სამყაროს კონტექსტში

შველა ღვთისაგან დავითისა,  
ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში  
/დავითიანი, წიგნი ა/

ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია მედიევალური ეპოქიდან იწყება. ამავე პერიოდიდან ჩნდება რუსეთის სახეც ქართულ ლიტერატურაში,<sup>35</sup> მაგრამ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ლიტერატურული რეპრეზენტაცია პირველად მე-18 საუკუნის დასასრულს დავით გურამიშვილის შემოქმედებაში გვხვდება („დავითიანში“ ისტორიული ობიექტურობის პრინციპის განუხრელი დაცვით ინსცენირებულია ქართლის დაკავშირება რუსეთის იმპერიასთან<sup>36</sup>).<sup>37</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ დავით გურამიშვილის მხატვრული შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში ეროვნული და პიროვნული ბიოგრაფიების

---

<sup>35</sup> „ჩრდილოეთის ქვეყანა“ პირველად „აბოს წამებაში“ დასტურდება, საკუთრივ ტერმინები „რუსეთი“ და „რუსნი“ კი - „თამარიანსა“ („ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც ჩაჰყვის“) და „ვეფხისტყაოსანში“ („რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“). რაც შეეხება *რუსეთის თემას*, ის მე-17 საუკუნეში ნოდარ ციციშვილისა და არჩილის შემოქმედებაში შემოდის. არჩილი (1647-1713) იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელიც რუსულ სინამდვილეს უშუალოდ გაეცნო და თავისი გამოცდილება წერილობით დააფიქსირა (ამის შესახებ იხ. შადური 1949).

<sup>36</sup> ამ პოეტურ კრებულში ისტორიული რეალობა იმდენად ზუსტადაა გადმოცემული, რომ სპეციალისტები კრებულს (განსაკუთრებით მის ერთ მონაკვეთს, რომელსაც პირობითად „ქართლის ჭირი“ ეწოდება) მნიშვნელოვან საისტორიო წყაროდ მიიჩნევენ (დონდუა 1985, 121, 128-129).

<sup>37</sup> დავით გურამიშვილის შემოქმედების, ქართული ლიტერატურის ისტორიაში მისი ადგილისა და რეფორმების შესახებ საყურადღებო შენიშვნებია გამოთქმული ზ. შათირიშვილის წერილში (შათირიშვილი 2009).

გადაჯაჭვის სისტემურად ჩამოყალიბებული მოდელის პირველი თვალსაჩინო ნიმუშია, *თვითდენტიფიკაცია*, მოცემულ შემთხვევაში, გულისხმობს როგორც მთელი ერის, ისე საკუთარი პერსონის მარკირებასაც. ეს კი განხორციელებულია სლავურ (რუსულ-უკრაინულ) და ქართულ კულტურულ-რელიგიურ და პოლიტიკურ სივრცეთა ურთიერთგადაკვეთის კონტექსტში. რუსული (სლავური) სივრცე, როგორც პოლიტიკურ-კულტურული ორიენტირი და არა მხოლოდ გეოგრაფიული მოცემულობა, გურამიშვილის შემოქმედებაში სამ დონეზე აისახა: პოლიტიკური (სამეფო-სამხედრო) თვალსაზრისით, ლიტერატურული ფორმების გადმოღებითა და გურამიშვილის ავტოპორტრეტში.

რუსული კულტურულ-პოლიტიკური სივრცე „დავითიანში“ უპირისპირდება აღმოსავლურს/მაჰმადიანურს და მასთან კონტრასტულობის გამო ქართული სინამდვილისთვის ყველაზე ბუნებრივ კონტექსტადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ წიგნში, რომელიც ერთდროულად ადამიანისა და მისი ქვეყნის ცხოვრების რთულ გზაზე მოგვითხრობს, ფიზიკური *გადარჩენა* რუსეთს უკავშირდება: ლეკთა ტყვეობიდან გაქცეული პოეტი ჩრდილოეთში გაიხიზნა და საბოლოოდ იქ დამკვიდრდა. რუსეთში მოხვედრის სცენა გურამიშვილს ემოციურად აქვს აღწერილი (სწორედ ამ მონაკვეთშია მოცემული „დავითიანის“ ერთ-ერთი საუკეთესო მეტაფორა):

ერთმან მიუთხრა მეორეს: „დაი ხლებაო, ლაზარი!“ / „ხლება“ რა მესმა, დამეცა მე სიხარულით თავზარი; / მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექმნა ზანზარი, / ველარ დაიგნეს სვეტებმა და გარდაიქცა ტაძარი. / რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო [...] / ამ სიხარულმა დამშალა ჯავრით შეკრული კონაო! (გურამიშვილი 1955, 93, სტრ. 471-472)

პიროვნულ გადარჩენასთან ერთად, როგორც აღინიშნა, რუსეთის სახე ქვეყნის მომავალსაც უკავშირდება:<sup>38</sup> მე-18 საუკუნის ქართული პოლიტიკური ვითარება ორი ურთიერთდაპირისპირებული სივრცის: მაჰმადიანური *აღმოსავლეთისა* და მართლმადიდებლური *ჩრდილოეთის* კონტექსტშია წარმოდგენილი (ისტორიულად გადამწყვეტი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი საქართველოსთვის ყველაზე მწვავედ სწორედ ამ პერიოდში და ამ სახით დადგა). გურამიშვილმა თავისი

<sup>38</sup> *რუსეთის საკითხისადმი* დავით გურამიშვილის პიროვნული პოზიციის, პოეტის პოლიტიკური შეხედულების შესახებ იხ. მახათაძე 2005, 6-12.



დროისთვის არსებული ამ ურთულესი და გადამწყვეტი არჩევანის მიღების პროცესი ლიტერატურული ინსცენირების სახით გადმოსცა (ერთგვარად გააცოცხლა ვახტანგ მეექვსის სამეფო კარზე არსებული სიტუაცია); ამასთან, რელიგიური ერთობის საფუძველზე, რუსული სივრცისადმი პატივისცემაც გამოხატა.<sup>39</sup> ეს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ხელისუფალთა და ჯარის ქებაში გამოვლინდა. თავის მხრივ, ამ ქების ლეგიტიმურობა, რელიგიური ერთმორწმუნეობის გარდა, *აღმოსავლეთთან* დაპირისპირებამაც განსაზღვრა: „დავითიანში“ პეტრე პირველის ფიგურა და მისი ჯარის სიმწყობრე ოსმალეთის მმართველის ნეგატიური დახასიათების ფონზეა გამოკვეთილი:

იჯდა ყაენად შახ-თამაზ, ძე ძისა შააბაზისა. / მან შექმნა ბილწად დრანჯობა, ბევრი ღვინო სვა ვაზისა, / აღარ ახსოვნდის სიმთვრალით ხელში მირთმევა არზისა, / მით სამართალი დაფასდის ცხრა ქანქრად ცხრა აბაზისა / [...] **იყო ჩრდილეთის ხელმწიფე**, თეთრის რუსეთის მჭირველი, / თვითმპყრობელობის მიმღები, პეტრე ცხებული პირველი, / პირველ-ჟმურ ხრმალ-რბილ, პირ-ბლაგვთა მწთობელი, გამომპირველი, / ადიდოს ღმერთმან სულითა, ბევრი ჰყავს მლოცველ, მჭირველი [...] **არს მოსაწონი მნახველთა გაწყობა რუსის ჯარისა** [...] / **კურთხეულმცა არს ღვთისაგან პეტრეს ხელმწიფის ხსენება!** / რა საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება (გურამიშვილი 1955, 53-54, სტრ. 185, 189, 193, 194).

ცხადია, *ჩრდილეთის ხელმწიფის* მიმართ კეთილგანწყობას ის ფაქტორი განაპირობებს, რომ იგი წარმოდგენილია *აღმოსავლეთის* უგვანი მმართველის ანტიპოდურ ფიგურად, თუმცა რუსეთი მე-18 საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ არ აღიქმებოდა უპირობო კეთილისმყოფელ ძალად: რუსეთთან სამხედრო კავშირის დამყარების სურვილს, დავით გურამიშვილის მიხედვით, ვახტანგ მეექვსის კარზე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა: „ვინც ხედევდა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს, / თქვეს თუ: უფრო წავხდებითო, მაგრამ ზოგთ კი განიკმარეს [...] მათ მიუთხრეს: [...] ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების“ (გურამიშვილი 1955, 55, სტრ. 203, 205).

---

<sup>39</sup> ქართულ-რუსული პოლიტიკურ-კულტურული სივრცეების სხვადასხვაობა ამ ეტაპზე დაპირისპირებულობად არ აღიქმებოდა, რის საფუძველსაც რელიგიური ერთიანობა ქმნიდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ამ საფუძველის საკმარისობა (ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“, 1839).

ამ ფონზე ქრისტიანულ ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობისკენ ვახტანგ მეექვსის სწრაფვა ავტორს ფსალმუნის ენითა და მეტაფორული სახეებით აქვს აღწერილი: <sup>40</sup>

*ვითარ ირემსა მამვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა, / ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა [...] ტიროდენ, ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დავსება! / ვერ მოგვიხდების კარგათა ამდენი წყვეტა, ტმასება. / მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება. / სამი ვეშაპი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება?! (გურამიშვილი 1955, 55-56, სტრ. 206, 213).*

უკანასკნელ სტრიქონში მაჰმადიანური და მართლმადიდებლური ქვეყნები/მათი მმართველები საერთო აღმნიშვნელით, *ვეშაპის*,<sup>41</sup> მხატვრული სახითაა მარკირებული, რითაც ხაზგასმულია *მტრობის* კონცეპტი: ჩრდილოეთიც, აღმოსავლეთის მსგავსად, ქართველთა თვითმყოფადობისთვის საშიშ ძალად მიიჩნევა.

გურამიშვილის შემოქმედებაში ქართველთა ნაციონალური ავტოპორტრეტი ბიბლიურ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე აიგო და მხილების ნიშნით გამოიკვეთა: ქართლ-კახეთის ურთიერთდაპირისპირება ღვთისგან განდგომის ცოდვით იქნა ახსნილი (ამის ნიმუშია მთელი პირველი წიგნი, „ქართლის ჭირი“). პოეტს ნაციონალური ჰაბიტუსის გამოსახატავად არ მიუმართავს ქვეყნის ისტორიული წარსულის რეპრეზენტაციისთვის (ნაციონალურ წარსულს „დავითიანში“ შესაქმისეული ისტორია ენაცვლება და ინდივიდუალური და ეროვნული ბიოგრაფიები ზოგადსაკაცობრიო ესქატოლოგიურ კონტექსტში იკითხება); მან კომუნიკაციური მეხსიერების ფაქტები კულტურული მეხსიერების

---

<sup>40</sup> რუსეთის იმპერიისადმი დამოკიდებულების გამოხატვა ბიბლიის ენით ჩრდილოეთის მიმართ ვახტანგ მეექვსის პიეტეტზე მიუთითებს. ამგვარი დამოკიდებულების მიზეზზე ავტორი ყურადღებას ამახვილებს სხვა მონაკვეთში – ვახტანგ მეექვსის მიერ რუსეთის ხელმწიფეთა გარდაცვალების გამო გლოვის ეპიზოდში: „ამაზედ იყო მგლოვარე, ცრემლი ამისთვის ზდიოდა: / სამი ხელმწიფე ზედი-ზედ მოკვდენო, – გული სტკიოდა; / თავისას, თავის ქვეყნისას უბედურობას ჩიოდა“ (დავითიანი 1955, 94, სტრ. 480).

<sup>41</sup> ვეშაპის სიმბოლური მნიშვნელობა უკავშირდება ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: ა) სიდიდე და ძალა, ბ) მუცლის ლაბირინთულობა და გ) მისი გვარობრივი განუსაზღვრელობა (გაურკვეველია, იგი თევზებს მიეკუთვნება თუ ძუძუმწოვრებს). ვეშაპი, როგორც სიმბოლო, აღნიშნავს საფრთხეს, სიცრუესა და ბოროტებას (Metzler Lexikon Literarischer Symbole 2008, 409).

ფაქტებად გააფორმა: ის ისტორიული მოვლენები, რომელთა მომსწრეც თავად იყო (ქართლ-კახეთის დაპირისპირება, სამეფო კარის ინტრიგები, რუსეთთან დაკავშირება და ა.შ.), ლიტერატურული ტექსტის ერთ-ერთ მთავარ თემად აქცია და შთამომავლობას თანადროული ვითარების ობიექტური სურათი დაუტოვა.<sup>42</sup>

როგორც აღინიშნა, *რუსული სივრცე* „დავითიანში“, პოლიტიკური კონტექსტის გვერდით, საკუთრივ ლიტერატურული ნიშნითაც შემოვიდა: დავით გურამიშვილმა თავისი ცალკეული ლექსების ფორმად/თემატურ ორიენტირად აიღო რუსული ხალხური ნაწარმოებები და სათაურთა ადგილას მიუთითა შესაბამისი წყაროები:

რუსულის სიმღერის ხმა: ჩთო ზა პრიჩინა, ვსელდა კრუჩინა; არია, რომელ არს გოდება [რუსულად: ახ კაკ სკუჩნო]; სიმღერა, რომელ არს ამისის ხმის სიმღერა რუსულად: ნეთუ ზლოსთი ნადომნოიუ, უმენშით მნე პეჩალ მოიუ; სიმღერა დავითისა: ზუბოვკა, რომელ არს რუსულად ამისი ხმა: კაზაკ დუშა პრავდივია; სიმღერა, ამისი ხმა რომელ არს რუსულად: ჩუვსთუიუ სკორბი ლუტი ვსიაკაო მინუტი; რეული, ეს რუსულად: პოლნო, პოლნო, ნე პრელშჩაისა; სიმღერა, რომელ არს რუსულად ამისი ხმა: ულეტელო ზაზულინკო ჩერეს

---

<sup>42</sup> „დავითიანში“ მოთხრობილია ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის სხვა ასპექტიც: რუსეთს გადახვეწილ ვახტანგ მეექვსეს ხელმწიფე ანამ „უბრძანა“: „მე მიჭირავს ზღვის მიდამო გაღმა მხარი, სოლაღსადა დარუბანდსა, ბაქოსა დგას ჩემი ჯარი“ და ეს მიწები უბოძა საგანმგებლოდ. პოეტი მოგვითხრობს, რომ ამის შემდეგ ვახტანგმა და ბაქარმა ააშენებინეს ნავები, რათა ედილის (ვოლგის) გავლით მისულიყვნენ დარუბანდს. მათ თან გაიყოლეს ეტიციც (გზის მიმითითებელი). მაგრამ სამი თვის ხეტიალის შემდეგ მიხვდნენ, რომ გზა აბნეოდათ: „ვირემდის ზღვათა ბაგემდის ჩვენ ჩავიდოდით ნავითა, / გარდატრიალდა საწუთრო მრუდისა საბრუნავითა...“ ვახტანგს მოახსენეს, რომ შამახია (ქალაქი შემახა) აიღო თამაზ-ხანმა (ნადირ-შაჰმა). ვახტანგი, რომელიც ისედაც გაურკვეველ მდგომარეობაში იყო, დილემის წინაშე აღმოჩნდა: ან უნდა გაეგრძელებინა გზა, ან რუსეთს დაბრუნებულიყო. სწორედ ამ დროს წარმოთქვა „თავისი ქვეყნის უბედობაზე მომჩივანმა“ ბაგრატიონმა „დავითიანში“ ზღვის სახესთან დაკავშირებით ყველაზე შთამბეჭდავი სიტყვები: „ახლა რა ვქნა, სად წავიდე? გზა შემექნა დახლართული, / ქარი ქრის და აფრა გაშლით ვარ ხომალდით ზღვას შერთული...“. ზღვის სახე „დავითიანში“ მოსალოდნელი საფრთხის გამოხატულებაა და არასოდეს უკავშირდება ქართულ თვითიდენტიფიკაციას („დავითიანში“ ზღვის მხატვრული სახის შესახებ იხ. კილანავა 2010ბ, 157-162). აქვე გასათვალისწინებელია „ეროვნული ხასიათის ამოკითხვის საექვო სარწმუნოების მქონე თამაში („ზღვა-ზღვარი“)<sup>43</sup> და რომ „ზღვა [...] იმავე ადგილს, თუ უფრო მეტს არა, დაიკავებს ქართველების თვითპრეზენტაციაში, იდენტობაში და თვითწარმოდგენაში, რაც მას 100, 200 ან თუნდაც 800 წლის წინ ჰქონდა (თევზაძე 2010, 14).

დუბინუ; სიმღერა, რომელ არს ამისი ხმა რუსულად: ახ, სკოლკო ცველა ვლეტახ მოლოდინს!; წიგნი ესე მხიარული ზაფხული, რუსულად ამის ხმის სიმღერას ეწოდების „ვესელა ვესნა“ (გურამიშვილი 1955, 134, 139, 142, 144, 146, 148, 154, 155, 179).

ამ ტიპის შენიშვნა-მინაწერებით (ტრანსლიტერირებული ბილინგვური სათაურებით) დეკლარირებულია არა მხოლოდ რუსულ კულტურულ სივრცესთან ადაპტაცია, არამედ მისი შემოქმედებითი ათვისებაც. ეს კი ერთგვარ შემამზადებელ საფეხურს წარმოადგენს გურამიშვილის, როგორც რუსულ სივრცეში მოღვაწე ქართველის ფიგურის გამოსაკვეთად, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ ავტოპორტრეტში გამოვლინდა.

„დავითიანი“ თავიდანვე ჩაფიქრებული იყო მომავალ თაობათა ხსოვნაში ავტორის ადგილის დამკვიდრებისთვის დაწერილ წიგნად („მოსახსენებლად ჩემდა ყრმათ უმზადე ტკბილი მაჭარი [...] მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მალონებსა და ა. შ. (გურამიშვილი 1955, 21, 29, სტრ. 2,3,16)). ავტორმა საკუთარი თავის შესახებ, ვერბალური ინფორმაციის გარდა, შთამომავლობას ვიზუალური ავტოპორტრეტიც<sup>43</sup> დაუტოვა და ის ქართულ-რუსულ სივრცეთა კონტექსტში წარმოადგინა. თავისი უნიკალურობის გამო ნახატმა თანაბრად მიიქცია როგორც მკვლევართა, ისე პოეტთა ყურადღება. მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების შესწავლა ცხადყოფს, რომ ისინი გამოყოფენ ავტოპორტრეტის ორ ფუნქციას: 1. ავტოპორტრეტი პოეტის ფსიქოლოგიურ სახეს აჩვენებს (გაფრინდაშვილი 1919, 493-504) და 2. ავტოპორტრეტი მთელი კრებულის თავისებური ახსნაა (ჩიქოვანი 1963, 50-83; გაჩეჩილაძე 1980, 4).<sup>44</sup> ავტოპორტრეტი დიდი ფორმატის ქაღალდზე, „დავითიანის“ ძირითადი ტექსტების ბოლოსაა წარმოდგენილი და დახატულია ავტორისეული წისქვილისა და სარწყავის პროექტის ნახაზების ცენტრში.<sup>45</sup> ესაა

---

<sup>43</sup> მე-20 საუკუნემდელი ქართული კულტურისთვის უპრეცედენტოა პოეტის მიერ ვიზუალური ავტოპორტრეტის შექმნის ფაქტი, ისევე როგორც - ერთიან კონტექსტში ხატისა და პორტრეტის წარმოდგენა.

<sup>44</sup> იკვეთება რადიკალურად განსხვავებული ტენდენციაც: დავით გურამიშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტი (განსაკუთრებით, მისი კრებულის უკანასკნელი ტექსტების ანალიზის საფუძველზე) მეტ-ნაკლები სისრულით არის შესწავლილი (ნორაკიძე 1980, 18, 49), თუმცა პოეტის ავტოპორტრეტის გაუთვალისწინებლად.

<sup>45</sup> ამ სქემა-ნახატის ფერადი ილუსტრაციები პირველად 2003 წელს გამოქვეყნდა (რომიძე 2003, 96-97).

ლოცვად ხელაპყრობილი ქაჩალი (მეჩხერთმიანი) მამაკაცი, რომლის ბიუსტი თავის ქალას მიაგავს (თვალეზი ჩაცვენილი აქვს, ლოყები - ოდნავ შევარდისფრებული); აცვია მკვეთრი წითელი და მწვანე ფერებით შესრულებული სამოსი და შავი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი. სავარაუდოდ, ესაა ერთადერთი ეროვნული შტრიხი მის ჩაცმულობაში (კოსარიკი 1949, 145). სხვა მხრივ, გურამიშვილის სამოსს ქართული ელფერი არ აქვს. მართალია, ტანისამოსი ჰუსართა პოლკში მიღებულ ფორმას ჰგავს, თუმცა სამხედრო აღჭურვილობის სავალდებულო ატრიბუტები: ქუდი, ჩანთა ან იარაღი აქ არ ფიგურირებს (მას არა აქვს, აგრეთვე, გრძელი უღვაში და ნაწნავი, რომლებიც იმდროინდელ ჰუსართა დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენდა (ყუბანეიშვილი 1955, 77)). აქედან გამომდინარე, გურამიშვილის ნაციონალური იდენტიფიკაცია, ავტოპორტრეტის მიხედვით, ცალსახად შეუძლებელია. მის ქართველობაზე პირდაპირ მხოლოდ ლოცვის ენა მიუთითებს: გურამიშვილს ვიზუალური ავტოპორტრეტის გვერდით, მარცხნივ, ქართულად აქვს დაწერილი ორსტროფიანი ლექსი, რომლითაც ის მიმართავს უფალსა და ღვთისმშობელს (მათი ხატის ასლი წარმოდგენილია მთელი კომპოზიციის ზედა, ცენტრალურ ნაწილში):

ღმერთო, მაჩვენე ყანები, / ამ სარწყავთ მონაყვანები; / ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა, / ფქვილს, ამ წისქვილზედ დაფქულსა. / ყოვლადწმინდაო, დამადევ / წყლულზედ წამალი სამთელი. / შემამლებინე, აღვანთო / მე შენს წინაშე სანთელი.

იმ კომპოზიციაში, რომელშიც ავტოპორტრეტია ჩართული, დავით გურამიშვილს წარმოდგენილი აქვს ვრცელი კომენტარებიც ქართულ და რუსულ ენებზე.<sup>46</sup> ის წერს წისქვილისა და სარწყავის შესახებ და ხსნის ვიზუალური ნარატივის შინაარსს: გურამიშვილი ითხოვს, მისი პროექტით გამართულ წისქვილში ეკიდოს ხატი და იყოს ყულაბა, რომელშიც მის მოსახსენებლად შემოწირულობას გაიღებენ (დავითიანი 1955, 284).<sup>47</sup> ლექსისა და ნახატის ქვემოთ წარმოდგენილ კომენტარს ხელს აწერს *კნიაზ დავიდ გურამოვი*, რომელმაც მირიან ერეკლეს ძეს (1767-1834) მიართვა „დავითიანი“.<sup>48</sup>

---

<sup>46</sup> იხ. ნახატი 2.

<sup>47</sup> იხ. ნახატი 1.

<sup>48</sup> ეს უნიკალური ხელნაწერი პეტრე უმიკაშვილმა შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (აღწერილობა 1963, 309).

დაბოლოს, პრეკოლონიური ვითარების ამსახველ ამ წიგნში რუსულ-ქართული ურთიერთობები სამ დონეზეა წარმოდგენილი: პოლიტიკური სიტუაციის, საკუთრივ ლიტერატურული მოტივებისა და ავტოპორტრეტის მიხედვით. პირველი მათგანი *ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის* დაპირისპირების ფონზე იკითხება, აქ წარმოდგენილია რუს ხელმწიფეთა და რუსული ჯარის ქება და ნაჩვენებია რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობების საწყისი ხანა (ამ კონტექსტში რუსეთი აღქმულია როგორც მფარველი ძალა); მეორე დონე რუსულ კულტურულ სივრცესთან მჭიდრო კავშირს, ლიტერატურული მოტივებისა და ფორმების შემოქმედებითს ათვისებას გულისხმობს და ქართულის გვერდით, ტრანსლიტერირებული რუსული სათაურებით იკვეთება. რაც შეეხება დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტს, ნახატი, რომელიც ორ ენობრივ კონტექსტშია წარმოდგენილი, პოეტის პიროვნების ნაციონალურ იდენტიფიკაციასაც კომბინირებულად ახდენს: ავტორს რუსული სამოსი აცვია, უზენაესს კი ქართულად მიმართავს (მისი ცნობიერების ენა მშობლიურია).<sup>49</sup> სხვაგვარად რომ ითქვას: ფორმა რუსულია, შინაარსი - ქართული. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ამ ეტაპზე რუსულ-ქართული სივრცეები ჰარმონიულად თავსდება ერთ კონტექსტში, მათ შორის არავითარი დაპირისპირება არ იკითხება.<sup>50</sup>

---

<sup>49</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურამიშვილის ფიგურა ქართველი პოეტისა და რუსი სამხედრო მოღვაწის პირველ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს.

<sup>50</sup> საბჭოთა ეპოქაში დავით გურამიშვილის შემოქმედების პოპულარობა განსაზღვრა ამ კრებულში სწორედ ქართულ-რუსულ-უკრაინულ კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობათა პოეტურმა რეპრეზენტაციამ. ამის საფუძველზე, „დავით გურამიშვილი იქცა ქართველი, უკრაინელი და რუსი ხალხების ურღვევი ძმობის ცოცხალ ნიმუშად“ (გურამიშვილი 1955, 18).

## 1.2. ავტო- და ჰეტეროხატები ბაგრატიონთა ვიზუალურ ნარატივებში<sup>51</sup>

ეს ზევით მოვლინებული ღრუბელზედ მჯდომარე

რუსეთის იმპერატორი არისო [...]

ასე განმიმარტა ცარევიჩმა იოანემ მაგ კარტინის ამბავი

/ბერი ტარასი/

ლიტერატურული ნარატივების გვერდით, მე-18-მე-19 ს.ს.-ის პრეკოლონიური/კოლონიური პერიოდების ქართული სინამდვილე ვიზუალურ ნარატივებშიც აისახა. საქართველოს სამეფო ხელისუფლების ორი წარმომადგენლის – კონსტანტინესა (მაჰმად-ყული ხანმა, გარდ. 1729) და იოანე ბატონიშვილის (1768-1830) – მიერ შექმნილი ალეგორიული ხასიათის ნახატების შესახებ ცნობები დაცულია „დავითიანსა“ და 1832 წლის შეთქმულების დაკითხვის ერთ-ერთ აქტში.

დავით გურამიშვილი „ქართლის ჭირში“ აღწერს კახეთის მმართველ კონსტანტინესა და ქართლის მმართველ ვახტანგ მეექვსის მიმოწერას: გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ 1723 წელს ირანისგან ქართლი და კახეთი მიიღო საჩუქრად. ეს იყო პირდაპირი ანგარიშსწორება ვახტანგის მიმართ, რომელმაც პეტრე პირველთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაამყარა. ამის შემდეგ კონსტანტინემ წერილობით მიმართა ვახტანგს, რათა თავიდან აეცილებინათ შიდა დაპირისპირება და გაერთიანებულიყვნენ. ეს შეტყობინება შედგებოდა ორი მონაკვეთისგან: ვიზუალური და ვერბალური ნაწილებისგან:

მოსთხოვა გურგენს მდივანსა ქალაღი, საწერ-კალამი; / დახატა ცეცხლი გალავნად, შუვა ერთ გორად წალამი, / ზედ ორის ქვეყნის იგავი, მაზე თავდახრით ალამი, / ერთზედ ეწერა „ფეშქაშ-დურ“ და მეორეზე „სალ[ა]მი“.<sup>52</sup> / მისწერა ვახტანგს: „შენ მამა, ჩვენ ვიყვნეთ შენი შვილები; / თუმცა მიბოძა ყვენმა, მე ქართლსა არ გეცილები. / გარს მტერთგან ცეცხლი გვედების, შუვა ჩვენ ვსდნებით ცვილები, / შჯობს, რომ ჩვენ ერთნი შევიქნათ, აგებ გვეღირსოს ძილები (გურამიშვილი 1955, 239-240).

<sup>51</sup> ამ ქვეთავში წარმოდგენილი მასალა, მცირეოდენი ცვლილებით, დაიბეჭდა ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალ „კადმოსში“ (კილანავა 2010).

<sup>52</sup> აღწერითი ტექსტი (ეფვრასისი) იძლევა იმის საშუალებას, რომ მეტ-ნაკლები სისრულით აღდგენილ იქნეს კონსტანტინეს ნახატი (იხ. ნახატი 3).

წიგნი მიაერთვეს ვახტანგს, რომელიც ქართლ-კახეთის გაერთიანების იდეამ დიდად გაახარა და ვეზირთა კრებას წარუდგინა ნახატი. შურით აღვსილი ვეზირები განგებ ამახინჯებდნენ განმარტებადართული ალეგორიული შეტყობინების შინაარსს და მეფეს არწმუნებდნენ: ცეცხლშემოვლებული წალმები (ვაზის ნასხლავები) მტერთაგან ალყაშემორტყმულ ქართლ-კახეთს კი არ აღნიშნავს, არამედ – მხოლოდ კახეთს, რომელსაც ქართლი დამონებას უპირებსო. ამ ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ, ვახტანგმა სწორად ახსნა „ქვეყნის იგავი“: „მეფე ბრძანებდა: მაგაში არა არა არის რა ფლიდობა, / ფეშქაშ-დურ ქართლის მოძღვნა არს: სალამ-ალამი მშვიდობა; / გარს გალავანი ცეცხლისა გარეშე მტერთა დიდობა; / წალამნი ჩვენ ვართ ორნივე, გვხამს ერთმანეთის მინდობა“ (გურამიშვილი 1955, 61, სტრ. 246).

ნახატზე, ვიზუალური კოდების გვერდით, ვერბმალურ კოდეზად წარმოდგენილი იყო უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულები: „ფეშქაშ-დურ“ და „სალამი“, რომლებიც გამოყენებული იყო *საჩუქრისა* და *მშვიდობის* ეკვივალენტებად; აგრეთვე – ქართულენოვანი ტექსტი (განმარტება). მას ერთვოდა წერილი, როგორც ნახატის ერთადერთი სწორი განმარტება.

ამის შემდეგ, გურამიშვილის მიხედვით, კონსტანტინემ ვახტანგს მოციქულების პირით შეუთვალა, არ შეწინააღმდეგებოდა ირანის შაჰს, თორემ დაკარგავდა ძლაუფლებას და რუსეთში მოუწევდა გახიზვნა: „ნუ ეშუღლებიბ ყენსა, თორემ მოგიშლის ჯიდებსა; / რუსეთისაკე გაგზავნის, იმოკლებ გრძელთა ბიდებსა.“<sup>53</sup> (გურამიშვილი 1955, 67, სტრ. 288).

თავის ალეგორიულ ნახატში (რომელსაც პირობითად „ქვეყნის იგავი“ შეიძლება ეწოდოს) კონსტანტინემ ასახა ორი დაპირისპირებული მხარე: ქართლ-კახეთი და სპარსეთ-ოსმალეთი (რომელნიც მან პირდაპირ *მტრად* სახელდო),<sup>54</sup> ზეპირ შენათვალში კი ახსენა *რუსეთიც*, როგორც *აღმოსავლეთის* ალტერნატივა.

<sup>53</sup> გურამიშვილი ერთმანეთს უპირისპირებს *ბიღს* (ულვაშს), როგორც ისლამის სიმბოლურ გამოხატულებას, და *ჯვარს* – უმთავრეს ქრისტიანულ სიმბოლოს. ჯიღა (თავსაბურავში ჩასარჭობი ძვირფასი თვლებით მორთული ფრთა) აქ გვირგვინოსნობის, სამეფო ხელისუფლების სიმბოლოა.

<sup>54</sup> ცნობილია, რომ კონსტანტინე დროისა და ვითარების მიხედვით იცვლიდა პოზიციას. იგი, ირანის შაჰის ერთგული, ბოლოს ოსმალებს მიეკედლა და 1729 წელს ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე – თურქებმა სიკვდილით დასაჯეს (დონდუა 1985, 8).



აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პრეკოლონიურ ხანაში ურთიერთდაპირისპირებულ სივრცეებად აღიქმებოდა არაქრისტიანული დამპყრობელი აღმოსავლეთი და ქრისტიანული ქართლ-კახეთის სამეფოები. ამ ფონზე იკვეთებოდა სხვა, მესამე სივრცე – რუსეთი,<sup>55</sup> რომელმაც შემდეგ არა მხოლოდ მოშალა ეს დაპირისპირება, არამედ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ფაქტობრივად, ჩაენაცვლა ბინარულ ოპოზიციაში წარმოდგენილ პირველ წევრს.

1783 წელს საქართველო-რუსეთს შორის რატიფიცირებული ხელშეკრულებით (გეორგიევსკის ტრაქტატით), ფაქტობრივად, მოიხსნა *აღმოსავლეთის* პრობლემა, მაგრამ 1801 წლის მანიფესტით გაჩნდა ახალი ბინარული ოპოზიცია: ანექსორი რუსეთის იმპერია და ანექსირებული საქართველო. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ფიზიკურ განადგურებას გადარჩენილი ქვეყანა ეროვნული იდენტობის წაშლის რეალური საფრთხის წინაშე დადგა.

თავიანთი კანონიერი უფლებების აღსადგენად საქართველოს სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელთა რადიკალურად განსხვავებული გზებით<sup>56</sup> ბრძოლის ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა: ბაგრატიონთა დინასტიამ საბოლოოდ დაკარგა საქართველოს სამეფო ტახტი.

ამის შემდეგ საქართველოში დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანგრძლივ და მძიმე ისტორიაში აჯანყებებისა და იდეოლოგიური წინააღმდეგობის ეტაპებს შორის გარდამავალ საფეხურს ქმნის 1832 წლის შეთქმულება. მისი ინიციატორები ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. შეთქმულებაში სასულიერო პირებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.<sup>57</sup>

---

<sup>55</sup> აღსანიშნავია, რომ რუსეთი ამ პერიოდში აქტიურად ცდილობდა, გადაქცეულიყო დასავლური ყადის სახელმწიფოდ; მისთვის ევროპული სივრცე განიხილებოდა არა როგორც გეოგრაფიული ზონა, არამედ როგორც კულტურული ორიენტირი და ეტალონი (Лотман 2002, 86).

<sup>56</sup> ბრძოლის გზებს წარმოადგენდა აჯანყებები, სპარსეთის ხელისუფლებასთან კავშირი და რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის პროექტის შემუშავება.

<sup>57</sup> ცნობილია, რომ საიდუმლო წესდება „აქტი გონიური“, რომელიც ყველა შეთქმულს ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, შეადგინა ბერმა ფილადელფოს კიკნამემ (1793-1833).

დაპატიმრებულ შეთქმულთა დაკითხვის ოქმებში დაცულია მღვდელ-მონაზონ ტარასის (1793-1874)<sup>58</sup> რამდენიმე ჩვენება, რომელთაგან ერთში, 1833 წლის 6 აპრილის დაკითხვის დოკუმენტში, ბერი ტარასი წერს იოანე ბატონიშვილის (1768-1830)<sup>59</sup> მიერ შესრულებული ალეგორიული ნახატის შესახებ:

უპატივცემულესი კომისის მკითხავს კარტინისა, და დათვის ზღაპრის ამბავს, რომლისთვისაცა მაქვს პატივი უპატივცემლოდ მოვახსენო პასუხი ორი პუნქტის ამის.

რას ნიშნავს ეს გახატული ქაღალდი და ანუ მას შინა გველი შუა კაცი (ზმეი პოსრედნიკი), ვისგან არს გაკეთებულ და ვისთვის და სიღამ ჩაგივარდათ, ან რამდენი ხანის არის თქვენთან.

[...]

ქ. ეს გახატული სურათი, რომელიც ჩემს ქაღალდებში გიპოვნიათ, ნიშნავს საქართველოს მაგალითს, ლომი ნიშნავს სპარსეთს, დათვი ოსმალეთს, მგელი ლეკებს და მელა მთის ხალხს, და ცხვრები საქართველოს, რომელიც მომცა იოანე ცარევიჩმა სხვათა კარტინებთა შორის, და მისგანვე არის გაკეთებული და ხელითა მისითავე დახატული: 1817 წელსა როდესაც მე პეტერბურგში მივედი, მაშინ მომცა, რადგან მე მხატვრობას ვსწავლობდი და ის მაძლევდა ხოლმე სამხატვრო მაგალითებს თხოვბით, და იმ მაგალითებსა თუ ორიღინალებთა შორის, ეს კარტინაც იპოვნა და მითხრა, აი უცხო მაგალითი გავაკეთე საქართველოსი და ხელმწიფეს<sup>60</sup> მივართვი ამის პირობით ამასაც შენ გაჩუქებო, ეგეცა და სხვებიც ბევრი კარტინები მომცა, მას აქეთ მეთერთმეტე წელიწადია, და ამის უწინ, ვგონებ შვიდის და რვა წლის უწინ ჰქონდა გაკეთებული ეგ კარტინა და თვითონვე განმიმარტა, თუ რას ნიშნავს მხეცი, ისრე როგორც ზემოთ დავწერე: გველებისა სწორედ არ მახსოვს, და ვგონებ ასე მითხრა გველები პასლანიკებსა ნიშნავს საშუალო მატარებლებსა სპარსეთსა ოსმალთა და ლეკთა შორისო, რომელნიცა ორისავე მხრისგან სარგებლობდნო, რომელთაგანაც შევიწროებული იყო საქართველო და ეს ზეცით მოვლინებული ღრუბელზედ მჯდომარე რუსეთის

---

<sup>58</sup> 1832 წლის შეთქმულების აქტიურმა მონაწილეებმა, ბერებმა – ფილადელფოს კიკნაძემ და ტარასი ალექსი-მესხიშვილმა – პოკროვის ყაზარმაში ყოფნისას ციხის ადმინისტრაციისაგან ხმამაღლა ლოცვის უფლება ითხოვეს. ნებართვის მიღების შემდეგ ისინი ციხეში მსხდომ თანაშეთქმულებს საქმის ვითარებას საეკლესიო გალობის კილოთი ხმამაღლა ატყობინებდნენ (დადანიძე 2010, 99).

<sup>59</sup> ფრანგ განმანათლებელთა ერთ-ერთ პირველ ქართველ მიმდევარს, ცნობილ ენციკლოპედისტს, ლექსიკოგრაფსა და მწერალს – მეფე გიორგი მეთორმეტის ვაჟ იოანეს – თავად მამა და სხვადასხვა ქვეყნის ელჩები ბატონიშვილთა შორის ყველაზე განათლებულ და კეთილგონიერ პიროვნებად თვლიდნენ (ქიქოძე 1963, 61).

<sup>60</sup> იგულისხმება ალექსანდრე პირველი, რომლის მიმართაც იოანე ბატონიშვილი კეთილგანწყობილი იყო.

იმპერატორი არისო, რომელიც მოუვლინსა ღმერთმან საქართველოსა შემწედ და საფარველად, რომელმანცა მეხის ცემითა და ელვითა, ესე იგი რისხვითა და ძლიერებითა თვისითა განაზნინა და შეამრწუნა ზემოხსენებულნი მტერნი საქართველოსანი და ჰფარავს საფარველითა თვისითაო, ასე განმიმარტა ცარევიჩმა იოანემ მაგ კარტინის ამბავი და ნამდვილ მისი გაკეთებულები არის და მისსივე ხელით დახატული [...]

წელსა 1833 აპრილის 6. მღუდელ მონაზონი ტარასი (გოზალიშვილი 1970, 528-529).

როგორც ჩვენებიდან ჩანს, იოანე ბატონიშვილის ნახატს ალეგორიული ხასიათი ჰქონდა (უფლისწულს თვითონვე აღუნიშნავს – ესააო „უცხო მაგალითი“<sup>61</sup> საქართველოსი“) და მასზე გამოსახული ცხოველთა ფიგურებიც თავად „ცარევიჩ“ იოანეს შემდეგი შესაბამისობებით განუმარტავს: ლომი – სპარსეთი, დათვი – ოსმალეთი, მგელი – ლეკები, მელა – მთის ხალხი, ცხვრები – საქართველო, ქვეწარმავლები – შუაკაცები.

იოანე ბატონიშვილის ნახატში (იხ. ნახატი 4), რომელსაც ქვემოთ, ცენტრალურ ადგილას, რუსული ასოებით აწერია „გრუზია“ („საქართველო“), განსაკუთრებით თვალშისაცემია *ზეცით მოვლინებული ღრუბელზედ მჯდომარე* რუსეთის იმპერატორის სახე - ერთადერთი არაალეგორიული ფიგურა ორ განზომილებაში (ზეციურ და მიწიურ დონეებზე) წარმოდგენილი ალეგორიული ნახატისა. იგი სიმბოლური მნიშვნელობითაა დატვირთული – ისაა „მხსნელი“, რომელიც *მოუვლინა ღმერთმან საქართველოსა შემწედ და მფარველად.*<sup>62</sup>

მიუხედავად იმისა, რომ არსებითად განსხვავებულია როგორც თავად ნახატების, ისე მათ შესახებ დაცული ტექსტების შექმნის პოლიტიკური კონტექსტები, ბაგრატიონთა ვიზუალური ნარატივების კულტურული კოდები ჰომოგენურია. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ ორივე ვიზუალური ნარატივი ეროვნულ პრობლემას ეხება. აქედან გამომდინარეობს მათი ალეგორიული ხასიათიც. ორივე ნახატს ჰყავს კონკრეტული ადრესატი პირველ შემთხვევაში, ქართლის მმართველი, მეორე შემთხვევაში – რუსეთის ხელმწიფე), ორივეგან თანდართული მიკროტექსტები უცხო ენების ლექსიკური ერთეულებია.

<sup>61</sup> მოცემულ შემთხვევაში, *მაგალითი* ეკვივალენტურია „დავითიანის“ *იგავისა* და მიანიშნებს ნახატის ალეგორიულ ხასიათზე, მის კოდურობაზე.

<sup>62</sup> ნიშანდობლივია, რომ იმპერატორის გვერდით გამოსახული ორთავიანი არწივისგან გამომავალი ელვა და მეხი, ნადირთა გარდა, თავად დაუცველ ცხვრებსაც მიემართება.

ჰომოგენურია ორივე ვიზუალური ნარატივის ფუნდამენტური კოდები: ერთგან ის ვაზის ნასხლავების სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე შემთხვევაში – ცხვრებისა (შესაბამისად, მტრები გამოხატულია ცეცხლისა და ნადირთა სახით). ნათელია, რომ პრობლემა დანახულია რელიგიურ კონტექსტში (ვაზისა და ცხვრის ქრისტიანული სიმბოლიკით).

ამ ფონზე კიდევ უფრო მეტად იკვეთება მთავარი სხვაობა: კონსტანტინეს მიერ წარმოდგენილი საქართველოს მდგომარეობა იოანე ბატონიშვილის მიერ დახატული „კარტინისგან“ არსებითად ერთადერთი ნიშნით განსხვავდება: თუ მე-18 საუკუნის დასაწყისში აქცენტირებულია ქართველთა ერთიანობის იდეა (ამას ნიშნავს ერთმანეთზე გადაჭდობილი წალმები), მე-19 საუკუნის დამდეგს ყურადღება გადატანილია „გარეშე“, „ზეციდან მოვლენილ“ („მხსნელ“) ძალაზე.

ასეთ ძალაად, იოანე ბატონიშვილის ნახატის მიხედვით, მიჩნეულია რუსეთის იმპერატორი, რომელმაც „ღვთაებრივი განგებულებით“ უნდა გადაჭრას *აღმოსავლეთ-დასავლეთ-ჩრდილოეთ-სამხრეთის* (ოთხივე მხრიდან წამოსული საფრთხის) პრობლემა. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია საუბარი მესიანისტურ იდეაზე, რომელიც აშაკარად იკითხება მეორე ნახატში.<sup>63</sup>

ამ თვალსაზრისით, პირველი (კონსტანტინესეული) ნახატი ჯოჯოხეთური მომავლის მომასწავებელია (გარშემორტყმული ცეცხლი გენის ეკვივალენტია), ხოლო მეორე – მესიანისტური იდეის გამომხატველი (ცხვრების დაცვა და გადარჩენა მათი მტრების განადგურების გზით).<sup>64</sup>

ზემოთ განხილული ვერბალური და ვიზუალური ნარატივები ცხადს ხდის პრეკოლონიურ და კოლონიურ პერიოდებში საქართველოს სამეფო ოჯახის წევრთა

---

<sup>63</sup> მესიანისტური იდეა, როგორც ცარისტული რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის კონცეპტი, ივანე მესამის პერიოდიდან (მე-15 ს.) რუსული იმპერიის უმთავრეს იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა (ბენდიანიშვილი 2008, 486).

<sup>64</sup> იოანე ბაგრატიონის ნახატში ავტორის ამბივალენტური დამოკიდებულების ამოკითხვაცაა შესაძლებელი: იმ ფონზე, რომ რუსეთის იმპერატორი განასახიერებს მხსნელს, ორთავიანი არწივის პირიდან გამომავალი ელვა, ნადირებთან ერთად, ცხვრების წინააღმდეგაცაა მიმართული. დაუცველი ცხვრის მხატვრული სახე, როგორც საქართველოს მარკერი, მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ნარატივშიც დასტურდება.

განწყობას, მათ მოლოდინსა და თანამედროვე ვითარების შეფასებას, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პოცესებთან დაკავშირებით მათს ხედვასა და პოზიციას.

ეს ნახატები ცხადყოფენ, რომ მათი ავტორები ადეკვატურად აფასებდნენ შექმნილ მძიმე სიტუაციას,<sup>65</sup> რომლის შესახებაც ღიად საუბარი მათ არ შეეძლოთ. სწორედ ამიტომ მიმართავდნენ სამეფო ოჯახის წევრები ალეგორიზების გზას.

### 1.3. „მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა“: ბატონიშვილ ქალთა ლექსების პოლიტიკური ქვეტექსტი

რუსი დაგვიდგა ხელმწიფედ,  
ერეკლე გარდაგვეცვალა  
/ხალხური/

მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიას მიმართულება მისცა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამ. ამ ძალდატანებითმა შეერთებამ მნიშვნელობა დაუკარგა რუსეთისა და საქართველოს სარწმუნოებრივ ერთობას, რომელიც მე-18 საუკუნეში ამ სახელმწიფოთა დაკავშირების, ფაქტობრივად, უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა. ერთმორწმუნე ქვეყნის ანექსიამ მხოლოდ პოლიტიკური სიტუაცია კი არ შეცვალა, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სააზროვნო მოდელების შემუშავება და მოღვაწეობის სფეროთა პრიორიტეტები.

---

<sup>65</sup> ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, „საქართველოსა და ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრეს გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად მე-18 საუკუნე უნდა ჩაითვალოს“ (ჯავახიშვილი 1989, 67).

იმის გამო, რომ მე-19 საუკუნის წლებში დამპყრობი რუსეთის მიმართ პროტესტს რადიკალური ხასიათი ჰქონდა და აჯანყება/შეთქმულების ხასიათს ატარებდა, ლიტერატურული პროცესები, ფაქტობრივად, შეწყვეტილი იყო; საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე მნიშვნელოვანი ფიგურა არ გამოკვეთილა, არ შექმნილა ესთეტიკური თვალსაზრისით ღირებული მხატვრული ნაწარმოებები. ლიტერატურული საქმიანობა მხოლოდ მომხდარი ტრაგედიით (საქართველოს ანექსიით) მიღებული ტრავმის აღწერის საშუალებად იქცა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ბატონიშვილ ქალთა ლექსებში.

ისტორიული ფუნქციისა და სოციალურ-პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვის შემდეგ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრების გარკვეული ნაწილისთვის ლიტერატურული საქმიანობა (ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა, თარგმნა) პოლიტიკური სარბიელზე მოღვაწეობის თავისებურ ალტერნატივად იქცა. აქ პრივილეგიებდაკარგულ უფლისწულებს არსებული ვითარების შესაფასებლად ყველაზე ბუნებრივი საშუალება მიეცათ.

სამი ბატონიშვილი ქალის: მარიამის, ქეთევანისა და თეკლას ჩვენამდე მოღწეულ ლექთა უმეტესი ნაწილი აღმოსავლური ფორმითაა დაწერილი.<sup>66</sup> თითქმის ყველა ტექსტი თურქულ-სპარსულ *ხმაზეა* დაწერილი, მხატვრული სახეებითა და თემატიკით კი იქმნება ერთგვარი საბაზისო ლექსიკური ფონდი, რომელსაც შემდეგ ქართულმა რომანტიზმმა თავისი ნაციონალური დისკურსი დააყრდნო.<sup>67</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილთა ლექსები საკუთრივ ესთეტიკური ღირებულების მატარებელი არაა და ისინი არც მე-19 საუკუნის კულტურულ ტექსტთა სიაშია შეყვანილი, მათ ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს: ამ ლექსებში საბოლოოდ გამოიკვეთა რუსეთის

---

<sup>66</sup> ბატონიშვილ ქალთა შემოქმედების მკვლევარმა, ლევან ასათიანმა, მათი მოღვაწეობა ამგვარად შეაფასა: „ის, რაც ვერ მოახერხეს მრავალრიცხოვანმა მეფისწულებმა: ალექსანდრემ, იულონმა, თეიმურაზმა, დავითმა და სხვებმა, ერეკლეს ქალებმა განიზრახეს თავისი ლექსებით. ეს ლექსები ბატონიშვილებისათვის ჩამორთმეული ხმლების მოვალეობას ასრულებდენ ერთხანს.“ (ასათიანი 1936, 24).

<sup>67</sup> ფორმის *აღმოსავლურობამ* - ქართულ ლიტერატურაში სპარსოფილური ტენდენციის ინერციულმა გაგრძელებამ - ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც იჩინა თავი.

ის მხატვრული სახე, რომელიც მთელი შემდგომი ლიტერატურისთვის კულტურულ პარადიგმად იქცა. *ჩრდილოეთი* - ესაა რუსეთის მარკერი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მზის ნათელს მოკლებული სივრცის აღმნიშვნელია და აქედან გამომდინარეობს მისი უარყოფითი სემანტიკაც.

ერეკლე მეორის ასულები - მარიამი, ქეთევანი და თეკლა - მძიმე მატერიალურ გაჭირვებას და პოლიტიკურ დევნას განიცდიდნენ (ასათიანი 1936, 200-205). მათ შესახებ დაცული ცნობების მიხედვით, ბატონიშვილები ანტირუსული პოლიტიკური განწყობის მატარებელნი იყვნენ და იბრძოდნენ რუსეთის კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ როგორც მხატვრული ტექსტების საშუალებით, ისე აჯანყებებსა თუ შეთქმულებაში მონაწილეობით. მათი მცირერიცხოვანი პოეტური მემკვიდრეობის თემატიკაც რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობის ყველაზე მძიმე პერიოდს ეხება, თუმცა, ვერ სცდება პირადი (სამეფო ოჯახის) ტრაგედიის კონტექსტს და საერთოეროვნულ მასშტაბს ვერ იძენს. ამის ახსნა შესაძლებელია, ერთი მხრივ, იმით, რომ მათთვის ლექსების წერა მხოლოდ პერსონალური განცდების გამოხატვის საშუალება იყო (ისინი არ იყვნენ პოეტები) და, მეორე მხრივ, იმით, რომ ტრაგედია, რომელიც მათ უშუალოდ დაატყდა თავს, ჯერ კიდევ ცოცხალი განცდის (და არა განსჯის) საგანი იყო.<sup>68</sup> შესაბამისად, მათ ლექსებს გოდების ინტონაცია აქვს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხატოვნად და ნათლადაა წარმოდგენილი რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო ხელისუფლების დამხობა, მომხდარი ტრაგედია, კონკრეტული დამნაშავეის სახელდების ნაცვლად, წუთისოფლის მუხთლობის მოტივითაა ახსნილი.<sup>69</sup>

---

<sup>68</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი ნარაცია ესაა არა, უბრალოდ, ფაქტის ფიქსაცია, არამედ ინტერპრეტაციის მცდელობა (Routledge Encyclopedia of Narrative Theory, 2321-235).

<sup>69</sup> ასეა, მაგალითად, მარიამ ბატონიშვილის ლექსებში: „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი მუხამბაზი“ და „მოვსთქვამ სულთქმითა საბრალოდ“: „ოი, დამწარდეს დროთა ტკბილობა, / უწყალომ ეტლმან რა ქმნა ცილობა, / აღფხვრა წალკოტსა ვარდთა შლილობა“; დაბრუნდა ეტლი უკუღმა, / წარხდა დღე კეთილ-მზიანი“ (ასათიანი 1936, 215, 221). ქეთევან და თეკლე ბატონიშვილებიც ერიდებიან ქართლ-კახეთის ანექსიაში რუსეთის იმპერიის პირდაპირ დადანაშაულებას.

ბატონიშვილ ქალთა ლექსებში საქართველოსა და რუსეთის მარკერები აგებულია ბინარული ოპოზიციის პრინციპზე და წარმოდგენილია ნათლისა და ბნელის მხატვრული სახეებით:

მზის მსგავსნი სხივნი ღრუბელთ დაჰფარნეს [...] ჩრდილოს კერძომან საბავთოს ქარმან, / მძვინვარედ მქოლმან და დაუწყნარმან, / ჩემნი მთიებნი ჰყო გარისგარმან (მარიამ ბატონიშვილი, „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი“...); უწყალო ეტლმან რა ქმნა ცილობა [...] / ბნელჰყო ქართლოსის ძვირფას მტილობა [...] / მზის მსგავსნი სხივნი ღრუბლით დაჰფარნეს; ვაჰ, დაჰხდეს მზენი მაღალ გვარნია [...] / რადგან მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰვარესა (მარიამ ბატონიშვილი, „აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია“); დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან / მნათობთ არენი ბნელითა [...] დახდა მზე იგი აზიით, / აწ ჩრდილოთ მოეფინება, / მიგვიხვნეს მსწრაფლად მთიებნი [...] / რა ითნო დიდმა მთიებმა / მაღალ-გვარ მტილთა შლილობა, / დაბინდდა ხმელთა არენი, / არღარა აქვსთ ვარდთ შლილობა. / განკრთეს მნათობნი ყოველნი, / აწ ღრუბელთ იწყეს ჩრდილობა, (მარიამ ბატონიშვილი, „მოვსთქვამ სულთქმითა საბრალოდ“); ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი, / აზიის მთიებთ დამბნელებელი (ქეთევან ბატონიშვილი, „გაფი დუგაში სათქმელი“) (ასათიანი 1936, 215-216, 220, 222, 238).

ბატონიშვილთა ლექსებში საქართველოსა და რუსეთის იმპერიის წარმოდგენა ნათლისა და ბნელის ბინარული ოპოზიციით სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს მასშტაბური და მარადიული დაპირისპირების ხასიათს აძლევს და წუთისოფლის კანონზომიერების - ბოროტის მიერ კეთილის ძლევის - კონტექსტში აქცევს.

მნათობის დაბნელების - საქართველოს სამეფო ხელისუფლების დამხობის - ფაქტის კონსტატაციის გარდა, ქეთევან ბატონიშვილის ლექსში აღწერილია რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის კონკრეტული გამოვლინებანიც (ბაგრატიონთა გადასახლება, ტყვეობა). კოლონიური ვითარების ასახვის გამო ქეთევან ბატონიშვილის ლექსი ქართული ნაციონალური დისკურსისთვის საყურადღებო ინფორმაციის მატარებელია. გარდა ამისა, ეს ნაწარმოები, მხატვრულ სახეთა (ფრაზეოლოგიური პარალელების) მიხედვით, შეიძლება ითქვას, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის - „ვისაც გსურთ“ - ერთგვარი წინასახედაც ჩაითვალოს:<sup>70</sup>

<sup>70</sup> ბატონიშვილთა შემოქმედებისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის კავშირის დამადასტურებელია, აგრეთვე, ლექსი „ო, ვით გვემტყუნა“, რომელშიც რომანტიკოსი პოეტი წერს: „ვჭმუნავთ ბედმწირნი, / გვხვევიან ჭირნი, / ფოთოლთ უხშირნი. / დავიდნენ მთენნი, / შარავანდთ მფენნი / აწ იგი მზენნი“ (ჭავჭავაძე 1986, 59). უკანასკნელ სტრიქონებში ბაგრატიონთა დიდების დამხობა უნდა იგულისხმებოდეს.



ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი, / ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი: / ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი / აზიის მთიებთ დამბნელებელი, / ბედნიერ პალატთ დამამხოველი, / მშვენიერ წალკოტთ არ მფურჩქნებელი. / ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი / ზოგნი დაფარნა თვისით ნისლითა, / ზოგნი დილეგთა, არვინ უშლითა. / მეცა მეწია ბედით ჩემითა / მიმცა პატიმრად წვიმისა ცრემლთა [...] / ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი / გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცველობენ, / სხვა და სხვა ჰაზრით გველებერ ჭრელობენ, / არ მცემენ ნუგეშს, მჰსწრაფად მწყალობენ, / მათნი მახვილნი გულსა მჭრელობენ, / კვლავ სხვანი მოვლენ, სადგურთ მცველობენ, / მჭმუნვარის გულის დამწყლულებელნი / ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი / არ დამაჯერა აქ პატიმრობას, / ესდენ უწყალოდ განაწირობას, / უთმინოს სევდით გულის შეპყრობას, / მსწრაფლად მპირდება ჩრდილოთ მგზავრობას, / უცხოს, მწირს ადგილს გრძლად სადგურობას, / მყისვე სიკვდილის ვარ მახლობელი. / ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი (ასათიანი 1936, 238-239).

მარიამ და ქეთევან ბატონიშვილთა ლექსების პესიმისტური ინტონაციის საწინააღმდეგოდ, თეკლა ბაგრატიონის<sup>71</sup> „პასუხი ქეთევან ბატონიშვილს“<sup>72</sup> ოპტიმისტურ ხასიათს ატარებს და, ერთი შეხედვით, ანტირუსული პათოსისგანაც თავისუფალია:

რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი, / მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი? [...] / იგლოვ მაღალს ტახტს, ვაი წახდომილს! / დიდებულს პალატს, მსწრაფლად დამხობილს, [...] / ნუ სწუხ, დაშრტება ცეცხლთა დებანი. / რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი, / მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი? / ჰე, გულო, რად გაქვს ესდენ წყინება, / მარად სისხლისა ცრემლთა დინება, / გუშაგთ სიმრავლით თვალთა შინება, / მათგან უწყალოდ ჭირთა ჰსმინება, / რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება, / კრძალვით ითმინე სახმილთ გზნებანი. / რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი, / მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი? (ასათიანი 1936, 255-256).

<sup>71</sup> სამეფო ოჯახის უმცროსი და მეფე ერეკლესთვის აუსაყვარლესი თეკლა ბატონიშვილი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში; საქართველოს სამეფოს გაუქმების ისტორიას თავის შთამომავლებს ის საოჯახო ნარატივის სახით გადასცემდა. თეკლა ბატონიშვილის ვაჟი, რომანტიკოსი ვახტანგ ორბელიანი, თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში აღნიშნავს: „სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება, / რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება; / რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მიამბობდა, / ის ჟამი იყო საქართველოს სული ხდებოდა“ (ორბელიანი 1881, 12).

<sup>72</sup> თეკლა ბატონიშვილის დანარჩენი ორი ლექსის თემა სამეფო ოჯახის ტრაგედიაა და ბედნიერების წართმევა წუთისოფლის მუხანათობითაა ახსნილი (ასათიანი 1936, 257-259).

ოპტიმისტური განწყობის გარდა, თეკლა ბატონიშვილის ლექსი დანარჩენ ნაწარმოებთაგან იმითაც განსხვავდება, რომ აქ არ დასტურდება ბინარული ოპოზიცია - ჩრდილოეთის ბნელი და მზე. სამაგიეროდ, შექმნილია ჰიბრიდული მხატვრული სახე „ჩრდილოთ მზე“ როგორც რუსეთის ხელისუფლების მარკერი. ანტინომიის პრინციპზე აგებულ ამ ლექსიკურ ერთეულში საქართველო-რუსეთის დაპირისპირება გადაფარულია რუსეთის იმპერიის უზენაესობის აღიარებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ თეკლა ბატონიშვილი თავის დებზე მეტად აქტიურობდა იმპერიალისტური რეჟიმის წინააღმდეგ (1832 წლის შეთქმულების საინიციატივო ჯგუფის წევრობის გამო ის კალუგაში გადაასახლეს).<sup>73</sup>

მართალია, ერეკლე მეორის ასულთა ლექსებში ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია პიროვნულ/ოჯახური ტრაგედიის კონტექსტში დარჩა და ვერ გადაიქცა საერთოეროვნული მასშტაბის ტრაგედიად, მაგრამ სწორედ აქ ჩამოყალიბდა პოსტმედიევალური ქართული ნაციონალური დისკურსისთვის არსებითად მნიშვნელოვანი მხატვრული მოდელი: ავტო- და ჰეტეროხატების დაპირისპირება (ჩრდილოეთის ღრუბლისა და მზე/მთიების, ბნელისა და ნათლის ბინარული ოპოზიციის სახით). ამგვარი პარადიგმა ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი დავით გურამიშვილის „დავითიანში“, რომელშიც, პრეკოლონიური ვითარების ასახვიდან გამომდინარე, ქართული და რუსული სივრცეები ერთმანეთის საპირისპირო მხარეებად არ წარმოიდგინებოდა.

ბატონიშვილთა ქალთა მხატვრულ ნარატივში, ისევე როგორც დავით გურამიშვილთან, ყურადღების ცენტრში მოექცა პიროვნული და ეროვნული

---

<sup>73</sup> გადასახლებაში მყოფი თეკლე ბატონიშვილი დამპყრობელი ერის მმართველს პატივით მოიხსენებდა: „კარგი მოწყალე ხელმწიფე გვყავს და არ შეიძლება მოწყალეობით არ მოგვხედოს... კარგი ხელმწიფე გვყავს, შენმა მზემ!“ (ასათიანი 1936, 250-251). კოლონიზატორი ერის მმართველის მიმართ ეს მამებლური ტონი გაუსაძლის პირობებში ყოფნისა და მორჩილება-მონანიების სანაცვლოდ სტაბილური და გარანტირებული სოციალური მდგომარეობის დაპირების პოლიტიკის შედეგი უნდა ყოფილიყო: თეკლა ბატონიშვილმა იცოდა, რომ მისი ნაწერები კონტროლდებოდა და ცდილობდა, დიპლომატიურად ემოქმედა - უნდოდა ეჩვენებინა, რომ „გამოსწორდა“ და საშიში ფიგურა აღარ იყო (რუსეთში ბაგრატიონთა გადასახლების შესახებ იხ. გონიკიშვილი 2002).

ბიოგრაფიების უმნიშვნელოვანესი მომენტები: ქვეყნის ისტორიაში გარდამტეხი პერიოდების გავლენა კონკრეტული პიროვნებების (თავად ავტორთა) ცხოვრებაზე: „დავითიანის“ ავტორმა ორ სააზროვნო და სამოღვაწეო სივრცეში მყოფ პიროვნებად დახატა საკუთარ თავი (მისთვის რუსული სივრცე ქართულის ჰომოგენურია), ბატონიშვილებისთვის კი რუსული და ქართული სივრცეები ჰეტეროგენულია; შესაბამისად, მათთვის არაბუნებრივია *ჩრდილოეთის ღრუბლის* ქვეშ ცხოვრება (პატიმრობა). თუ „დავითიანში“ რუსეთი სამხედრო ძლიერების მქონე საიმედო, მოკავშირე ქრისტიანულ ქვეყანას წარმოადგენდა (თუმცა მის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო, ის სახელდებულია *ვეშაპადაც*, ისევე როგორც აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნები), წიგნში საქართველოსა და რუსეთის მხატვრული სახეები ერთმანეთს ჰარმონიულად შეერწყა; ბატონიშვილთა ლექსებში კი ნათლისა და ბნელის, მზისა და ჩრდილ(ოეთ)ის ტრადიციული დაპირისპირების სახით წარმოდგა. ამ ბინარულმა ოპოზიციამ მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართულ ნაციონალურ დისკურსში საფუძველი ჩაუყარა იმ კულტურულ პარადიგმას, რომელიც მომდევნო დროის ქართულმა მწერლობამ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების სამსახურში ჩააყენა. მიუხედავად ამისა, დასახელებულ ტექსტებში ავტორთა თანადროული ისტორიული ვითარების ასახვა ლიტერატურული რეპრეზენტაციის დონეზე დარჩა, მან ვერ მიიღო რეფლექსიის სახე.

## თავი მეორე. ისტორიული სინამდვილის ლიტერატურული რეპრეზენტაციიდან მის რეფლექსიამდე

### 2.1. კოლონიური მდგომარეობის ასახვა და ავტო-/ჰეტეროხატები რომანტიკოსთა შემოქმედებაში

თუ ქართველი რომანტიკოსების პატრიოტული გრძნობა მტკიცე და ორგანულია, იგივე არ ითქმის მათ ნაციონალურ პროგრამასა და მათ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე:

აქ მათ - ყველას მერყეობა და გაორება ეტყობა.

/გერონტი ქიქოძე/

მიუხედავად იმისა, რომ პოსტმედიევალური რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობის ლიტერატურული ინსცენირებისას სინქრონულად გამოიკვეთა მთავარი ეტაპები: ჩრდილოეთის ქვეყნის მოკავშირეობა-მტრობის პერიოდები და ჩამოყალიბდა ნაციონალური დისკურსის საბაზისო მარკერები, მხატვრულ ტექსტებში პრეკოლონიურ-კოლონიური მდგომარეობის ლიტერატურული რეფლექსია მაინც ქართველ კლასიკოს რომანტიკოსთა თაობამ დაიწყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში არა მხოლოდ აისახა, არამედ გაანალიზდა კიდევ წინარე და არსებული ისტორიული რეალობა. ამ ავტორთა წერილობით მემკვიდრეობაში ქართულმა ნაციონალურმა დისკურსმა მკვეთრად გამოხატული სახე მიიღო. მან იმემკვიდრევა ბატონიშვილთა პოეზიის მთავარი მახასიათებელი, გოდების ინტონაცია და ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ანექსიამდელი წარსულის განდიდების ტენდენცია. ეს უკანასკნელი მეტი სიმკვეთრით მიჯნავდა ერთმანეთისაგან კოლონიობამდელ და კოლონიურ სინამდვილეს: წარსული მოიხმობოდა თანამედროვეობის კონტრ-პრეზენტირებისთვის. მთავარი ნიშნები, რომელთა მიხედვითაც, წარსული თანამედროვეობას უპირისპირდებოდა, იყო *თავისუფლება, მონარქი, გმირი*. კოლონიალიზმის პირობებში ამ სამი ფენომენის

არარსებობა განაპირობებდა იმის აუცილებლობას, რომ ერის ცნობიერება მიმართულიყო იდენტობის მაფორმირებელი წარსულისადმი. შესაბამისად, ფასეულობათა სისტემის ცენტრში მოექცა *ხსოვნის* კონცეპტი.<sup>74</sup> ხსოვნა დაუკავშირდა როგორც ახლო წარსულის უმთავრეს მოვლენას (საქართველოს ანექსიას), ისე შორეულ/საგმირო წარსულს, როგორც ერის გადარჩენის ერთადერთ გარანტიას. ისტორიულ წარსულსვე მიმართეს რომანტიკოსებმა იდეალური გმირის სახის შესაქმნელად. ამასთან, მკვეთრად განსაზღვრეს საკუთარი/ერის სტატუსი ახალ წესრიგში.

სამივე პოეტის შემოქმედებაში, დავით გურამიშვილისა და ბატონიშვილ ქალთა მსგავსად, ქვეყნისა და პერსონალური ბიოგრაფიები ერთიან კონტექსტში იქნა განხილული და არსებული სინამდვილის ტრაგიკული განცდის ფონზე წარმოდგენილი; მაგრამ ბატონიშვილთაგან განსხვავებით, რომანტიკოსების შემოქმედებაში ისტორიული რეალობა არა მხოლოდ აღიწერა,<sup>75</sup> არამედ გარკვეულწილად შეფასდა კიდევ. შეფასება/რეფლექსია ორი მთავარი ნიშნით გამოიკვეთა: მოვლენათა სახელდებებითა და პრობლემის დასმით.

**რეფლექსიურობის ნიშნები.** პირადი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით, ქართველმა რომანტიკოსებმა თვითიდენტიფიკაციისათვის გამოიყენეს ორი ძირითადი მარკერი: *ტყვე* და *ობოლი*. ამ აღმნიშვნელებმა, ერთი მხრივ, კონკრეტული პიროვნებების ბედი ასახა და მეორე მხრივ, ჩამოყალიბდა წმინდა ლიტერატურულ მარკერებად, რომელთა მეშვეობითაც მთელი ერის მდგომარეობა გამოიხატა. ამის შედეგად, დასახელებულ ავტორთა შემოქმედების

---

<sup>74</sup> ხსოვნის აქტუალიზების ფორმად გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში წარმოდგენილია *სადღეგრძელო*.

<sup>75</sup> აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში, ბატონიშვილთა მსგავსად, ანექსიის ფაქტი წუთისოფლის მუხანათობითაა ახსნილი და პირდაპირ არსად ფიგურირებს რუსეთის იმპერიის სახელი: „წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი! / გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი“; ო, ვით გვემტყუვნა / სოფლისა ბრუნვა!.. [...] / დავიდნენ მთენნი / შარავანდთ მფენნი / აწ იგი მზენი. / ჰვარვიან ღრუბელს, / ავდრის საგუბელს, / წყვდიადსა და ბნელს“ (ჭავჭავაძე 1986, 36, 59). რუსეთის იმპერიის მხატვრული სახე ალეგორიულად იკითხება ლექსებში „ვაჰ, დრონი, დრონი“ და „ისმინეთ, მსმენნო“.

ნაციონალური დისკურსის საბაზისო ლექსიკურმა ფონდმა საზოგადო მნიშვნელობა შეიძინა, პიროვნული კონტექსტის გაფართოებამ საერთოეროვნული მასშტაბის მოვლენის ასახვამდე კი ამ დისკურსს შეფასებითი ხასიათი მიანიჭა. თვითგანსაზღვრიდან *მე-პატიმარი ჩვენ: ერი/სამშობლო-პატიმარზე* გადასვლა უკვე მოვლენის რეფლექსიაზე მიუთითებდა.

*ტყვე/ტყვეობის* კონცეპტი, როგორც საზოგადო (და არა მხოლოდ კერძო) მოვლენის აღმნიშვნელი, მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაამკვიდრა ლექსებით: „ვაჰ, დრონი, დრონი“, „მსურდა ოხვრა“, „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“, „ნაზი ბენ ნაზის ხმაზე“, „ვისაც გსურთ“.<sup>76</sup> ამ უკანასკნელ ნაწარმოებში ტყვედ იქნა სახელდებული პოეტის სატრფოც - სამშობლო: „მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული, / მისთვის გლახ განწირული“ [ჭავჭავაძე 1986: 29]. პყრობილობა ქართველი ერის/საქართველოს საერთო მდგომარეობად წარმოდგენილია გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაშიც („მისი სახელი კიცხვითა“, 1832; „ჰე, ივერიაჲ“, 1832). ანალოგიური სემანტიკის მატარებელია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში *ოქროს გალიის მხატვრული სახე* („ბედი ქართლისა“, 1839).

ნაციონალური თვითგანსაზღვრის თვალსაზრისით, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში მრავალმხრივ საყურადღებოა ლექსი „ჰე, ივერიაჲ“. ამ ტექსტში ავტორი ქვეყნის მდგომარეობას პირდაპირ *მონობას* უწოდებს; თავის თანამედროვეობას უპირისპირებს ისტორიულ წარსულს, როგორც მის ანტიპოდურ მოდელს და ეროვნული უბედურების მიზეზად მის დავიწყებას ასახელებს; ახასიათებს რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას (მოყვრულ მტრობას) და, საბოლოოდ, აყალიბებს ავტო- და ჰეტეროხატების მკვეთრად პოლარიზებულ ბინარულ ოპოზიციას. ლიტერატურაში სტერეოტიპთა ფორმირების გზით კი პოეტი მიზნად ისახავს ერის ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებას, მოძალადის მიმართ პროტესტის აუცილებლობის ჩვენებას (ეს არის შეთქმულების პერიოდის პათოსი):<sup>77</sup>

<sup>76</sup> ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები ავტორის სიცოცხლეში არასოდეს დაბეჭდილა და ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა.

<sup>77</sup> ამავე პათოსით თარგმნა გრიგოლ ორბელიანმა რილევის „ნალივაიკოს აღსარება“. „აღსარების“ ორბელიანისეულ ვარიანტში სამშობლო *ტყვედაა* სახელდებული, ხოლო *მტერი* ამავე ზოგადი მნიშვნელობის სიტყვითა და *ლეკ-ოსმალ-სპარსითაა* მარკირებული (ეს უკანასკნელი კი 30-იანი

ჰე, ივერიაჲ! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი, / ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი, / რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი, / ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი. / წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს, / თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს! / შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას, / მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას... / ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას. / ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას! / ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის (ორბელიანი 1959, 29).<sup>78</sup>

ამ ლექსის ავტორისეულ ხელნაწერში ჩართულია ერთი სტროფი, რომელიც არ დაბეჭდილა:

სადღა ვჰპოოთ სიწმინდე ჩვენთა ზნეთა, / აწ იქების მოქმედი სიბილწეთა, / ეს ნაყოფი მოსულთ მტერ-მოყვარეთა. / ვინ აღმოჩნდეს მომცემი წარსულთ დღეთა! (ორბელიანი 1959: 29).

უკანასკნელ სტრიქონებში *მტერ-მოყვრის* ამბივალენტური სახე *რუსეთის* ორიგინალურ ალეგორიულ მარკერს წარმოადგენს, ხოლო ეროვნული თავისუფლების იდეალად წარსულის დასახვა თავისებური პროტესტია იმ მომავლისადმიც, რომელიც უკვე განსაზღვრულია რუსეთთან პოლიტიკური კავშირით (აქვე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ნაციონალური დისკურსი გრიგოლ

---

წლების ქართული სინამდვილისთვის ანაქრონიზმია). ლექსში პირდაპირ არსადაა რუსეთი ნახსენები, მაგრამ მფარველობის გარეშე ქვეყნის მიმტოვებელ ძალაში სწორედ მისი სახე იკითხება; დამონებული მამულის გასათავისუფლებლად აღმდგარი ლირიკული გმირის სულისკვეთებაც, ლექსის შექმნის დროისა და მიზნის გათვალისწინებით, მიმართულია არა ისტორიული მტრების (ლეკების, ოსმალებისა და სპარსების), არამედ თანამედროვე მტრის წინააღმდეგ. ასეთი მტერი 1831 წლისთვის, მაშინ როცა ორბელიანმა რილეევის ლექსი გადმოაქართულა, მხოლოდ რუსეთი იყო.

<sup>78</sup> ავტოხატი - უმწყემსოდ დარჩენილი ცხვრის ფარა - გვხვდება იოანე ბატონიშვილის ალეგორიულ ნახატ „საქართველოშიც“ (სურათზე გამოსახულია დაბნეული და ნადირებით გარშემორტყმული ცხვრები (ქართველები), რომელთა მფარველ ძალად ზეციდან მოვლენილია რუსეთის იმპერატორი (კილანავა 2010, 48-55)); 1832 წლის შეთქმულებისთვის დაწერილი პოლიტიკური ხასიათის არაკ - „დათვი და ცხვარში“ სოლომონ რაზმაძემ *ცხვრის* მხატვრულ სახეში იგულისხმა. ეს მარკერი გვხვდება, აგრეთვე, რაფიელ ერისთავის ლექს „დათვი და ცხვრებში“ (1871), რომლის ალეგორიული ქვეტექსტიც სრულიად ნათელია: უპატრონოდ დარჩენილ ცხვრებს მფარველად მოველინა დათვი, რომელმაც, მართალია, მგლებისა და მელიებისგან იხსნა ფარა, მაგრამ, საბოლოოდ, თვითონვე დაუწყო ცხვრებს ხოცვა (ერისთავი 1935, 59-60).

ორბელიანის პოეტურ შემოქმედებაში სწორედ წარსულთან მიმართების რაგვარობის გამოკვეთას ეფუძნება).

მფარველობადაყვედრებული, დამონებული, უმწყემსო ცხვრისა და შორიდან მოსული მზაკვარი, მტაცებელი მტრის ანტიპოდური სახეების შეპირისპირებით ქართულ საზოგადოებას ადეკვატურად უნდა გაეცნობიერებინა არსებული სინამდვილე და თავისი მდგომარეობა. ამის შემდეგ ნაციონალური დისკურსის ფორმირებაში ახალი ეტაპი დაიწყო: გამოიკვეთა კოლონიურ ვითარებაში მყოფი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა - ეროვნული გმირის არარსებობა (ეს საკითხი პირველად გრიგოლ ორბელიანმა დასვა):

**ვინ აღჩნდეს გმირი, / რომ მის ძლიერი / ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს? / რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით / უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?** (ორბელიანი 1959, 16).<sup>79</sup>

თვითგანსაზღვრისა და მტრის სახელდების გვერდით, გმირის პრობლემაზე საუბარი რომანტიკოსთა შემოქმედების რეფლექსიურობის მეორე გამოკვეთილი ნიშანია. დასმულ კითხვაზე პასუხისთვის მათ მიმართეს არა თანამედროვეობას (რომელიც მათთვის ყოველგვარ დადებით სემანტიკას მოკლებული იყო) ან მომავალს (როგორც ეს გააკეთეს რეალისტებმა), არამედ საქართველოს ისტორიულ წარსულს და ნაციონალური ავტოპორტრეტის შენარჩუნება დაუკავშირეს ეროვნულ გმირთა სახეებს (გრიგოლ ორბელიანი - „სადღეგრძელო“, ნიკოლოზ ბარათაშვილი -

---

<sup>79</sup> ვეშაპის მხატვრული სახე, როგორც მტრის კონცეპტის აღმნიშვნელი, ჯერ კიდევ დავით გურამიშვილის „დავითიანშია“ მოცემული; ვეშაპთან მებრძოლი ეროვნული გმირის სახე კი გრიგოლ ორბელიანისგან იმემკვიდრევა მე-19 საუკუნის ქართულმა რეალიზმმა. გმირისა და ვეშაპის უნივერსალური ანტინომიის გარდა, ლექსში „იარალის“ ქართულ-რუსული დაპირისპირება საკუთრივ ამ სივრცეთა მახასიათებლებითაც იკვეთება: *ღვინის წილ კვასი, მზისა წილ - ყინვა!* (ორბელიანი 1959, 17). „მიუხედავად „იარალის“ სკეპტიკური პათოსისა (გმირის ნატვრა-ძიების შემართება ფინალში დაძლეულია ამაოების, ფუჭი ძალისხმევის, თვითირონიის განწყობილებებით), ლექსი სწორედ პოლიტიკურად „აღმგზნები“ და „მკითხველის აზრზე ზეგავლენის მომხდენი“ აღმოჩნდა და ფართოდ გავრცელდა. ამ ლექსმა განაახლა კავშირი ერსა და ხელმწიფის ხატებას შორის შორეული სილუეტებით „ჩრდილოს წყვილიადში“ დანთქმული ბატონიშვილებისა, იარალი შანშიაშვილისა (1804 წლის მთიულეთის აჯანყების მეთაურის, ფარნაოზ ბატონიშვილის ერთგული ყმა), და, ცხადია, ერეკლე მეფისა“ (წიქარიშვილი 2012, 7).



„ბედი ქართლისა“). ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელ ღირებულებათა ცენტრში წარსულის პერსონიფიცირებული სახე - ღვთივცხებული მონარქი - დადგა.

ამასთან, თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში დიდებული წარსული ახლანდელი მგალითად და თანამედროვეთა ცნობიერებაში მომავლის იმედად არ დასახულა, *წარსული* გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელ მთავარ ორიენტირად გამოცხადდა. ამ პოეტმა უპიროვნო წარსულის გაიდებების ნაცვლად, პირველად ქართულ ლიტერატურაში ჩამოაყალიბა ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელ პირთა, შეიძლება ითქვას, კანონიზებული ჩამონათვალი:<sup>80</sup> ფარნავაზი, მირიანი, ვახტანგი, დავითი, თამარი, ქეთევანი... ერეკლე და სხვა გმირები, ორბელიანის *პროექტის* მიხედვით, ქმნიდნენ ქართველთა ნაციონალურ ავტოპორტრეტს („სადღეგრძელო“, 1827-1870).<sup>81</sup> ეს იყო პირველი შემთხვევა ქართულ ლიტერატურაში, როცა სისტემურად დასახელდა ეროვნული იდენტობის მაფორმირებელი კონკრეტული ისტორიული პირები.<sup>82</sup>

---

<sup>80</sup> „გრიგოლ ორბელიანმა ლიტერატურულ ტექსტში თანმიმდევრულად, გაცნობიერებულად მოუყარა თავი არა მხოლოდ პიროვნულ იდეებს და საზოგადო მორალურ ღირებულებებს, არამედ ეროვნული წარმოსახვის გამამთლიანებელ ინფორმაციას და პერსონალიებს. ამით მან აღწერა ქართული იდენტობის ჩამოყალიბების ისტორია, ქართველ ისტორიულ გმირთა პანთეონი, რომელიც ამ სახით აღიბეჭდა კიდევ ქართველთა კოლექტიურ ცნობიერებაში და თანამედროვე ქართულ კულტურაში“ (წიფურია 2010, 194).

<sup>81</sup> მათი ღვაწლის შეფასებას გრიგოლ ორბელიანმა წარუმძღვარა სიტყვები: „მმანო, პატივით მივმართოთ თვალნი / წარსულთა ძველთა საუკუნეთა, / მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი / გმირთა, მამულის განმადიდეთა!..“ თითოეული გმირის დახასიათება კი ავტორმა დაასრულა სტროფით: „გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება! / თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა! / თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება, / მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება“ (ორბელიანი 1959, 90).

<sup>82</sup> უნდა აღინიშნოს, რომ, ეროვნულ გმირთა სახეების გარდა, გრიგოლ ორბელიანმა ანტიგმირის მხატვრული სახეც შექმნა ლექსში „მისი სახელი კიცხვითა“, რომელიც ქვეყნის კოლონიურ მდგომარეობას ასახავს: „მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს, / ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს, / და ვინცა მისსა ტყვეობას გულისგრილითა ჰხედავდეს / [...] ვაი მას მხარეს, [...] / სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!“ (ორბელიანი 1959, 28). ცხადია, „სჯულზედ მჯდომი ხანჯალი“ ალეგორიულად ერთმორწმუნე და ძალაუფლებამიღებული რუსეთის ხელისუფლების აღმნიშვნელია.

ნაწარმოებში საკუთრივ მამულის/საქართველოს სადღეგრძელოს წარმოდგენით კი ავტორმა თავისი თანამედროვე ქართველების ცნობიერება მიმართა ახლანდებლობისკენ (რომლისთვისაც სიტყვა „საქართველო“ უკვე მოკლებული იყო პოლიტიკურ ლეგიტიმურობას) და უმაღლეს მიზნად სამშობლოსთვის თავგანწირვა დასახა:<sup>83</sup>

ჰე, მამულო, სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული / არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი? / ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი, / არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი! [...] / სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? / ერი გულადი, პურადი, მეგრძოლი შავის ბედისა?! / შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა, / იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!.. [...] / სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, / თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერარას არგებს მამულსა! (ორბელიანი 1959, 99-100).

ამ გზით კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას ერთგვარი თვითრეაბილიტაცია უნდა მოეხდინა: თანამედროვეობისთვის უნდა შეეპირისპირებინა საკუთარი გმირული წარსული, რათა მომავლისთვის იდეალი დაესახა. ეს მომავალი, „სადღეგრძელოს“ მიხედვით, რუსეთს უკავშირდება: ორბელიანმა თავის ტექსტში, ქართველ მამულიშვილთა გვერდით, რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელოც წარმოადგინა.<sup>84</sup> ამით ერთგვარად დაიშვა ქართულ-რუსულ სივრცეთა უმტკივნეულო თანაარსებობის შესაძლებლობა. ქართველი პოეტი რუს იმპერატორს საქართველოს *ისტორიის ოქროს ხანის* დაბრუნებას სთხოვდა: „თამარის დღენი, დიდების დღენი, / შენ მოუვლინე შენსა ივერსა!“ (ორბელიანი 1959,

---

<sup>83</sup> სამშობლოსადმი თავგანწირვაა ხაზგასმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსშიც „ომი საქართველოს თავად-აზნაურ გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა 1844-ს ... (1844), რომელიც არაერთი ნიშნით უახლოვდება „სადღეგრძელოს“, მაგრამ ბარათაშვილის ტექსტში მამულის კონცეპტი ერეკლე მეორის ფიგურითაა პერსონიფიცირებული, თუმცა, ცენზურისგან თავდასაცავად სტრიქონი - „მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა“ - ავტორმა შეცვალა სიტყვებით: „იმპერატორსა ემსხვერპლეთ“ (ორბელიანი 1959, 017).

<sup>84</sup> აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების ეს მონაკვეთი პოეტის სიცოცხლეში არასოდეს დაბეჭდილა, რაც მის პოზიციაზე მეტყველებს, თუმცა ორბელიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ კრებულში პოემაში იმპერატორის სადღეგრძელო შეტანილია (ორბელიანი 1884, 65).

99).<sup>85</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ეს თხოვნა გულისხმობდა კოლონიური ქვეყნის მომავლის დაკავშირებას მისსავე ისტორიულ წარსულთან და არა უცხო ძალის მიერ შექმნილ თვისებრივად ახალ რეალობასთან.

ისტორიული სინამდვილისა და თანამედროვეობის პრინციპულ სხვადასხვაობას ალექსანდრე ჭავჭავაძეც უსვამდა ხაზს. ლექსში „ჰე, საქართველო“ ავტორი ქვეყნის ისტორიის გახსენებას იწყებს პტოლემეოსის დროიდან,<sup>86</sup> ხოლო ქართველ მეფეთაგან ასახელებს დავითს, თამარსა და ერეკლეს. ტექსტის მეორე ნაწილი ქართულ-რუსული პოლიტიკური კავშირის შეფასებას წარმოადგენს და ალეგორიულად ასახავს კოლონიურ ვითარებას:

როსსნი მოიხმო საშველად მან იმედადალეულმა. / მათ ნაცვლად ძმობის, ერთობის, დაგვტოვა დანასხეულად. / მახვილდებულად მოვიდა, მზაკვრულად მიგვცა გვემასა, / ყელსა შეგვაბა სარაზი მიმოძგინარედ მთვლემარსა (ჭავჭავაძე 1986, 147)<sup>87</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი რომანტიკოსები საქართველოსა და რუსეთის იძულებით პოლიტიკურ კავშირს კეთილშობილურ მისიას უსახავდნენ: მათი აზრით, კოლონიურ ექსპანსიას განმანათლებლობის ხასიათი უნდა მიეღო - რუსეთი უნდა ქცეულიყო ევროპულ სააზროვნო სივრცესთან დამაკავშირებელ გზად. ეს თვალსაზრისი გატარებულია რომანტიკოსთა როგორც მხატვრულ, ისე დოკუმენტურ ტექსტებში. რუსეთის სტატუსის ხელახალი განსაზღვრა საქართველოს მომავლისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა: დამარცხებული და დასჯილი აჯანყება/შეთქმულების შემდეგ ქვეყანა ცდილობდა, კოლონიზატორთან ურთიერთობა სამხედროდან კულტურულ კონტექსტში გადაეყვანა. ამ მცდელობის შედეგად შეიქმნა რუსეთის ორგვარი მხატვრული სახე: რეალური და

---

<sup>85</sup> *თამარის დიდებულ დღეთა* შესახებ ორბელიანი წერს ლექსშიც „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ლექსის მიხედვით, თამარისდროინდელი საქართველოს ანტიპოდური სახეა პოეტის თანამედროვე საქართველო, რომელიც „ბედ-დაკარგულია“ („და მე ვეღარ მცნობ [...] ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს“), ქართველი კი - *გულშემუსვრილი, დამცირებული და ხმამიღებული*, მეომრული სულის არმქონე.

<sup>86</sup> სწორედ პტოლემეოსის დროიდან იწყებს ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის „მოკლე ისტორიულ ნარკვევსაც“ (ჭავჭავაძე 1986, 205).

<sup>87</sup> ლექსი საბრძოლო შემართებით სრულდება და, სავარაუდოდ, დაწერილი უნდა იყოს 1832 წლის შეთქმულების მზადების პერიოდში.

სასურველი/შესაძლებელი. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ტექსტებში „კავკასია“, „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე); „სადღეგრძელო“, „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (გრიგოლ ორბელიანი) და „საფლავი მეფის ირაკლისა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ლექში “კავკასია“ (1824-1826) გეოგრაფიული და მითოლოგიური პლასტების მონაცვლეობით ძველი და ახალი წესრიგის წინააღმდეგობა, საბოლოოდ, ქართულ-რუსული ურთიერთობის ხასიათს კვეთს:

შექრნენ ჩრდილოს ვაშტნი (ჯარისკაცნი - ც.კ) წიაღსა გრანიტთასა / არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მთათასა [...] / განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება, / რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება (ჭავჭავაძე 1986, 140-141).

*ჩრდილოს* მიმართ ამგვარი მოლოდინი იკითხება ალექსანდრე ჭავჭავაძის „მოკლე ისტორიულ ნარკვევშიც“, რომელიც ავტორმა იმპერატორ ნიკოლოზს 1837 წელს წარუდგინა. დასახელებულ ტექსტში დამატებით ხაზგასმულია რუსეთისათვის საქართველოს, როგორც ახალშენის, სარგებლიანობა. ეს ერთგვარი დიპლომატიური შესტი იყო 1832 წლის შეთქმულებით შექმნილი შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად და როგორც პირადი, ისე საზოგადო კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. საამისოდ ალექსანდრე ჭავჭავაძე კოლონიზატორს მოუთხრობს საქართველოს ისტორიას და უმტკიცებს, რომ ქვეყანა, რომელიც ახლა *გაუნათლებელია*, უმდიდრესი ისტორიის მქონეა. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რუსეთთან შეერთებაზე და ამართლებს საქართველოს პოლიტიკურ არჩევანს; წერს შეერთების პირველ ხანებზეც, აღნიშნავს საერთო მოლოდინის გაცრუების შესახებაც და ამის მიზეზად რუსეთის ხელისუფალთან პირდაპირი დიალოგის შეუძლებლობას ასახელებს (კონკრეტულ დამნაშავეებად იგი თვლის ცალკეულ ჩინოვნიკებს და არა ხელისუფლებას, რომლის მიმართაც პატივისცემას გამოხატავს). რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, „მიმოხილვაში“ საქართველოსა და რუსეთის სტატუსები იმპერიული პოლიტიკის კონტექსტშია განსაზღვრული:

ეს ქვეყანა, ეგზომ ჩამორჩენილი, შინაური მიმოსვლისთვისაც კი ხეირიან გზებს მოკლებული, რუსეთის მზრუნველი მმართველობის წყალობით და შეჯიბრის ფერხულში ჩაბმული, სულ მალე შესძლებს, რომ რუსეთს ინდოეთისა და ამერიკის ახალშენების მაგივრობა გაუწიოს და თავის კეთილისმყოფელს უხვად მიუზღოს ზრუნვისათვის (ჭავჭავაძე 1986, 227-228).

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურ და დოკუმენტურ დისკურსში რუსეთის პოზიტიური პოლიტიკური პროფილია გამოკვეთილი: ეს, ერთი მხრივ, ავტორის ბიოგრაფიითაც აიხსნება<sup>88</sup> და, მეორე მხრივ, ზოგადი პოლიტიკური ვითარებითაც.<sup>89</sup>

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, მის დოკუმენტურ ტექსტში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (რომელსაც ავტორი დღიურების სახით ქმნიდა 1831 წლიდან 1839 წლამდე) რეფლექსია ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე წარმოდგენილია ივანე აფხაზთან დიალოგის სახით. ამ ვრცელ დიალოგში რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობა შეფასებულია 30-წლიანი კოლონიური მდგომარეობის გამოცდილების გათვალისწინებით და წარმოდგენილია ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები (ტექსტში ეს საუბარი ცალკე თავადაა გამოყოფილი და დასათაურებულია ამგვარად - „უბნობა ჩვენი“):

ახ! ვითარ ძლიერად და მართლიად აღსწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოსა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ჭემმარიტსა ძესა მამულისასა. ვითარ მწუხარებითა უბნობდა ქართველებზე, რომელთაცა აღხოცეს თვის შორის კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არიან მონებასა ქვეშე, დამდაბლებულნი სულითა (ორბელიანი 1959, 172).

ქართველთა კოლონიური მდგომარეობის ზუსტი შეფასების მიუხედავად, ივანე აფხაზის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ რუსები საქართველოს დატოვებდნენ, ქვეყანაში ქაოსი და შიდაარეულობა დაისადგურებდა, გარეშე მტრებიც შემოვიდოდნენ. ამ მსჯელობაში (რომელსაც არსობრივად ეხმიანება ერეკლე მეფის არგუმენტაცია პოემაში „ბედი ქართლისა“), ფაქტობრივად, იკვეთება ის კონცეპტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართველთა წარმოდგენას რუსების, როგორც მფარველების, შესახებ: *წესრიგის დამყარება ქვეყნის შიგნით (შინაარეულობის*

---

<sup>88</sup> რუსოფილი დიპლომატის შვილი და რუსეთის იმპერატორის ნათლული ყმაწვილობაში ანტირუსულ აჯენყებასა და შემდეგ 1832 წლის შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა; თავისი „არასაიმედო წარსულის“ გამო თვითრეაბილიტაციისათვის მას გარკვეულ კომპრომისზე წასვლაც უწევდა. ამის მაგალითებია ზემოთ დასახელებული ტექსტები.

<sup>89</sup> დამარცხებული აჯანყება/შეთქმულების შემდეგ ქართულ საზოგადოებას დიპლომატიური ტაქტიკისთვის უნდა მიემართა და რუსეთთან ურთიერთობა აგრესიულიდან მშვიდობიან დონეზე გადაეყვანა.

თავიდან აცილება) და აღმოსავლეთის ქვეყნებისგან მოსალოდნელი საფრთხის არიდება, სხვაგვარად - საშინაო და საგარეო პოლიტიკაში სიმშვიდის გარანტიად ყოფნა.

გრიგოლ ორბელიანის შეხედულებით, საქართველოში რუსების ყოფნის აუცილებლობა აღარ იყო, რადგან საქართველოს საკუთარი ძალებით შეეძლო საზღვრების დაცვა. ამის პასუხად აფხაზმა თავის ვრცელ მსჯელობაში სამი მთავარი იდეა გამოკვეთა: ერეკლეს გადაწყვეტილების სისწორე, ახალგაზრდა თაობის განათლების აუცილებლობა (რაც, თავის მხრივ, რუსეთის გარეშე წარმოუდგენელი იყო) და ქართველი საზოგადოების გათითოვაცება, მოქალაქეობრივი და საერთო ეროვნული ცნობიერების არქონა.

ივანე აფხაზის ნააზრევში ქართულ-რუსულ ურთიერთობათა წარსულის, თანამედროვეობისა და მომავლის ერთიან კონტექსტში წარმოდგენა ერთ მიზანს ემსახურება - გამოიკვეთოს რუსეთთან კულტურული (საგანმანათლებლო) კონტაქტის აუცილებლობა:

კნიაზ (ი): პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ, და მაშინ დაინახავთ და გამართავთ ნაკლულევანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება [...] ახლა ვინ იკისრებს და ან ვინ გაუგონებს. - აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისათვის. ჰსცხოვრებენ უსაგანოდ, დეეხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა (ორბელიანი 1959, 174).

ივანე აფხაზის ნააზრევში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსჯელობის დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ქართველთა დეფორმირებულ ცნობიერებას „კნიაზი“ მიიჩნევს არა ეროვნულ თვისებად, არამედ ოცდაათწლიანი მონობის შედეგად: „გარნა ნუ გგონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა“ (ორბელიანი 1959, 174).

არსებითად, ორბელიანისა და აფხაზის პოზიციები ერთმანეთს თანხვდება რუსთა შემოსვლის შედეგებთან დაკავშირებით. განსხვავებას ქმნის მხოლოდ მომავლის ხედვა: ახალგაზრდა მთხრობელის აზრით, საქართველოს შეეძლო დამოუკიდებლად წარემართა თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხოლო ხანშიშესული გენერლის აზრით, ქართველებს კოლონიურ რეჟიმთან

დასაპირისპირებლად რუსული განათლება სჭირდებოდათ.<sup>90</sup> ივანე აფხაზის სახით კი ქართული საზოგადოების ერთი (თუმცა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი) ნაწილის პოზიციაა გამოხატული.

რუსეთში განათლებამიღებულ ახალ თაობასთან (თერგდალეულებთან) „მამების“ დამოკიდებულების ამსახველ საპროგრამო ნაწარმოებში გრიგოლ ორბელიანმა თავისი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის პირველად სწორედ ივანე აფხაზი დაასახელა. ლექსში „პასუხი შვილთა“ (1874) მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალური დისკურსისთვის მნიშვნელოვანი სააზროვნო ფორმულები იქნა წარმოდგენილი:

ერის ცხოვრება, / მისი დიდება, / მის ისტორია დაცულ არს ენით; / რა ენა წახდეს, / ერიც დაეცეს... / წაეცხოს ჩირქი ტამარსა წმინდას!.. [...] / ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას! (ორბელიანი 1959, 70-71).<sup>91</sup>

ნიკოლოზ ბარათაშვილი *რუსული განმანათლებლობის* საკითხს ეხება ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842), რომელიც მთლიანად შეფასებით ხასიათს ატარებს და ნაციონალური დისკურსის თვალსაზრისით არსებითად მნიშვნელოვან საკითხს გამოკვეთს: ერეკლე მეფის მოღვაწეობის ისტორიულ მნიშვნელობად ავტორი მისი პოლიტიკური არჩევანის სისწორის დადასტურებას მიიჩნევს. ტექსტში შეფასებულია რუსეთთან დაკავშირების პოლიტიკური შედეგები.<sup>92</sup> ავტორი აღფრთოვანებით საუბრობს ერეკლეს პოლიტიკური გადაწყვეტილების სისწორეზე, რომლის მთავარ

---

<sup>90</sup> გრიგოლ ორბელიანმა, რუსული განათლების მიღებისა და რუსულ სამხედრო სამსახურში წარმატებული კარიერის შემდეგ, სიცოცხლის მიწურულს, ასე შეაფასა თავისი პიროვნული და ქვეყნის მდგომარეობა: „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, / გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...“ (ორბელიანი 1959, 86).

<sup>91</sup> უკანასკნელი სტრიქონი, როგორც ჩანს, კოლონიური ვითარების გამართლებად უნდა წაკითხულიყო.

<sup>92</sup> „[...] პოეტს ასე ცალსახად, აშკარად, ერთმნიშვნელოვნად, თითქმის პუბლიცისტურად სხვაგან არსად განუცხადებია თავისი დამოკიდებულება რუსეთის (და რუსეთის ქართული პოლიტიკის) მიმართ, ან უფრო ზუსტად, ერეკლესეული ორიენტაციის მიმართ; თან ამ ლექსში ის გაორებაა დაძლეული, რომელიც სამი წლით ადრე დაწერილ „ბედი ქართლისაში“ ასე აშკარად იგრძნობა.“ (ლაღანიძე 2012, 318)

მიღწევად მას ახალი თაობისთვის რუსული განათლების მიღების შესაძლებლობა მიაჩნია:

აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი, / და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი. / ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო / მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო; / მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული / უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული / და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად, / მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად! (ბარათაშვილი 1972, 54).

ბარათაშვილის მიხედვით, ძველი და ახალი საქართველოს (ივერიისა და ქართლის) მიჯნა ერეკლეს ეპოქით გაივლო; რუსეთის მფარველობის შედეგად ქართლად ქცეულ ივერიას უკვე აღარ ეშინია *კასპიის ღელვის* (აღმოსავლეთიდან წამოსული საფრთხის), რის გამოც საქართველო მადლიერია ერეკლე მეფის და თაყვანს სცემს მის საფლავს, როგორც ეროვნულ სიმბოლოს.

მთელი ლექსი ნაციონალური წარსულისა და პოეტის თანამედროვეობის მიმართების ხასიათის გამოკვეთას ეძღვნება: ახალი ქართლი, რომლის პერსონიფიცირებული სიმბოლური სახეა რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდობა, ივერიის სიმტკიცის უკანასკნელი სიმბოლოს, ერეკლე მეფის პოლიტიკური გადაწყვეტილების გამართლებაა. მონარქის საფლავი კი, ამ თვალსაზრისით, ერთდროულად ძველი საქართველოს სამარისა და ახალი საქართველოს აკვნის მხატვრულ სახედ მოიაზრება.

ამ გზით ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაასრულა ერეკლე მეფის მხატვრული სახის კანონიზების პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ პოემაში „ბედი ქართლისა“ (1839) დაიწყო.

ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისის ლიტერატურული ინსცენირება ბარათაშვილის შემოქმედების საკვანძო საკითხია. თანადროული პოლიტიკური მოვლენების (1832 წლის შეთქმულების) გავლენით წარსულის ფაქტთა გარდასახვამ (ისტორიული ანაქრონიზმის დაშვება: კრწანისის ომის გამართვის დროის წინ გადატანა; ამ ომით ერეკლე მეფის პოლიტიკური ორიენტაციის ახსნა) ბარათაშვილის პოემას ლიტერატურული ინსცენირების ხასიათი მისცა - ესაა არა წარსულის მოვლენათა მარტივი მხატვრული რეპრეზენტაცია, არამედ თავისებური რეკონსტრუქცია, ავტორის თანამედროვე სინამდვილის, კერძოდ, აქტუალური პოლიტიკური პრობლემების გათვალისწინებით (პოემაში



წარსულის ფაქტები თანამედროვეობის პერსპექტივიდანაა დანახული). ნაწარმოების დასაწყისში კახელებისადმი მიძღვნილი ტექსტის მთავარი ფუნქცია ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში ერეკლეს მეფობის აქტუალიზებაა. საამისოდ ავტორმა თავისი ტექსტი გამოაცხადა „ერთსულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად“. ბარათაშვილის ამგვარი განწყობა და მიზანდასახულობა ერთგვარი რეაქცია იყო 30-იანი წლების რეპრესიულ-დეპრესიული ვითარების მიმართ: შეთქმულების დამარცხების შემდეგ საყოველთაო ნიჰილიზმს მან დაუპირისპირა ეროვნული სიამაყის გრძნობა; ამასთან, მკითხველის ყურადღებას მიმართა წარსულის იმ მოვლენებისკენ, რომლებიც თანამედროვეობის რეფლექსიისთვის კულტურული მეხსიერების ფაქტებად უნდა ქცეულიყო.

ნაწარმოებში რუსეთთან პოლიტიკური კავშირის საფუძვლად აღმოსავლეთის ქვეყანათა (კონკრეტულად - სპარსეთის) აგრესიისგან თავდაცვა გამოცხადდა (ერეკლე მეფის გადაწყვეტილება სწორედ ამ მოტივითაა ახსნილი). ეს განამტკიცა სარწმუნოებრივმა ერთობამ, რომელიც, საწინააღმდეგო თვალსაზრისით (სოლომონ ლიონიძის პოზიცია), ჯერ კიდევ არაა საკმარისი ორი ერის დასაკავშირებლად, მით უფრო მაშინ, როცა ეს კავშირი არსობრივად ერთის თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს.

ტექსტში მეფისა და მსაჯულის დიალოგის ინსცენირება პოეტისეული რემარკების გარეშეა წარმოდგენილი, ავტორისეული რეფლექსია კი ჩნდება წარსულთან თანამედროვეობის შეპირისპირებისას (როცა ქართულ-რუსული პოლიტიკური კავშირი 30-წლიან ისტორიას ითვლის):

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, / კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო! / რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ / სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ? / ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი / მამულს ასული ახლა თქვენგვარი? / **ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ / გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!** / „ჯანი გაჰვარდეს აწ შვილსაც, მამულს, / ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს. / რის ქართველობა, რა ქართველობა, / **მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?**“ (ბარათაშვილი 1972, 80)

ამ რეალობის გათვალისწინებით, ტექსტის უკანასკნელი სტრიქონები - „დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის / **გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის**“ (ვარიანტული წაკითხვით: „დიდი ხანია, გულს ირაკლისა / **გარდუწყვეტია ბედი ქართლისა**“) - გამოხატავს როგორც მეფის გადაწყვეტილების ისტორიულ მნიშვნელობას, ისე ამ

გადაწყვეტილების დრამატულობასაც: სიტყვები „გარდაიწყვიდა“/„გარდუწყვეტია“, ამ კონტექსტში, თავისუფალ არჩევანს კი არ აღნიშნავს, არამედ აუცილებლობით განპირობებულობას.

*ჩრდილოეთის ქართ* გულგაგრილებული, *უცხოტომელობამიღებული* ქართველების მეხსიერებაში წარსულის აქტუალიზების ის გზა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოემაში წარმოადგინა, გულისხმობდა ეროვნული და უცხო ერის სააზროვნო მოდელების, ცხოვრების წესისა და ნაციონალური თვისებების ურთიერთშეპირისპირებას, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა თანამედროვეობის რეფლექსია.

*ჩრდილოეთის მხატვრული სახე, სამშობლოსთან* დაპირისპირების კონტექსტით ბარათაშვილის ჯერ კიდევ ადრეულ ლექსში ჩნდება:

ძიაგ, ყაბახი, სამშობლო შენი, / წაგვართო ავის ენისა გესლმან: / სატრფონი მისნი, შემოგარენი / გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან! / [...] თუმც უცხო-უცხო თემად იარე, / მრავალი კარგი ჰნახე ამბავი. / მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული *ჩრდილოს*? (ბარათაშვილი 1972, 27).<sup>93</sup>

ნაციონალური დისკურსი ბარათაშვილის შემოქმედებაში ალეგორიული გზითაც იკვეთება: ამგვარ მოდელებზე აგებული ლექსი „სუმბული და მწირი“ (1842), რომელშიც სამშობლოდან შორს, უცხო მხარეს, მყოფობისა და *მზრუნველის* თემებია აქცენტირებული. ლექსში ადვილად ამოსაცნობია ალეგორიული პლანი: კაცმა სიკვდილისგან იხსნა ყვავილი, მაგრამ ხშულ, ბნელ და სევდიან, თუმც, ოქრო-ვერცხლით შემკულ სადგურში დაასახლა. სამშობლოდან შორს ყოფნა კი ყვავილს გულს უკლავს. სიკვდილისგან ხსნის სანაცვლოდ სამუდამო პატიმრობა მფარველს მპყრობელად აქცევს და *მზრუნველი კაცის* სახეც ამ ამბივალენტური შინაარსით იტვირთება. მფარველად მოვლენილისა და მპყრობელად გადაქცეული კაცის მხატვრულ სახეში რუსეთის იმპერია უნდა იგულისხმებოდეს.

ამრიგად, რომანტიკოსთა შემოქმედებაში პირველად დაისვა ეროვნული იდენტობისთვის ძალზე მნიშვნელოვანი - *უახლესი წარსულის გადახედვის* -

---

<sup>93</sup> ყაბახი (სპეციალურ მოედანზე მოწყობილი ძველი ცხენოსნური თამაში, მოცემულ შემთხვევაში, მშობლიური სივრცის სემანტიკით არის დატვირთული და „საქართველოს წარსული დიდების ორაზროვანი მეტაფორაა, რომელშიც ბარათაშვილისეული საქართველო მინავლებულ „პოლიტიკურ ასპარეზადაა“ მიჩნეული“ (ელაშვილი 2012, 247).

საკითხი: მათ დაიწყეს ახალ წესრიგში საქართველოსა და რუსეთის სტატუსთა განსაზღვრა; ნაციონალური პრობლემის ფორმულირება, გმირთა პანთეონის შექმნა და დაასრულეს ერეკლე მეფის ფიგურის საკრალიზება (მისი ეპოქით გაავლეს მიჯნა ძველ/თავისუფალ და ახალ/კოლონიურ საქართველოს შორის). ამ გზით მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში რომანტიკოსთა თაობამ ქართულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობას პირველად მისცა შეფასებითი (და არა მხოლოდ აღწერითი) ხასიათი: ინდივიდუალური და ნაციონალური ავტოპორტრეტის მთავარ ნიშნად მათ *პატიმრობა* გამოაცხადეს. კოლონიური ვითარების სიმძიმის გამოსაკვეთად რომანტიკოსებმა მიმართეს ნაციონალური წარსულის კონტრაპრეზენტულობის გზას: მასთან შეპირისპირებით გამოკვეთეს თანამედროვეობის აბსოლუტურად განსხვავებული, ქართველი ერისთვის არაბუნებრივი მდგომარეობა და წარმოადგინეს ქართული ნაციონალური ავტოპორტრეტის შემქმნელ ეროვნულ გმირთა დასი. მათ მიერვე ფორმულირებული კითხვის - „ვინ აღჩნდეს გმირი“ - პასუხს რომანტიკოსები ნაციონალურ წარსულში ეძებდნენ. ახალმა თაობამ, რომელთაც ”თერგდალეულები“ ეწოდა, ეს პრობლემა სხვა განზომილებაში გადაწყვიტა.

## თავი მესამე. ეროვნული თვითიდენტიფიკაცია და კოლონიური ტრავმის დაძლევა

### 3.1. „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი“: ნაციონალური დისკურსი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში

ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია,  
რომელსაც საფუძვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია.  
/ილია ჭავჭავაძე/

თუ ქართული რომანტიზმისთვის ნაციონალური წარსული, ბატონიშვილთა შემოქმედების მსგავსად, გოდების საგნად იქცა, რეალიზმის კლასიკოსმა წარმომადგენლებმა პრინციპული უარი განაცხადეს ამგვარ პოზიციაზე და წარსულის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალეს. ფორმულის სახით ეს ხედვა ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა: „მას ნუღარ ვტირით, რაც დამარხულა, / რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა; / მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... / ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“ (ჭავჭავაძე 1987, 67).<sup>94</sup>

*წარსულ დროებზე დარდი*, როგორც წინა თაობების მთავარი მახასიათებელი, ილიას მიხედვით, *ხსოვნის* სხვაგვარ მოდელს უნდა ჩაენაცვლებინა: წარსულის (საერთო ეთნიკური, ისტორიული, რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის) დაცვა და შენახვა ეროვნული იდენტობის მარკერთა სისტემის სახით ლიტერატურას მხოლოდ არქივარიუსის ფუნქციას ანიჭებდა; ილიას აზრით კი, კოლონიური ვითარების მხატვრულ ფიქსაციას მკვეთრად ანალიტიკური ხასიათი უნდა მიეღო, რათა ქართველს თავისი „დაცემული ვინაობა“ აღედგინა (სხვა სიტყვებით - დაეძლია უსახურობა, დაებრუნებინა საკუთარი სახე, გაეხსენებინა საკუთარი თავი). მხოლოდ

---

<sup>94</sup> ამ ლექსში („ქართველის დედას“, 1858) ქვეტექსტურად აისახა საქართველოს კოლონიური მდგომარეობა: სიტყვებით - „კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა / სრულად მოვიკლა სიცოცხლის ძალა“ - დამონებული ქვეყნის სახეა წარმოდგენილი.

ასე თუ იქნებოდა შესაძლებელი კოლონიურ ვითარებასთან გამკლავება. ამ კონტექსტში *ხსოვნა*, როგორც ნაციონალური მსოფლმხედველობისთვის მნიშვნელოვანი ფენომენი, წარსულ დროსთან ცნობიერ (და არა მხოლოდ გრძნობისმიერ) მიმართებას გულისხმობდა.

სწორედ დასახელებული კონცეპტით გაემიჯნა ილია პრეროდანტიკულ/რომანტიკულ ნაციონალიზმს ლიტერატურაში და ეს თემა თეორიული მსჯელობის საგნადაც აქცია:<sup>95</sup> თავის დაუმთავრებელ ნაშრომში - „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (1892) მან გამოკვეთა მე-19 საუკუნის 30-იანი წლების ქართულ სიტყვიერ კულტურაში არსებული საგულისხმო ტენდენციები, კერძოდ: 1. ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურას არ ჰქონდა საზოგადოებრივი ფუნქცია და, შესაბამისად, ძალზე ვიწრო იყო მისი გავლენის სფერო („შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით მკვლევარი“); 2. ლირიკა იყო ერთადერთი ჟანრი; აქედან გამომდინარე, იქმნებოდა მხოლოდ პირადული ხასიათის ტექსტები; 3. არ ჩანდა საზოგადო მოღვაწე, „დაცარიელდა საზოგადო მომქმედთა სარბიელიცა“; 4. რაც მთავარია, გაწყდა კავშირი წარსულსა და ახლანდელობას შორის და დაიკარგა ნაციონალური იდენტობის განცდა.

ლიტერატურული პროცესების ასეთი ანალიზი ცხადს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიტყვიერი ხელოვნების როლის მნიშვნელობას. ილიას დროისთვის ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა, რადგან წინარე პერიოდისგან განსხვავებით, მწერლობა მხოლოდ კი არ ასახავდა არსებულ რეალობას, არამედ ამ რეალობის გარდაქმნას ისახავდა მიზნად. საამისოდ ერის ცნობიერებაში

---

<sup>95</sup> ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ნაციონალური დისკურსი ცალკე მსჯელობის საგანია. მას ამ სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში არ ვეხებით, თუმცა, ერთი ტენდენციის აღნიშვნა მაინც შეიძლება: ილიას პუბლიცისტური დისკურსის ქვეტექსტად მუდმივად იკითხება რუსეთისთვის იმის შეხსენება, რომ საქართველომ მას მფარველობა ერთმორწმუნეობის გამო სთხოვა და რომ ის, როგორც მფარველი სახელმწიფო, ვალდებულია, დაიცვას საქართველოს ღირსება. ამ ფონზე, როგორც წესი, ილიას ნარატივში საქართველო დამონებულ ქვეყნად არ იხსენება: ესაა დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის მქონე ქვეყანა, რომელიც მხოლოდ თავისი სამხედრო სისუსტისა და სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გამო გახდა იძულებული, ძლიერი მეზობლისთვის თავი შეეფარებინა; მაგრამ იმის ინტელექტუალური ძალა კი შესწევს, დასაბუთებულად ამტკიცოს, რომ ღირსეული ერია.

მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა მომხდარიყო; უნდა ჩამოყალიბებულიყო ფუნდამენტურ ცნებათა სისტემა; განსაზღვრულიყო ცენტრალური სააზროვნო კონცეპტი, რომელსაც დაეყრდნობოდა ფასეულობათა იერარქია.

ნათელია, რომ, ილიას შეხედულებით, *ნაციონალური იდენტობა პირდაპირ უკავშირდება წარსულის ხსოვნას*, მაგრამ მათ შორის მიმართებას არა აქვს თვითკმარი ხასიათი (ისინი ტოლფარდი ცნებები არაა). კოლონიურ ვითარებაში ეროვნული ავტოპორტრეტის შესანარჩუნებლად ცენტრალურ ტოპოსს, ილიას აზრით, *მამული* წარმოადგენს და ამ კონცეპტის გამოკვეთა მხოლოდ 60-იანი წლების ქართულმა ლიტერატურამ შეძლო:<sup>96</sup>

სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავისი გულთმიმზიდველი და დიდებული მნიშვნელობით [...] აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის შვილობა, და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა. „ვინა ვართ და რანი ვართ“ - ან ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა [...] ზოგი წარსულით გვინათებდა ამ საკითხს, ზოგი აწმყოს განკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა (ჭავჭავაძე 1986, 184-185).

ღირებულებათა ცენტრში მამულის კონცეპტის მოქცევა, თეორიული ხასიათის ნაშრომის გარდა, დეკლარირებულია ილიას მხატვრულ შემოქმედებაშიც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „ქართველის დედა /სცენა მომავალ ცხოვრებიდან/ (1871)“.<sup>97</sup> ნაწარმოების ცალსახა მსოფლმხედველობრივ საფუძველს კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს ტექსტში ჩართული *ჯარების სიმღერა*,

---

<sup>96</sup> მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართულ სინამდვილეში ისტორიული გამოწვევებისა და ამ გამოწვევათა შესაბამისად, თერგდალეულთა მიერ ნაციონალური იდენტობის მთავარ საყრდენთა მოდერნიზების შესახებ იხ. Reisner 2004, 78-86.

<sup>97</sup> ილიას ნაწარმოებთა შორის მას ყველაზე მეტად შეეხო ცენზურის ხელი. იმისათვის, რომ პოემა სრული სახით დაბეჭდილიყო, პოეტი ცვლიდა სათაურებს, ქვესათაურებს, ცალკეულ პასაჟებს, მაგრამ ნაწარმოები, ცენზურის ჩარევის გამო, მნიშვნელოვანი ხარვეზებით იბეჭდებოდა (ჭავჭავაძე 1987, 481). ტექსტი ავტორმა მიუძღვნა თავის მეგობარს, პეტრე ნაკაშიძეს (მასვე მიუძღვნა ილიამ „მეფე დიმიტრი ტავდადებული“), რომელსაც მიმართა სტრიქონებით: „აჰა, იმ დროთაგან ერთი სახე ამოღებული, / რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ [...] მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა / და ეს ვიხილე, - მომიტევე მე სითამამე... / ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, - / ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე.“ (ჭავჭავაძე 1987, 199).

რომელშიც კოლონიური სინამდვილე ირეკლება და, ამდენად, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ავტორის თანამედროვე ქართველთადმი მოწოდებადაც:<sup>98</sup>

ქართველო ხელი ხმალს იკარ, [...] / მამულის დახსნის დღე არის, / ქვეყანა გვწყავს შველასა, / თავისუფლების შოვნაი / სჯობს საშოვნელსა ყველასა. [...] / თავისუფლების მშოვნელი / ამ ქვეყნად მარტო თოფია, / შინ უღლით გაქნილს მშვიდობას / ომში სისხლისღვრა სჯობია! / მაშ, მამულს თავი შევსწიროთ / საშველად, გამოსახსნელად, / თუ მისთვის დავიხოცებით, / ჩვენ ის გვეყოფა სახელად (ჭავჭავაძე 1987, 203).

მამულის, როგორც უმაღლესი ფასეულობის, იდეა მჭიდროდ უკავშირდება *ეროვნულ წარსულთან ცოცხალი მიმართების* ფენომენს, რაც ილიამ პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებულით“ გამოკვეთა (1877-1878). ნაწარმოების ნაციონალური დისკურსი ერთმნიშვნელოვნად დაკვალიანებულია ილიას თანამედროვეობისთვის აქტუალური პრობლემებით. ამ დისკურსის მთავარი ორიენტირებია ჰეროიკული წარსულის მემკვიდრეობითობის განცდისა და კოლონიურ მდგომარეობასთან შეუგუებლობის სურვილის აღძვრა და იდეალად მამულისათვის თავგანწირვის დასახვა.

პოემაში რამდენიმე საყურადღებო ტენდენცია იკვეთება: დიმიტრი მეფის თავგადასავალს ერთგვარ შესავლად უძღვის მიმართვა ბრმა მეფანდურისადმი, ქართველებს მოუთხროს ეროვნული საგმირო წარსულის შესახებ, რომ „აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალოს გულის წადილმა“ (სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ტექსტის მიხედვით, მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილეში ნაციონალურ თემაზე საუბარი

---

<sup>98</sup> თავისთავად ის ფაქტი, რომ პოეტი ტექსტის სათაურის ქვეშ მიუთითებს - „სცენა მომავალ ცხოვრებიდამ“ - უკვე მიანიშნებს თანამედროვეობასთან კონტრასტზე. მომავალთან შეპირისპირებას საფუძვლად უდევს არა ვითარება (როგორც რეალურ, ისე წარმოსახვით დროში საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა უწევს), არამედ სამშობლოსადმი დამოკიდებულება. მამულის თავგანწირული სიყვარული, როგორც იმპერატივი, მკვეთრად ფორმულირებული პოემის ფინალურ ნაწილში: „ეჰა, მამული! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა / რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძღურსა... / ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში, / დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში! / რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება / კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება, / ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა, / ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა. / მშვიდობით, დედი! ძნელი არის შენი დათმობა, / მაგრამ უფროვე ძნელი არის მამულის გამოა“ (ჭავჭავაძე 1987, 206).

შესაძლებელია მხოლოდ ზეპირი გადმოცემის სახით. ამაზე მეტყველებს მოხუცი მოთხრობლის სიტყვებიც: ”გეტყვით გულის გასათბობსა“); მოხუცი მეფანდურე ისტორიული სინამდვილის მოთხრობისას პარალელს ავლებს თანამედროვეობასთან, როგორც დიდებული წარსულის ანტიპოდურ მოდელთან (სხვაგვარად: წარსული მოიხმობა თანამედროვეობის სამხილებლად და სანიმუშოდ); პოემაში ასახულია პრეკოლონიური/კოლონიური ვითარებაც: „ვინ ვიყავით, რა ვიყავით / ჩვენ ქართველნი წინა დროსა. / იმ დროს, როცა ქართველის ბედი / ჩვენ, ქართველთვე, გვეპყრა ხელში [...] / ეხლა რა ვართ? საწველ ფურად / თავი ჩვენი გადვიქციეთ“ (ჭავჭავაძე 1987, 229, 230).

უკანასკნელი სტრიქონები - „ქართველის ბედი ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში“ და „[...] საწველ ფურად თავი ჩვენი გარდვიქციეთ“ - ცალსახა ფორმულებია, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს ისტორია ორ ხანად იყოფა: თავისუფლებისა და კოლონიურობის ეპოქებად. მთელი პოემის მთავარი სათქმელი კი ისაა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქართველს მამულისადმი. ისტორიული წარსული აქ მოხმობილია თანამედროვეობისთვის აქტუალური ნაციონალური პრობლემის გასააზრებლად. თუმცა, ეს გზა ილიასთვის პრიორიტეტული არაა: ქართველი საზოგადოების მთელი ყურადღება მან ეროვნულ მანკიერებათა (და არა - მხოლოდ ღირსებათა) შეცნობისკენ მიმართა. მისი წარმოდგენით, კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ერის მთავარი პრობლემა სწორედ საკუთარი თავისა და მდგომარეობის ადეკვატური შეფასება იყო. საამისოდ ილიამ ჩამოაყალიბა ნაციონალურ მანკიერებათა მთელი წყება და შექმნა თანამედროვე ქართველის მხატვრული სახე (აღსანიშნავია, რომ ამ ფონზე ნაკლები ყურადღება დაუთმო *მტრის ხატის* გამოკვეთას). ყველაზე ნათლად ნაციონალური ჰაბიტუსი ილიამ წარმოადგინა მოთხრობაში „კაცია ადამიანი“ (1858-1863) და სატირულ ლექსში „ბედნიერი ერი“ (1871). პროზაულ ნაწარმოებში ეროვნულ ნაკლოვანებათა მთელი სპექტრი (უსაქმურობა, მფლანგველობა, თავმოწონება, უნაყოფობა, ზერელეობა, დაუდევრობა, გულგრილობა, ცხოვრების საზრისად სმა-ჭამის მიჩნევა..., რასაც რეფრენად გასდევს სიტყვები - „ეტყობა, რომ ქართველია“) მოცემულია უცხოს/სხვისი მხატვრული სახის გარეშე, ლოკალურ კონტექსტში; პოეტურ ტექსტში კი ქართველი ერის ნაციონალური სახის გამოკვეთა კოლონიური ვითარების ასახვას ეფუძნება: სულიერებადაკარგული



და პირუტყვად გადაქცეული ერის მხატვრული სახე დამმონებლისა და მონა-  
მორჩილის ურთიერთობის ფონზე იხატება:

ჩვენისთანა ბედნიერი / განა არის სადმე ერი? / მძიმე ყალბით, / ლამაზ ფალბით/მორთული  
და მშვენიერი; / [...] ქედდრეკილი, მადლიერი; / [...] ყოვლად მთმენი, / ვით ჯორ-ცხენი, /  
ნახედნი და ღონიერი. / [...] მტვერწაყრილი, / თავდახრილი, / [...] მტრის არმცნობი, / მოყვრის  
მგმობი, / გარეთ მხდალი, შინ ძლიერი; / არრის მქონე, / არრის მცოდნე, / უზრუნველი და  
მშვიერი. / ჩვენისთანა ბედნიერი / კიდევ არის სადმე ერი? (ჭავჭავაძე 1987, 29-130)<sup>99</sup>

ხაზგასმული სიტყვები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი ერის  
ნაციონალური ჰაბიტუსი წარმოდგენილია *სხვის/მზრძანებლის* მხატვრული სახის  
გათვალისწინებით, რითაც იკვეთება არა მხოლოდ ნაციონალურ მანკიერებები,  
არამედ ის ფონიც, რომელმაც ეს მანკიერებები გამოააშკარავა.<sup>100</sup>

„კაცია ადამიანში“ ქართველის ტიპური სახის შექმნა და „ბედნიერ ერში“  
მთელი ერის დახასიათება ემსახურებოდა საერთო მიზანს - ილიას თანამედროვე  
ქართველობას დაენახა საკუთარი თავი და მდგომარეობა: ის, რასაც მე-19 საუკუნის  
ქართველი წარმოადგენდა, იყო კარიკატურული მოცემულობა - „ორშაბათის  
ყეენსავით“ ამხედრებული უმიზნო ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავისი კარ-  
მიდამოთი დასაზღვრავდა და აღიქვამდა მამულს; მთელი ერი კი დამსგავსებოდა  
მძიმე ტვირთის ქვეშ ტაატით, ინერციით მიმავალ სახედარს.

ამ რადიკალური ფორმით თვითგამოსახვის გზით ილიასდროინდელ  
ქართველობას საკუთარი თავი უნდა გაემიჯნა არაადეკვატური წარმოდგენებისაგან

---

<sup>99</sup> „ბედნიერ ერს“ როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, ეხმიანება აკაკი წერეთლის ლექსი,  
პირობითი სათაურით „გამტანია ჩვენი ერი“ (წერეთელი 1950ა, 228).

<sup>100</sup> ილიას ეს სატირული ნაწარმოები, იდეური, ჟანრობრივი და ევფონიური თვალსაზრისით,  
ერთგვარი რეაქციაა წინარელიტერატურული მოდელების მიმართ: ერთი მხრივ, ის უპირისპირდება  
გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ პათოსს, მეორე მხრივ, ქართული სახოტბო პოეზიის ნიმუშის,  
ჩახრუხადის „თამარიანის“ ფორმასა და სტილს და, ამავე დროს, თავისებური პასუხია არჩილ მეფის  
მიერ პეტრე დიდისადმი მიძღვნილ პანეგირიკულ სტროფში დახატული რუსეთისადმი: „არჩილი  
პეტრეს განსაკუთრებულ სიქველედ უთვლის, რომ მან მრავალი ერი დაიმონა, „გამგონიერი ქმნა. ილია  
თავის სატირაში, ფაქტობრივად, იმ ისტორიულ შედეგებს გვიჩვენებს, რაც ქართველ ერს  
„გამგონიერობამ“ მოუტანა და რამაც გახადა იგი ”ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი““ (დოიაშვილი  
2007, 53).

და თვალი გაესწორებინა თავისი რეალური სახისთვის. *სარკედ ქცეული* სიტყვიერი ხელოვნების ფუნქცია სწორედ ეს იყო.

თვითგამორკვევის/თვითდადგინების პროცესში ლიტერატურა, ილიას შეხედულებით, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა - ის ასახავდა რეალობას და სვამდა მთავარ კითხვებს, გამოკვეთდა ძირითად პრობლემებს; გარდა ამისა, მწერლობას მომავალ თაობათათვის შეულამაზებელი, უტყუარი ისტორიის გადაცემის ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია სატირული ლექსი - „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“ (1871).<sup>101</sup>

როგორც ლექსის სათაურშია მითითებული, პოეტური ნაწარმოების სტრუქტურა ისტორიული შინაარსის ფორმად არის გამოყენებული. ტექსტი დიალოგის პრინციპზეა აგებული: წარმოადგენილია პაპისა და შვილიშვილის საუბრის სახით (ილიას ამ ლექსში, ისევე როგორც მთელ მის შემოქმედებაში, არ ჩანს *მამის ფიგურა*. თაობათა ჯაჭვიდან ერთი რგოლის ამოვარდნა კი უწყვეტი დიალოგის შეუძლებლობაზე მიუთითებს).

ტექსტში „ქართლის ბედის“ *მიწურვის დროდ ერეკლეს ხანაა დასახელებული* (ამგვარი „წელთადრიცხვა“ უკვე რომანტიკოსების შემოქმედებაში გვხვდება). რუსეთის მხატვრული სახე ლექსში წარმოდგენილი სიუჟეტის განვითარებასთან ერთად ტრანსფორმირდება: თავიდან ის ნეიტრალური პოზიციით, უეპითეტოდ, მხოლოდ სახელდების დონეზე ჩნდება - ერთმანეთს დაპირისპირებული ქართველები საშველად მიმართავენ მეზობელ ქვეყანას („რუსეთისკენ სახვეწნელად გავრბოდით და გამოვრბოდით“); შემდეგ ნეიტრალურ აღმნიშვნელს ნეგატიური ენაცვლება:

მერე, როცა დაქსაქსულნი / *უცხო ხალხმა* ხელთა გვიგდო, / ქართველის ბედი ბურთსავითა /  
სათამაშოდ წინ გაიგდო, - / რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? / - ჩვენც ყაბახზედ ვაჟკაცურად /  
ვჯირითობდით, ვბურთაობდით!<sup>102</sup> / მერე, როცა გაგვიჭირდა / ყოფნა *უცხო ხალხის* ხელში, /

<sup>101</sup> დასახელებული ლექსი „ბედნიერი ერის“ შექმნის წელსაა დაწერილი და ცენზურის მიერ შემოკლებული (ავტორგაფის მიხედვით მისი სრული ვერსია მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიბეჭდა).

<sup>102</sup> ამ სტრიქონში აშკარად იკითხება დაპირისპირება „მამათა თაობის“ ცხოვრების წესსა და შემოქმედებასთან.

როს საშველად მოწვეულმა / წაგვიჭირა თოკი ყელში, - რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? / - მაშინ მივხვდით, რომ ყველანი / ერთს ტაფაში ვიწვევოდით (ჭავჭავაძე 1987, 125-126).

არსებულ ვითარებაში, ლექსის მიხედვით, ქართველთა პროტესტის ერთადერთ ფორმად უკმაყოფილების ჩუმი გამოხატვა, ჩურჩული, იქცა, თუმცა ესეც აეკრძალათ და ერი ცხვრის ფარასავით გააჩუმეს. ამის შემდეგ ეტაპობრივად ჩამოთვლილი ქართველთა ყველა ის „საზოგადოებრივი აქტივობა“, რომელთა საშუალებითაც ერთიანობის განცდის უქონელი ერის შვილები მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნავდნენ, მათ შორის ნახსენებია ბანკის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟიც.

ტექსტის დასასრულს ძველი და თავისი თაობების უნიათობის მოყოლით თავგაბეზრებული პაპა შვილიშვილს სთხოვს, აღარ ჰკითხოს ქართველთა ამბები („შემაწუხე ამდენ კითხვით, „პოჟოლუსტა“, დამეხსენი“) და თხრობას ასრულებს სიტყვებით: „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?/ მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით / უსაქმოდ ვეხეტებოდით“ (ჭავჭავაძე 1987, 128).

ტექსტის ფინალის მიხედვით, მე-19 საუკუნის ქართველთა ისტორიული გზა შეფასებულია არა ერთიანი მიზნისკენ სვლად, არამედ უმიზნო, უქმ ხეტიალად. ნაციონალური დისკურსის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოში არსებული ვითარება დიაქრონულადაა წარმოდგენილი: ერეკლეს მეფობიდან ილიას თანამედროვეობამდე და ამ კონტექსტშია გამოკვეთილი რუსეთის პოლიტიკური პროფილი: საშველად ხმობილის გადაქცევა მტრად. ქართულ-რუსული ურთიერთობის ამგვარ შეფასებას ჯერ კიდევ რომანტიკოსებთან ვხვდებით, მაგრამ ილიასეულ რეფლექსიაში არსებითი სიახლეა ამ ფაქტის მიმართ დამოკიდებულების რაგვარობა: ანექსიის ეროვნული ტრაგედია უკვე ისტორიულ გამოცდილებადაა ქცეული და ტრავმული მდგომარეობის სიმძიმე დამლეულია დროითი დისტანციის გავლენით (აქ, რასაკვირველია, ისიც იგულისხმება, რომ ილიას თაობას, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, უშუალოდ, პირადად არ შეხებია *ანექსორის ხელი*; გარდა ამისა, განსხვავებით წინა თაობისგან განსხვავებით, თერგდალეულთა შორის არ იყვნენ უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენლები - სამეფო ოჯახის შთამომავლები, ვის მეხსიერებაშიც პერსონალური ემოციების ან

საოჯახო გადმოცემის სახით იცოცხლებდა საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვის ტრავმა).

ილიას პოეტურ შემოქმედებაში თანამედროვე კოლონიური რეალობის რეფლექსიისთვის ყველაზე ფართო სემანტიკური მეხსიერების კონტექსტი<sup>103</sup> წარმოდგენილია პოემა „აჩრდილში“ (1859-1872), რომელშიც ქართული ნაციონალური დისკურსისთვის უნიკალური მხატვრული სახე - *საქართველოს თანამდევნი უკვდავი სულია* - პერსონიფიცირებული.

ეროვნული პრობლემა პოემაში შეფასებულია ისტორიული წარსულისა და ესქატოლოგიური მომავლის პერსპექტივებიდან. *საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული* ეროვნული ისტორიული წარსულიდან მხოლოდ ქრისტიანობამდელ პერიოდს, კერძოდ, ფარნავაზის ეპოქას, იხსენებს როგორც ეროვნული იდენტობისთვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის დასაწყისს და მასვე სახავს იდეალად. მანამდე კი ტექსტის ერთი მონაკვეთი (მე-19 თავი) მტრის სახის გამოკვეთას ეთმობა. ამ აღწერაში ყურადღებას იქცევს ის მახასიათებლები, რომლებიც პირდაპირ შეესაბამება მე-19 საუკუნის რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას:

**სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა, / სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება... / ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა, ვისაც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება [...] / თვით ერის ენას მაგ ერისგან იგი სდევნიდა. / სმაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება, / რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი. [...] / მას ჰმორჩილებდა ერი შენი მძულვარებითა, / დევნულობის და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა / და მონებურის თვალთმომქცევის კრძალულებითა / ზღვევისა წადილს გულდაკეპით დღედაღამ ჰზრდიდა (ჭავჭავაძე 1987, 193-194).**

დამოწმებულ პასაჟში საგულისხმოა ნარატორის პათოსი - მხაგვრელის მიმართ პროტესტის სიმძაფრე წარსულის სურათის რეკონსტრუირებაზე მეტად თანამედროვეობისადმი რეაქციას ჰგავს. ფარნავაზის გამოჩენასაც ისეთი სიტყვები უძღვის, რომლებიც ყოველი დროისთვის აქტუალურია: „მართალი არის ხმალი ზღვევისა, / როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა“ (ჭავჭავაძე 1987, 194).

პოემის მიხედვით, ფარნავაზის დამსახურება მამულის დაცვის ნიშნითაა განსაზღვრული (რომანტიკოს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოსა“ და

<sup>103</sup> სემანტიკური მეხსიერების რაობისა და ეპიზოდურ მეხსიერებასთან მისი მიმართების შესახებ იხ. ველცერის საყურადღებო წიგნი (Welzer 2002).

ტრადიციული ისტორიული ნარატივისაგან განსხვავებით, რომლებშიც ფარნავაზის მოღვაწეობის სხვა ასპექტებია აქცენტირებული):

მოვიდა ის დღევ შურისგებისა, / მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა... / მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,<sup>104</sup> / გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა... / მან იდგა თავსა სახელოვანი / ის დიდი საქმე შურისგებისა. / ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას / ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა, / ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას / იმა მამულის ამაყმა შვილმა. / გადგა და დასცა თავზარი მტერსა, / დაამხო პირქვე ყმობა, მონება, / და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა, / ვით შზე, მოჰფინა თავისუფლება, / და შენ, ჰე, ქართლო, მტრისგან რღვეული / კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით, / ქართველის სახელი დამცირებული / კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით (ჭავჭავაძე 1987, 194).

ილია (აჩრდილი) საქართველოს მთელ ისტორიას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლად მიიჩნევს და ამ ფონზე ხატავს თანამედროვე ქართველს, რომლისთვისაც ნაციონალური წარსული მეხსიერების მიღმა დარჩენილი რეალობაა: „ეხლა რაღაა!... გაჰქრნენ ის დღენი, / გაჰქრა იგიცა ძალგულოვნება, / და საკვირველნი მამათ საქმენი / ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება“ (ჭავჭავაძე 1987, 195).

საგმირო წარსულისა და თანამედროვეობის კონტექსტში წარმოდგენილი ფარნავაზის სახე *საქართველოს უძღური ძისთვის* იდეალად ისახება. ქართველში კი, „აჩრდილის“ მიხედვით, ჩამკვდარია მომავლის რწმენაც, მამულის სიყვარულიც და საერთოობის, ეროვნული ერთიანობის განცდაც:

აქ არვის - დიდსა თუ პატარასა - / ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული, / დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა, / ღვთად მოუცია მარტო მამული; / დაჰვიწყებია, რომ დიდი არი / ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება, / რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი / ქვეყანასავე შეეწირება. / წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა / მამულისათვის თავის დადება!.. (ჭავჭავაძე 1987, 184).

დასახელებული კონცეპტები ქართული ნაციონალური დისკურსის ის ორიენტირებია, რომელთაც ერის ცნობიერებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა მოეხდინათ: ილია ამ ფორმულებით თავის თანამედროვე ქართველობას უყალიბებდა *მამულისადმი* სწორ დამოკიდებულებას. აქედან გამომდინარე, მისი შემოქმედებაც ადრესატზე ორიენტირებულ რიტორიკას ქმნის, თუმცა, მასთან ადრესატი არაა

<sup>104</sup> ხსოვნა, როგორც დროითი დისტანციის მომშლელი ფენომენი, აქ ცნობიერების გამამთლიანებლად გვევლინება.

მხოლოდ მომავალი თაობა (დავით გურამიშვილის მკითხველის მსგავსად), არც მხოლოდ უახლოესი ნათესავი (როგორც ბატონიშვილების პოეზიაში) და არც ოდენ დაინტერესებული აუდიტორია (რომელსაც რომანტიკოსი მიმართავს სიტყვებით: „ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა“), არამედ ესაა სამშობლო, რომელიც პოსტმედიალურ პერიოდში პირველად გახდა მიზანმიმართული დიალოგის მეორე მხარე. ამის ნათელი მაგალითებია ლექსები: „ჩემო კარგო ქვეყანავ“<sup>105</sup> (რომელშიც წარსული დიდების დღეთა აღდგენაა იდეალად დასახული) და „მას აქეთ, რაკი“ (რომელშიც ავტორისა და საზოგადოების იდეალთა სხვადასხვაობაა ხაზგასმული); „აჩრდილის“ მიხედვით კი ის მონაკვეთი, რომელშიც დასმულია ეროვნული გმირის პრობლემა (როგორც უკვე აღინიშნა, გმირის ძიების საკითხი პირველად გრიგოლ ორბელიანმა დასვა, თუმცა მიმართვის ობიექტის გარეშე):

მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, / რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი? / იგი აღარ გყავთ... მის მოედანი / ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა, / გმირის დამბადი დიდი საგანი / თქვენში სპობილა და წაწყმედილა. / გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას, / დაგინგრევიათ დიდი მამული, / რაღა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას? (ჭავჭავაძე 1987, 185).

თუკი გრიგოლ ორბელიანის მიერ დასმულ კითხვას („ვინ აღჩნდეს გმირი?“) დადებითი პასუხის პოტენციალი ჰქონდა, ილიასეული ვარიანტი („სად არის გმირი?“) რიტორიკულ ფორმულად იქცა, გმირის არარსებობის/„მისი მოედნის“ გავერანების ჩვენებით გამოვლინდა პარადოქსი: ის, ვისაც მომავალში ეძებდა რომანტიკოსი პოეტი, რეალისტი პოეტისთვის წარსულის კუთვნილება იყო.<sup>106</sup>

ეროვნული ცნობიერების მოშლის გარდა, „აჩრდილში“ ქართველთა მხილებითა და საქართველოს სტატუსის განსაზღვრით კოლონიური ვითარებაცაა ასახული.

ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი [...] / უცხოს კალთის ქვეშ, ვითა ობოლი შეფარებულადა დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან / თავის მამულის თავისუფლებას / [...] თავისუფლების

<sup>105</sup> ამ ლექსს რომანტიკოსი ვახტანგ ორბელიანი გამოეხმაურა ლექსით („სამშობლო ქვეყნის პასუხი“): „მკითხე, ჩემო პოეტო, რაზედ მომიწყენია? / ნება მომეც, მეც გკითხო, შენ კი მოგილხენია? / მეუბნები, მარწმუნებ: „მომავალი ჩვენია“. / მაგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრჯერ სმენია“... (ჭავჭავაძე 1987, 425)

<sup>106</sup> ამის საპირისპიროდ, „ბაზალეთის ტბაში“ (1883) ილია ხატავს მომავალი გმირის მხატვრულ სახეს (ჭავჭავაძე 1987, 154).

მშვენიერის სხივთ მხურვალეობა / როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდხნის ბორკილს“ (ჭავჭავაძე 1987, 185-186, 192).

საბოლოოდ, ქვეყნის მომავალი ესქატოლოგიურ კონტექსტში წარღვნისა და გადარჩენის მოტივებით არის წარმოდგენილი, მთელი პოემა კი ჰიმნოგრაფიული ტექსტის მოდელზეა აგებული (სრულდება ღვთისმშობლისადმი ვედრებით).

„აჩრდილში“ ნაციონალური რიტორიკის ნაწილია ეროვნული ლანდშაფტის იმაგოლოგიაც (მსგავსად „მგზავრის წერილებისა“, რომელშიც თერგისა და მცინვარის მხატვრული სახეებით ნამდვილი ტოპოსებია შექმნილი). პოემაში არაგვი ქართველთა ისტორიის მოწმედ და მემატთანედაა წარმოდგენილი (მას უკავშირდება „ძველი მამულის“ ხსოვნა) და სწორედ ეს განაპირობებს მისდამი ავტორის აღფრთოვანებულ დამოკიდებულებას.<sup>107</sup> ამ კონტექსტში აღსანიშნავია *მცხეთის* მხატვრული სახეც - ნეკროპოლისი, როგორც საგმირო ეროვნული წარსულის ხსოვნის მემორიალი: „აგერა მცხეთაც - სავანე გმირთა, / დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების, / სად პირველ ქართველის მორჭმულთა შვილთა / ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების“ (ჭავჭავაძე 1987, 192).

„აჩრდილი“ ცენზურის მიერ ერთ-ერთი ყველაზე მეტად „კორექტირებული“ ტექსტია (ნაწარმოებიდან ამოღებულია მთელი პასაჟები). მიუხედავად ამისა, კოლონიური ვითარებისთვის დამახასიათებელ მედიათა შეზღუდულობის პირობებში (გა)დარჩენილმა პოემამ მაინც მოახერხა ქართული ნაციონალური დისკურსის განვითარება და ახალ რეგისტრში აყვანა; ხატოვნად რომ ითქვას - მიძინებული ერის გამოფხიზლება.<sup>108</sup>

ძილ-ღვიძილის ანტინომია ილიას მხატვრულ შემოქმედებაში საქართველოს მდგომარეობის ამსახველ მარკერთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ოპოზიციას, რომელშიც *ძილი* ინერტულობას, მორჩილებას, გულგრილობას გამოხატავს, ღვიძილი კი - ამ ყოველივეს დაძლევის, ქვეყნის ინტერესთა დაცვას:

<sup>107</sup> არაგვის მხატვრული სახე ნაციონალურ კონტექსტში ჯერ კიდევ ბარათაშვილმა შემოიყვანა, თუმცა იდენტობასთან მისი მჭიდრო კავშირი არ გამოუკვეთია.

<sup>108</sup> თუკი გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“ ქართველ გმირთა პანთეონი შეიქმნა, ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“ პერსონიფიცირებულად წარმოდგა საქართველოს მთელი ისტორია და პოემა ეროვნული მეხსიერების ძეგლად იქცა.

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი / კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება. / ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, / როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?! (“ელეგია”, 1859); თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა („მგზავრის წერილები“, 1861)

ამ ბინარულ ოპოზიციაში საზოგადოსა და კერძოს დაპირისპირებაც იგულისხმება: ძილი მთელი ქვეყნის მახასიათებელია, ღვიძილი კი - ცალკეული ადამიანისა (როგორც წესი, საკუთრივ ავტორის), რომელმაც სამშობლო კვდომის პროცესიდან უნდა გამოიყვანოს („მას აქეთ, რაკი“, 1861)

ყველა შემთხვევაში, ძილის ტოპოსი ნაციონალურ კონტექსტშია წარმოდგენილი და უარყოფითი სემანტიკით არის დატვირთული. გამონაკლისის სახით, ძილს ილიასთან დადებითი მნიშვნელობაც აქვს.<sup>109</sup> ასეა, მაგალითად, ლექს „ნანაში“ (1859), რომელშიც ყრმის ძილი მომავალი სიფხიზლის წინაპირობაა:

ისწრაფე, შვილო, ძილი, / განსვენება! [...] / შვილო, დედისა ნანა / ხმლის ჟღერად შეგეცვლება. / ჰნახავ ჩვენს ბედშობას, / ჩვენს ერთობას დაკარგულს, / ჩვენსა წამხდარს გმირობას / და მამულს დაობლებულს... [...] / დააკვდი მამულს მსხვერპლად! [...] ჩემი ნანა ეს არი, / შვილო, მას უერთგულე: / რაც მე სიტყვით გითხარი, / შენ საქმით აღმისრულე! / ნანა, მამულის მსხვერპლო, / პაწაწინა ქართველო! (ჭავჭავაძე 1987, 84, 87).

ეს სიმღერა ძილისპირულთან ერთად ჭირისუფლის გოდებასაც წარმოადგენს (ლექსში შვილს დედა მსხვერპლად სახელდება); აქ ძილი მოსვენებასა და ძალების მოკრებასთან ერთად, სიკვდილის ერთგვარი წინასახეა (მის ამბივალენტურ სახეში სიცოცხლე და გარდაცვალება ერთდროულად იკითხება); ნანინას ტექსტი კი, ფაქტობრივად, ქართველი მამულიშვილის მომავალი ცხოვრების გზასა და ტრაგიკულ აღსასრულს წინასწარმეტყველებს.

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში დედის/დედათა მხატვრული სახის ფორმირება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემით იწყება („ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“...) და კლასიკურ სახეს იღებს ილია ჭავჭავაძის ლექსში „ქართველის დედას“ (1858), რომელშიც, ნაციონალური დისკურსის თვალსაზრისით, მრავალმხრივ

<sup>109</sup> უარყოფითთან ერთად, ძილის დადებითი სემანტიკაც წმინდა წერილიდან მომდინარეობს და ის ღვთის განგებისადმი სრულ მინდობას, მორჩილებასა და სიმშვიდეს გამოხატავს: ასე აღიქმება ქარიშხლის დროს უფლის ჩამინება (მარკ. 4: 38-41)



საყურადღებო ტექსტია. წარსულისადმი თვისებრივად ახლებური მიმართებისა და კოლონიური რეალობის არეკვლის გარდა (მათ შესახებ ზემოთ აღინიშნა), ეს ლექსი მნიშვნელოვანია „მაღალი დანიშნულებისა და საღვთო ვალის“ დეფინიციითაც-ერთგვარი სახელმძღვანელო პროგრამით, რომლითაც უნდა აღიზარდოს მომავალი გმირი.<sup>110</sup>

ილიას მხატვრულ შემოქმედებაში ნაციონალური ნარატივი, როგორც წესი, კონკრეტული მხატვრული სახეებით, ცალკეული პასაჟებითა და ავტორისეული ჩანართებით ვლინდება, თუმცა ზოგჯერ ილია მთელ ტექსტს ტვირთავს ალევორიული შინაარსით. ამ მხრივ აღსანიშნავია პეტერბურგში ყოფნისას დაწერილი ლექსი „იანიჩარი“ (1860),<sup>111</sup> რომელშიც სხვა სახელმწიფოს ინტერესებისთვის მებრძოლი, იდენტობაწაშლილი ადამიანის სახეა ნაჩვენები:

მიჰქრის, მიფრინავს, მიჰქეპავს, უკან მისდევს მტერისა ბუქი, / მასზედ ჰზის ივერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი [...] / შვენოდა იგი ჭაბუკი ცხენზედა, ვით ალვა რგული, / მაგრამ მე, მის მჭვრეტელს, ნაღვლით ამერია სული, გული... / ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა? / **შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა? / შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,** / მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს! (ჭავჭავაძე 1987, 111).

---

<sup>110</sup> „ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა / უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა; / დედის ნანასთან ქვითინი მთისა / მას უმზადებდა მომავალ გმირსა... / გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა, / კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა, / სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა, / თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა. / მითხარ, — სადღაა მამა-პაპური / მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური, / სახელისათვის ამაყი თრთოლა, / მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა? / მას ნუღარ ვსტირით; რაც დამარხულა, / რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა; / მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი... / ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, / ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, / ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს... / აქ არის, დედავ, შენი მაღალი / დანიშნულება და საღმრთო ვალი! / აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, / საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, — / შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, / ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, - / რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს / და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს... / მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს, / და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი, კაცურს. / დედავ! ისმინე ქართველის ვედრება: / ისე აღზარდე შენ შვილის სული, / რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, / უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“ (ჭავჭავაძე 1987, 67).

<sup>111</sup> *იანიჩარი* შუა საუკუნეების სამხედრო წოდებაა, რომელიც პრივილეგირებულ ქვეით ჯარს/ჯარისკაცს აღნიშნავს. იანიჩარი დაქირავებული პირია.

ლექსის ცალკეული სახეები ბარათაშვილის „მერანითა“ დაკვალიანებული (ამავე წელსაა დაწერილი ილიას „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“) და, საზოგადოდ, ძველი საქართველოს რეალობას ასახავს: ამაზე მიუთითებს დამპყრობი ოსმალეთისა და მეფის მხატვრული სახეები, რომლებიც ილიას დროისთვის ანაქრონიზმს წარმოადგენს. ამდენად, აქ სრულიად აშკარა ალეგორიაა მოცემული: ოსმალეთის სახით იხატება დამპყრობელი ქვეყანა (ილიასდროინდელი ქართული რეალობისთვის ეს არის რუსეთი), რომელსაც ემსახურება ქართველი ჯარისკაცი. ტექსტის ფინალის განწყობა საკუთარი ეროვნულობის საბოლოო წაშლის გამო ჩნდება. ილიას ამ ლექსის მიხედვით, *იანიჩარი* გვევლინება უცხო ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი კოლონიური ქვეყნის შვილის მეტაფორად.

კოლონიალური ქვეყნის შვილის აბსოლუტურად განსხვავებული სახეა წარმოდგენილი ილიას საპროგრამო ნაწარმოებ „მგზავრის წერილებში“ (1861), რომლის ნაციონალური რიტორიკაც ლანდშაფტის იმაგოლოგიითა და ავტო- და ჰეტეროხატების ბინარული ოპოზიციით იკვეთება (ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა ილიას მხატვრულ შემოქმედებაში, როცა ქართულ-რუსული ურთიერთობები ხდება განსჯის საგანი). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება *თერგის ბუნებაზე*:

ეგ დასალუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მომკვდარა. რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაცნია, როგორღაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის [...] იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგქვემ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო (ჭავჭავაძე 1988, 11).

დამოწმებულ პასაჟში მშობლიური სივრცის მარკირება ემოციური სიტყვით „ჩვენკენ“, უცხო სივრცისა კი - სახელწოდებით, არ არის მხოლოდ გეოგრაფიული მოცემულობა.<sup>112</sup> ამას ხაზს უსვამს *თერგის ორპირობის* თემატიზებაც: დასჯასა და დაჯილდოებაზე, როგორც დამორჩილების ეფექტურ საშუალებებზე, ყურადღების

---

<sup>112</sup> საკუთარი და უცხო სივრცეების დაპირისპირება ნაჩვენებია ილიას ლექსშიც „ყვარლის მთებს“ (1857), რომელშიც რუსეთის იმპერია მარკირებულია სიტყვებით: *უცხოეთი, შორი ქვეყანა* (ჭავჭავაძე 1987, 36).

გამახვილება მოცემულ მონაკვეთს ნაციონალური რიტორიკის ფარგლებში ლანდშაფტის იმაგოლოგიის ფუნქციით ტვირთავს.

ადამიანთა გარეგნულ პორტრეტებზე: *რუსის პირდაუბანელი, თავდაუვარცხნელი და სქელკისერა „იამშჩიკის“ „ბრიყვი სახე, იმისი ოყრაცული სანახაობა [...], უადამიანო და პირუტყვეული მიხვრა-მოხვრა“*, აგრეთვე მთვრალი „განმანათლებელი“ „პოდპორუჩიკი“ ქმნის წარმოდგენას *უცხოზე* (რუსზე), რომლის ანტიპოდურ სახედ ნაწარმოებში ჩნდება ლელთ ღუნია - ქართველთა ნაციონალური ტიპის გამომხატველი პერსონაჟი. ამ კონტრასტულ სახეთა შორის დგას მგზავრის (თავად ავტორის) ფიგურა. მისი, რუსის ქულაჯაში გამოწყობილი ქართველის, სიტყვები - „თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ“<sup>113</sup>- ილიას თაობის, თერგდალეულთა, თვითიდენტიფიკაციის ფორმულადაც შეიძლება კლასიფიცირდეს. რუსეთში განათლებამიღებული ახალი თაობა (რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილი „ახალი ქართლის“ მომავლად სახავდა) ეროვნული ინტერესების დასაცავად აქამდე უცნობი გზების ძიებას იწყებდა.<sup>114</sup> ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სტანციის ოთახში“ დაბინავებული მგზავრის ფიქრების აღმწერი ვრცელი ტექსტი, რომელშიც *უცხო ნიადაგზედ გადარგულობის* პრობლემაა დასმული.

„მგზავრის წერილებშივე“ ასახა ილიამ რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის „განმანათლებლური იდეა“: საქართველოში სამხედრო გზით „ცივილიზაციის შემოტანა“; ღირებულებათა სისტემის ცენტრში სამხედრო წოდების მოქცევა; სამხედრო გზით დამყარებული რეჟიმისთვის ცივილიზაციის საზომად გენერალთა რაოდენობის მიჩნევა; *ძველი წყობილების* მოშლა და

---

<sup>113</sup> იდენტობის ამგვარი ფორმულირების შებრუნებული მოდელია წარმოდგენილი აკაკი წერეთლის პოემა „ვორონცოვში“ (1912): „და აწცა გულით გარუსებული, / მაგრამ ქართველი გარეგნობითა“, როგორც რუსული (ვორონცოვის) პოლიტიკის შედეგი.

<sup>114</sup> მამების თაობასთან დაპირისპირებისას სწორედ ამას უსვამდა ხაზს ილია 1872 წელს დაწერილ „პასუხის პასუხში“ (რომელიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიბეჭდა): „ჩვენ უჩინონი, / ჩვენ უჩინონი [...] ჩვენ ვვლეთ რუსეთი, / მაგრამ არცერთი / ხელობა თქვენი არ გვისწავლია, / ჩვენი ქვეყანა, / მკვდარი თქვენგანა, / თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია“ (ჭავჭავაძე 1987, 141)

ადგილობრივთათვის უცხო, მიუღებელი წესების დაკანონება (ეს უკანასკნელი ალექსანდრე ყაზბეგის პროზის ცენტრალური საკითხია).

„მგზავრის წერილების“ გაწონასწორებული ტონალობისგან რადიკალურად სხვაობს ამ ნაწარმოებამდე რამდენიმე წლით ადრე, 1858 წელს, ალექსანდრე ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიურის“ მიბაძვით დაწერილი ლექს „ჩემ თარიარალის“ პათოსი:

რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს, / ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს, / ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი [...] / ჰე, ძმანო! ჩვენ მათ განვშორდეთ, / ჩვენ ჩვენს მამულს ვეპატრონნეთ [...] / ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს [...] / ვემსხვერპლოთ ქრისტესა მცნებას, / ვაშოროთ ქართლი მონებას [...] / მამულს სიცოცხლე შევსწიროთ / შვილურის ერთგულობითა (ჭავჭავაძე 1987, 72, 73, 74).<sup>115</sup>

ამ სიტყვების ჭაბუკური სულისკვეთება და რუსეთის ხელისუფალთან აშკარა დაპირისპირება რამდენიმე წლის შემდეგ დაწერილ „მგზავრის წერილებში“ უკვე აღარ იკითხება. ამის მიზეზია ის, რომ პროზაულ ტექსტში კოლონიური ვითარებისადმი პროტესტს საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ემოცია, არამედ - რაციონალიზმიც, რომელიც პასუხების გაცემაზე მეტად კითხვების დასმას ცდილობს (ერთ-ერთი ასეთი საკვანძო კითხვაა „როდემდის“).

მამულისადმი ილიას ემოციური (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) დამოკიდებულება დასტურდება მის არაერთ მხატვრულ ტექსტში (მაგ.; „პოეტი“, „მგზავრის წერილები“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაკი“ და ა. შ.):<sup>116</sup> ენობრივ დონეზე ეს გამოიხატება ეპითეტებითა (*საყვარელო, კარგო, ჩემო*) და მიმართვითი ფორმით (შორისდებულების - *ოხ, ჰოი, ჰე* და წოდებითი ბრუნვის გამოყენებით): როგორც წესი, ილია მამულს ესაუბრება, მიმართავს, მისთვის საქართველო არის ცოცხალი დიალოგის მეორე პირი, „შენ“ და არა - „ის“, სამშობლო, რომლის შესახებაც მხოლოდ მსჯელობენ, წერენ, საუბრობენ:

<sup>115</sup> ეს ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

<sup>116</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ორიგინალურ ნაწარმოებებში ილია, როგორც წესი, იყენებს ტერმინ *მამულს*, ნათარგმნ ტექსტებში კი - *სამშობლოს* და პირველ მათგანს „დაუფარავი ემოციის დადი აზის“ (აფრიდონიძე 2009, 25). ამ ემოციაში ნამდვილი სიყვარული იგულისხმება: ილიასთვის „მამული ისეთივე საგანი ხდება სიყვარულისა, როგორც ძვირფასი ქალია. [...] ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო XIX საუკუნემდე“ (კიკნაძე 2005, 40).

ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი [...] ოხ, საქართველოვ! („მეზავრის წერილები“, ), კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ („კითხვა-პასუხი“), ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია! („ჩემო კარგო ქვეყანავ“); **ჰოი, მამულო**, განმიკრთა მე ძილი და შვება; მაგრამ, **მამულო**, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი („მას აქეთ, რაკი...“, 1861), **მამულო, საყვარელო**, შენ როსლა აყვავდები? („გაზაფხული“, 1861), და **შენ, ჰე, ქართლო** („აჩრდილი“, 1872), მარად და ყველგან, **საქართველოვ**, მე ვარ შენთანა“ („აჩრდილი“).

ილიას *მამულმა* ქართულ ნაციონალურ დისკურსში *მონარქი* ჩაანაცვლა.<sup>117</sup> მეფის ფიგურა წარსულის ტოპოსად იქცა (ილიამ კი საორიენტაციო დროდ მომავალი დასახა). თუკი მანამდე ეროვნულობა პერსონიფიცირებული იყო მეფის სახეში, *მამულში* მოიხსნა პიროვნულობის მომენტი და ნაციონალური იდენტობის მთავარ მარკერად გამოცხადდა არა კონკრეტული ადამიანი ან უმაღლესი სახელმწიფო იერარქია, არამედ - იდეა.

ამ თვისებრივმა სიახლემ მოვლენათა შეფასების ახალი მოდელი დაამკვიდრა: ძველი საქართველოს ჰეროიზებას, მონარქის ფიგურასა და ანექსიის ტრავმის ხსოვნას ჩაენაცვლა მამა-პაპათაგან ბოძებული *სამი საუნჯის* - მამულის, ენისა და სარწმუნოების - მოფრთხილების, დაცვის იდეა. ამ კონტექსტში *მამულის სიტყვას* მეფის მაგივრად საკრალური ფიგურა - შემოქმედი - წარმოთქვამს:

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, / მიწიერი ზეციერსა, **ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ**, / რომ **წარვუძღვე წინა ერსა** („პოეტი“, 1860); ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში, / რასაც ვმსახურობთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ, / **ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში** / ბოროტთ საკლავად, მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ („ჩემო კალამო“, 1861) (ჭავჭავაძე 1987, 103, 120).

ილიამ პოსტმედიევალურ ქართულ ლიტერატურაში პირველმა განსაზღვრა პოეტის როლი როგორც ერის წინამძღოლისა. აქედან გამომდინარე, მხატვრულ შემოქმედებას ნაციონალური მისია დააკისრა: მას უნდა შეესრულებინა არა მხოლოდ არქივარიუსის ფუნქცია, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ერის ნორმატიული ცოდნის ფორმირებაზე და დაესახა ნაციონალური

<sup>117</sup> მხატვრული ნარატივისაგან განსხვავებით, პუბლიცისტიკაში ილია დიდ ყურადღებას ამახვილებს რუსეთთან დაკავშირების მიზეზებზე და საკუთრივ ერეკლე მეორის შესახებ სპეციალურ წერილებსაც წერს.

განვითარების/გადარჩენის გზა. ამგვარი კონცეფცია ილიამდელ ქართულ ლიტერატურაში არ შემუშავებულა.

### 3.2. „დამეხსენი, ჩრდილოელო“: რუსეთის იმპერიისადმი რეზისტენტობა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

და რაც ვერ შეძლო ჩვენში თათრობამ,  
ის მოახდინა თანარჯულობამ.  
/აკაკი წერეთელი/

თუ ილიამ მხატვრულ შემოქმედებაში ქართველთა ნაციონალური ჰაბიტუსი გამოკვეთა, აკაკიმ თავის პროზაულ და პოეტურ ტექსტებში მტრის მხატვრული სახის გამოვლენას მიაქცია ყურადღება (შესაბამისად, მისი მხატვრული ტექსტები პოლემიკური ტონით გამოირჩევა). ეს არჩევანი განაპირობა მისმა პრინციპულმა პოზიციამ - არ შესულიყო საჯარო სამსახურში (აკაკის ერთი ნათესავის თქმით, „ეგ დალოცვილი მესტვირეობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა გადაიკიდა“), ქვეყნის ინტერესების დასაცავად *ხელჯობიანობაზე* („ჩინოვნიკობაზე“) უარი ეთქვა და რუსეთში მიღებული განათლება, თუნდაც ფორმალურად, არ ჩაეყენებინა რუსეთისავე სამსახურში.<sup>118</sup>

შეიძლება ითქვას, პოსტმედიევალურ ქართულ ლიტერატურაში არცერთი სხვა შემოქმედის პირად ცხოვრებაზე ისე არ ასახულა ქართულ-რუსულ სივრცეთა

---

<sup>118</sup> ამის შესახებ თავად აკაკი წერს: „ყველასაგან მოძულეებულს, ბევრჯელ კარგი ადგილი, ღირსი რომ არ ვიყავი მისთანა, მაძლია მთავრობამ, მაგრამ, რაღა კი ერთხელვე სხვა გზა მქონდა ამორჩეული, არა ვქენი სამსახურში შესვლა და დავრჩი ოხრად, ანუ გიჟად, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ“ (წერეთელი 1958ა, 101).

შეუთავსებლობა, როგორც აკაკი წერეთლის ბიოგრაფიაში: რუს ცოლსა და გარუსებულ შვილთან გაუცხოება მას სიცოცხლის ბოლომდე ტანჯავდა.<sup>119</sup> ოჯახური ცხოვრების მწარე გამოცდილება გარკვეულწილად აისახა აკაკის შემოქმედების ნაციონალურ რიტორიკაზეც: ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის ინსცენირება/რეფლექსიისას მან მიმართა ისეთ მარკერებს, რომლებიც ერთიან სემანტიკურ ველში დისჰარმონიული, დარღვეული ოჯახის ასოციაციას ქმნის: *დედინაცვალი, მამობილი, გერი, ნაძალადევი საქმრო...*

ნაციონალური დისკურსი აკაკი წერეთელმა თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოებში განავითარა, მაგრამ მის მრავალფეროვან მხატვრულ მემკვიდრეობაში ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულია ლირიკა, რომლის მთავარი მახასიათებლებია ალეგორიულობა და ოპოზიციურ სახეთა ბინარულობა.<sup>120</sup>

თავის ერთ-ერთ პირველ ლირიკულ ნაწარმოებში („ნავი“, 1859) აკაკიმ ალეგორიულად ასახა მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული რეალობა: შუაგულ ზღვაში ქარისგან თავდასაცავად ნავი მიეკედლა ხომალდს, რომელიც მას მფარველობას შეჰპირდა (*კეთილ მამად მოევლინა*), მაგრამ,

---

<sup>119</sup> ოჯახური ცხოვრების დრამატიზმი ნათლადაა ასახული აკაკის პირად წერილებში: „ერთი იკითხეთ, მე როგორ ვცხოვრობ? - ყველგან, თვით საკუთარი ოჯახისაგან მიტოვებული და მუდამ ფარისევლებითა და მტაცებლებით გარშემორტყმული, მწარე სიკვდილის მოლოდინში [...] მე დასაყრდენის მაგიერ მხოლოდ ნერვიული ადამიანები მყავს, დიახ, ასეა! თქვენთვის ეს სულ ერთია! თქვენ გინდათ ფული [...] როგორც ჩანს, მე მისთვის (შვილისთვის - ც.კ.) უცხო ვარ და არავითარი სარგებლობა არ მომაქვს. რა მწარე დაცინვაა ბედისა: მთელი ქალაქისათვის მე თავისიანი ვარ, შვილისათვის კი - უცხო [...] ასეთ ვითარებაში სიცოცხლე არ ღირს, მაგრამ მე არ მიყვარს ქედის მოხრა გარემოებათა წინაშე და სულით არ ვეცემი [...] ვგრძნობ, როგორც საერთოდ ყველასათვის, ასევე თქვენთვისაც მე, როგორც ადამიანი და მეგობარი, ზედმეტი ვარ“ (წერეთელი, წერილები, 38, 52, 59, 92-93).

<sup>120</sup> აკაკის პოეზიაში ცალკე ადგილი უკავია თარგმნილ/გადმოკეთებულ ლექსებსა და გალექსილ არაკებს, რომელთა უმეტესი ნაწილიც პოლიტიკური ქვეტექსტის მატარებელია. მათი დიდი უმრავლესობა (მაგალითად, კრილოვის ტექსტების თარგმანები) დედანშივე ამგვარი სემანტიკით იყო დატვირთული და ამდენად, საკუთრივ ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირების ანალიზისას საგანგებოდ არ არის გამოყოფილი. თუმცა, ნათელია, რომ მე-19 საუკუნის ქართველი მკითხველისთვის ეს ტექსტები სწორედ ქართულ ნაციონალურ კონტექსტში იკითხებოდა.

ლექსის მიხედვით, „მფარველობა“ ნავისთვის სასიკეთო არ აღმოჩნდა:<sup>121</sup> „მას შემდეგ ვითომ აქვს მშვიდობა ნავს / და მავნებელიც აღარავინ ჰყავს... / გაძული არის გარეშე მტერი, / მოშორდა იმ ნავს, აღარსადა-ყავს, / მაგრამ რაი, რომ თვით ის ხვამალდი/ მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს“ (წერეთელი 1950ა, 64-65).<sup>122</sup>

რუსეთის მარკერებად აკაკის პოეზიაში წარმოდგენილია *დედინაცვალი* („ობოლი“, 1895) და *მამინაცვალი* („პატრიოტი“, 1899) ხოლო ქართველის/საქართველოს სტატუსია *ობოლი გერი*:

დედის ხმაზედ გიმღერის / დედინაცვლის ჩანგითა. / გაუფრთხილდი! ნუ გჯერა / მაგის ტკბილი ნანინა; **ხელში ჩამიგდო ობოლი / კუდურმა დედინაცვალმა**<sup>123</sup> [...] / დედის სახელსაც ვერ ვამხელ [...] / დედას ვეძახი „მამასა“, ვეძახი მამას - „პაპასა“ [...] / ოჰ, რა ძნელია ობლობა / და უძნელესი - გერობა! / დედინაცვალის დედობა, / მისი მოყვრული მტერობა; მამის სული გამიშვია, / ვფიცავ მამინაცვლის მზესა... (წერეთელი 1950ბ, 235, 330, 433).

საქართველოს მარკერად *დედაა*<sup>124</sup> ნაგულისხმევი აკაკის მრავალმხრივ საყურადღებო ლექსში „ჰეო, მეო“ (1884). ფორმის თვალსაზრისით, ეს ტექსტი ჰგავს დავით გურამიშვილის ლექსს „სიტყვა ესე ღვთისა“ („[...] ეეო, მეო, ქალო ქალთა-მზეოს სანაცლოდ სათქმელი“), საპროტესტო განწყობის მატარებელია და ამხელს კოლონიზატორის პოლიტიკას:

ჰეო, მეო! კაცო სამიწეო! / შენ თუ შენი დედა გიყვარს, / რად მაძულებ მეო: / ვინც მე მშობა და გამზარდა, / რისთვის დამიგმეო? / მისთვის, რომ ვერ გიბატონე, გულით ვერ გეყმეო, /

<sup>121</sup> ამავე წელს, პეტერბურგში ყოფნისას, ახალგაზრდული შემართებით დაწერილ „ქართლის სალამში“ აკაკიმ რუსეთი საქართველოს განმანათლებლად სახელდო (ამგვარი მოლოდინი ჯერ კიდევ ქართველ რომანტიკოსებს ჰქონდათ): „აღსდევ, სამშობლო! ბევრი გემინა! / [...] თუ რომ იშრომებ, გზები გაქვს ფართე! / [...] ხედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა? / ვით ჰზრუნავს შენთვის, გიმართავს ხელსა?“ (წერეთელი 1959ა: 70). რუსეთის მიმართ ამგვარი განწყობა, საზოგადოდ, უცხოა აკაკის პოეზიისთვის და ეს შემთხვევა გამონაკლისად რჩება.

<sup>122</sup> ცენზურამ ლექსის ბოლო ორი სტრიქონი, ცალსახა პოლიტიკური ხასიათის გამო, ტექსტიდან ამოიღო.

<sup>123</sup> *კუდური დედინაცვლის* (კუდიანი დედინაცვლის) მხატვრული სახე აკაკის სხვა ნაწარმოებებშიც ჩნდება (მაგ.: პიესა „კუდურ-ხანუმში“, რომელიც ცენზურისგან დასაცავად ავტორმა მე-16 საუკუნის სინამდვილის ინსცენირებად გამოაცხადა).

<sup>124</sup> ლექს „სასოწარკვეთილებაში“ (1881) აკაკი *დედინაცვალს* უწოდებს თავის სამშობლოს: „ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ, / ჩემთვის კი ავო დედინაცვალო! (წერეთელი 1950ბ, 38)



საცბიეროდ სხვა მითხარ და / სხვა იგულისხმეო? [...] <sup>125</sup> / ქრისტიანად თავს იჩენდი, / სჯული კი დაგმეო!... / სასიკვდილოდ არა მზოგავ, / თავს სუდარს მაცმეო (წერეთელი 1950ბ, 133).

ტექსტის დასასრულს გამოხატულია პროტესტი ამგვარი მდგომარეობის მიმართ. მსგავსი განწყობაა გამოკვეთილი ლექსშიც „ნამალადებ საქმროს“ (1885), რომლის ლირიკული გმირიც პირდაპირ მიმართავს *ჩრდილოელ მოძალადე საქმროს*, რომ არასოდეს აღიარებს მას თავის ბატონად:

**დამეხსენი ჩრდილოელო,** / რა მაქვს შენთან საზიარო? [...] / შეგიპყრივარ, როგორც მთვარე / გველემპასა ძალადობით... <sup>126</sup> / **შენი ტყვე ვარ**, მაგრამ ჩემს გულს ანუგეშებს ის იმედი, / რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს / მთლად დაღეწავს ჩემი ბედი! / **დამხსნის შენსა მონებასა,** / ცბიერებას გაგიწილებს / გამიმტკიცებს გონებასა, / **თავის უფლად მაქორწილებს!** / დამეხსენი ჩრდილოელო! / რა მაქვს შენთან საზიარო? / ნუ, ნუ ჰფიქრობ, ჩემო მწველო, / რომ მფლობელად აღვიარო!.. (წერეთელი 1950ბ, 153-154).

მოცემულ მონაკვეთში ხაზგასმული სიტყვები კოლონიური ვითარების თვალსაჩინო მარკერებია. ესაა ავტორის თანამედროვე ქართული რეალობა, თუმცა ლექსში ამ სინამდვილის წანამძღვრებიცაა გათვალისწინებული, კერძოდ, სტრიქონებში - „ცბიერებას გაგიწილებს, / გამიმტკიცებს გონებასა“ - შესაძლებელია რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისა და საქართველოს სამეფო ხელისუფლების/ ქართველი ერის გულუბრყვილო მოლოდინის ამოკითხვა. საგულისხმოა, რომ ცხრაკლიტულში მყოფი სატრფოს იმედი უკავშირდება *ბედს*, რომელსაც პერსონიფიცირებული სახე აქვს (ეს არსებითი სიახლეა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ნაციონალური *ხსნის* მატრიცაში).

კოლონიზატორის მიმართ აქტიური პროტესტი გამოხატულია, აგრეთვე, ლექსში „ჩემს მწყალობელს“ (1900), რომელშიც „მწყალობელი“ შედარებულია

---

<sup>125</sup> მტრის ცბიერება ხაზგასმულია აკაკის ცნობილ ლექს „ნათელას სიმღერაშიც“ (1897): „შორიდან შემოგვეპარა / მტერი, ვით ტურა-მელაო / და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს, / არ მოსწონს ”დელა-დელაო!““ (წერეთელი 1950ბ, 380). ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ჩემს მეგობარს“ (1898), რომელშიც მოყვრულად მოსული მტრის, ფარისევლის, იუდას მხატვრული სახეებითა და „საბზელ-ქარის ანდაზით“ ალეგორიულად უნდა იყოს გამოხატული რუსულ-ქართული ურთიერთობა (წერეთელი 1950ბ, 399-400).

<sup>126</sup> თანამედროვე კოლონიური მდგომარეობის ასასახავად „ვეფხისტყაოსნის“ ინტერტექსტურობა აკაკის პოეზიის მნიშვნელოვანი მახასიათებელია (მველი ქართული ლიტერატურისადმი მე-19 საუკუნის ქართველ ავტორთა მიმართების შესახებ იხ. მენაბდე 1973).

პილატეს და ამოხსნილია მისი „კრიმანჭულ-გამოცანა“ - დამპყრობლური პოლიტიკა (წერეთელი 1950ბ, 440-441).

ქართულ-რუსული ურთიერთობები ალეგორიზების გარეშე, პირდაპირაა შეფასებული ლექს „დაკარგულ ქრისტიანობაში“ (1895), რომელშიც ჩრდილოეთთან დაკავშირების შედეგები შეჯამებულია ამგვარად: „გვიბღალვენ უწმინურებით / რჯულსა და ეროვნებასა / და ურჯულობას სარჩულად / უდებენ ქრისტეს მცნებასა“ (წერეთელი 2010, 310).

აკაკი წერეთლის პატრიოტულ ლირიკაში საქართველოს აღმნიშვნელად ყველაზე ხშირად გვხვდება რომანტიკოსთა შემოქმედებიდან ნამემკვიდრალი ტრადიციული მარკერი - *დატყვევებული სატრფო* ; დასტურდება *გარდაცვლილი სატრფოს მხატვრული სახეც*:<sup>127</sup>

როს ჭირისუფლად ვიყავ მწუხარე / და სატრფო მედვა კუბოში მკვდარი („მოზარე“, 1867);<sup>128</sup> და ვიფიქრე, ჩემი სატრფო სად არი? / ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი? / გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა! / გამიკვირდა! ვსთქვი: მტერს როგორ მონებდა? („აღმართ-აღმართ“, 1876); მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი? / - ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი! / ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქმობდილი, / უგრძნობელად ჰხდის საწყალს საღათას ძილი! / [...] მის წარსულსა ვიგონებ და გულსა მწყვეტს, / აწმყო მტანჯავს და გულს მიწვავს, ვით აბედს! („მუხამბაზი“; 1872); მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა / ვხედავდე თავისუფალსა / რომ ძალით ვერ აშინებდენ, / ვერც ნებით უხვევდენ თვალსა! („სურვილი“, 1880); მაშ, რაღად მინდა სიცოცხლე / მე, აწმყო-გამწარებულსა, / თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს, / ვხედავ მას აოხრებულსა? [...] ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, / მოელის ტურფა გამომხსნელს („ჭადარა“;

<sup>127</sup> აკაკის ცნობილ ლექს „სულიკოს“, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტრადიციული შეხედულების საწინააღმდეგოდ, არ განვიხილავთ ამავე კონტექსტში (სატრფო - სამშობლო), რადგან უფრო სარწმუნოდ და დასაბუთებულად უნდა იქნეს მიჩნეული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, „<სულიკო>> დაკარგული ღმერთის ძებნაა“ (ბაქრაძე 2004, 232).

<sup>128</sup> აკაკის ლექსში სამშობლო ალეგორიულად *გარდაცვლილი სატრფოს მხატვრული სახითაა* წარმოდგენილი; რომანტიკოსი პოეტის, ვახტანგ ორბელიანის, ლექსში კი საქართველო პირდაპირ სახელდებულია *მკვდრად*: „ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა, ჩვენი ივერი, / მაგრამ ივერი უსულდგულო, ივერი მკვდარი [...] / ეგრეთ უსულო ჩემთ თვალთ წინა იდო ივერი... / მაგრამ მკვდარიც კი იყო ტურფა და მშვენიერი“ (ორბელიანი 1881, 5).

1892-93);<sup>129</sup> სანამ ჩემი საყვარელი / ქაჯებსა ჰყავს ცხრაკლიტულში, / ვინ მადირსებს სასუფეველს? ჯოჯობხეთი მიძევს გულში! („სადამო“; 1892); მშვენიერო, შენ გეტრფი, [...] / მეგულები ციხეში, / ცხრაკლიტულში მჯდომარე... / შეთვისებას გიპირებს / გაიძვერა მოყვარე! / ტკბილად გაჭმევს, ტკბილს გასმევს, / შეზავებულს ბანგითა; / [...] / გაუმაგრდი განსაცდელს, / აიტანე ტყვეობა! / გშვენის ნესტან-დარეჯნის / მაგალითი... მზეობა. / ტარიელი დაგემებს / გავარდნილი დღეს ველად, / ავთანდილი ფრიდონით / მოდის გამოსახსნელად, / რომ სისხლი და ცრემლები / მსხვერპლად შენ წინ დაღვაროს!.. / აქ ცოცხლებს სცეს ნუგეში / და იქ მკვდრები ახაროს! („სატრფოს“, 1892).

დამოწმებულ ლექსთაგან უკანასკნელი სამი („ჭადარა“, „სადამო“, „სატრფოს“) „ვეფხისტყაოსანთან“ ინტერტექსტურ კავშირშია: ნაციონალური მნიშვნელობის პოემის ფაბულა გამოყენებულია კოლონიური რეალობის გამოსახატავად; მარკერები: *ნესტან-დარეჯანი* (საქართველო), *ქაჯები/ქაჯეთი* (რუსეთის იმპერია), *ტარიელი*, *ფრიდონი* და *ავთანდილი* (ეროვნული გმირები) ქართველთა ცნობიერებაში სტერეოტიპებად ქცეული მხატვრული სახეებით ახდენდნენ თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის იდენტიფიკაციას. ავტორის ამგვარი არჩევანი, გამომსახველობითი სიციხადის გარდა, იმაზეც მიანიშნებდა, რომ მდგომარეობა, რომელშიც ქართველები იმყოფებოდნენ, არ იყო მათთვის არსებითად ახალი, უცნობი, ისეთი, რომლის იპოდიგმური სახეც ქართულ კულტურაში არ მოიძებნებოდა, ე.ი., რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ნაციონალური ტრავმის ფორმულირება და დაძლევა.<sup>130</sup>

აკაკი *დატყვევებული/დამონებული/მკვდარივით მძინარე/მკვდარი* სატრფოს გვერდით ყოველთვის ხატავს *გაიძვერა მოყვარეს/მტერს*, რათა უფრო ნათლად,

<sup>129</sup> ლექს „ჭადარაში“ (1886) აკაკი წერეთელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი დასვა, მათ შორის, საკუთარი შემოქმედების ფუნქციის განსაზღვრისა: აკაკის მიხედვით, მის პოეზიას ეროვნული მნიშვნელობის მისია აკისრია - მოუწოდოს გმირებს, იხსნან სამშობლო (წერეთელი 1950ბ, 174-175).

<sup>130</sup> ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული აკაკის ლექსი „რუსთველის სურათზე“ (1882), რომელშიც პოეტი მიმართავს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, შეადლებინოს *ერის მგოსნობა*: „რომ ჩემის მღერით აგზნილი / რაყიფი ტარიელობდეს: / ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი, / ნესტანისათვის ხელობდეს!..“. ცხადია, ამ სტრიქონებში ალეგორიულად ეროვნული პრობლემა იკითხება. ქვეყნისადმი ამგვარი სამსახური - თავდადებისთვის მოწოდება, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება - მიიჩნევა ერის მგოსნის საქმედ.

სრულად ასახოს არსებული მდგომარეობის სიმძაფრე, მსხვერპლის უნუგემო მდგომარეობა; დამონებული ქვეყნის სახესთან ერთად, მკითხველის ცნობიერებაში აღიბეჭდოს დამნაშავეს, კოლონიზატორის სახეც (პრობლემა მთელი სისრულით იქნას გამოკვეთილი). მათ გვერდით, როგორც წესი, აუცილებლად დგას ქართველის/ლირიკული გმირის/თავად ავტორის ფიგურა. ეს „სასიყვარულო სამკუთხედი“ აკაკის პატრიოტული ლირიკის მთავარი პარადიგმაა - სწორედ მას ეყრდნობა პოეტის ნაციონალური რიტორიკა.

საქართველოს მარკერთა შორის აკაკის პოეზიაში გვხვდება *ავადყოფიც* (ამ სათაურით პოეტმა 1880 წელს ლექსიც დაწერა). ეს აღმნიშვნელი დასტურდება ჯერ კიდევ ალექსანდრე ჭავჭავაძის „მოკლე ისტორიულ ნარკვევში“, თუმცა აკაკის პოეტურ ნარატივში მეტი გამომსახველობითი სიცხადით გამოირჩევა და ქართული ნაციონალური დისკურსის ერთ-ერთ შთამბეჭქდავ მხატვრულ სახეს ქმნის:

არ მომკვდარა!... მხოლოდ სძინავს / და ისევე გაიღვიძებს!.. / ვინც შენატრის იმის სიკვდილს, / უმალ მასვე დაამიწებს. / ბევრის ბრძოლით დაღალულსა / ეჭირვება მოსვენება! / შემეცდარია, ვინც გულს იტებს: / წესი არის და ბუნება! / [...] არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს / და როდესაც გაიღვიძებს, / მოიგონებს იმათ სახელს, / ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!.. (წერეთელი 1950ბ, 10).

*სწეულება და ძილი*, როგორც საქართველოს მდგომარეობა, აღნიშნულია, აგრეთვე, მრავალმხრივ საყურადღებო ლექსში „ძველ სამეფოს“ (1863), რომელიც პოლიტიკური წნეხის ქვეშ მხატვრული ტექსტის გადარჩენის ტიპურ მაგალითადაც შეიძლება ჩაითვალოს. ცენზურისგან ლექსის გადასარჩენად, ივანე კერესელიძემ ნაწარმოების სათაური „ძველ სამეფოს“ შეცვალა ამგვარად: “დიდი მთავრის (იგულისხმება რუსეთის იმპერატორი - ც.კ.) მობრძანების დროს ახალი თაობა უგალობს საქართველოს“. ამ გზით ტექსტი გადაურჩა წაშლას/ჩასწორებას<sup>131</sup> და დაიბეჭდა 1863 წლის „ცისკრის“ მე-2 ნომერში. ლექსი, ავტორისეულ სათაურთან ერთად, პატრიოტული ლირიკის ნიმუშს წარმოადგენს და სამშობლოს გასათავისუფლებლად თავგანწირვისთვის ახალი თაობის მზაობას გამოხატავს,

<sup>131</sup> თავის ერთ მოგონებაში აკაკის ცენზურის შესახებ აღუნიშნავს: „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად ერთი რამ უფრო მაფრთხობდა ყველაზე და საფლავშიაც ქარცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ ცენზურაზე“ (წერეთელი 1956, 386).

შეცვლილი სათაურით კი აბსოლუტურად გადასხვაფერდა ტექსტის ხასიათი: ახალ დროდ წარმოდგა რუსეთის მფარველობა (მთლიანად შეიცვალა/ალეგორიული ქვეტექსტისგან დაიცალა ანტიკოლონიური სემანტიკის მატარებელი პასაჟები):<sup>132</sup>

სამეფო ძველთა-ძველო, / დღეს სნეულო, გულის მწველო, [...] / მაგრამ თუ დრო შეიცვალა, / გაცოცხლდები, საქართველო! / დავივიწყოთ ის „ნანინა“ / რამაც დღემდი დაგვაძინა! [...] / ამდენი ხნის მწუხარება, / ნახავ, მალე გაგეყრება!.. / გაიღვიძე, დროს ნუ ჰკარგავ [...] / მოემზადე, ახალი დრო / შესამკობლად გვირგვინს გიწნავს! / წინა წავალთ შენი ძენი, / გვსურს, ახალ დღეს ვულოთ ბჭენი, / და დავსთხოთ წმინდა სისხლი, / რომ გაგბანოთ ძველი სენი!.. / მზად ვართ, მსხვერპლად შეგვიწირე, / აღდეგ, შემოირტყი წენი! (წერეთელი 1950ა, 117-118).

ეპოქის კონიუნქტურის გათვალისწინებით „განეიტრალებულ“ (და ამის წყალობით, გადარჩენილი) ლექსს, მნიშვნელოვანი ჩარევის მიუხედავად, თავისი პათოსით აკაკის თანამედროვე მკითხველის ცნობიერებაში მაინც უნდა ჩაენერგა პოსტტრავმული თვითრეაბილიტაციის რწმენა.

აკაკი წერეთლის ალეგორიულ ლექსთა ციკლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს *სკვით(ებ)ის* თემას.<sup>133</sup> ისტორიულად, სკვითობა პირდაპირ უკავშირდება სლავურ სინამდვილეს და სამი პლასტისგან შედგება. ესენია: ტრადიციების უქონლობა, დაპყრობა და ასიმილირება. ამ სემანტიკით დატვირთული მტრის მხატვრული სახე აკაკის პოეზიაში განსაკუთრებული პროტესტის განცდას ბადებს:

ვერ შევსძლებ, რომ შევურიგდე / სკვითურ რიგს და იმათ წესსა! („გამოთხოვება“, 1883); მამა უცხოდა სკვითორელს, / თავი-კი მივსცე ხელადა („სახალხო შაირი“, 1884); ცბიერს - სომეხიც, ქართველიც / სკვითურ ფეხებზე ჰკიდია! [...] / მაგრამ გულწრფელი ქართველი / განა მიხვდება ამასა? / როცა არ ჰსტორავს, დათვსაც-კი / ეძახის „კეთილ-მამასა! („ყიზილბაშური“, 1904); მაგრამ ვაი თუ სხვა რამ აღელვებს / და სხვაზედ იყოს დაფიქრებული, / და დღეს, როგორც სხვებს, ისე ამასაც / მხოლოდ სასკვითოდ უცემდეს

<sup>132</sup> ბუნებრივია, მე-19 საუკუნის ქართველი მკითხველი, პოეტის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ლექსს სწორედ ავტორისეული ჩანაფიქრით კითხულობდა და არა - საცენზურო კომიტეტისგან დასაცავი დასათაურების მიხედვით.

<sup>133</sup> *სკვითები*, როგორც რუსების მარკერი, პირველად გამოიყენა იოანე ბატონიშვილმა („სკვითთ წაგვართვეს მთლად ქვეყანა“), მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში კი ეს მარკერი იმავე ფუნქციით გამოიყენა მიხეილ ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელში“.

გული?! („ერისთავის ასულს საპასუხოდ“, 1904); ნუთუ სკვითი-კი არ მეყოფოდა / ახლა რომ მოდის კიდევ სხვა მეხი („მობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“, 1908).

ცხადია, *სკვითობას* აქ მხოლოდ ნომინალური ხასიათი არა აქვს; ის, როგორც მოვლენა, თავისი არსით ანტიეროვნულია და ყოველივე ქართულის დავიწყებას უკავშირდება. ამ კონტექსტში აკაკი განსაკუთრებით გამოკვეთს ქართველი ქალის სახეს, რომელმაც მედროვეობით უარი თქვა თავის ეროვნულობაზე და გარუსდა. მისი მთავარი მახასიათებლებია ნაციონალურ წეს-ჩვეულებებსა და ცხოვრების წესზე უარის თქმა, მოდას აყოლა, მშობლიური ენის ნაცვლად რუსულად მეტყველება, საკუთარი ეროვნული წარსულის უცოდინრობა/მიუღებლობა/დავიწყება („ახლანდელ ქალებს“, 1875; „ერთი ქალისას ამბობდენ“, 1880; „პროზიდან „ბოდვა“, 1889; „ტ. ბაგრატიონის ალბომში“, 1891; „სიზმარი“, 1898; „გამოცანები“, 1899, „გადარჯულებული“, 1907-8). ავტორის დამოკიდებულება ყველა ლექსში ცალსახადაა გამოკვეთილი; ფორმულის სახით კი მოცემულია ამ თემაზე დაწერილ ყველაზე ადრეულ ტექსტში - „ალბომში, ახლანდელ ქალებს“ (1892-3): „ძველი დედების ქალობა / დავიწყებია, სთქვი, რად? / უპიროდ გახუნებულხარ, აჭრელებულხარ სკვითურად!.. / მაშ რაღად გიკვირს, რომ მძულდე... / არ ვიყო შენი მოყვარე / და შენს სიცოცხლეს მერჩიოს / ძველი დედების სამარე?!“ (წერეთელი 1950ბ, 244)<sup>134</sup>

*სკვითობის* მთავარი მახასიათებელი - ანტიეროვნულობა - ვლინდება ცხოვრების წესით: აზროვნების, ქცევის, ჩაცმულობის, მეტყველების მოდელად დამპყრობი ქვეყნის სოციო-კულტურული პარადიგმის მიღებით, რითაც ანექსირებული ქვეყანა ნაციონალური ავტოპორტრეტის წაშლის რეალური საფრთხის წინაშე დგება. ამ საშიშროების დაძლევის საშუალებად, მის ალტერნატივად აკაკის ლირიკაში ეროვნული ისტორიისა და ლიტერატურის ხსოვნაა წარმოდგენილი, რაც გამოხატულია წმინდა ნინოს, თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის, აგრეთვე თინათინისა და ნესტან-დარეჯანის სახეების გამოკვეთით. ნაციონალური კულტურული წარსულის ხსოვნით, კოლექტიური მეხსიერებიდან ისტორიულ პირთა და ლიტერატურულ პერსონაჟთა „გამოხმობით“ უნდა შენარჩუნებულიყო

<sup>134</sup> ისტორიულ/ლიტერატურულ გმირებსა და თანამედროვე ქართველ ქალებს შორის არსებული კონტრასტი ხაზგასმულია ლექს „სიზმარშიც“ (1898): „არც თამარი, არც თინათინ, / აღარც ნესტან-დარეჯანი!.. / აღარც ერთს არ ეტყობოდა / ქართველობის რამ ნიშანი!..“ (წერეთელი 1950ბ, 387).

ეროვნული ავტოპორტრეტი კოლონიზატორი ქვეყნის მიერ თავს მოხვეული *ახალი იმიჯის* ასარიდებლად. მაგრამ, აკაკის ლირიკის მიხედვით, პოეტის თანამედროვე ქართველი სწორედ ამ პიროვნულ არჩევანს ვერ აკეთებდა; შესაბამისად, ყალიბდებოდა ჰიბრიდულ არსებად, რომელსაც ერთიანი/მთლიანი სახე არ ჰქონდა.

ასეთია აკაკის პოეზიაში თანამედროვეობის რეფლექსიის გამომხატველი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა, რომელიც მარკირებულია სახელებით: *ფარისეველი, ფუჭი მამულიშვილი და მონობით მკვები*. ყველა მათგანში იგულისხმება ურთიერთდაპირისპირებულ სივრცეთა შორის გაორება („უცხო კაცად არ ვარგხარ, აღარცარა შინა ხარ, / ორთა შუა აგდიხარ“; „ეჰ, ქართველო“, 1868 (წერეთელი 1950ა, 166)).<sup>135</sup> ამ ტიპის ქართველის მიმართ ავტორი დაუფარავად ავლენს თავის უარყოფით დამოკიდებულებას (ლექსების უმრავლესობა, აღწერითთან ერთად, მიმართვითი ხასიათისაა) და გამოკვეთს მის ძირითად მახასიათებლებს: სამშობლოს ღალატს, მტრისადმი მლიქვნელობას, თანამომძმეთა დაჩაგვრის გზით დაწინაურებასა და შინაგან სიცარიელეს. განსაკუთრებით გამოსაყოფია ორი ნიშანი: *მშობლის მკვლელის მსახურება* („დიდი ვინმე“, 1880) და *საკუთარი წარსულის დაცინვა* („ბოდვა“; 1889-92). ეს მახასიათებლები პირდაპირ გულისხმობს ნაციონალური იდენტობის კონტექსტს: *მშობლის მკვლელობა და წარსულის მნიშვნელობის გაუქმება/დაცინვა*, აბუჩად აგდება, დავიწყება (ფაქტობრივად, ეს ერთი და იგივეა) ნიშნავს საკუთარი იდენტობის წაშლას, რადგან იდენტობა წარმოუდგენელია წარსულის ხსოვნის/გახსენების გარეშე.<sup>136</sup>

---

<sup>135</sup> მთლიანად ამ პრობლემაზეა აგებული აკაკის „ღამურა“ (1880), რომლის ცალკეული სტრიქონები საკუთრივ ნაციონალური იდენტობის კონტექსტში იკითხებ(ოდ)ა და სწორედ ამიტომ ცენზურამ ერთი (მე-17) სტროფი აკრძალა კიდევ. ამგვარი პასაჟები მთელი კონტექსტის გარეშეც ერთგვარ ფორმულებს წარმოადგენს: „კრულ იყოს მისი სახელი, / ვინც მთა გასცვალოს ბარზედა! / თვის ტომის დამწუნებელსა / ჭირი მიუვა კარზედა! / ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა / და ნუ სცვლის თვისსა ენასა/ [...] გადაგვარების მოსურნე / ბუნებისაგან კრულია! [...] / კრულია მისი ხსენება, / ვინც დაჰგმობს დედა-ენასა“ (წერეთელი 1950ა, 21).

<sup>136</sup> თანადროული კოლონიური ვითარების ალეგორიული ასახვის საინტერესო მოდელია წარმოდგენილი აკაკის პამფლეტ „ახლანდელ პოლიტიკაში“ (1886), რომელიც ცენზურამ ჯერ მთლიანად აკრძალა, შემდეგ საიდუმლოდ ვრცელდებოდა ქართველ ინტელექტუალთა წრეში, ბოლოს კი ჩასწორებული (დამახინჯებული) ვარიანტით გამოიცა. მისი პირველადი სახით დაბეჭდვა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისთვის მოხერხდა. ლექსში მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან მოლა

ის, თუ როგორია აკაკისდროინდელი ქართველი, დეკლარირებულია ლექსებში, რომელთა სათაურები ნაციონალური დისკურსის მთავარ თემაზეა აგებული: „ქართული პატრიოტობა“ (1897), „პატრიოტი“ (1903), „თანამედროვე გმირი“ (1913). მათში წარმოდგენილია სახე გადაგვარებული ადამიანისა, რომელმაც ცხოვრების სკვითური წესი აირჩია და მამინაცვალ არჩია მამას, გადამთიელი (!) დედინაცვალი - დედას. ამგვარი საბედისწერო არჩევანის გაკეთების შემდეგ, საბოლოოდ, ის გაწვრთნილ ცხოველს დაემსგავსა: „გაწვრთნილი სხვების ნება-სურვილზე, / როგორც პირუტყვი რამე ოთხფეხი, / **დამვიწყებელი თვისი წარსულის, / მხოლოდ მონობით თავისა მკვები!**“ („ახალგაზრდებს“, 1911).<sup>137</sup>

თანამედროვე ქართველის მხატვრული სახის შექმნისას აკაკი წერეთელი ეხება *რუსული განათლების* თემსაც (ჯერ კიდევ რომანტიკოსების შემოქმედებაში ეს საკითხი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის კეთილშობილურ მიზნად აღიქმებოდა - სიკეთე, რომელიც *ჩრდილოეთს* უნდა მოეტანა, იყო განათლება, რომლის მიღებითაც ძველი ივერიიდან *ახალი ქართლი* უნდა შობილიყო). რომანტიკოსთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, „რუსული პროექტის“ ნაყოფი აღმოჩნდა ეროვნული შინაარსისგან დაცლილი და მისაბამ მოქალაქედ დასახული ადამიანი („აპელაციის მცოდნე“, 1861). მეორე მხრივ, რუსეთში მიიღეს განათლება თერგდალეულებმა, რომლებმაც ახალი ხანა დაიწყეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. აკაკის მიხედვით, ეს თაობა *მამებმა* „რუსეთუმედ“ მონათლეს („ფარისეველი“, 1862).

მარკერი „რუსეთუმე“ კოლონიური მდგომარეობის მეორე, „მშვიდობიანი“ პერიოდის ტერმინია, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი, ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლი თაობა გამოჩნდა. ამ მარკერში ასახულია მათდამი

---

(მის სახეში ეგზარქოსი პავლე იგულისხმება), ყადი (იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი დუნდუკოვ-კორსაკოვი) და ახუნდი (კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველი პავლე იანოვსკი), რომლებზეც ავტორი წერს - „ჩაყლაპვას გვემუქრებიან“ (წერეთელი 1950ბ, 173).

<sup>137</sup> ამავე კონტექსტში იკითხება აკაკის ლექსის „ჩუ, ქართველო“ (1865) სტრიქონები: „ <<მამაცი ვარ!>> ნუ იმახი! / როგორ უნდა დაგიჯერო, / როცა ტყავს გამრობს მათრახი“ (წერეთელი 1950ა, 148).



მამათა ირონიული დამოკიდებულება (აკაკის პირველი დაკარგული პოემაც - „რუსეთუმე“ (1861) სწორედ ამ თემაზე იყო დაწერილი).<sup>138</sup>

რუსული განათლების თემას ეხება აკაკი ალევორიულ ლექს „გიორგის აღსარებაშიც“ (1869), რომელიც ქართული კოლონიურ სინამდვილეს ადვილად გასაშიფრი მხატვრული სახეებით აღწერს:

ადრე ყოფილა ჩემი გვარი „ქართველიშვილი“, / შემდეგ მეძახდენ „გულჯიოდლის“ დიდხანს  
თათრები, / დღეს კი „გრუზინსკით“ შევიქენი მე გარდაქმნილი, - / სულ დამეკარგა გვარ-  
ტომობის ძველი დავთრები! [...] / ოჰ, მიეყაროს იმ კუდურსა თვალში ნაცარი, / რომ ობლის  
კვერი იმის ხელში გვიან ცხვებოდა! / წინაგანზრახვით არ მომცა მე მაღალი სწავლა, /  
ოქროქსოვილით ამიხვია ორივე თვალი, / რომ ვერ შევიძლო მე უმისოდ სწორ გზაზე გავლა /  
და მის მონასა მეზნოდეს აწ გზა და კვალი! (წერეთელი 1950ა, 185-186)

ქართველთა ტიპური პორტრეტების გვერდით, ნაციონალური პრობლემა ქვეყნის მდგომარეობის ამსახველი საერთო სურათითაც იკვეთება. ეს უკანასკნელი სემანტიკური მეხსიერების კონტექსტშია წარმოდგენილი - თანამედროვე ქართული სინამდვილის მხატვრული მოდელის შექმნისას აკაკი ებრაელი ერის ისტორიის კულტურულ პარადიგმას ეყრდნობა: ეროვნულ პრობლემას ბიბლიური (კერძოდ, ძველადთქმისეული) მოდელის მიხედვით აშინაარსებს<sup>139</sup> და საქართველოს ადარებს ღვთისგან განდგომილ ისრაელს, რომლის გამოც გოდებდა იერემია წინასწარმეტყველი (აღსანიშნავია, რომ სწორედ იერემიას გოდების ტექსტში დასტურდება სიტყვები: „მითხრა უფალმა: ჩრდილოეთიდან დაატყდება თავს უბედურება ქვეყნის ყველა მკვიდრს“ (იერემია: 1. 14)).

ებრაულ თემას აკაკის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ნაციონალური დისკურსის პოზიციიდან ბაირონიდან თარგმნილი ლექსი (უფრო ზუსტად, ახალი რედაქცია) „გოდება ებრაელთა“ (1901) ორიგინალური

<sup>138</sup> რუსეთუმეს თემაზეა დაწერილი აკაკის პოპულარული კომედიაც, სათაურით - „ძველსა და ახალს შუა“ (1867), რომლის ერთი მონაკვეთი (მეორე მოქმედება) ცენზურამ აკრძალა, თუმცა, ავტორის არქივმა შემოინახა. ამ ნაწილში რუსი ჩინოვნიკი ხელისუფლების სახელით აბუჩად იგდებს სასამართლოს მოხელეებსა და ქართველ თავადებს (წერეთელი 1959ა, 29-36).

<sup>139</sup> ბიბლიური სემანტიკით აშინაარსებს აკაკი სატირულ მოთხრობას „კუდაბზიკეთსაც“ (1899), რომლის პირველი ნაწილი მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილეს ალევორიულად გამოხატავს, ბოლოს კი ღვთისმშობლისა და უფლის საუბრის ეპიზოდში აღნიშნულია იობის განსაცდელით ქვეყნის გამოცდისა და ამაღლების შესახებ (წერეთელი 1958ბ, 191).

ნაწარმოებების ღირებულებას იძენს. ტექსტში სრულიად ნათელი ალეგორიული სახეებით წარმოდგენილია ეროვნული პრობლემა - ტყვეობა და ისრაელისთვის თავდადების იდეა მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილისთვის კოლონიად ყოფნასა და მოყვრულად მოსულ მტერთან შეურიგებლობას აღნიშნავდა („წმინდა-წმინდათა ხარ, ეროვნებავ, თვით ტყვეობაშიც ხელუხლებლო!“), მარკერები - *ბაბილონი* და *იერუსალიმი* კი - რუსეთისა და საქართველოს მხატვრულ სახეებად უნდა წაკითხულიყო (წერეთელი 1955, 59-60).

ბიბლიურთან ერთად, ნაციონალური პრობლემა მითოლოგიური მოდელის (კერძოდ, ამირანის მითის) მიხედვით წარმოდგენილია ლექსში „საქართველოს დღევანდელი სახე“ (1902).<sup>140</sup> წარწყმედისა და გათავისუფლების კონცეპტთა გარდა, ეს ნაწარმოები თანადროულ ისტორიულ მოვლენებსაც ითვალისწინებს (ტექსტში მარქსისტული მოძრაობის გამოძახილიც იკითხება) და საბოლოოდ, პოეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიას ყველაზე ფართო კონტექსტში გაიაზრებს: ეროვნული იდენტობა რელიგიურ, მითიურ და პოლიტიკურ მსოფლმხედველობრივ პლასტთა გადაკვეთის წერტილშია წარმოდგენილი.

აკაკი წერეთლის პოეზიაში, ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი ლექსის - „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“ (1882), „განთიადისა“ (1892) და „ილიას მოკვლის გამო“ (1907) - განხილვა. დასახელებულ ტექსტებში ავტორმა საკრალური მნიშვნელობით დატვირთა მე-19 საუკუნის სამი გამორჩეული მოღვაწის სახელი: ისინი არიან გმირები, რომელთაც არასოდეს დაივიწყებს შთამომავლობა, წმინდაა მათი საფლავები (ამ გზით აკაკი წერეთელმა ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე ქართული ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელ პირებად გამოაცხადა).<sup>141</sup>

<sup>140</sup> ამირანის მითზე აგებული ეს მონაკვეთი აკაკის ცალკე ლექსადაც აქვს წარმოდგენილი. ბოლო ორი სტროფი, განმარტებითი ხასიათისა („არის მთელი საქართველო [...] მოვა დრო და / [...] სიხარულად შეეცვლება...“) ცენზურამ ასე შეცვალა: „არის თურმე მგოსნის გული [...] სიხარულად შეეცვლება მგოსანს ძველი გასაჭირი“ (წერეთელი 1950ბ, 473-474), რითაც ტექსტის ნაციონალური ალეგორია მთლიანად მოხსნა.

<sup>141</sup> ამაზე პირდაპირ მიუთითებს სტრიქონები: „შენს წმინდა საფლავს, / გულის მოსაკლავს, / დავეყურებ, გმირო, სულგანაბული [...] / მამულისშვილო, / ამაღლებულო სულით ზეცამდე! / იყავ კურთხეულ, / არ-

ქართველი რომანტიკოსისადმი მიძღვნილ ლექსში აკაკიმ ერთმანეთს შეუპირისპირა ანექსიამდელი წარსული და თავისი ეპოქა („ეს არ-სანატრო, / უკუღმართი დრო“), ამასთან, თვით ერთი საუკუნის ფარგლებში განასხვავა სამშობლოში არსებული ვითარება. ტექსტში ნათლადაა ფორმულირებული საქართველოს კოლონიური მდგომარეობა („[...] ჩვენი ერი, დღეს სხვის ფეხთ მტვერი, / შენ არ გინახავს ასე ჩაგრული!“); დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი მთელი პოეტური ტექსტი სამშობლოსადმი თავდადებული მამულიშვილის დამოკიდებულების ერთგვარ ფორმულად იქცა, თავად ყიფიანი ეროვნულ გმირად გამოცხადდა. მესამე ლექსში ილიას აღსასრული შეადარა მეფე დიმიტრისა და ყიფიანის მკვლელობებს („მეფე მოჰკლეს მონღოლებმა, / დიმიტრიც მტრის მოკლულია!..“) და ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენად დაასახელა („ის [იგულისხმება საქართველო - ც.კ.] გამოახელს მაგითი თვალებს“).

ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული ერთსტროფიანი ლექსი „ეგნატე ნინოშვილისადმი“ (1895), რომელშიც მწერლის ღვაწლი სამშობლოსადმი დამოკიდებულების მიხედვითაა შეფასებული:

მას, ვინც სიცოცხლე ხანმოკლე, / ხანგრძლივად ნაყოფიერი, / წმინდად უმსხვერპლა სამშობლოს, / არ დაივიწყებს მას ერი (წერეთელი 1950ბ, 332).<sup>142</sup>

**წარსულის ინსცენირება:** თანამედროვე კოლონიური ვითარების ასასახავად აკაკი წერეთელმა ისტორიული სინამდვილის ინსცენირების მეთოდსაც მიმართა. ხშირ შემთხვევაში, მან ტექსტებში ჩართო პოლიტიკური მნიშვნელობის ადვილად

---

დავიწყებულ / ამიერიდან უკუნისამდე!..“ („ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“, 1882); „მდინარე ნანას უმდერის / რაინდსა, ურჩსა მტრისასა... / მთაწმინდა გულში იხუტებს / საშვილიშვილო სამარეს“ („განთიადი“); „და ილიაც არ მომკვდარა... / მამულისთვის რჩება ლამპრად / [...] თავი დასდვა ქვეყნისათვის, / მიჰბაძა ძმებს თავდადებულთ: / მეფესა და ყიფიანსა...“ („ილიას მოკვლის გამო“).

<sup>142</sup> ქართველ მწერალთა შემოქმედების შეფასების გვერდით, აკაკის პოეზიაში თვითრეფლექსიის ნიმუშად წარმოდგება ლექსები: „ჩანგურის ძალა“ (1864), „ჩანგური“ (1871), „პოეტი“ (1886) და სხვ. მართალია, მათში პირდაპირ არსადაა ხაზგასმული ნაციონალური კონტექსტი, თუმცა, *სიმართლის მსახურება, დაჩაგრულის ნუგეშისცემა და მჩაგვრელის მხილება* სწორედ ის საორიენტაციო თემატური მინიშნებებია, რომელთა მიხედვითაც, დასახელებული ტექსტებით ეროვნული პრობლემისადმი პოეტის დამოკიდებულება იკვეთება.

ამოსაცნობი ფრაზები, რომლებიც ქართული ნაციონალური დისკურსის ერთგვარ ფორმულადაც იქცა (მაგალითად, „ცოცხალ მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“ - „ბაგრატ დიდი“). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულია პოემა „თორნიკე ერისთავის“ მთელი დასაწყისი, რომელიც ცენზურამ აკრძალა (და რომლის ერთი ნაწილის დაბეჭდვა მაინც მოახერხა ავტორმა):

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა? / და ან ცაზე ვარსკვლავები? / ვინ შეამკოს ღირსეულად / ქართველ-გმირთა მხარ-მკლავები? / ვინ მოგვითხრას მათი საქმე / უთვალავი, საგმირონი, / და ან მათზედ გადმოსული / მაღლი ღვთისა და მირონი? / ნაშთი ძველი დიდებისა / არ გამქრალა ჯერაც ყველა; / დღესაც მისის შარავანდით / ნიშანს გვამღვეს ცისარტყელა. / შვიდ სამეფოს მოგვაგონებს / მოელვარე ის შვიდფერი/ და გვამღერებს: „**არ მომკვდარა! / გაიღვიძებს ისევ ერი!**“ / ამ იმედით ფრთაშესხმული, / ჩვენი გული სიამით სძგერს / და ოცნებაც ლაჟვარდ ფერად / წარმოგვიდგენს ქართლისა ერს, / წარსულ-ნერგზედ ახალ ნამყნის / ველოდებით შეხორცებას! / **მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს** / და ვემღევიტ აღტაცებას.

ამ შესავალში, მიზანმიმართული ოპტიმისტური პათოსის გარდა, მნიშვნელოვანი კონცეპტიცაა გამოკვეთილი: ჰეროიკული წარსულის განდიდების ფორმად, *უთვალავ საგმირო საქმეთა* მოთხრობის საშუალებად მიჩნეულია პოეტური ნარატივი, რომელიც მხოლოდ მაგალითს კი არ სახავს, არამედ ამტკიცებს, რომ გმირული ისტორიის მქონე ერს მომავალი აუცილებლად ექნება.<sup>143</sup> ამგვარი განწყობის შექმნა მე-19 საუკუნის ქართულ კოლონიურ რეალობაში ერის ნორმატიული ცოდნის ჩამოყალიბების მცდელობად უნდა შეფასდეს (ქართველებს თვითიდენტიფიკაცია უნდა განეხორციელებინათ თეზით: *ჩვენ ვართ ის ერი, რომელსაც დიდებული გმირული ისტორია აქვს და სწორედ ამის გამო ის დაძლევეს დღევანდელ მდგომარეობას*).

*აწმყო ნაღვლის გასაქარვებლად* ლიტერატურის საშუალებით ისტორიის შეხსენება ავთენტური ნაციონალური ავტოპორტრეტის აღდგენა/შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ამავე მიზანს ემსახურებოდა ტექსტის ფინალურ ნაწილში წმინდა ნინოს, თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის მხატვრულ სახეთა შემოყვანა: მათი

---

<sup>143</sup> მომავლის რწმენის პათოსით აქვს დაწერილი აკაკის ლექსი, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ტექსტი ეროვნულობის პრობლემაზეა აგებული: „ასეა ეროვნებაც: / ხანდახან შებღალულია, / მაგრამ სიცოცხლის ნიშანი / სადღაცა მიმალულია. / მოძებნა უნდა იმ ნიშნებს / და ქვაკუთხედად დადება, / ის აკვანია მომავლის, / მყოზადიც დაიბადება“ (წერეთელი 1950ბ, 169).

საშუალებით ყურადღება მიექცა სარწმუნოების, ძლიერებისა და თავგანწირვის მოტივებს, რომელთა მნიშვნელობაც ეროვნული იდენტობის კონტექსტში გამოიკვეთა: სწორედ ამ იდეალების ერთგულმა წმინდანებმა უნდა შესთხოვონ უფალს ცოცხალ-მკვდარი ქართველი ერის აღდგენა და ქართული ენის გადარჩენა.

წარსულის ინსცენირების თვალსაზრისით, აკაკის ლირიკაში აღსანიშნავია ლექსი „სიმღერა ძველთა“ (1886), რომელიც მტრის წინააღმდეგ ქართველთა საბრძოლო შემართების გამომხატველია. მე-19 საუკუნის ქართველი მკითხველისთვის ეს ტექსტი, ერთი მხრივ, საკუთარი ეროვნული წარსულის გახსენება იყო და, მეორე მხრივ, მოწოდებაც, ბოლომდე ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ:

ჩემი ძველების ანდერძსა / ვერ გავტებ დიაცურადა: / ან მოვკლავ, ან შევაკვდები / ქვეყნის მტერს ვაჟვაცურადა. / და ანდერძს გაუტეხელად / გადავცემ შვილისშვილებსა [...] / ქართველმა ხელი ხმაღს ვიკარ, / მტერს რაღად შევუშინდები! / სიცოცხლეს მსხვერპლად შევსწირავ / და სულით დავეწინდები!.. (წერეთელი 1950ბ, 171).<sup>144</sup>

ისტორიულ ნარატივთან ერთად, ქართული რეალიზმის ნაციონალურ დისკურსში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს *სასწაულის მოტივი*, როგორც უზენაესის თანადგომის, ნების გამოხატულება. „თორნიკე ერისთავის“ (ისევე, როგორც „აჩრდილის“) მიხედვით, ეს ცისარტყელას მხატვრული სახით ვლინდება (ძველი აღთქმიდან მომდინარე ცისარტყელას სიმბოლური მნიშვნელობა კი უშუალოდ უკავშირდება წარღვნისაგან გადარჩენის მოტივს).

რელიგიური და ისტორიული კონტექსტის გვერდით, „თორნიკე ერისთავში“ ავტორის თანამედროვე კოლონიური ვითარების ყველაზე ნათელი გამოხატულებაა ამირანის მითი და მისი ინტერპრეტაცია (ეს არის ის შემთხვევა, როცა ტექსტი და

---

<sup>144</sup> სამშობლოსთვის თავგანწირვის იდეა განსაკუთრებით ხაზგასმულია ლექს „თემურ-ლენგის ტყვეში“ (1893), რომლის ფინალურ ნაწილში წარმოდგენილი ფორმულირება - „ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს, / არ ეთქმის ქვეყნის შვილიო“ - მე-19 საუკუნის ქართული კოლონიური სინამდვილისთვის საორიენტაციო მსოფლმხედველობრივ მოწოდებად უნდა აღქმულიყო.

მისი ეგზეგეზა ერთადაა წარმოდგენილი: ავტორი თავად შიფრავს ალეგორიულ ნარატივს<sup>145</sup>).

კავკასიის ქედზე იყო /ამირანი მიჯაჭვული, /ყვავ-ყორანი ეხვეოდა, / დაფლეთილი ჰქონდა გული. / ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის / გულს ცეცხლი არ ნელდებოდა/ და რაღაცა მანქანებით / გული ისევ მთელდებოდა. / ჰქონდა ჭირში მოთმინება, / არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა; / უსამართლო ძლიერებას/ მონურად ქედს არ უხრიდა, / ბოლოს მაინც გამარჯვება / დარჩა! ყველა გააოცა!.. / და ის ღვაწლი მაგალითად/ მიწის შვილთა მან გადმოსცა./ კავკასიის მაღალ ქედზე / მიჯაჭვული ამირანი / არის მთელი საქართველო / და მტრები კი - ყვავ-ყორანი. / მოვა დრო და თავს აიშვებს, / იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!.. / სიხარულად შეეცვლება / იმდენი ხნის გასაჭირი! (წერეთელი 1956, 78-79).<sup>146</sup>

გამჭვირვალე პოლიტიკური ქვეტექსტის მატარებელი ტექსტისთვის ეგზეგეტიკური ხასიათის ინფორმაციის დართვა ცალსახად ხაზს უსვამს იმას, რომ პოეტის მიზანია ქართველთა ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა.

საქართველოს კოლონიური მდგომარეობის შედარება მითიური ამირანის ტანჯვასთან ვაჟას შემოქმედებაშიც გვხვდება, მაგრამ აკაკისთან საყურადღებოა მითის ორიგინალური დასასრულის პოეტისეული რედაქტირება: ხალხური გადმოცემის თანახმად, ამირანის ტანჯვა დაუსრულებელია. აკაკი წერეთელმა შეცვალა ამგვარი ფინალი და მეამბოხის ისტორია გამარჯვებით დაასრულა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მან თანამედროვეობის პრობლემების შესაბამისად, ერის ცნობიერებაში უკვე არსებული *ნორმატიული ცოდნის* კორექტირება მოახდინა, შექმნა ცვლილებაზე ორიენტირებული სტერეოტიპული წარმოდგენა, შემოიტანა

---

<sup>145</sup> ამ ხერხს აკაკი წერეთელი პოემა „ნათელაშიც“ მიმართავს: განმარტებას ურთავს ალეგორიული შინაარსით დატვირთულ ტექსტს: „ჩანგურს სიმები გაუფი [...]/ ჩანგური საქართველოა“ (წერეთელი 1956, 204).

<sup>146</sup> ამირანის თემას აკაკი სხვა ტექსტშიც („გაზაფხული“, 1883) ეხმიანება: „სანამ ძველი პრომეთეოს, / ქართველების ამირანი / მიჯაჭვული მეგულება, / ვერ გამსჭვალავს სხვა საგანი. / და როდესაც თავს აიშვებს, / ჭირნახული გმირთა-გმირი, / ჩემთვის მაშინ ვარის ფერად / აწყვავება ქვეყნის პირი“ (წერეთელი 1950ბ, 109-110).

ახალი სააზროვნო მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა ეფიქრა/ეხელმძღვანელა ქართველობას.<sup>147</sup>

საბოლოოდ, პოემის დასაწყისის, ამირანის მითის/ მისი ინტერპრეტაციისა და დასასრულის გათვალისწინებით, *ქართული ნაციონალური იდენტობა სამ ფუნდამენტურ კატეგორიას ეყრდნობა: ისტორიულ წარსულს, მითოსსა და რელიგიას*. სამივე მათგანი კი, ერთიან სემანტიკურ ველში, პირდაპირ უკავშირდება *ერის ხსნის იდეას*.<sup>148</sup>

1895 წელს აკაკი წერეთელმა იაკობ გოგებაშვილს მიუძღვნა ლექსი „თერთმეტი ენკენისთვე“,<sup>149</sup> რომელშიც საქართველოს ისტორიისთვის გარდამტეხ ხანად ერეკლეს მოღვაწეობაა მიჩნეული.<sup>150</sup> პოეტის შეფასებით, კრწანისის ველზე ქართველთა დამარცხების შემდეგ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი მხოლოდ „უფარისევლო და პირდაპირი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეუძლებელია, მოყვრად ცნო ის, ვინც

---

<sup>147</sup> საზოგადოდ, ლიტერატურაში მითოლოგიური რენარაციის მიზანია ახალი რეალობის შექმნა და არა მითის სიუჟეტის გაცოცხლება. თავად მითი/მითოსი კი აღიქმება არა ისტორიის ნაწილად, არამედ იმ ერის ისტორიის მაფორმირებელ საშუალებად (ლიტერატურაში გახსენების ობიექტურობის ხარისხის, ასევე, გახსენების კულტურასთან მითოსისა და მითოლოგიური თხრობის კავშირის შესახებ იხ. Wodianka 2005, 211-230).

<sup>148</sup> აკაკის პოეზიაში არის მთელი რიგი „დრამატიული პოემების“ („თამარ ცბიერი“, „მედია“, „პატარა კახი“...), რომლებშიც პირდაპირ არ იკითხება მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილესთან კავშირი, არც ავტორისეული ეგზეგეზებია მოცემული, მაგრამ ყველა მათგანში წამყვანია ნაციონალური თემა და იდეალადაა დასახული სამშობლოსთვის თავგანწირვა.

<sup>149</sup> ამავე თემაზე - აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებაზეა - დაწერილი „ზარი“ (1882), რომელშიც ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციაზე მეტად მე-19 საუკუნის ქართული კოლონიური სინამდვილის ნიშნები იკითხება: „აი, რა ვუთხრა მისთანა / პატრონსა ჭირისუფალსა, / რომელსაც რისხვით სტუქსავენ... / წყალობით უხვევენ თვალსა! / რაც ძალადობით წაიღეს, / ვინ დააბრუნებს ნებითა? / ვინ ნახა თავისუფლება / ტანჯვით და მოთმინებითა?!“ (წერეთელი 1950ბ, 77)

<sup>150</sup> ერეკლეს გარდაცვალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ აკაკის პროზაულ ტექსტში „ოცდარი თებერვალი 1898“, ნაციონალური პრობლემის გააზრების თვალსაზრისით არაერთი საგულისხმო მომენტი ხაზგასმული: ერეკლეს პოლიტიკური არჩევანი ისტორიული გამოცდილების პერსპექტივიდანაა დანახული (შედარებულია ერეკლესდროინდელი და მე-19 საუკუნის ქართული რეალობები) და ბიბლიური ტექსტების ჩართვით მინიშნებულია რელიგიური კავშირის სიმყიფეზეც (წერეთელი 1958ბ, 162-167).

საკუთარ წარსულსა და ეროვნებას გავიწყებს: „მოყვრად ვერ ვიცნობთ, ვინც ცივად გვეტყვის: / ”შესცვალეთ თქვენი ხორცი და ფერი, / დაჰკარგეთ ენა, ზნე-ჩვეულება, / უარჰყავთ თქვენი ყოველიფერი! / წარხოცეთ თქვენი მეხსიერება“ (წერეთელი 1950ბ, 336)<sup>151</sup>.

უკანასკნელი სტრიქონი კოლონიური მდგომარეობის თვალსაჩინო ფორმულირებაა, ხოლო ისტორიული მოვლენის სახსოვრად დაწერილი ლექსის დასრულება სარწმუნოებისა და მამულისათვის თავგანწირვის აპოლოგიით, ლექსს აძლევს მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილისადმი მიმართულ რეაქციულ ხასიათს.

ქართულ-რუსულ თემაზე დაწერილ აკაკის პოეტურ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოემებს: „ალექსი“ (1869) და „ასი წლის ამბავი“ (1895-1905). მათში მხილებულია რუსული იმპერიალისტური პოლიტიკა და აღწერილია საქართველოს კოლონიად ქცევის პროცესი. პირველ ტექსტში ქართველობა სახელდებულია ნაწამებ უმცროს მოძმედ და საცოდავ ცხვრად, ხოლო რუსეთის ხელისუფლება – მგლებად, რომლებიც სამწყსოდან გაძევებულ უნდა იქნენ (წერეთელი 2010ბ: 492); „ასი წლის ამბავში“ კი ინსცენირებულია რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია და ქართული ეკლესიის განადგურება, რითაც, საბოლოოდ, „დაემხო ქვეყანა“ (წერეთელი 2010ბ, 530).

**პროზა:** ისტორიული თემის ლიტერატურული ინსცენირების თვალსაზრისით, აკაკის პროზაულ ნაწარმოებებში გამორჩეული ტექსტია „ბაში-აჩუკი“ (1896). მოთხრობის ალეგორიულობა სიუჟეტის, მოტივების (წინასწარმეტყველებისა და მოწამეობის<sup>152</sup>), აგრეთვე, ნაციონალური ლანდშაფტის იმაგოლოგიის დონეებზე ვლინდება.

---

<sup>151</sup> მტრის წყალობით, ქართველთა ეროვნული *მეხსიერების წარხოცვის*, სხვაგვარად - საკუთარი ვინაობის წაშლის პრობლემას ეხმიანება აკაკის ეს სიტყვებიც: „წმინდა საფლავიც და ჯვარიც / დაჰკარგეთ სხვების ხელშია!..“ (წერეთელი 1950ბ, 408); „არც წარსული გაქვს, არც აწმყო, / რომ მომავალით იხარო! / ამისი მოწმეც ბევრი მყავს / შენივე ქვეყნის შვილიო!.. / ჩემს ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი... / ჩემგანვე გაჭედელიო!“ (წერეთელი 1950ბ, 410-411)

<sup>152</sup> ამ კონტექსტში ნაციონალური დისკურსისთვის მარკერად იქცევა *გველეშაპის* მხატვრული სახე, რომელიც ამავე თემაზე შექმნილ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონშიც“ გვხვდება.



„ბაში-აჩუკში“ ისტორიული სინამდვილის ლიტერატურული ინსცენირებით თავისუფლებისთვის, როგორც უმაღლესი ღირებულებისთვის, თავგანწირული ბრძოლის აუცილებლობას გაესვა ხაზი:

[...] ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად!.. ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ!.. (წერეთელი 1958ა, 192).

ისტორიული მტერი, რომლის წინააღმდეგაც, მოთხრობის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო აღდგება, უკვე ფეხმოკიდებული და გაბატონებულია, მას აღარ სჭირდება ქართველებთან პირდაპირი ბრძოლა (მისი ექსპანსიის სტრატეგიათა დეტალური ჩვენებით მწერალი თანამედროვეობის პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას):

[...] გადაწყვიტა ძლიერმა და კიდეც შესცვალა თავისი გმირული, პირდაპირი პოლიტიკა საქვეშქვეშო-სავერაგოზე. - იმ დღიდან დაუტკბა მისგან აოხრებულ ქვეყანას და რისხვა წყალობად შეუცვალა. - ერთთავად მიფენილი მზის სხივები თვალის ჩინს ართმევენ კაცსა და სწორმხედველობას აკარგვინებენ... [...] რომელიმე პირადობის ასამაღლებლად საკმაო იყო მხოლოდ თავდადებული ერთგულება სპარსეთისადმი და სამშობლოს ნელ-ნელა გაწირვა. - ვინც ქართველობას არ ივიწყებდა, ის იჩაგრებოდა [...] ერთ საუკუნესაც არ გაევილო ჯერ, რომ აღმოსავლეთ საქართველო გათათრდა. შემოვიდა ხალხში სპარსული ზნე, ჩვეულება, რჯული და კანონი!.. ქართველს ქართველობა აღარ ეტყობოდა!.. ენა შეიბღალა, დიდ ოჯახებში ქართულად ლაპარაკი კიდეც ერცხვინებოდათ... სამართალი უცხო ენაზე იყო, წირვა-ლოცვის და გალობის კილო შეიცვალა, მღვდელმთავრების მოადგილედ ახუნდები გახდნენ და მსაჯულ-მოძღვრებად - მოლა-ყადები. ამან ყოველივემ ისე გარყვნა ხალხი, რომ ქართველი ქართველზევე მეზვერეობდა და ბოლოს ისე დაუძლურდა, რომ თვით სპარსელების საზიზღარ-გასაკიცხი შეიქნა ოდესმე სახელგანთქმული ქართველობა (წერეთელი 1958ა, 152).

ქართული სინამდვილის ეს რეალისტური სურათი არ იყო მხოლოდ ისტორიული წარსულის მხატვრული რეკონსტრუქცია; ის ალევგორიულად წარმოადგენდა მე-19 საუკუნის ქართულ რეალობას: აოხრებული ქვეყნის მიმართ ლმობიერი პოლიტიკის გატარება, ეროვნულობის დავიწყების სანაცვლოდ დაწინაურება, მტრის ზნის, ცხოვრების წესის დაკანონება - ნაციონალური

იდენტობის მარკერთა წაშლა, მშობლიური ენის დავიწყება/უფუნქციოდ ქცევა, სასამართლოს ფუნქციონირება დამპყრობლის ენაზე, საეკლესიო ღვთისმსახურების გადასხვაფერება - სიმბოლურად „გათათრება“ - ავტორისდროინდელ კოლონიურ ვითარებას ზედმიწევნით ასახავდა.

მართალია, ტექსტში, საკუთრივ *რუსები*, სრულიად ცხადი მიზეზის გამო (ნაწარმოები კონკრეტულ ისტორიულ ფაქტზეა აგებული და მათი ხსენება ყოველგვარ ლოგიკურობას იქნებოდა მოკლებული) ერთხელაც არ იხსენიებიან, მაგრამ მოთხრობაში ერთგან აღნიშნულია ისეთი სამოხელეო ტერმინი, რომელიც მე-17 საუკუნის ქართული რეალობისთვის ანაქრონიზმს წარმოადგენდა და რომელიც საქართველოში რუსულმა მმართველობამ დაამკვიდრა - *ჩაფრობა*: „ვინც ადრე ამილახვრობას, ამირეჯიბობას, ეშიკაღაბაშობას და ამირბარობას არად აგდებდა, დღეს იმას ჩაფრობაც კი ენატრებოდა“ (წერეთელი 1958ა, 152).

მოთხრობაში წარმოდგენილია ლანდშაფტის იმაგოლოგიაც. *არაგვის* მხატვრული სახე (პოსტმედიევალური ქართული ნაციონალური დისკურსისთვის უკვე მარკერად ქცეული) ქართველთა საბრძოლო განწყობის გამომხატველია:

თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუპოვრობისაგან უკუქცეული, დარეტიანებული და თავბრუდასხმული, თითქოს სულის მოსაბრუნებლად, იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე და მერე კი დაკვირვებით გადადიოდა დაბლობზე, რომ უფრო მეტის სიფრთხილითა და კვნესა-დუდუნით დაშვებულიყო ქვემოატეხილ ჭალებისაკენ (წერეთელი 1958ა, 127).

ისტორიული თემის ლიტერატურული ინსცენირება და ეროვნული პრობლემის ალეგორიული/ქვეტექსტური აქცენტირება აკაკის პროზის მხოლოდ ერთი მიმართულებაა. ისტორიულ თემაზე აგებული მხატვრული ნაწარმოებების გვერდით, რომლებშიც ალეგორიულად აისახა ავტორის თანამედროვეობის საკვანძო პრობლემები, აკაკი წერეთელმა საკუთრივ საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის დასაწყისი აღწერა „მოხუცის გრძნობასა“ და „ომში“. ორივე პოემაში ინსცენირებულია საქართველოს დაკავშირება რუსეთთან და ეს მოვლენა დროითი ინტერვალის პერსპექტივიდან უარყოფითადაა შეფასებული: რუსეთი პირდაპირაა დადანაშაულებული ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობაში:

შეჰვიცა: ოღონდ მომენდვეთ / მოჰყევით ჩემსა ნებასო / და მაშინ არ შევეხები / თქვენს სჯულს და ეროვნებასო. / მტრებს მოგაშორებთ; მე მხოლოდ / ვიხმარ ჩემს ძლიერებასო / და

მაშინ ერთად თქვენც ჩემთან / იგემებთ ნეტარებასო! / იამათ აღთქმა ქართველებს, / მიიღეს წრფელის გულითა; / თავი ჩაუდევს კალთაში, / მიენდვენ სიხარულითა! [...] / **ქართველიც ძილმა წაიღო/ ეს ასი წელიწადია / და პასუხს აგებს ამ ხანში/ იმისი ლალა-გადია.** / ბევრი რამ მოხდა ამ ხანში: / **გამოიცვალა ქართველი / და უკან-უკან წავიდა, / წინ-წინ მსვლელობის მნატვრელი!**“ (წერეთელი 1956, 254-255).

მიძინებულ ქართველთა ბედზე პასუხისმგებელი *ლალა-გადის* მხატვრული სახე აკაკის უკანასკნელ ნაწარმოებ „ომში“ ფართო კონტექსტის ფონზეა წარმოდგენილი: რუსეთი მარკირებულია მცირე ერთა დამცველად, ხოლო მისი ხელისუფალი - მამა იმპერატორად; *ხანგრძლივი ძილისგან გამოშუმებული* ქართველობა კი - რუსეთის დროშის ქვეშ მებრძოლ ერად:

[ქართველებმა] სთქვეს: „აწ უნდა თქვენ ითაოთ, / იყოს ყველგან თქვენი ნება, / ჩვენ კი როგორც დაღალულებს, / გვეჭირვება მოსვენება“/ ეს რომ უთხრეს, კიდეც **ჩადევს / თავი რუსის კალთაშია / და სიზმრისგან წაღებულ ხალხს / არც სწყურია და არც შია.** / გამოშუმდა **ხანგრძლივ ძილში,** / მოიხადა დაღლილობა / და თავს იჩენს დღეს ისევე/ წინანდელი ქართველობა“ [...] / „ჩვენის სიკვდილით, [ჩვენის გაქრობით], / ახლა იწყება მომავლის შობა - / და დიდ რუსეთსა, წვრილ ხალხის დამცველს, / ნუ მოეშალოს აწ გამარჯვება. / რომ იმას მტერი არ აწუხებდეს / არცა იმიერ და არც ამიერ / და ჩვენც ვიძახდეთ მამაპაპურად / ჩვენის ელფერით: „მრავალ-ჟამიერ!“ (წერეთელი 1956, 309-314).

აკაკის უკანასკნელი ნაწარმოები დიდი დიპლომატიითაა დაწერილი<sup>153</sup> და მისი უმთავრესი სათქმელია ის, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საკუთარი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებით („ჩვენის ელფერით“) ცხოვრების ნება უნდა დაერთოს.

**ვორონცოვის თემა:** მეტ-ნაკლებად *ეროვნული ელფერით* ცხოვრების საშუალება<sup>154</sup> ქართველებს მიხეილ ვორონცოვის (1782-1856) მმართველობის დროს მიეცათ.<sup>155</sup>

<sup>153</sup> არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ლოგინად ჩავარდნილ აკაკის თავისი პოემა დიდი ინტერესით მოუსმენია და ბოლოს უთქვამს: ძალიან ვეფერები (იგულისხმება რუსეთი - ც.კ.), მაგრამ ვაითუ მოფერებიდანაც არა გამოვიდეს რაო.

<sup>154</sup> ბუნებრივია, აქ იგულისხმება კოლონიური ვითარების კვალობაზე, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის აგრესიულ-რეპრესიულ პერიოდთან შედარებით, მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ხანა, რუსეთის პოლიტიკის ლიბერალიზება.

სწორედ მისი ინიციატივით დაარსდა ქართული თეატრი (ცნობილია, რომ ის რეპეტიციებსაც ესწრებოდა); გაიხსნა წიგნის მაღაზიები, საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლების გარდა, ჩამოყალიბდა კოლონიზატორ მმართველსა და კოლონიის ელიტის უშუალო, კეთილგანწყობილი ურთიერთობის აქამდე უცნობი კულტურა: ვორონცოვის სიცოცხლეში და შემდეგაც, მისი ქვრივის ინიციატივით, მათ ოჯახში ხშირად იმართებოდა საზოგადო თავყრილობა და თავად მეფისნაცვალის ბევრჯერ სტუმრობდა ქართულ ოჯახებს. ამ მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ფიგურამ კულტურული რეფორმების გატარების გზით მიაღწია რუსეთის იმპერიალისტურ მიზანს - დაპყრობილი ქვეყნის ასიმილაციას, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ეს პროცესი რომანტიკული საბურველით იყო დაფარული: ვორონცოვის ლიბერალურმა პოლიტიკამ, კულტურული ცხოვრების ხელშეწყობამ და ქართული საზოგადოებისადმი გამოჩენილმა კეთილგანწყობამ მას ქართველთა დიდი პატივისცემა მოუტანა.<sup>156</sup>

ვორონცოვის შესახებ არსებული სტერეოპიტული წარმოდგენა - ქართული კულტურის მოამაგე - აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც აისახა:<sup>157</sup>“ძველი დრო სულ სხვა დრო იყო / არ გვახსოვს რა მაგისტანა! / ის დრო იყო კურთხეული / ვარანცოვის დრო და ხანა!“ (წერეთელი 1956, 397).

---

<sup>155</sup> იონა მეუნარგიას თქმით, ვორონცოვის დანიშვნამ დიდი სარგებელი მოუტანა სახალხო განათლებასა და მწერლობას, ზოგადად, საქართველოს კულტურულ ცხოვრებას (მეუნარგია 1954, 254-256).

<sup>156</sup> ვორონცოვის პოლიტიკას „ცფიერულს“ უწოდებდა ალექსანდრე ორბელიანი. მისი შეფასებით, კულტურული ღონისძიებები პოლიტიკური სიმშვიდის გარანტიის მისაღებად ტარდებოდა (ამ პერიოდში გაძლიერდა შამილი და შესაძლო იყო საერთო, მასშტაბურ განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოც შეერთებოდა).

<sup>157</sup> მხატვრული ტექსტების გარდა, ვორონცოვისა და მისი პოლიტიკის შესახებ ვრცლად საუბრობს აკაკი თავის პუბლიცისტიკაშიც, აღნიშნავს, რომ ვორონცოვს ქართველთა ეროვნულობის შენარჩუნება რუსული პოლიტიკის ფარგლებში სურდა და იცავდა მათ ნაციონალურ ღირსებას: იბრძოდა ქართული კულტურის ასაღორძინებლად (ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ მთავარი მიმართულებების, მისდამი აკაკისა და სხვა საზოგადო მოღვაწეთა დამოკიდებულების შესახებ იხ. ჯოლოგუა 2011, 121-145).

ესაა პირველი შემთხვევა კოლონიური ხანის ქართულ მწერლობაში, როცა ლიტერატურული გმირი/პერსონაჟი გახდა ავტორის თანამედროვე რუსი მმართველი და ის პირდაპირ, ალეგორიის გარეშე, დასახელდა/დახასიათდა. ქარი დისკურსისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ვორონცოვის მხატვრულ სახეს კოლონიზატორის შესახებ წარმოდგენაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლო.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ამ მოხელეზე საუბრისას ერთმანეთისაგან ყოველთვის მიჯნავს რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკასა და ვორონცოვს, როგორც ქართველთა მოამაგეს, რომელსაც თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეთა შორის აყენებს. მაგალითად, „ქართული ფულის თავგადასავალში“ (1897) იგი დავით აღმაშენებლის, თამარისა და გიორგი ბრწყინვალის გვერდით იხსენიება. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს მის მოღვაწეობას, რისი მიზანიც, *მტრობის* საპირისპიროდ, ვორონცოვის *მოყვრობის მტკიცებაა* (ამგვარი მიზანდასახულობით ტექსტი მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ფუნქციას იძენს - მკითხველი საზოგადოების ცნობიერებაში რუსი მოხელის შესახებ ნორმატიული ცოდნის შექმნას/ჩამოყალიბებას; სხვაგვარად, ჰეტეროხატის ძირეულ მოდიფიკაციას და უარყოფითი შინაარსისაგან მის დაცლას):

**ის ცდილობდა, რომ გაეღვიძებია და თვალი გაეხილვინებია ქართველებისათვის... მრავალი საუკუნეების განმავლობაში მოუსვენრობამ და გმირულმა გარჯამ დაღალა საქართველო. ამ ბოლო დროს ძილს მისცა თავი, რომ დაღალულობა მოეხადა. ეს ხომ მსოფლიო კანონია! სწორედ ამ ძილის დროს მოასწრო ვორონცოვმა... მძინარს მტერი, როგორც უნდა, ისე ჩაიგდებს ხელში... რა მხრითაც უნდა, იმ მხრით მიეპარება... გამოაღვიძებს მხოლოდ მოყვარე და ვორონცოვმაც სწორედ მოყვრულად მოინდომა, რომ ნელ-ნელა გამოეღვიძებია დროებით მიძინებული ერი და დაენახვებია მისთვის წარსული, აწმყო და მომავალი! მოაგონა მისი ისტორია, გაუხსნა სკოლები, გაუკეთა სტამბა, გაუმართა თეატრი, დააყენა სწორ გზაზე და შეუწყო ხელი. უნდოდა, რომ ეს საუკუნეების განმავლობაში წამებული ქრისტიანობა პოლიტიკურად შეეკავშირებია თანამერჯულე რუსეთთან, რომ მათი ჭირი და ლხინი სამარადისოდ ერთი ყოფილიყო. ამ აზრის განხორციელებას სიმართლეს, სიტკბოებას, სიყვარულს და თანასწორობას უდებდა სარჩულად. უნდოდა, რომ დღევანდელი ქართველები, დრო და ჟამის შესაფერად, ისე ამაღლებულიყვნენ ზნეობით, როგორც მათი წინაპრები ყოფილან, და მაშინ შეკავშირებოდნენ რუსებს. ვისაც თავისი თავი სძულს, ის სხვასაც ვერ შეიყვარებს! ვისაც თავისი საკუთარი ოჯახი არა სწამს, ის სხვის ოჯახს როგორღა**

იწამებს და როგორ შეეთვისება? ეს ესმოდა ვორონცოვს და ამიტომაც ურჩევდა ქართველებს: - „გიყვარდეთ თქვენი ქართველობა, ნუ დაივიწყებთ თქვენს სასიქადულო წარსულს, ნუ დაკარგავთ საკუთარ ფერ-ხორცს, ამალდით სულით და გულით და მაშინ მხოლოდ, საკუთარ ეროვნებაში გამოზრდებილს, შეგიძლიათ უტყუარი, უპირფერო ძმობა-მოყვრობა და გაუწყვეტელი კავშირით სამუდამოდ რუსეთთან გადაბზაო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეიდან თქვენი მომავალიც ერთი უნდა იყოს და ისტორიაც საზიაროო.“ - დაიჯერა ხალხმა, ჩაუდგა კალთაში თავი და ვორონცოვიც შეუდგა საქმეს [...] შეჰყავდა ახალგაზრდა ქართველები სკოლებში და უკეთესებს ჰგზავნიდა უმაღლეს სასწავლებელში. მაშინდელმა პედაგოგებმა შენიშნეს, რომ სკოლებში ისინი უკეთ სწავლობდნენ და უკეთ ითვისებდნენ რუსულსაც, ვინც დედაენა იცოდა და ქართულ წერა-კითხვაში ჰქონდა გატეხილი თვალი; და ვისაც პირდაპირ უცხო ენაზე დააწყებინებდნენ სწავლას, ისინი ჩამორჩენილი იყვნენ და გონებაც უჩლუნგდებოდათ. ეს რომ გაიგო ვორონცოვმა, ბრძანა, რომ ქართველი ყმაწვილებისათვის ჯერ, პირველ ხანებში, დედაენა ესწავლებინათ და მერე გადაეყვანათ უცხოზე. დღეს რომ მესამოცე წლებს ჩვენში ქებით იხსენიებენ, დამერწმუნეთ, რომ ის ვორონცოვის ნათესია! მისი შორსმჭვრეტელობა საარაკო და სამაგალითო იყო“ (წერეთელი 1958ბ, 136-138).

ამ ვრცელ მონაკვეთში დეკლარირებულია/შეჯამებულია ვორონცოვის კულტურული პოლიტიკა და განსაზღვრულია მისი როლი კოლონიური საქართველოს ისტორიაში: ესაა არა დამპყრობი, მტერი, არამედ - ქართველთა მოყვარე, ქომაგი, კეთილისმყოფელი, რომელმაც მძინარე საქართველო გამოაღვიძა და მომავლის იმედი ჩაუსახა. სწორედ ამ დამსახურების გამო მწერალი ვორონცოვს გამორჩეულ ქართველ მეფეთა გვერდით მოიხსენიებს. ამ გზით რუსი მოხელის პოლიტიკურმა სტატუსმა კულტურული განზომილება შეიძინა - მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკური სახის მხატვრული პროფილი ფართო ისტორიულ კონტექსტში გამოიკვეთა და ეროვნული მეხსიერების კუთვნილება გახდა. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ სახელს დაუკავშირდა კოლონიურ ვითარებაში ქართული ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელი *ფუნქციური მეხსიერების* ლეგიტიმაცია: მისი მმართველობის დროს გახდა შესაძლებელი საზოგადოებრივი ღონისძიებებისა და კულტურული აქტივობების წარმართვა ნაციონალური ტრადიციის გათვალისწინებით.

აკაკი წერეთელმა ვორონცოვი ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებშიც მოიხსენია: „ჩემი თავგადასავლის“ (1894-1908) მეორე ნაწილში მწერალმა აღნიშნა საზოგადოდ,

ქართველთა გულითადი დამოკიდებულება ვორონცოვისა და მისი ქვრივის მიმართ და აღწერა ამ უკანასკნელთან სტუმრობისას გამართული დიალოგი, რომელშიც კოლონიზატორი და კოლონიური ქვეყნების წარმომადგენელთა პოზიციები/შეხედულებები პოლიტიკური სტატუსების დამღვევით ურთიერთობის კეთილშობილურ, ჰუმანურ ხარისხზეა აყვანილი:

„სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვარანცოვის სახელიც არ დაივიწყება-მეთქი“, - წამოვიკნავლე მეც ეს უფროსებისაგან ჩვენში ბევრჯერ ნათქვამი და ჩემგან გაგონილი და გულში ჩარჩენილი სიტყვები [...] განსვენებულ თავადს აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდ რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქრო-ქსოვილი იქნებაო! მხოლოდ ჩვენ კი უნდა მივუშვათ ნებაზე, ვუწინამძღვროთ და გარედან ხელი შევუწყოთო. ერთი საათი ილაპარაკა სულ ქართველებზე და საქართველოზე (წერეთელი 1958ა, 78-79).

ის, რომ ქართველებისადმი ვორონცოვის მიმართება არაფრით ჰგავდა კოლონიზატორის დამოკიდებულებას და რომ ამ პიროვნულ არჩევანს პოლიტიკური ნების სახეც მიეცა, ჩანს აკაკის შემდეგ სიტყვებში: „უეჭველია, რომ ვარანცოვის დროსაც იქნებოდნენ ქართველების მოძულარი რუსები, მაგრამ ვერ გაბედავდნენ გამოცხადებას!“ (წერეთელი 1958ა, 87).

აკაკის შემოქმედებაში ვორონცოვის იდეალიზებული მხატვრული სახის ფორმირება გაგრძელდა ლექსით - „ქართველი ძეგლის წინ“ (1900 წლამდე), რომელშიც ავტორმა ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნა რუსი მმართველის ხანა და მისი მომდევნო დრო, როცა „დედა ენაზე... საღმრთო ენაზე / აღარ გვაძლევენ ჩვენ ლოცვის ნებას“ და კრძალავენ ყველაფერ ქართულს. სწორედ ამ ტექსტშია მოცემული ქართული ნაციონალური დისკურსისთვის მეტად მნიშვნელოვანი ფრაზა - „და რაც ვერ შეძლო ჩვენში თათრობამ, ის მოახდინა თანარჯულობამ“ (წერეთელი 1950ბ, 435). ლექსის დასასრულს ავტორი კურთხევით მოიხსენიებს ვორონცოვის სახელს, რადგან ის მიაჩნია რუს მოხელეთა შორის ქართველთა ერთადერთ გულშემატკივრად.

დაბოლოს, 1909 წელს, პარიზში ყოფნისას, აკაკიმ დაწერა პოემა „ვორონცოვი“, რომელშიც მთავარი გმირის პორტრეტი იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეების მოსაზრება-შეფასებათა ფონზე წარმოადგინა. ნაციონალური დისკურსის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემის რამდენიმე პასაჟი: ძმების,

ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების<sup>158</sup> დიალოგი, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და დიმიტრი ყიფიანის პოზიციები და მთხრობლის სიზმარი/გამოცხადება. რუსული პოლიტიკისა და საკუთრივ მიხეილ ვორონცოვის მიმართ ალექსანდრე ორბელიანის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია სარწმუნოებრივი ერთობის საფუძველზე გატარებული საეკლესიო რეფორმის გაუმართლებლობის ჩვენებას ეფუძნება:

ეკზარხოსი სწირავდა / ფორმად სლავენურადა; / მლოცველებს არ ესმოდათ, / ჰქონდათ სანანურადა. / ასე დღეს-ხვალიობით / ხალხი დაკარგავს რჯულსა... / დამღუპველი შარავით, / მიადგება უფსკრულსა [...] / ვიგერებდით ურიცხვ მტერს, / სანამ გვქონდა ძალ-ღონე, / ვითხოვდით შემწეობას; / არვინ იყო გამგონე...“ / ვახტანგ (ჩამოართმევს სიტყვას) / „და მაშინ გამოგვიჩნდა / ჩვენ მომხრედ ჩრდილოეთი, / ჩვენი თანამორჯულე, / ჩვენსავით სწამდა ღმერთი! / მოგვხიბლა ტკბილი სიტყვით, / დაგვარწმუნა მან ფიცით, / ჩამოგვართვა პირობა / და მერე?.. აღარ ვიცით! [...] / ჩაუგდია სახრავად / უპატრონო ქვეყანა!.. / მგელი რომ ცხვარს დაიჭერს, / მას შეიბრალებს განა? [...] / ალექსანდრე: / „დღემდი თუ ხორციელად / მტრისგან ვიყავთ ტანჯული, / დღეს უფრო არ მოგვიკლეს / ფარისევლობით სული?! / სული როცა მოკვდება, / მაშინ ხორციც მკვდარია!.. / და აი ქართველობას / დღეს ხელი რამ დაჰრია!“ (წერეთელი 1956/ზ, 249).

ვრცელი მსჯელობიდან დამოწმებულ ამ ნაწყვეტში ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობა კოლონიური მდგომარეობის გამოცდილების შედეგადაა შეფასებული: სარწმუნოება - ორი სახელმწიფოს ერთობის საფუძველი - მთავარ დაბრკოლებადაა ქცეული მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის გაუქმებით. ნიშანდობლივია რუსეთის დახასიათება: მზაკვრული განზრახვით მან დაარწმუნა „უპატრონო ქვეყანა“, რომ მისი მფარველი გახდებოდა, მერე კი სული მოუკლა. ამ კონტექსტში მტრის სტერეოტიპული, ტრადიციული წარმოდგენის (ხორციელად მტანჯველის) გვერდით, გვხვდება მტრის ახლებური განსაზღვრება - *ფარისევლობით სულის მკვლელი*. ეს არსებითი სიახლეა, ჰეტეროხატის ფორმირების

---

<sup>158</sup> აკაკი წერეთელმა ვახტანგ ორბელიანს, მისი თხზულებების გამოცემათან დაკავშირებით, მიუძღვნა ლექსი (1882), რომელიც სრულდება სიტყვებით: „კმარა ცრემლი!.. საქმის დროა! / მსხვერპლი გვინდა და ზვარაკი“ (წერეთელი 1950ზ, 89-90). ამ განაცხადით აკაკიმ ხაზი გაუსვა ეროვნული წარსულისა და ღირებულებებისადმი დამოკიდებულების შეცვლის აუცილებლობას.



თვალსაზრისით: რუსეთი აღქმულია სხვა ტიპის, განსაკუთრებულ მტრად, რომლის მსგავსსაც აქამდე ქართველობა არ იცნობდა.<sup>159</sup>

ტექსტში ნიკოლოზ ბარათაშვილის ანტირუსული განწყობაცაა გამოკვეთილი: ორბელიანთა მსგავსად, ისიც ფიქრობს, რომ საქართველო მოტყუებული, იმედგაცრუებული დარჩა რუსეთისგან, რომელსაც იგი *დედინაცვალს* უწოდებს და რომ ქართველთათვის თვალის ახვევა კვლავ გრძელდება (ქართველთა საერთო მდგომარეობად მიჩნეულია ძილი); ასეთ ვითარებაში კი ყველაზე დიდი დანაშაულად მას თავის მოტყუება მიაჩნია:

ეროვნული ღირსება / ყველა შელახულია / და ტანჯვა-მოთმინებაც / ჩვენი პირუტყვულია. / ჩვენვე ვეპოტინებით / სიზმრებსა და ზღაპრებსა, / რასაც დედინაცვალი / ახურავს ჭრელ საბნებსა (წერეთელი 1956ბ, 261).

პოემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიმიტრი ყიფიანის ფიგურას.<sup>160</sup> სწორედ ის ხატავს მიხეილ ვორონცოვის ჰეროიკულ პორტრეტს და ამავე დროს, ამხელს რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკას:

---

<sup>159</sup> აკაკის თხზულებათა მეორე ტომი (ქუთაისი, 1912), რომელშიც „ვორონცოვი“ იყო დაბეჭდილი, მთლიანად აიკრძალა, შემდეგ ეს პოემა საგანგებოდ თარგმნეს რუსულად და თბილისის ბეჭდვითმა კომიტეტმა ქუთაისში ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის სახელზე გაგზავნა წერილი, რომელშიც დაასაბუთა ნაწარმოების აკრძალვის სამართლიანობა. წერილში აღნიშნულია ის საფრთხე, რომ ამ ცალსახად ანტირუსული განწყობით დაწერილ ტექსტს შეეძლო ქართველთა ცნობიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა: „...ამ წიგნში (გვ. 3-58) აკაკი თავის პოემით „ვორონცოვი და მისი დრო“ იძლევა ყალბ და ყურმოკრულ ცნობებს კავკასიაში რუსეთის მფლობელობის განმტკიცების დროის შესახებ. ეს პოემა გამსჭვალულია ცილისწამებით და რუსეთის მფლობელობისადმი მტრული განწყობილებით [...] ეს პოემა, რომელიც გაშუქებულია საეჭვო ისტორიული ფაქტებით და ტენდენციურობით, აღიზიანებს მოსახლეობას, უნერგავს სიძულვილის გრძნობას რუსეთის მიმართ და უპირისპირებს თავის სამშობლოს წმინდა სახეს, რომლის გასანთავისუფლებლად საჭიროა ერთგულ მამულიშვილების მოწოდება მამულისთვის თავის დასადებად. ვინაიდან ეს პოემა ბოროტგანზრახვითაა დაწერილი და შესაძლოა მისი გავრცელებით ადგილობრივ მოსახლეობაში უპატივცემულობა გამოიწვიოს რუსეთის ხელისუფლებისადმი, ამიტომ კომიტეტმა დაადგინა შეაჩეროს აკაკის ხსენებული წიგნის გამოცემა“ (წერეთელი 1950ბ, 392).

<sup>160</sup> დიმიტრი ყიფიანს - ქართველთა ეროვნულ გმირს - აკაკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (ნაციონალურ ლიტერატურაში მისი სახის კანონიზება ლექს „განთიადით“ მოხდა). ამ ეროვნულ გმირს აკაკი წერეთელმა 1888 წელს მიუძღვნა, აგრეთვე, ლექსი „ქართველი უცხოეთში“ (უცხოეთად, ბუნებრივია, მარკირებულია *რუსეთი*), რომელშიც ყიფიანის მკვლელობა ასეა აღწერილი:

სხვანაირი რამ არის... / სწორედ რომ ზეკაცია / და თანსწორად უყვარს / სუყოველი ნაცია! / ეს ის ვორონცოვია / ოდესას რომ მართავდა [...] / ჩვენში ადრეც ყოფილა / და უყვარს საქართველო, / მაშინ ყვავილოვანი... / დღეს კი დამჭკნარი მდელო! (წერეთელი 1956ბ, 266)

აკაკი წერეთლის ამ პოემაში ერთმანეთისგან მკვეთრადაა გამიჯნული რუსი მოხელე და რუსული იმპერიალისტური პოლიტიკა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სწორედ ამ ტექსტში ალეგორიზების გარეშე, დაუფარავად და პირდაპირ პირველადაა შეფასებული არსებული პოლიტიკური სინამდვილე („სუყოლიფერი თქვენი ბრალია: / მოტყუებულმა რუსეთის ხელში / დღეს საქართველომ სული დალია!..“) და, ამასთან, კომუნიკაციური მეხსიერების ფაქტი (კონკრეტული დანაშაული, რომელიც რუსებმა საქართველოში შემოსვლისას ჩაიდინეს: შარდში მოხარშული ძაღლის ხორცის ჭამაზე უარის თქმისთვის ხალხის წამება) კულტურული მეხსიერების ფაქტადაა ქცეული.<sup>161</sup> ამ გზით მკითხველის (როგორც ქართული საზოგადოების, ისე - რუსული ხელისუფლების) ცნობიერებაში ფორმირდებოდა სტერეოტიპული ავტო- და ჰეტეროხატების მოდიფიცირებული ვარიანტები: მოტყუებით სულწარმეული/ სულმოკლული მსხვერპლი - საქართველო და მზაკვარი დამნაშავე, რომელიც მოყვრის ნიღბით მოვიდა - რუსეთი (რაც მთავარია, ეს სახელმწიფოები პირდაპირ დასახელდა).

ამის შემდეგ ტექსტში დიმიტრი ყიფიანი ახალ, კოლონიურ წესრიგში ქართული ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების საკითხს სვამს და კოლონიური

---

„მის წინა წარსდგა სკვითელი / და მირონცხებულ მოხუცსა / მტრულად შეახო მან ხელი: / ქვა დაჰკრა!.. / თავი გაუპო. / დაიმორჩილა მძინარი / და, სულთამბრძოლი რომ ნახა, / სიამით იწყო ხარხარი!“ (წერეთელი 1950ბ, 178). ეს პიროვნება თავისი მოწამეობრივი აღსასრულით ქართული ნაციონალური იდენტობისთვის მეტად გმირთა პანთეონში შევიდა. დიმიტრი ყიფიანი ეროვნული ინტერესებისთვის რუსულ სამსახურში ყოფნის ფონზე იბრძოდა: „უცნაური კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი. მართალია შალვა ჩხეტია, როცა ამბობს - იგი ახერხებდაო თავის თავში შეეთავსებინა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მტერი და ტახტის ერთგული მოხელე, გლეხობის მოსარჩლე და ბატონყმობის მომხრე, სამშობლოს ღირსებისათვის მეტად და რუსული მონარქიზმის მოიმედე, ქართველი პატრიოტი და რუსი თვითმპყრობელი მეფის თაყვანისმცემელი“ (ბაქრაძე 2004, 39).

<sup>161</sup> ამგვარი მოდელია წარმოდგენილი აკაკის მოთხრობაში „სოფელ ალის აოხრება“ (1911), თავად ეს ტენდენცია კი - ლიტერატურული რეპრეზენტაციის გზით კომუნიკაციური ტრავმული მეხსიერების ფაქტთა ქცევა კულტურული მეხსიერების ფაქტებად - ქართულ მწერლობაში განავითარა და სრულყო ალექსანდრე ყაზბეგმა.

ვითარების გათვალისწინებით, აყალიბებს ფორმულას: „**რომ ეროვნული შეგვრჩეს ელფერი / და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად, / აი, რა გვინდა... სხვა არაფერი!**“ (წერეთელი 1956ბ, 280).

*ეროვნული ელფერის* შენარჩუნების თემას, როგორც უკვე აღინიშნა, აკაკი წერეთელი თავის უკანასკნელ ნაწარმოებშიც შეეხო. ზოგადად, ეს საკითხი აქტუალური მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა, როცა დამარცხებული აჯანყებებისა და გაცემული შეთქმულების შემდეგ ქართული საზოგადოება თვისებრივად ახლებური ბრძოლის აუცილებლობას მიხვდა (მწერლობაში ეს სწორედ თერგდალეულთა თაობამ და, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძემ გამოხატა).

პოემაში დიმიტრი ყიფიანის მიერ ფორმულირებული ნაციონალური ავტოპორტრეტის მოდელის გვერდით, წარმოდგენილია ვორონცოვის გეგმაც:

**მინდა, ქართველი დარჩეს ქართველად / ისე, როგორც ყოფილა ძველად, / მისი წარსული მომავლისათვის / ვიხმარო მხოლოდ მე საფუძველად. / არც რჯულს შევებო, არც ეროვნებას, / არც მის სიწმინდეს, მის დედა-ენას, / რომ არ უშლიდეს მომავლისათვის / სწორსა მსვლელობას და აღმაფრენას! [...] მხოლოდ მსურს მარტო გულის მოგება, / არ ჩამოვართმევ რუსთან უფლებას / და შემოვიტან დროს შესაფერად / მაღალ სწავლასა და განათლებას [...] / „და აწცა გულით გარუსებული, / მაგრამ ქართველი გარეგნობითა, / ის დააშვენებს რუსეთის გვირგვინს / მაღალ გონებით და ტკბილ გრძნობითა“ (წერეთელი 1956, 281, 283).**

ამ ნარატივის თვალშისაცემად კეთილგანწყობილი ტონის მიუხედავად, ვორონცოვის გეგმის მთავარი მიზანი - ქართველის გარუსება და მისი ნაციონალური იდენტობის დაყვანა მხოლოდ გარეგნულ ნიშნამდე - არსებითად, ყიფიანისეული მოდელის უარყოფითი ვარიანტია: თუ *პოლიტიკური რუსობა* რუსეთის იმპერიის სამსახურში საბოლოოდ ჩადგომასა და ეროვნულ თავისუფლებაზე უარის თქმას ნიშნავდა, *გულით გარუსება*, ამასთან ერთად, ნაციონალური იდენტობის განცდის უარყოფაც იყო (სხვაგვარად: მხოლოდ გარეგნულ მოცემულობად გადაქცეული ეროვნულობა აზრს მოკლებული, ბუტაფორიული, უფუნქციო რამ ხდებოდა).

პოემის იმ ნაწილში, რომელშიც მძინარე მგოსნისა და ვორონცოვის სულის დიალოგია წარმოდგენილი, შეულამაზებლადაა ასახული ვორონცოვის მმართველობის შემდგომი ხანა - საქართველოს კოლონიზაციის პროცესის გაგრძელება ძალმომრეობითა და სისასტიკით (აღსანიშნავია, რომ, ერთი შეხედვით,

ამ კონტექსტში პროტესტი უფრო *გარუსების* უხეში ფორმებისადმია მიმართულია, ვიდრე თავად მოვლენისადმი) :

აქ ყოლიფერი გამოიცვალა, / და პატივახდილ ქართველობასაც / ძალმომრეობის დააწვა ძალა. / მას უგონებენ სხვადასხვა მიზეზს, / ჩასცივებიან უმიზეზოდ მტრად, / რომ გააძეონ საქართველოდან / და იმათ ნაცლად თვით ჩადგენ მკვიდრად. / ან გაარუსონ!.. და მერე რაგვარ? მხოლოდ ენით და არა გულითა, / სასტიკ ბრძანებით... ძალმომრეობით / და არა სიტკბო, სიყვარულითა. / სასწავლებელში ყველგან საერთოდ / მოსპობილია ენა ქართული. / გვიგომბენ აწმყოს და მას სცდილობენ, / რომ შეგვაძულონ ჩვენი წარსული. [...] / ვისი ბრალია? სამღვდელოების!.. / რუსის ხელშია და იმიტომ ჰსურს, / რომ გაარუსოს... თორემ ზნეობას / ის არ ადევნებს არც თვალს და არც ყურს!“ (წერეთელი 1956, 287)

მოცემულ მონაკვეთში ქართული კოლონიური სინამდვილის (ენის, მამულისა და სარწმუნოების ხელყოფის) ცალკეული გამოვლინებების ასახვაზე მეტად მნიშვნელოვანია ავტორის მიერ იმის აღნიშვნა, რომ ნაციონალური იდენტობის განცდის მოსასპობად კოლონიზატორის იდეოლოგიური იარაღია ეროვნული წარსულის მიმართ ქართველთა შორის უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ამას კი, ტექსტის მიხედვით, სამღვდელოების ხელით აღწევს, ხოლო კოლონიზაციის პროცესის წარმმართველ ძალად სამღვდელოების/რუსული ეკლესიის როლის გამოვლენით სარწმუნოებრივი ერთობის კონცეპტს მნიშვნელობა ეკარგება.

ნაწარმოების დასასრულს ვორონცოვის ფიგურა მისტიკურ საბურველში ეხვევა („ვორონცოვი გამომეცხადა / და დღევანდელი შავი პირბადე, / ვით მოციქულმა ძალლით ამხადა“): ის *ძმობის, ერთობისა და სიყვარულის* მცნებას გადასცემს ლირიკულ გმირს, რომელიც ოპტიმისტურად უყურებს მომავალს (პირველ რიგში, აქ ქართულ-რუსული ურთიერთობები იგულისხმება).

ამრიგად, აკაკი წერეთლის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში (ლექსი, მოთხრობა, პოემა, ავტობიოგრაფიული ტექსტი) მოცემული ვორონცოვის მხატვრული სახე კოლონიზატორის შესახებ არსებულ სტერეოტიპს არსებითად უპირისპირდებოდა და ამკვიდრებდა თვისებრივად განსხვავებულ წარმოდგენას *სხვაზე*, რომელიც ერის ნაციონალურ იდენტობას საფრთხეს არ უქმნიდა. ამის გათვალისწინებით, მე-19 საუკუნის ქართველთა ცნობიერებაში „კურთხეული

ვორონცოვის დრო და ხანა“ *ეროვნული ელფერის* შენარჩუნების პერიოდად გაფორმდა.

ამ ფონზე, აკაკის პოეზიაში დასტურდება ვორონცოვის მტრის - იმამ შამილის - ჰეროიკული მხატვრული სახე. ლექს „შამილის სიზმარში“ (1859) რუსებისა და ჩეჩნების დაპირისპირების ფონზე, საერთოკავკასიურ მოწოდებად იკითხება სიტყვები: „დროა, გავმხნევდეთ ერთგულნი ძენო, / და თავს ნუ მივცემთ მონად გაიურს.“ (წერეთელი 2010, 16).

**ავტობიოგრაფია:** ნაციონალური და პიროვნული თვითიდენტიფიკაციის მოდელები ერთიან კონტექსტში აკაკი წერეთელმა წარმოადგინა ავტობიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“. მასზე ავტორი თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა (ამ *პროექტის* ნიმუშად მწერალი გოეთეს „პოეზია და ცხოვრებას“ მოიაზრებდა).<sup>162</sup>

სტრუქტურულად და თემატურად ორნაწილიან ტექსტში მე-19 საუკუნის ქართული კოლონიური სინამდვილე მრავალმხრივია ასახული. ამ თვალსაზრისით, პირველ ნაწილში განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეობის პერიოდის გახსენება და სასკოლო ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები (მაგალითად, სამარცხვინო თუნუქის ფირფიტის გადაცემა და „ლინეიკის“ დაკვრა მშობლიურ ენაზე თუნდაც ერთი სიტყვის თქმის გამო<sup>163</sup>).

---

<sup>162</sup> ამ ტექსტის პირველი ნაწილის გამოცემასთან დაკავშირებით 1902 წელს ავტორი წერდა: „ერთადერთი ჩემი თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარს... არის „ჩემი თავგადასავალი“. ნათქვამია: „ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო“. შეიძლება დიდი არა იყოს რა, მაგრამ მე კი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყველაფერია მოხსენებული, რაც კი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინცდამაინც, იმდენი არა არის რა, რამდენიც სხვებისა(წერეთელი 1958, 358). მწერლის ამ შენიშვნის მიხედვით, ავტობიოგრაფიის წერისას ის იყენებდა არა იმდენად თვითრეფლექსიის, რამდენადაც ე.წ. კონტექსტის განსაზღვრის მოდელს: მოვლენების აღწერითა და სხვა ადამიანთა სახეების დახატვით გამოკვეთდა საკუთარ თავს ისე, რომ მას არ აქცევდა საგანგებო ყურადღების ცენტრში.

<sup>163</sup>ეროვნული იდენტობის შემადგენელ/მაფორმირებელ კატეგორიათა შორის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფენომენია ენა. იდეოლოგიური თვალსაზრისით, ქვეყნის კოლონიზებისთვის მშობლიური ენის აკრძალვა ყველაზე ეფექტური იარაღია.

სკოლაში, რომელიც კოლონიის მიკრომოდელად იყო ქცეული, მწერლის მოგონებით, რამდენიმე მასწავლებელი მაინც ახერხებდა *შეუბღალავად შენახული სულითა და გულით* დაპირისპირებოდა მთელ სისტემას და მოსწავლეებისთვის სწორი მსოფლმხედველობრივი საფუძველი შეექმნა. მათ შორის გამორჩეული იყო წარმოშობით პოლონელი პედაგოგი - როზდიევჩი (ცარიზმის მტერი და პატრიოტი, რომელიც „სხვა რამეებზეც“ ესაუბრებოდა მოსწავლეებს), რომელმაც მწერლის პიროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა.<sup>164</sup>

„ჩემი თავგადასავლის“ მეორე ნაწილი პირველისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება - არ არის აგებული ერთიან სიუჟეტურ ხაზზე, არც ქრონოლოგიის პრინციპია დაცული და მეტი რეფლექტიურობითაც გამოირჩევა. აქ წარმოდგენილია სინამდვილის განზოგადებული სურათი და ცალკეულ პიროვნებათა პორტრეტები. ორივე პლასტი, საბოლოოდ, კოლონიალურ რეალობას ასახავს და ამ რეალობაში ქართველი ადამიანის ადგილს გამოკვეთს. ქართული სინამდვილე დანახულია

---

<sup>164</sup> აკაკის მოგონებით, ერთხელ მთვრალმა როზდიევჩიმ მოსწავლეს გაკვეთილზე ლეკურის ცეკვა მოსთხოვა. „გაშეშდა მოწაფე. ჩვენც შევწუხდით, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა: „როგორ თუ შენ ნაციონალური ცეკვა გეზიზღებაო?! არ იცი, რომ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვაში მისი გული და სული იხატება? აი, ლეკურს ხომ ქართულია, ცოცხალი რამ არისო!“ (წერეთელი 1958, 75-76). მოსწავლემ, რასაკვირველია, არ იცეკვა და როზდიევჩიც მალე გავიდა კლასიდან, მაგრამ მასწავლებელი არავის დაუბეზლებია. თავად მან კი მეორე დღეს საკუთარ საქციელს სხვაგვარი ახსნა-განმარტება მისცა (სითამამე სიმთვრალეს დააბრალა). გიმნაზიაში, რომელშიც უმკაცრესი რეჟიმი იყო დამყარებული, მსგავსი საქციელის წარმოდგენაც კი გაჭირდებოდა. ეპიზოდში, რომელიც მწერალმა სისტემისა და პიროვნების შეუთავსებლობის ილუსტრაციად წარმოადგინა, საუბარია ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი სემანტიკის, ფუნქციური მეხსიერების მატარებლის, ფოლკლორის, მნიშვნელობასა და მისდამი დამოკიდებულებაზე. განმარტება - „ხალხურ სიმღერებსა და ცეკვაში მისი (ერის - ც.კ.) გული და სული იხატება“ - ეროვნული იდენტობის ერთგვარი ფორმულაა. როზდიევჩთან დაკავშირებული მეორე შემთხვევა პირდაპირ ნაციონალური იდენტობის კონტექსტში იკითხება: რუსეთში წასვლის წინ აკაკი შეესწრო ორი თავისუფლად მოაზროვნე მასწავლებლის - ტურესისა და როზდიევჩის - საუბარს რევოლუციაზე. ამ საუბარმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ახალგაზრდაზე; მიცკევიჩის ნაწარმოების მთავარი გმირის შესახებ მოსმენილმა ისტორიამ კი ის იმდენად ააღელვა, რომ გადაწყვიტა, სამხედრო სამსახურში შესულიყო და ქვეყნის ინტერესებისთვის ებრძოლა (თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამ გზით შეუძლებელი იყო დასახული მიზნის მიღწევა და აკაკიმაც, საბოლოოდ, უარი თქვა სამხედრო კარიერაზე).

რუსეთში განათლებამიღებული და სამშობლოში უსამსახუროდ დარჩენილი აკაკი წერეთლის თვალთ. ტექსტის პირველი ნაწილისგან განსხვავებით, ნარატორი საკუთარ თავს თითქმის ყურადღების მიღმა ტოვებს, სამაგიეროდ, იგონებს იმ ადამიანებს, რომლებმაც მე-19 საუკუნის ქართული კოლონიური სინამდვილის მიმართ მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი პოზიცია დააფიქსირეს. გარდა ამისა, ნაციონალური იდენტობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ავტორის შემდეგი შენიშვნა: **„ჩვენ ყოველთვის, საუკუნის განმავლობაში, რუსეთის ნასუფრალით ვიკვებებოდით და რაღა თქმა უნდა, რომ მაშინაც რუსეთის მიმართულემა, დრო და ჟამის მიუხედავად, მისი ნილილისტობით ჩვენშიაც გადმოვიდოდა!“**

*რუსეთის ნასუფრალით ნაკვებ* ქართულ სინამდვილეში გამორჩეულ ფიგურათა დახასიათებისას ავტორისეული შეფასების კრიტერიუმი ნაციონალური იდენტობის განცდაა. იგი აღწერს მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველების პორტრეტებს და ოთხ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სამშობლოსადმი დამოკიდებულებასა და მისი გამოხატვის ფორმებზე. „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით, გამოყოფილია ორი ტიპის პატრიოტიზმი: ფრთხილი, დამალული, არადემონსტრაციული ხასიათისა (ალექსანდრე ორბელიანისა და ლავრენტი არდაზიანის სახეებით გამოხატული) და გაბედული, თავგანწირული (დემიტრი ყიფიანის სახით გამოხატული). მათ გარდა, დახასიათებულია გრიგოლ ორბელიანის პატრიოტიზმიც, როგორც ქართულ-რუსულ პოლიტიკურ სივრცეთა მორიგება/ შეთავსების ნიმუში, რომელიც არსებითად სხვაობს პირველი ორი ტიპისაგან, რადგან ამ უკანასკნელთათვის ქართული და რუსული სივრცეები ერთმანეთთან რადიკალურადაა დაპირისპირებული.

ალექსანდრე ორბელიანის შესახებ აკაკი წერეთელი დიდი ემოციურობით წერს:

ალექსანდრე ორბელიანი - პირველ ნახვისთანავე შემიყვარდა. ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. ძალიან უყვარდა საქართველო და უფრო იმერეთის იმედი ჰქონდა [...] პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი იყო. ბევრი რამ ძველი თუ ახალი იცოდა, მაგრამ დღისით იმასაც არას ეტყოდა, ვისთანაც გულგახსნილად იყო; ღამე, როცა მარტოკა დარჩებოდა მეგობართან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვადასხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც სიფრთხილით სანთლებს აქრობდა!.. „ბნელაში სჯობიაო“. ერთხელ, აი, რა სთქვა ჩემ გაკვირვებაზე: **„ბნელაში საუბარი მიტომ სჯობს, რომ ვეღარავინ დაგვინახავს**

და ველარას შეგვიტყობსო!“ [...] მიუხედავად ამ ახირებულობისა, ის ძალიან საყვარელი ვინმე იყო და საქართველოც განსხვავებულად უყვარდა; ეს მისი ნაწერებიდანაც სჩანს...<sup>165</sup> მე ახალგაზრდა ვიყავი, რომ ის ღრმა მოხუცებულობაში მოკვდა. ბევრი რამ დარჩა ნაწერი, ზოგიერთი მათგანი ჩემთვისაც წაუკითხავს საიდუმლოდ (წერეთელი 1958ა, 107-108).

ლავრენტი არდაზიანის პორტრეტის მთავარ შტრიხადაც აკაკი წერეთელი მის განსაკუთრებულ, უხმაურო და ნამდვილ პატრიოტიზმს გამოყოფს. ალექსანდრე ორბელიანის მსგავსად, სამშობლოსადმი მწერლის სიყვარულს არ ჰქონია დემონსტრაციული ხასიათი:

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ნიჭის პატრონი იყო ლავრენტი არდაზიანი. ის იყო სადღაც ჩინოვნიკად. ჩუმი კაცი იყო და სათნო. მის ქართველობას საზღვარი არა ჰქონდა. პოეტს რწმუნება თუ არაფრისა აქვს, რა შვილი იქნება? **შენც ორი რამ უნდა გახსოვდეს: ღმერთი და საქართველო - ეს მითხრა დიდის ბოდიშით** და გამომეთხოვა (წერეთელი 2010, 254).

ალექსანდრე ორბელიანისა და ლავრენტი არდაზიანისაგან განსხვავებით, აკაკის შეფასებით, გრიგოლ ორბელიანისთვის, როგორც ვორონცოვის მიმდევრისათვის, ქართული სინამდვილე რუსულის გარეშე წარმოუდგენელი იყო, შესაბამისად, ნაციონალური იდენტობის განცდა - განუცდელი. მეტიც, ორბელიანმა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენა:

დიდებული ჩამომავლობის, მთავრობის მაღალხარისხოვანი ხელჯოხიანი, ბუნებითაც დიდი ნიჭიერი იყო გ. ორბელიანი!.. მაგრამ არც ერთს ამ ღირსებათაგანს ნაყოფი არ მოუტანია სამშობლოსთვის.“ ქვეყნისათვის არა მოუტანია-რა და არც კვალი დაუგდია... და ეს მისი ბრალია, რომ იმას ხალხიცა და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად, ბატონკაცურად ესმოდა, **იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ,**

<sup>165</sup> ალექსანდრე ორბელიანი თავის მემუარებში იგონებს: „რა ვქნა, რა უყო, ღმერთს ისე დაუბადებვიარ, რომ საქართველოში მე რუსები არ მიყუარან? - მე ისინი რუსეთში დიდად მიყუარან, იქ უკეთესი ხალხი არ უნდა ისინი არიან და ბევრი კარგიც მახსომ მე იმათგან, მაგრამ აბა რა ვქნა, აქ მე ისინი არ მიყუარან, არა, ბევრჯელ ვეცადე, ეს ჩემი უსიყვარულობა იმათზე, ჩემს გულში მამეკლა, მაგრამ ვერას მოთმინებით ვერ შევიძელ, არა გამეწყო რა, მაგრამ ამის გამო ძალიან პირალესილები არიან: რუსების დასი ქართულები ჩემზედ, აბა რა ვქნა რა უყო, ოთხი თუ ხუთი წლის ყმაწვილი რომ ვიყავ და ჩემთან რუსებზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, იმათ ხსენებაზედ მე კი ტირილს დავიწყებდი [...] ცოტოტოტ შევეჩვიე რუსებს და ბოლო დროს იმათ სამხედროს ჯარშიაც შევედი სამსახურში, უფრო სწორეთა ვთქუა, გარეშე მრჩევლებმა შემგზავნეს, ეგება დავჩუქულიყავ იმათთან, მაგრამ მაინც ის ჩემი ყმაწვილობის სიძულვილი იმათი დამჩემდა და ველარ ამოვხოცე გულიდგან“ (ორბელიანი 2010, 46-47).



რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის, და თუ ეს არ იქნებოდა, ქვა ქვაზედაც ნულა ყოფილიყო!. როგორც ვარანცოვის პოლიტიკის მიმდევარს, ურუსებოდ ქართველის წარმოდგენა არ შეეძლო, მით უფრო, რომ რუსეთი პირადად მისი დიდი მწყალობელი იყო. და განა მარტო იმას? მაშინ შამილობა იყო და საზოგადოდ ქართველებს, გარდა ერთი-ორისა ასე ეგონათ რუსის ნამოქმედარში წილი ედებოდათ. გრიგოლს მაინც თვით რუსზედაც უფრო სწამდა რუსი. რუსი ქართველში ჰყავდა განხორციელებული და ქართველი რუსში. და ამით აიხსნება მისი თავდადებული ერთგულება რუსეთისადმი (წერეთელი 2010, 262-263, 265).<sup>166</sup>

ორბელიანისგან ყოველმხრივ განსხვავებულ პიროვნებადაა წარმოდგენილი დიმიტრი ყიფიანი, რომლის პორტრეტიც მთლიანად ნაციონალური იდენტობის კონტექსტშია მოცემული და ყველაზე მეტი ემოციურობით აკაკი სწორედ დიმიტრი ყიფიანის შესახებ წერს:

სულ სხვა ბუნებისა და გუნების იყო, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი, განსვენებული დიმიტრი ყიფიანი. [...] შთამომავლობით არა მიუძღოდა-რა!.. მომხრე არავინ ჰყოლია და თავისთავად უნდა გაეკვლია გზა მომავლისა. პირველი ბიჯი მან ციმბირისაკენ გადადგა. [...] ქართველობას მისთვის, გარდა სიცოცხლისა, არა მოუცია-რა!.. ყოველიფერი რუსობამ მოახვეჭინა, მაგრამ, დახეთ გულგაუტეხელობას, იმას სამშობლო მაინც არ დავიწყებია, იმ თავიდან ამ ბოლომდე, სიყრმიდან სიბერემდე სულ თურმე საქართველოზე ჰფიქრობდა, - ცოტას ჰფიქრობდა პირადობაზე. დიდკაცობა და ძალა მიტომ უნდოდა, რომ ხალხში მეტი გავლენა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის. იმან კარგად იცოდა, რომ იმ დროში, კაცი გენოსიც რომ ყოფილიყო, თუ მის ადამიანობას რუსის ბეჭედი არ ექნებოდა დაკრული, არავინ არას გაუგონებდა [...] დღეს-ხვალიობით, თანდათანობით, ააყრევინა მთავრობას გული, გაირისხა და თავი მოაშორებინა. ირაკლი გრუზინსკისა არ იყოს, ქართულ ლიტერატურულ სადამოზე სალამურის დამკვერელად რომ გამოვიდა, მაშინ რომ ყიფიანმა მუნდირი გაიხადა და ჩერქეზული ჩაიცვა ზედ ვარსკვლავით, სასაცილო პროტესტი იქნება, თუ დღევანდელის თვალთ შევხედავთ; მაგრამ მაშინ კი საგულისხმო იყო და იმას ჰნიშნავდა, რომ იმან მით მაშინდელ ბიუროკრატას პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა (წერეთელი 2010, 266-267).

აკაკი იგონებს ეგზარქოსთან დიმიტრი ყიფიანის დაპირისპირების დრამატულ ისტორიას და დაუფარავი აღტაცებით საუბრობს ყიფიანის გმირობის შესახებ:

---

<sup>166</sup> აკაკის მოგონებით, გრიგოლ ორბელიანს ალექსანდრე ორბელიანის სიცოცხლეში „სადღეგრძელოს“ ცნობილი მონაკვეთი - მიძღვნა იმპერატორ ნიკოლოზისადმი - არ გამოუქვეყნებია: “[გრიგოლ ორბელიანი] რუსების დროს ეტრფის და ნიკოლოზ პირველი ცამდის აჰყავს. სანამ ალექსანდრე ორბელიანი ცოცხალი იყო, ეს ნიკოლოზის მუნასიბი გამოტოვებული ჰქონდა და მერე კი ისიც შეიტანა მთელ პოემაში” (წერეთელი 1958ა, 119-120).

დადრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: „ნუ გშურს, ჩემთვის ეს ღვთის წყალობააო! უკეთესს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისთვის იგზავნიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილაო და დეე პირველი მერცხალიც მე ვიყოო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო!“ - სთქვა და ჩაფიქრდა. ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს. და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს! და ვინ? რად? სრულიად საჭირო არ არის ამაზე ვიფიქროთ მაშინ, როდესაც ვიცით, თუ რისთვისაც!.. ამას მომავალი უკეთ გამოიკვლევს, მაშინ, როდესაც ყიფიანის ნათესავი თავს იჩენს, ნაყოფს მოიტანს და დაწესებულებებს ჩვენც ისე ცალმხრივად აღარ დაუწყებთ ყურებას, როგორც დღეს: ბანკი მარტო სადახლო დუქანი აღარ გვეგონება, წერა-კითხვის საზოგადოება - ბიუროკრატიული რამ დაწესებულება და თეატრი - სასაცილო გასართობი!.. დღევანდელი ამბოხება, თუმცა ჯერჯერობით კი უკუღმართი და უთანასწორო, მაგრამ მაინც ხალხის გამოღვიძების ნიშანი, თავდება ამისი (წერეთელი 2010, 269).

აკაკი წერეთელმა ავტობიოგრაფიასა და ლექს „განთიადში“ დიმიტრი ყიფიანის გმირობის ასახვით ქართულ ნაციონალურ დისკურსში თანამედროვეობის გმირის მხატვრული სახე დაამკვიდრა. მე-19 საუკუნის საქართველოსთვის ყიფიანის საფლავი - „საშვილიშვილო სამარე“ - ეროვნული მეხსიერების მემორიალად იქცა.

დამოწმებული მონაკვეთებიდან ცხადი ხდება, რომ მე-19 საუკუნის ქართული ეროვნული იდენტობა აკაკის ავტობიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებშიც რუსულ სივრცესთან დაპირისპირების ფონზე იკვეთება. როგორც აღინიშნა, დაპირისპირება ორგვარია - პასიური, ჩუმი (ალექსანდრე ორბელიანისა და ლავრენტი არდაზიანის სახეები) და აქტიური, დისიდენტური (დიმიტრი ყიფიანის ფიგურა). ამ ფონზე ჰიბრიდულ ფიგურადაა გამოკვეთილი გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც, აკაკის შეფასებით, ქვეყნის ინტერესებზე მაღლა პირადი კეთილდღეობა დააყენა.

„ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით, ეროვნული იდენტობის განცდა პიროვნულობის უმთავრესი მახასიათებელია; კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის შვილობა სამშობლოს გულანთებულ და უანგარო სიყვარულს, თავგანწირვისთვის უპირობო მზაობას მოითხოვს. ავტორი მე-19 საუკუნის გამოჩენილ ქართველებს ნაციონალური იდენტობის განცდისა და

კოლონიზატორისადმი შეურიგებლობის/რეზისტენტობის ხარისხის მიხედვით აფასებს.

ქართულ-რუსული ურთიერთობები პირდაპირაა ასახული მის არაერთ პროზაულ ნაწარმოებში, რომელთაგან აღსანიშნავია: „საუბარი ორთა შუა“ (1872), „ნამდვილი ამბავი“ (1912) და „ორი სიზმარი“ (1906).

პირველ ტექსტში წარმოდგენილია ანექსიის შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარება, რომლის შესახებაც გლეხის საუბრიდან ხდება ცნობილი. მისი რემარკები კოლონიური სინამდვილის ნიშნებს ასახავს:

**თქვენ რუსულ მუსაიფსა ხართ დაჩვეული და მე კი ქართულით ვიგდებ თავს...** რომ ვიცოდე რუსული, ჩემთვისაც კარგი იქნებოდა [...] ბრალიანი და უბრალო, ვისაც უჭირს და არ უჭირს, **სულ ყველა რუსულად ცდილობს ლაპარაკს** [...] - რუსული სიტყვები არაფერი იცი? /- კი, ვიცი ორიოდ, რუსების გზის სამუშევარში ვისწავლე./ - აბა, რა სიტყვები?.. /- **საბაქ! დურაქ! მერზავცო! სვინია! და...** /- არა, არა, ეგეები არ მინდა, ძალად არ გკითხავ!.. - გავაწყვეტინე მე. - პოჟოლუსტა არ იცი, რა არის? /- როგორ არა, ბატონო, ისიც გზაში ვისწავლე./ - რა არის? /- მალეო! /- არა, „მალე“ კი არ არის. ქართულად შენი ჭირიმედ, გენაცვალედ გადმოითარგმნება./ - იმე, მერე და, ჩვენი რუსი, გზის თავმდგმური, როცა დაგვსაქმებდა რამეს, წავგვარტყამდა, და მაშინ გვეტყოდა ხოლმე პაჟოლუსტას, და თუ მართლა პაჟოლუსტა შენი ჭირიმეა, ვის გაუგონია შენი ჭირიმეთი წყრომა? მაგრამ დალახვროს ღმერთმა, ყველას თავის ადათი აქვს (წერეთელი 1958ა, 223-224).

დამოწმებული პასაჟებით ცხადი ხდება, რომ კოლონიურ საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა თავად ცდილობდა, ესაუბრა დამპყრობი ქვეყნის ენაზე, რადგან ეს ცხოვრების გაადვილების საშუალებას მისცემდა; მუშახელად აყვანილ ადგილობრივებს კოლონიზატორი სიტყვიერად შეურაცხყოფდა და სცემდა; დაბოლოს, რუსული „ადათი“ ქართველის ცნობიერებისთვის უცხო იყო.

მოთხრობა „ნამდვილი ამბავი“ ამავე თემაზეა შექმნილი - ასახავს საქართველოში რუსების შემოსვლის პირველ პერიოდს. წარმოდგენილი ამბის დამაჯერებლობის მაღალ ხარისხზე, სათაურის გარდა, ისიც მიუთითებს, რომ ისტორია პირველ პირშია მოთხრობილი:

„დამსჯელი რაზმი რომ შემოიღეს, მე, როგორც ჩემდა საუბედუროდ, რუსულის მცოდნე, კაზაკების ერთ გუნდს მიმიჩინეს. ეგენი უცხოები არიან აქ, არც გზა იციან, არც კვალი და შენ უნდა წაჰყვე ხოლმე, უწინამძღვრო. არ მიამა, მაგრამ რას ვიზამდი? ბატონის ბრძანებას სად წაუხვალ?! მეც ავედევენე ამ ძალთაპირებს. აქ კაცსა ჰკლავდნენ, იქ სახლსა სწვავდნენ...

დედაკაცებს აუპატიურებდნენ და სხვანი. რასაც უფრო მეტს მხეცურს ჩაიდენდნენ, ის უფრო ექებოდათ და სამსახურშიაც ერთგულებად ეთვლებოდათ. პირველ ხანებში ცოდვით ვიწვოდი; მაგრამ საკვირველი ყოფილა ადამიანი!.. ყოველიფერ სისამაგლეს მიეჩვევა თურმე: ბოლოს და ბოლოს მეც შევტოპე უწმინდურობის წუმპეში და ერთიც ველარავინ მჯობდა მარცვა-გლეჯაში!“ (წერეთელი 1958ა, 230-231)

პრობლემა, რომელიც ამ ტექსტშია დასმული, მტრის შესახებ სწორი წარმოდგენის შექმნის გარდა,<sup>167</sup> კოლონიზატორის სამსახურში ჩამდგარი ქართველის გადაგვარების ჩვენებასაც ისახავს მიზნად. ეს ნაციონალური იდენტობისთვის მთავარი საკითხია: როგორია უცხო და როგორი ვხდები მე მისი ბატონობის პირობებში, არსებითად განსაზღვრავს, ახალ წესრიგში მეტ-ნაკლებად შეინარჩუნებს თუ საბოლოოდ დაკარგავს ერი თავის სახეს.

ტრავმულ ისტორიულ გამოცდილებას აკაკი წერეთელი ესქატოლოგიური მომავლის კონტექსტშიც განიხილავს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოთხრობა „ორი სიზმარი“, რომელიც ორიგინალურ სიუჟეტურ მოდელზეა აგებული და, სავარაუდოდ, ავტობიოგრაფიულ ფაქტებსაც ასახავს:

სიუჟეტი ვითარდება გიმნაზიაში, სადაც მოსწავლეებს აცნობენ და ასწავლიან მხოლოდ რუსულ კულტურასა და ისტორიას (მოთხრობაში შეუფარავადაა ასახული კოლონიური ვითარების სიმძიმე). შედეგად, ახალგაზრდები სწყდებიან თავიანთ წარსულს და ითავისებენ მხოლოდ სხვისას. მოთხრობის მთავარი გმირი ჰყვება - დიმიტრი დონელის გმირობის ამბის მოსმენის შემდეგ კლასს „მამაის ბრძოლის“ დადგმა მოუდა, „მაგრამ თავს ყველა ჩვენგანი რუსადა გრძნობდა და თათრობა არავინ იკისრა.“ (წერეთელი 1958ბ, 197) სხვისი წარსულით აღფრთოვანებულ მოთხრობელს მშობლებმა ურჩიეს, გასცნობოდა საქართველოს ისტორიას.

<sup>167</sup> კომუნიკაციური მეხსიერების ფაქტა გადაქცევა კულტურული მეხსიერების ფაქტებად, არსობრივად, ერთ მიზანს ემსახურებოდა - ქართველთა ცნობიერებაში კოლონიზატორის შესახებ ადეკვატური წარმოდგენის შექმნას: მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ქართველისთვის იყო უკვე არა აგრესორი, რომელიც სისხლიანი გზით შემოვიდა ქვეყანაში, არამედ ხელისუფალი, რომელიც მის პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას წარმართავდა. ამდენად, ის აღარ აღიქმებოდა მტრად, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა იყო საჭირო. ანექსიისდროინდელ ფაქტთა შეხსენებით კი რუსის სახე უნდა მოდიფიცირებულიყო - ის კვლავ მტრად უნდა აღქმულიყო. ქართულ ლიტერატურაში ეს გზა გააგრძელა ალექსანდრე ყაზბეგმა.

მოსწავლემ აღმოაჩინა, რომ თავის სამშობლოშიც მგავსი ამბები ხდებოდა, აქაც მოწამეობრივად ეწირებოდნენ სარწმუნოების დაცვას და იდევნებოდნენ თათრების მიერ. თვალსაჩინო პარალელების აღმოჩენის შემდეგ მოზარდმა დაასკვნა, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობა ისტორიულად გამართლებული იყო:

იქ სერგი მეუდაბნოე ამხნეებს ლოცვა-კურთხევით რუსის ჯარს და აქ, ქართველებს, - არსენ კათალიკოსი. აქაც და იქაც ორგანვე შენიშნავენ თეთრ ცხენზე მჯდომარე მეომარს, წმინდა გიორგიდ მიღებულს, და დასასრულ, იქაც დიმიტრი დონელი და აქაც, - დიმიტრი თავდადებულის მიზეზით აგზნებული გიორგი!.. **ნუთუ ესეები ყველა არ ამტკიცებს, რომ განგებას წინდაწინვე, იმთავითვე, მოუნდომებია ამ ორი სხვადასხვა ხალხის ქრისტიანულის კავშირით ერთმანეთზე გადაბმა?..** (წერეთელი 1958ბ,198).

საზიარო ისტორიით აღფრთოვანებულ ყმაწვილს იმ ღამეს ქრისტეს მხედრებად ესიზმრა რუსები და ქართველები, სასუფევლის ნეტარებად მიიჩნია მათი ერთობა და რუსების მიმართ სიყვარულით აივსო.<sup>168</sup> მეორე დღეს მოსწავლემ სკოლაში მიიტანა საქართველოს ისტორიის წიგნი, რათა სხვებისთვისაც გაეზიარებინა ერთობის სიხარული, მაგრამ მას სახელმძღვანელო ჩამოართვეს იმ მოტივით, რომ ამგვარი საქციელით დანარჩენებს გარყვნიდა:

- შენ კი, არა თუ თვითონ კითხულობ, სხვებსაც აკითხებ და რყვნი. - მე არ მეგონა... მასთანაც კიდევ მამამ მირჩია. - მამამ! მამამ! **სკოლაში მიტომ გიღებენ, რომ მამაც დაივიწყო და პაპაც...** იმათი სამაგიერო აქ უნდა სძებნოთ, სკოლაში! (წერეთელი 1958ბ, 199).<sup>169</sup>

საბოლოოდ, მშობლებმა ბავშვი სასწავლებლიდან გაიყვანეს. ამით სრულდება მოთხრობის პირველი ნაწილი. მეორე მონაკვეთში აღწერილია სიზმარი, რომელიც მოცემული ისტორიის ერთგვარ სიმბოლურ განმარტებას წარმოადგენს: ტახტზე ანტიქრისტე იჯდა. მის წინ იდგა ორი რაზმი, იუდასა და კაენის მეთაურობით,

---

<sup>168</sup> „სუყოველგან რუსები მეღანდებოდნენ! ასე გასინჯეთ, რომ ლოცვის დროსაც კი ხატის წინ რუსები მეჩვენებოდნენ და რაღაც გამოურკვეველ უცნაურ ძალას მივყავდი მათკენ.“ (წერეთელი 1958ბ, 198).

<sup>169</sup> ამ ფაქტით გულგატეხილ მოსწავლეს საღვთო სჯულის მასწავლებელმა სლავური სახარება აჩუქა. ბავშვი კარგად ვერ იგებდა წმინდა წერილს და ამიტომ მამას სთხოვდა, აეხსნა. მამამ ქართულის წაკითხვა ურჩია. ქართული სახარების წაღების გამო მოსწავლე სკოლაში კიდევ ერთხელ დაისაჯა: „ჰმ! მამ აგრე?.. ჩვენი წმინდა სახარება, სამართლმადიდებლო და საქრისტიანო, მიაგდე განზე და ამას ამჯობინე თქვენი, ძაღლის ენაზე დაწერილი წიგნი?“ (წერეთელი 1958ბ, 201)

საყდრის ნაცვლად კი აღმართულიყო „კერპთ სადგური“. მთხრობელი მათში თავის თანამედროვეთ აღმოაჩენს:

ბიჭოს!.. აკი ესენი გუშინ ქრისტიანები იყვნენ?! დღეს სამოსელი გადაუგდიათ და კერპთთაყვანისმცემლობას აღიარებენ! „შევწირეთ მსხვერპლი მამონსაო!“ - იძახიან. სისხლიანი დანით ხელში მიაბრუნებენ სამსხვერპლოდ გაწირულ ახალგაზრდებს ვიღაც გამხეცებულები! ღმერთო ჩემო! რანაირად მოგაგან ესენი ჩვენს მოძღვრებს და აღმზრდელებს!.. ეს რად მიჰყავთ ძალით ჯოჯოხეთში?.. აი, სად ყოფილა ჯოჯოხეთი! ცეცხლი მეკიდება, აგერ სადაც არის გული შემიწუხდება! მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი... დაიელვა, ყოველი გაანათლა; დაიქუხა და გავარდა მეხი, მოხვდა ანტექრისტეს და ისიც თავის თანამოზიარეებით ჩავარდა ქვესკნელში. / შორით გამოჩნდება ნათლის სვეტი და თან მოჰყვება ქრისტე, ცოდვილთა და მართალთა განსასჯელად“ (წერეთელი 1958ბ, 203).

საკითხის გადაწყვეტა ესქატოლოგიურ კონტექსტში, ერთი მხრივ, იმის მიმანიშნებელია, რომ რეალურ ისტორიულ დროსა და სივრცეში ეს პრობლემა გადაუჭრელი დარჩება და, მეორე მხრივ, დანაშაული იმდენად დიდია, რომ უმაღლეს სასჯელს იმსახურებს.

მოცემულ შემთხვევაში, კოლონიურ ვითარების ფონზე ნაციონალური იდენტობის ფორმირების საკითხი, ურთიერთდაპირისპირებულ სივრცეთა ბინარულობის პრინციპს ითვალისწინებს, თუმცა აკაკის პროზაში ეროვნული ავტოპორტრეტის პრობლემა სხვა სივრცესთან (რუსულ რეალობასთან) დაპირისპირების გარეშეცაა წარმოდგენილი. „პატრიოტის აღსარება“, რომელიც პირველ პირშია მოთხრობილი, ქართული ფსევდოპატრიოტიზმის თავისებური განზოგადებული ფორმულაა: მამულიშვილობის ცნება აქ პირდაპირ უკავშირდება ჭამას, რომლის მიხედვითაც აითვლება დრო. ქართველობის საზომი სუფრის სიყვარული და წინაპართა შესანდობარის დაღევაა და ის არც სიტყვით ერთგულებას მოითხოვს, არც - საქმით:

აბა, თქვენი ჭირიძე, სადილობამდის, როცა მუცელი ცარიელია, ვისა სცალიან საპატრიოტოდ და ან ნასადილევს, კუჭდამძიმებულზე, რაღა დროს პატრიოტობაა?! ჭამა - „აი, დრო, როდესაც ჩემს გულში იღვიძებს პატრიოტული გრძნობა და ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იღვამს სამეფო ტახტსა! მაშინ მეც თავი მომწონს ქართველობით!.. განა შემიძლია შუშუხუნა მწვადის ყურება ისე, რომ პირი პატრიოტული ნერწყვით არ მევესებოდეს? როდის გადამიკრავს კახური ღვინო ისე, რომ ჩვენის წინაპრების შესანდობარი არ ყოფილიყოს? [...]

დიახ!.. ამგვარად ხშირად აღვძრულვარ, აღვშფოთებულვარ და მაშ ვისღა შეუძლია სთქვას, რომ მე პატრიოტი არ ვიყო? (წერეთელი 1958ა, 235-236).<sup>170</sup>

თანამედროვე ქართველის ზოგადი ტიპის სახის გვერდით, აკაკის პროზაში რუსეთის - *მტრის* - მხატვრული სახეცაა შექმნილი („გოგია მეჩონგურე“, 1875). ნაციონალური ნარატივი აქ ტრადიციული ფორმით, „სიმღერითაა“, წარმოდგენილი: დიდხანს, დიდხანს გულსაკლავად წრიალებდნენ სიმები უცნაური ძალით და ბოლოს კი სიმღერაც მოისმა. კილო იმ სიმღერისა არა ჰგავდა არც „სალხინოსა“ და არც „ზარის“ ხმას; ის იყო გულგამხეთქის საყვედურისა და წყევა-კრულვის ერთად შეერთებული ხმა. იმ სიმღერაში მოისმოდა ეს სიტყვები: ჩემს სამშობლოსა ღალატი / შავ ნისლივით ჩამოაწვა: / ძმამ ძმას საფრთხე გაუთხარა, / შვილმა მამა ჯვარზედ აცვა!.. / **ისარგებლა მით სტუმარმა, / ჩვენგანვე მოწვეულმა**, / და სტუმრობა არ იკმარა: / მასპინძლობა უთხრა გულმა. / მაგრამ იმის მასპინძლობას / ჩვენ ქვეყნისთვის არ აქვს მადლი: / უცხო სენი თვალთმაქცური / გულ-ღვიძლსა ხრავს, ვითა მატლი! / და მის შემდეგ ჩემს სამშობლოს / თვისი ფერი შეეცვალა, / და ნაყოფის მოცემაში/ დაეკარგა ძველი ძალა!.. (წერეთელი 1958ა, 252-253)<sup>171</sup>

*ჩვენგანვე მოწვეული და მასპინძლად გადაქცეული სტუმრის* მხატვრული სახე რუსეთის თვალსაჩინო მარკურია (ის გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაშიც გვხვდება), *უცხო სენით დაავადება და ფერშეცვლა* კი კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნის აღმნიშვნელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოსტმედიევალური ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირებაში აკაკი წერეთელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა: ჩამოაყალიბა ბინარულ ოპოზიციათა მთელი სისტემა (ნავი - ხომალდი, დედინაცვალი/მამინაცვალი - ობოლი გერი, ჩრდილოელი/ნამძალადევი საქმრო - სატრფო და ა.შ.); დაამკვიდრა მარკურები: სკვითი/სკვითობა, რუსეთუმე, კუდური დედინაცვალი... პირველმა აქცია თანამედროვე რუსი მმართველი მხატვრული ტექსტის პერსონაჟად; ლიტერატურული ნარატივის ფარგლებში შემოიტანა როგორც ბიბლიური პარადიგმა (იერემიას გოდება, საყოველთაო სამსჯავრო), ისე

<sup>170</sup> ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაციის ეს მოდელი არსებითად უახლოვდება ლუარსაბ თათქარიძის მხატვრულ სახეს.

<sup>171</sup> აკაკი ხშირად დამოუკიდებლადაც წარმოადგენს პოეტურ თუ პროზაულ ტექსტებში ჩართულ ლექსებს (მაგ.: ლექსს მიჯაჭვულ ამირანზე, ზემოთ დამოწმებულ ლექსს ლეგენდიდან „გოგია მეჩონგურე“...). ამ გზით ავტორი მკითხველის ყურადღებას მიმართავს საკუთრივ ნაციონალური პრობლემისკენ.

მითოლოგიური და ლიტერატურული ინტერტექსტები (ამირანის მითი, „ვეფხისტყაოსანი“); მიმართა ისტორიული მოვლენის რეპრეზენტაციის მეთოდს; ავტობიოგრაფიის კონტექსტად ნაციონალური კოლონიური ვითარება გამოიყენა; რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, კოლონიური ტრავმის ცოცხალი მაგალითები, კომუნიკაციური მეხსიერების ფაქტები (რუსების მიერ ქართველთა შეურაცხყოფა), კულტურული მეხსიერების ფაქტებად აქცია.

### 3.3. საქართველო და რუსეთი კავკასიის კოლონიზების კონტექსტში

(ალექსანდრე ყაზბეგის პროზა)<sup>172</sup>

ყაზბეგმა არა თუ ლიტერატურას სხვა სახე მისცა, არა თუ ახალი მიმართულება მისცა ლიტერატურას, მან დიდი პოლიტიკური მამაცობაც გამოიჩინა, მოქალაქეობრივი სითამამე, და ის, რაც ილიამა და აკაკიმ გაბედეს და მხოლოდ სიმბოლოს სახით დაგვანახეს, ყაზბეგმა თვალსაჩინო სურათებით დახატა: დოკუმენტალურად, მშვენიერი აღმტაცებელი ფერადებით დაგვისურათა ქართველი ერის მდგომარეობა...

/კიტა აბაშიძე/

მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალური დისკურსის განვითარებაში თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა ალექსანდრე ყაზბეგმა, რომელმაც უარი განაცხადა ლიტერატურული ნარატივის ნაციონალურ დისკურსში აპრობირებულ სათქმელის ალეგორიზების ხერხზე და პირდაპირ, დაუფარავად აღწერა საქართველოს კოლონიური მდგომარეობა. თავისი პროზაული ტექსტები მწერალმა ააგო რეალურ,

---

<sup>172</sup> ამ თავის ერთი მონაკვეთი წაკითხულია მოხსენებად ლიტერატურის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე *გამოძიება და პროცესი ლიტერატურასა და ხელოვნებაში* (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო) ლორანსიენის უნივერსიტეტი (სედბერი, ონტარიო, კანადა, თბილისი 27 – 29 ივნისი, 2012 წელი).



ისტორიულ ფაქტებზე, რომლებიც კომუნიკაციური მეხსიერებიდან კულტურული მეხსიერების ფონდში გადაიტანა (ამის პრეცედენტი აკაკი წერეთლის პროზაში დაიშვა, მაგრამ, ყაზბეგის შემოქმედებისგან განსხვავებით, ეს იყო მწერლის ნაციონალური ნარატივის მხოლოდ ერთი მიმართულება).<sup>173</sup> ყაზბეგმა მიზნად დაისახა ლიტერატურაში პოლიტიკური სინამდვილის (რუსულ-კავკასიური და რუსულ-ქართული ურთიერთობების) ზედმიწევნითი ასახვა და საამისოდ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, დოკუმენტურ მასალას მიმართა (მისი სტილის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია მხატვრული ტექსტისთვის სქოლიოების დართვა წყაროთა მითითებით).

ხუთი წლის განმავლობაში შექმნილი პროზაული ნაწარმოებების სიუჟეტები საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების ფონზე ვითარდება; ყაზბეგის პერსონაჟთა შორის არიან რეალური ისტორიული პირები: ვორონცოვი, შამილი, ქართველი ბატონიშვილები... ავტორმა მოთხრობებში კონკრეტული თარიღები და ბრძოლები მიუთითა, აჩვენა ადამიანთა ბედი კოლონიადქცეულ ქვეყანაში; ადმინისტრაციული სისტემის მუშაობის ასახვით ყურადღება გაამახვილა კოლონიური რეჟიმის დამყარების პროცესის რეპრეზენტაციაზე. მოთხრობებში რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის ფუნქციონირება და „ზაკონის“ გავრცელება ორ დონეზეა ნაჩვენები: ჩინოვნიკთა საქმიანობითა და მედროვე ქართველთა ცხოვრების წესით (ამ უკანასკნელთა ტიპური სახის გამოსაკვეთად პერსონაჟთა მთელი გალერეაა წარმოდგენილი: გაგი, გირგოლა, გელა, გეო, გოდერძი,

---

<sup>173</sup> ალექსანდრე ყაზბეგმა ნაციონალური რიტორიკა, პროზაული ტექსტების გარდა, განავითარა მდიდარ პოეტურ შემოქმედებაშიც, რომელიც მის სიცოცხლეში არ გამოცემულა და ვრცელდებოდა როგორც ხელნაწერი რვეულების სახით (ასეთ კრებულთა რაოდენობა იყო 31), ისე - ზეპირადაც: სცენაზე ყაზბეგი თავად კითხულობდა საკუთარ ლექსებს. ზოგ მათგანს ცენზურისგან დასაცავად ბეჭდავდა როგორც ხალხურს. მის ლექსებში მკვეთრადაა გამოხატული პროტესტი რუსული კოლონიური მმართველობის მიმართ. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითის დამოწმებაც კმარა: „შერცხვეს შენი სამართალი, / შენი მირონცხებულება“; „აწ ხომ წამართვი მთა, ბარი, / ფერადოვანი ველიო. / არ კმარობ?.. მაგრამ რით გასძღეს / შხამით აღსავსე გველიო. / კმარა ამდენი მუდარა / და ფიანდაზის ფენაო, / შენის ხვეწნითა დადუნდა / ადამიანის ენაო“; „რეგვენო, მშობელს ვით გავცვლი, / მრისხანე დედის-ნაცვალზედ, / ჩემს ხევის ბერებს დიდებულთ / შენს ჩაფრებს, პრისტავ-ნაცვლებზედ? / შენსა გზას ვითა მივეყვები, / სისხლითა ნახნავს, ნაკვალზედ, / სადაც დამყარდა ცხოვრება / მთლად უსამართლო ძალაზედ!“ (ყაზბეგი 1949, 31, 86, 103, 106, 132).

გორჯასპი...)). როგორც წესი, თხრობის მთავარი დროითი ვექტორია საქართველოში რუსული მმართველობის დამყარება:

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა და, მაშასადამე, დრო არეულობისა და მუდამ ბრძოლისა ამ მფარველობის ქვეშ შესვლის მსურველთა და მოწინააღმდეგეთა შორის [...] სწორედ ამავე ხანებში მოვიდა ამბავი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ეს ხმა სწრაფად გავარდა ხალხში და მთელი საქართველო შეარყია. [...] რუსები საქართველოში დაბინავდნენ და სტუმრად მოსულთ მასპინძლობა დაიწყეს. ხალხისთვის გულის შემატკივარნი ზოგნი დაიჭირეს, ზოგნიც აქეთ-იქით გაიქსაქს-გამოისაქსნენ და უპატრონოდ დარჩენილნი კი საკმაოდ დააშინეს. ხალხი წავიდ-წამოვიდა; ყველა თავის კერას მიუდგა და ვარამ გულში ჩათხრობილი ახალს მდგომარეობას გამოურკვევლად შეჰყურებდა [...] რუსები დაბინავდნენ, მაგრამ ხალხი მაინც ვერ შესჩვეოდა ახალს მდგომარეობას და ექსუებოდა [...] გაიარა წელიწადებმა, საქართველოში დამყარდა რუსის მართებლობა და კანონები. ხალხი დამშვიდდა, დაიწყო ახალი ცხოვრება („ელგუჯა“, 1881) (ყაზბეგი 1962, 49,130, 171, 193).

*რუსის მართებლობისა და კანონების* შემოღების დრო ყაზბეგის პროზაულ ტექსტებში მხოლოდ სიუჟეტის მარგანიზებული ელემენტი არ არის, ესაა პერსონაჟთა დახასიათების საშუალებაც:

[...] ამ სახლობას შეადგენდა მარტო ეს სამი დედაკაცი, რომელთაგანაც უფროსს ახსოვდა ის დრო, როდესაც ჯერ საქართველო რუსეთს არ შეერთებოდა, შუათანას - რაოდენიმე სიხარული ქმარ-მაზლებთან და უმცროსს კი - მარტო გაჭირვება, ბეგარა, უსამართლობა და რაც ყველაზედ საზიზღარი იყო მისთვის, რუსების სახლში ჩაყენება, რომელთ ჩვეულებრივი დაურიდებლობა, გარყვნილი ოხუნჯობა და ლაჟღანდარობა ამღელვარებდა, აშფოთებდა იმის თავმოყვარეობას („ციკო“, 1883) (ყაზბეგი 1948, 6).

პერსონაჟთა ბიოგრაფიისა და მეხსიერების ათვლის წერტილად ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის ქცევა ადამიანთა ცხოვრებასა და ცნობიერებაზე კოლონიური რეჟიმის მნიშვნელოვანი ზეგავლენის შესახებ მიანიშნებს. *უმცროსის* მეხსიერებაში არეკლილი სინამდვილე გამოკვეთს ამ რეჟიმის მთავარ მახასიათებლებს: მატერიალურ სიდუხჭირეს, გადასახადის დაწესებას, სამართლიანობის არარსებობასა და „რუსების სახლში ჩაყენებას“.

ამ უკანასკნელ საკითხზე ყაზბეგმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება. მის ნაწარმოებებში *ყაზახების ჩაყენება* - ადგილობრივთა სახლებში რუსი ჯარისკაცების დაბინავება, რასაც ყოველთვის მასპინძელთა დამცირება და მათი

ქონების განიავება მოჰყვებოდა, საქართველოში რუსული კოლონიალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა.<sup>174</sup>

ადგილობრივი ქართველი მოსახლეობისადმი კოლონიზატორის დამცინავი დამოკიდებულების გამომხატველია მარკერი *ბუსურმანი* (*//მუსულმანი, ურჯულოს მნიშვნელობით*).<sup>175</sup> რუსების მიერ დაპყრობილი ერთმორწმუნე ერის წარმომადგენელთა ამგვარი სახელდებისა და შეურაცხმყოფელი ქცევის მოტივაციის გამოვლენით ალექსანდრე ყაზბეგმა მე-19 საუკუნის ქართულ ნაციონალურ დისკურსში აქამდე ყურადღებამიუქცეველი წახნაგი გამოკვეთა - „შეატრიალა“ ხედვის რაკურსი და დახატა რუსის მიერ დანახული ქართველის სახე (მანამდე მწერლობაში წარმოდგენილი იყო ქართველის თვალით დანახული რეალობა: საკუთარი თავი და მტერი). ეს საკითხი ავტორმა კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთა დაპყრობილი ხალხის შესახებ რუს მოხელეთა არასწორი წარმოდგენის ჩვენებით: რამდენიმე მოხევე, მოწინააღმდეგეთ მოთავენი, დაჭერილები ჩამოგიყვანეთ. სამაგალითოდ უნდა გადახდევინოთ, რომ ხალხმა გაიგოს, რაც მოუვა რუსის ჯარის და იარაღის მოწინააღმდეგეს. [...] ქართველების ვალია, ყოველ რუსს, როგორც ბატონს, კრძალვით და მოწიწებით მოექცნენ. („ელგუჯა“, 1881); ეს ბატონი ახლად გადმოსულიყო რუსეთიდან ბედის სამეზნელად ჩვენს საქართველოში და პირველადვე დაენიშნათ ხევში... ამგვარს მოწყალებისთვის, რასაკვირველია, ბ-ნმა **დიამბეგმა საჭიროდ დაინახა, რომ ამ გაუნათლებელ ხალხში, უეჭველად, ყოველი აზრი, თითონ პატივისცემა და სიყვარული**

---

<sup>174</sup> „ყაზახების ჩაყენების“ თემაზე, ადგილობრივი მოსახლეობისადმი კოლონიზატორთა დამამცირებელი/შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების შესახებ ყაზბეგი წერს „მამის მკვლელს“ (1882) და „ნინოში“ (1883).

<sup>175</sup> ერთმორწმუნე ქართველები და კოლონიზატორები ყაზბეგის ნაწარმოებებში ერთმანეთს *ურწმუნობა-ურჯულოების* ნიშნით სახელდებენ: „-თოფები! - დაიძახა უფროსმა და კარებში გამოჩნდა რამდენიმე თოფიანი სალდათი. - დააგდე ეგ სკამეიკა! - დაუყვირა უფროსმა. [...] -დააგდე, თორემ ძაღლსავით მოგკლამთ! - ძაღლს ძაღლური მოქმედება ექნება, ცხო რაი შეგიძლიანთ, თუ არ უიარაღო კაცის მოკვლა?! - დააგდე, თორემ ეხლავ დაგახვრეტინებ! -ურჯულონი, უდმერთონი, მეც ეგ მინდა, რომ მომკლათ. - მაშ, იმედი გადაწყვიტე, აგრე არ მოგკლამთ!.. - უპასუხა უფროსმა და უბრძანა სალდათებს, რომ მისულიყვნენ იაგოზედ და შეეპყრათ [...] იმათ გააბეს ლაპარაკი საზიზღარს „ბუსურმანებზედ“, მოუკიდეს ჩიბუხებს და გათენებამდინ ისე გაატარეს“ („მამის მკვლელი“, 1882) (ყაზბეგი 1962, 267-268).

მათრახით დაედგინა და ამისთვის ყოველ დანაშაულისთვის, თუნდ მცირედიცა ყოფილიყო ის, მათრახით ახდევინებდა. ამის გარედ, [...] თითონ ხალხს სრულებით არ იცნობდა და არ იცოდა იმათი ენა [...]. **ეგ ბრიყვი და ბარბაროსი ხალხია, განა მაგათ დაეჯერებათ რამე? ეგეთი წყეული ხალხია ქართველები! - ბუსურმანები არიან, - დაუმატა გრძელ-ულვაშიანმა რუსმა.** („მამის მკვლელი“, 1882) (ყაზბეგი 1962, 146-147, 217-218, 272).

დამოწმებული ვრცელი მონაკვეთებით მწერალმა თვალსაჩინო გახადა ის, რომ კოლონიის სამართავად დანიშნული რუსი მოხელე აბსოლუტურად არ იცნობდა ადგილობრივ მოსახლეობას (უკეთეს შემთხვევაში, მცდარი წარმოდგენა ჰქონდა მასზე), რომლისთვისაც იგი ბატონი უნდა გამხდარიყო. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში (რომელსაც მწერალი ერთგან *ძალისა და სიმართლის შებმად* სახელდებს), *ბარბაროსთა* მორჯულების ერთადერთ იარაღს სისასტიკე წარმოადგენდა.<sup>176</sup>

ადგილობრივთადმი ამგვარი დამოკიდებულება, როგორც ყაზბეგმა აჩვენა, განპირობებული იყო არა მხოლოდ რუს მოხელეთა უვიცობით ან არასწორი წარმოდგენის ქონით, არამედ უმთავრესი მოტივით - კავკასიის დამორჩილება გმირული ელფერით შეემოსათ და ეს პროცესი გაეფორმებინათ სათანადო რიტორიკით, რათა „ბარბაროსთა“ ასიმილაციისათვის ხელისუფლებისგან ჩინ-მედლები მიეღოთ.<sup>177</sup>

გახარებულთ „საისტორიო გამარჯვებით“ გასწიეს სიმღერით ქვეშეთისაკენ და მკვდრების დასამარხად კი რამდენიმე მთიული დააგდეს; იმათ მხოლოდ სალდათების დამარხვა ჰქონდათ ნაბრძანები და იმ ბუნტი კაცებისა კი - ისე დაყრა, რათა გამვლელ-გამომვლელს ენახა, თუ რაგვარს სასჯელს მიაღწევს ამგვარი მოუსვენარი ხალხი [...] გასწიე ეხლავ, ეხლავ მიხედე შენს ჯარს და თუ მართლა რამდენიმე თავზედ ხელაღებულს მთიულს წინ გადადგომა გაუბედნია, მათრახებით ტყავი გააძერი... მხოლოდ არ დაგავიწყდეს: ბრძოლაში,

<sup>176</sup> რუსულ ლიტერატურაში *კავკასიის თემის* პოპულარობა და გაუნათლებელი კავკასიელის ტიპის შემოყვანა იმპერიალისტური პოლიტიკის ფსევდომისიონერობის გამოძახილი იყო.

<sup>177</sup> ყაზბეგი საუბრობს კავკასიაში რუს მოხელეთა წასვლის სხვა მოტივზეც: „ეხლა სვიმონ მათი მაზრის მმართველი იყო, მაგრამ რა შეემლო იმას იმდენ ბედის მძებნელ ხალხთან, რომელთაც ხელი აეღოთ სინდისზე, ნამუსზე და გამოქცეულიყვნენ საქართველოში, რათა ასცდნოდნენ თავიანთ ქვეყანაში კანონიერ სასჯელს; გამოქცეულიყვნენ საქართველოში, ჩაეგდოთ მმართველობა ხელში და ისე შემაგრებელიყვნენ, რომ თვით მართებლობისგან დანიშნულ მოთავეებსაც ვერა გაეწყოთ-რა იმათთან“ (ყაზბეგი 1962, 92).

თუნდაც ეს საჭიროც არ იყოს, ცხენოსნებმაც და არტილერიამაც მონაწილეობა უნდა მიიღოს... შემდეგში რაპორტში მოსახსენებლად გამოგვადგება... დღევანდელი დღისთვის ჯილდო ყველამ უნდა მიიღოს („ელგუჯა“, 1881) (ყაზბეგი 1962, 74, 157).

„ველური კავკასიის“ დამორჩილების თემა ყაზბეგმა გამოკვეთა არა მხოლოდ რუს ჩინოვნიკთა უღირსი საქციელის ჩვენებით, არამედ, აგრეთვე, *ახალ წესრიგში* აღზევებულ მედროვეთა მხატვრული სახეებითაც. ამგვარად, ქართულ მწერლობაში ინსცენირდა იმპერიალისტური პოლიტიკის ორი მეთოდი: დასჯისა და აღზევების.<sup>178</sup>

ამავე კონტექსტში გამოვლინდა უდანაშაულო/პატრიოტი მოსახლეობისა და რუსეთის სამსახურში ჩადგომით პირადი კეთილდღეობის მომპოვებელი მედროვეების დაპირისპირებაც. ეს უკანასკნელნი უარყოფენ ძველ, თემობის კანონებს და მათ ნაცვლად ახალ, „ზაკონის კანონს“ ამოფარებულნი, მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვიან; საამისოდ კი კოლონიზატორის ძალაუფლებას იყენებენ: ეგ იქნება უწინ იყო, იქნება უწინ თემობას ჰქონდა მაგისტანა ძალა, მაგრამ ეხლა თათრობა ხომ აღარაა? ეხლა ქრისტიანების ხელში ვართ, ღმერთმა უშველოს რუსებსა, ეხლა სუყველა ზაკონის კანონზედ არის... [...] მე წინანდელს ჩვეულებას კი არ მიყვები, წავალ, ერთს სიტყვას ვეტყვი დიამბეგს, ნაჩალნიკსა და ქალსაც წავიყვან და ონისესაც დავლუპამ! [...] მე ხელმწიფის სამსახურში ვარ, მე ეგრე ადვილად როდი ამაგდებინებენ მასხარად. - ცხარობდა გირგოლა. - [...] თემი შენი ჭირიმე, - დაცინვით წამოიძახა გირგოლამ, - ძალიან რამე არაა ჩვენი თემი!.. მე ზაკონით გესაუბრებით, ზაკონით („მამის მკვლეელი“, 1882) (ყაზბეგი 1962, 63, 241).

თემობის (ქართული სამართლისა) და ზაკონის (რუსული სამართლის) რადიკალური სხვაობის ხაზგასმით თვალსაჩინო უნდა გამხდარიყო კოლონიზების პროცესის მიმდინარეობა სამართლებრივ დონეზე, რაც ქართულ მწერლობაში პირველად გახდა სპეციალური დაკვირვების საგანი.<sup>179</sup> ამავე კონტექსტში ყაზბეგმა

---

<sup>178</sup> პიროვნული არჩევანის დაფასება - მაღალი სამხედრო წოდების მინიჭება ეროვნული ინტერესების უარყოფის სანაცვლოდ ადგილობრივთა მიმხრობის ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებულ ხერხს წარმოადგენდა: „გაგიმ დაინახა თავისი მდგომარეობა, დაინახა საითკენ უფრო სასარგებლო იყო იმისთვის და გადადგა რუსებისაკენ, რომლისათვისაც მისცეს აფიცრობა“ (ყაზბეგი 1985, 22).

<sup>179</sup> ყაზბეგი თვალსაჩინოდ გამოკვეთს ქართული (ძველი) და რუსული (ახალი) მმართველობების ფორმათა რადიკალურ სხვაობას: „უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, ამგვარი შემთხვევისათვის გაგი

სამართლებრივი გარემოს საკითხიც დასვა: კოლონიზებულ ქვეყანაში კოლონიზატორის სამართლის დაკანონება იყო არა, უბრალოდ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მოშლა, წეს-წყობილების შეცვლა, არამედ იმგვარი სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელშიც დანაშაული და კომპრომისი ზნეობრიობასთან არათუ დასაშვები, წახალისებულაც კი იყო.<sup>180</sup>

რუსი მოხელეებისა და ქართველი მედროვეების მხატვრულ სახეთა გვერდით, ყაზბეგმა წარმოადგინა, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პერსონაჟიც, რომლის სახეც ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში გამოკვეთა. ეს იყო ანტირუსული პათოსით გამორჩეული მოთხრობა „ელგუჯას“<sup>181</sup> ერთ-ერთი მთავარი პროტაგონისტი - სვიმონ ჩოფიკაშვილი.

---

შეჰყრიდა თემობას, ბჭეებს ამოარჩევდა და თემის დებულებას და გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა; მაგრამ ეხლა ხომ უწინდელი დრო აღარ იყო?.. თემობას დაეკარგა თავისი ძალა, ხალხის ნების ასრულება შეუძლებელი შექმნილიყო და მის ბედ-იღბალზედ ზრუნვა თვითეულს პირს ჩაეგდო ხელში.“(ყაზბეგი 1962, 63)

<sup>180</sup> „[...] გელა გოდერძიშვილი იყო წარმოსადეგი ვაჟკაცი, ყმაწვილი და ბუნებითვე ბევრის სიკეთით სავსე, მაგრამ, რადგანაც ფასანაურში დიამბეგთან იასაულად მსახურობდა და იმ დროში კი იასაული დიდი ძალის მქონებული იყო, რაოდენადმე გარყვნილიყო, გალოთებულიყო და გათამამებულიყო. [...] ბევრჯელ ისეთს უსამართლობას ჩაიდენდა ხოლმე, რომელსაც სხვა გარემოებათა შორის არასოდეს არ გაბედავდა. - მე იასაული ვარ, ხემწიფის სამსახურში მყოფი კაცი და სხვა მოხვევსთან უნდა ჩავითვალო?..“ („მომღვარი“, 1885) (ყაზბეგი 1948, 361).

<sup>181</sup> „ელგუჯა“ დაიბეჭდა „დროებაში“ 1881 წელს. იმის გამო, რომ ტექსტი სრული სახით ვერ გამოიცა („ზოგი გაზეთში ადგილის სიმცირის გამო, ზოგიც სხვადასხვა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო“), მწერალმა 1882 წლის სექტემბერში „დროების“ რედაქტორის, ივანე მაჩაბლის, ნებართვასთან ერთად, საცენზურო კომიტეტს წარუდგინა გაზეთიდან ამოჭრილი ფურცლები, კომიტეტმა ნება დართო, მაგრამ მოთხრობა არ გამოცემულა. ეს მოხერხდა მხოლოდ ორი წლის შემდეგ (ელგუჯა. ისტორიული მოთხრობა. ვუძღვნი სერგეი სიმონის ძე მესხის სახელს. - ავტორი, ტფ. 1884), მაგრამ აშკარად გამოკვეთილი პატრიოტული ხასიათისა და ანტიკოლონიური განწყობის გამო ცენზურამ „ელგუჯას“ მთელი გამოცემა გაანადგურა. გამოცემის ერთადერთი ეგზემპლარი გადაარჩინეს ასოთამწყობებმა (სწორედ ასოთამწყობების მოთხოვნით დაიწერა მოთხრობის მეორე, ნაციონალური დისკურსის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაწილი).

ერთი მხრივ, ქართველთა მეფის სამსახურში ყოფნის სურვილი და, მეორე მხრივ, რუსული მუნდირის ტარება ჩოფიკაშვილის პოლიტიკური გაორების საფუძველი არ გამხდარა, მაგრამ მისი საქციელის შეფასება გაართულა (ტექსტში იკვეთება სხვა პერსონაჟთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მის მიმართ, თუმცა, ავტორი თავისი გმირისადმი განსაკუთრებულ დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს).

ეს ფიგურა დროით ძველი და ახალი საქართველოს, სივრცით კი საქართველო-რუსეთის საზღვართან დგას; მეფე გიორგის მიმართ ერთგულად გაწეული სამსახური, დავალების პირნათლად შესრულება - საქართველოში შემოსული რუსების დახვედრის ხელმძღვანელობა (მოტივი: „ცდილობდა მეფე გიორგის აღსრულებოდა ის წადილი და ის სარგებლობა, რომელსაც მეფე და მისი მომხრენი ამ მფარველობისაგან მოელოდნენ“) და ფარნავაზ ბატონიშვილის აჯანყებაში ჩართვაზე უარის თქმა ჩოფიკაშვილს პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკურ ფიგურად აქცევს. თუმცა, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მისი პოზიციის განაპირობებელ საფუძვლებზე,<sup>182</sup> პოლიტიკური ვითარების შეფასებასა და რუსებთან ურთიერთობის განსხვავებულ სტრატეგიაზე - დაერწმუნებინა კოლონიზატორები ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებაში,<sup>183</sup>

---

<sup>182</sup> „გაკვირვებელი მოციქულები ყურს უგდებდნენ სვიმონის გადაწყვეტილებას. ისინი ცნობდნენ სვიმონს მთის კაცად, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზედ უმაღლესი ჯილდო არის, და ეს კი თავის თავს და თავის ქვეყანას სხვა გვარტომობის ხალხს მონად აძლევდა! მონად აძლევდა ამისთვის, რომ თითონაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველო რუსების ბატონობას ვერ გადარჩებოდა. /-მაშ, ბატონიშვილს რა პასუხს უთვლი? /- ბატონიშვილსა? ჩემგან ხვეწნა და მუდარა მოახსენე: მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და საქართველოს ძალას შუაზე ნუ ჰყოფს... თუ ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზამენ, მაგრამ თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია!.. ჩავიდეს მეფესთან, მოუდგეს გვერდსა და რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს! თორემ თუ ეგრე მოვიქცევით, ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლაში დავიქანცებით, დავსუსტდებით და რუსები კი თავიანთ წადილს აასრულებენ... ჩავიდეს მეფესთან, ჩა! მეფე ღვთისაგან არის დანიშნული“ (ყაზბეგი 1962, 84).

<sup>183</sup> ყაზბეგმა მხატვრულ ნარატივში ყურადღება გაამახვილა ორ საკითხზე: ადგილობრივთა მიმართ პატივისცემის აუცილებლობასა და მათი ბრძლის სამართლიანობაზე (ამასვე სწერდა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის „მოკლე ისტორიულ ნარკვევეში“): „[...] გააგებინა, რომ გზის ნაპირად მცხოვრები მთიულები დანარჩენ ქართველებზედ უფრო ხშირად ხვდებოდნენ რუსებს და, მამასადამე, რუსებზედ ხმის გავრცელება დანარჩენს საქართველოში მთიულ-მოხევეებზედ იყო

რითაც ჩოფიკაშვილი წარმოდგება წინდახედულ და ფრთხილ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად, რომლის პატრიოტიზმიც არსებული მდგომარეობის ადეკვატურ შეფასებას ეყრდნობა და არა - შიშველ ემოციებს (მის ნარატივში საქართველოს მარკერებად ჩნდება გზააბნეული ცხვრისა და ავადმყოფის მხატვრული სახეები)<sup>184</sup>:

სვიმონ ჩოფიკაშვილის შეხედულებათა ჩვენებით ყაზბეგმა წარმოადგინა, მისი აზრით, სწორი პოლიტიკური კურსი: ცალკეულ კუთხეთა აჯანყებების უპერსპექტივობის დანახვის შემდეგ ქართველებს ერთადერთი გზა დარჩათ: კოლონიზატორთათვის დაემტკიცებინათ თავიანთი არსებობის საჭიროება, ამასთან ისე, რომ მათი გული მოეგოთ შესაფერისი დროის დადგომამდე - მთელი საქართველოს გაერთიანებამდე; მანამდე კი მეფის მიმხრობა, აჯანყებულთაგან განდგომა და რუსთა დახვედრა (მშვიდობიანი მიღება) ქვეყნის ღალატად არ უნდა ჩათვლილიყო.

კოლონიზატორთან დიპლომატიური დამოკიდებულების გვერდით, ყაზბეგის შემოქმედებაში ნაჩვენებია ეროვნული თავისუფლებისათვის შეურიგებელი ბრძოლის მაგალითიც - ჩეჩენთა დაუმორჩილებლობა. ამ გზით ქართულ მწერლობაში რეფლექსიის საგნად იქცა *კავკასიის საკითხი* და კოლონიალიზმის

---

დამოკიდებული [...] - თუ ეს ხალხი მომხრობილი, დაყვავებული და პატივცემული არ გეყოლებათ, აქედგან გადაიხვეწებიან და სხვა ადგილების მცხოვრებნი კი მთაში ვერაფერს ვერ გააწყობენ“ (ყაზბეგი 1962, 168).

<sup>184</sup> „გზაარეულს ცხვარსავით უპატრონოდ, უდაბურს ტყეში დარჩენილს ქართველებს ვეღარ გაეგნოთ, საით წასულიყვნენ. ყველანი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, აქცევდნენ ერთი მეორეს, ჰქელავდნენ ფეხით და ერთმანერთის დახრჩობაში თავთავიანთ შველას ეძებდნენ... აი, ასეთს მდგომარეობაში ეხატებოდა სვიმონს საქართველო. -ახლა კი გავჩუმდეთ, ძმანო! გავჩუმდეთ იმად, რომ ერთმანერთის აღარა გვესმის-რა. ეხლა ხალხი ავად არის ერთის ავადმყოფობით, საერთო სენით. მოვა დრო და ღრუბელი ჩვენშიაც გაიმქრევის, მზე გამოიხედავს, დრო შეიცვლების და ავადმყოფი მოკეთდების, ძმა ძმას დაინახავს და შერთებული საქართველო, ერთ ხორც და ერთ სულ გადაქცეული, აღსდგების!.. აღსდგების იმად, რომ მტერს მტრის საკუთნო მიუწყოს და მოყვარეს - მოყვრისა! ეხლა კი ჩვენც დავიშალენით, გავჩუმდეთ და ჩვენც ჩვენს ქოხს მივხედოთ... გლოვის დროა და ვიგლოვოთ, ძმანო! - გაათავა სვიმონმა. [...] მხოლოდ ისე კი უნდა დავიშალნეთ, რომ რუსებმა ჩვენი საქციელი მათთან მეგობრობის სურვილად ჩასთვალონ... ჩვენ მდგომარეობაში მყოფისთვის ამგვარი საქციელი სირცხვილად ვერ ჩაითვლების... ნახვამდის, ძმებო!“ (ყაზბეგი 1962, 169-170)



პრობლემის თემატიკებამ ფართო მასშტაბი მიიღო. რუსული იმპერიის წარმოდგენა ქართველთა და ჩეჩენტა საერთო მტრად განსხვავებულ კონტექსტში დასვა სარწმუნოების საკითხი: მასზე მაღალ ფასეულობად თავისუფლების იდეა გამოიკვეთა.<sup>185</sup>

თავისუფლებისათვის ბრძოლისა და დაუმორჩილებელი კავკასიის სიმბოლოდ ყაზბეგის პროზაში წარმოდგენილია შამილის (1799-1871) ფიგურა. მოთხრობა „მამის მკვლელში“ (1882), რომელშიც კავკასიის პოლიტიკური ვითარება დოკუმენტური სიზუსტითაა გადმოცემული და ცალსახადაა გამოკვეთილი კოლონიზატორთა მიმართ ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება, ვრცლადაა საუბარი ქართულ-ჩეჩნურ-რუსულ ურთიერთობებზე. მოქმედ პირებად გამოყანილი არიან ვორონცოვი და შამილი. ავტორი ჩეჩენებისა და რუსების ცხოვრების წესთა შეპირისპირებით გამოკვეთს ამ უკანასკნელთა ნეგატიურ პროფილს და საუბრობს რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის მიზნებსა და შედეგებზე:

---

<sup>185</sup> ქართველთაგან განსხვავებით, რუსულ იმპერიალიზმთან დაპირისპირება, როგორც ჩეჩენტა პრინციპული პოზიცია, ეროვნულ თავისუფლებასთან ერთად, ბუნებრივია, სარწმუნოებრივ მოტივსაც ეფუძნებოდა. ეს იყო ბრძოლა არა მხოლოდ ორ ერს, არამედ ორ რელიგიას შორის. რაც შეეხება ქართულ-რუსულ კონფლიქტს, სარწმუნოებრივი საფუძველი მას გამოცლილი ჰქონდა, თუმცა, ყაზბეგის მოთხრობების მიხედვით, რუსები ქრისტიანებისთვის შეუფერებლად ექცეოდნენ ერთმორწმუნე ქართველებს: „მე შევატყობინებ შენს საქციელს იმათ მაღალკეთილშობილებას და ისინი ოცდაოთხ საათში დაგზვრეტენ, - უთხრა სალდათმა ისე მშვიდობიანად, თითქოს კარგს სადილს ჰპირდებოდა. [...] იქნება გლახა სიხარულითაც მოელოდა ამ დღეს, მაგრამ იმას უკვირდა, რომ ქრისტიანი ქრისტიანს ასეთს შარსა სდებს და ურწმუნოებზედ მეტად მოსწყურებია უღონო მოძმეს სისხლი“; თქვენ რუსებთან ერთის სჯულისა ხართ? - აბა რაი ვიცი?.. ეგრე ანბობენ, მაგრამ არა მჯერა... რაიც ხატები გვქონდა, სუყველაი წაგვართვეს, წმინდა ადგილებიდან ჩამოიტანეს და საყდრებში დაკეტეს: დეკანოზები რომ გასულიყვნენ ხატთან, ორი კვირა საწმენდად უნდა გასულიყვნენ და მერე ისე მივიდოდნენ ხატთან და ეხლა კი... [...] მაშინ ხალხსაც ეშინოდა, იმის ფიცს ვერავინ გასტეხდის, მოძმეს მოძმე უყვარდის და ეხლა კი აბა რაი-ღაა?! [...] ხალხმაც დაკარგა ხატის შიში და პატივისცემა... ისინიც არას სჩადიან, არვის უწყრებიან, არ ვიცი, ისინიც რუსებმა დააშინეს თუ რაია? - მამ ერთი სარწმუნოებისა არ ყოფილხართ, - გადაწყვეტით უთხრა ფარჩომ. - ალბად!... ზიარება, ნათლობა და ჯვარისწერა კი ერთი გვაქვს. - მამ ერთი რჯული გქონიათ. - არ ვიცი და აგრე ანბობენ: მე კი არა მჯერა. აქ ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.“ (ყაზბეგი 1962, 206, 347)

რუსეთი გაიზარდა, გაიწია განზედ, ის ველარ მოთავსდა თავის კალაპოტში და მიეშურებოდა სამხრეთისაკენ და, რაც კი გზაზედ ხვდებოდა, უნდოდა დაემორჩილებინა, დაეპყრო. ჩეჩნები გზაში ეჩხირებოდნენ ამ მდინარებას და ეს იყო პირველი მიზეზი შეტაკებისა [...] გალოთებულნი, უზნეონი, ყოველს უსამართლობას ჩაიდენდნენ, და ეს უფრო აჯავრებდა ხალხს, უფრო გულს უდუღებდა და უფრო უღვიძებდა გადახდის სურვილს. [...] დამშეული მემამულენი, მოკლებულნი ყოველ სავანეს, გულ-ადუღებულნი ფიცით მიდიოდნენ მთაში, რომ გადაეხადათ მტარვალებისთვის ეს უსამართლოება, ეს უკაცური საქციელი... ან რაღა რჩებოდათ ომის მეტი. („მამის მკვლელი“, 1882) (ყაზბეგი 1962, 337-338)

რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის აღწერის ფონზე, ყაზბეგმა შექმნა შამილის ჰეროიკული პორტრეტიც, როგორც დაუმორჩილებელი კავკასიის სიმბოლო. ავტორმა დიდი დრო დაუთმო ამ პერსონაჟის დახასიათებას, მისი მიზნების სისწორისა და პიროვნული ღირსებების ჩვენებას;<sup>186</sup> ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის იყო ნამდვილი პატრიოტი და არა ბოროტი, ფარისეველი ან ფანატიკოსი, მასზე საგანგებოდ შექმნილი მცდარი წარმოდგენის საპირისპიროდ.<sup>187</sup> ყაზბეგმა რუსეთის იმპერიის მტრის სახე დაუმორჩილებლობისა და თავგანწირვის ნიშნით გამოკვეთა. მწერალმა აჩვენა ქართველებისადმი მისი დამოკიდებულება:

**ამბობდა, რომ გიაურები კავკასიელთ საერთო მტრები არიან**, რადგანაც ცდილობენ შემუსრონ იმათი ჩვეულება, ძალა, ჩაიგდონ მდიდარი ადგილები ხელში და გააძღონ თავიანთი დამშეული ხალხი. იმის აზრით ყველა მამულისშვილის მოვალეობა არის წინააღმდეგნენ გიაურების გაუმადრობას (ყაზბეგი 1962, 344).

<sup>186</sup> „ის იყო კაცი და ამასთანავე წარმოუდგენელი გულკეთილი, ვაჟკაცი და გულადი, რკინასავით შედუღებული, ნაწრთობი ბრძოლის ცეცხლში, იმას არ დაეკარგა ის გულის სინაზე და ლმობიერება, რომელიც განსაკუთრებითი მინიჭებული ღირსებაა სულით ამაღლებულის ხალხისა. [...] ეს გახლდათ შამილი, იმამი ჩეჩნისა და დაღესტნისა, რისხვის შემყრელი მტერთა, ერთგული და თავგადადებული თავის მოძმეთა და მამულისთვის!“ (ყაზბეგი 1962, 363) ყაზბეგმა შამილს ლექსიც მიუძღვნა (ყაზბეგი 1949, 82).

<sup>187</sup> ყაზბეგი დამატებით სქოლიოში აღნიშნავს: „რომ შამილი სწორედ ასეთი იყო და არა თუ დაჟინებული დესპოტი, რომელიც გულის განზრახვას ანაცვლებს ყველა საბუთებს, მტკიცდება იმის ცხოვრებიდან ათასის მაგალითებით, როგორც ყაზი-მახამეთის და შამილის განხეთქილება, სადაც პირადი კმაყოფილება ენაცვლება თავის ქვეყნის სარგებლობას და სხვა“ (ყაზბეგი 1962, 364). მტკიცებითი ფორმით დაწერილი ეს შენიშვნა ნათლად გამოკვეთს მწერლის მიზანს: დაუპირისპირდეს რუსული მმართველობის მიერ შექმნილ სტერეოტიპს და შექმნას შამილის ავთენტური პორტრეტი.

ხაზგასმული ფრაზის მიხედვით, რუსეთთან დაპირისპირება სცილდება ერთი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს და საერთოკავკასიურ მასშტაბს იძენს. ამ მოდელით, სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთ მხარეს დგანან ჩეჩნები და ქართველები, რომელთაც ჰყავთ საერთო მტერი - *გიაურები, ანუ რუსები* (ტრადიციულად, *გიაურებად* მაჰმადიანები მოიხსენიებენ არამაჰმადიანთ).<sup>188</sup>

შედეგად, ყაზბეგის შემოქმედებაში ჩამოყალიბდა მყარი წარმოდგენა რუს კოლონიზატორთა დაუმორჩილებელ მოწინააღმდეგეზე, რომლის მხატვრულმა სახემ კოლონიური პერიოდის ქართულ ნაციონალურ დისკურსში პერსონიფიცირებულად აღნიშნა *კავკასიური თემა* და ამით საბოლოოდ წაშალა ქართულ-რუსული ურთიერთობების განმაპირობებელი საფუძვლის - ერთმორწმუნეობის პრინციპული მნიშვნელობა.<sup>189</sup> *შამილის მხატვრულ სახეს* ქართველთა ცნობიერებაში უნდა

---

<sup>188</sup> „მე-19 საუკუნის დასაწყისში დასმული კითხვა, რატომ უნდა ვიდგეთ ერთად, თუკი სარწმუნოებრივი ერთობა არ გვაქვს, მე-19 საუკუნის ბოლოს ტრანსფორმირდება კითხვად - რა გვაქვს გასაყოფი, როდესაც საერთო პოლიტიკური მტერი გვყავს?“ (რატიანი 2010, 168)

<sup>189</sup> რუსეთის მიმართ შეურიგებელი პოზიციის - აქტიური პროტესტის - იდეა, შამილის მხატვრული სახის გარდა, ყაზბეგმა ჩეჩენი ხალხის განწყობის ჩვენებითაც გამოკვეთა. კოლონიზატორთადმი ადგილობრივთა დამოკიდებულების/მოლოდინის ამსახველ ვრცელ მონაკვეთში ხაზგასმულია მომავალი ბრძოლისა და ჯანსაღი (არა ფანატიკური) თავგანწირვის მნიშვნელობა: „აქ იყო სიჩუმე წყნარი და მოაზრებელი, რომელიც აშკარად ამბობდა: დღეს თუ ხვალ უნდა გადაწყდეს - ვიყვნეთ თუ არა! ყველას ესმოდა, ყველა ჰგრძნობდა თავიანთ მდგომარეობას, ყველა ემზადებოდა მომავლის ბრძოლისათვის და იცოდა, რომ აქ მარტო უბრალო სროლა არ გაიმართებოდა და ექნებოდათ საქმე ძალასთან, რომელსაც გადაეწყვიტა, რაც უნდა დასჯდომოდა, მაინც უეჭველად გაეარა ეს ადგილები, გაეტეხა ჩეჩნელთ სიგულადე და სიმაგრეები და თვითონ დაგვირგვინებულებოდა ამ ადგილებში მბრძანებელ ბატონად. უნდა მოსულიყო სხვა ხალხი, შემოეტანა სხვა ჩვეულება, სხვა წესები, ვინ იცის, როგორი გასაჭირი იქ მცხოვრებელთათვის, - გაბატონებულიყო სხვა გვარტომობის ხალხი და ჩეჩენში ჩამოვარდნილიყო უსამართლობა, ძალა, გაუპატიურება ქალთა და რძალთა... მერე სულ მუდამ სხვის კაცის მბრძანებლობის ქვეშ ყოფნა, იმის წინ ქედის დრეკა და სამსახური!.. მერე ეს სხვანი ვინ იყვნენ? - გიაურები!.. არა, ჩეჩნელები სიკვდილს ირჩევენ იმათ ხელში ჩაცვივნას!.. ასე ჰფიქრობდა, ასე ამბობდა ყველა ჩეჩენი და ასეცა ჰქონდა გადაწყვეტილი: ამისთვის იბრძოდნენ ისე თავგანწირვით, ამისთვის ემზადებოდნენ ისე თავგადადებულს ბრძოლას. ამ საერთო შეხედულებას შორდებოდა მარტო ის მცირედი რიცხვი ფანატიკებისა, რომელთაც ფიცი დაედვათ გაწყვეტილიყვნენ სარწმუნოების გულისათვის (ყაზბეგმა), მაგრამ ეს რიცხვი ისე მცირედი იყო, რომელზედაც ლაპარაკი არა ღირს.“ (ყაზბეგი 1962, 362)

შეეცვალა ამ იმამის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენა და ქრისტიანთა საერთო მტრისგან იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიელ ხალხთა გმირად უნდა (გადა)ქცეულიყო.

შამილისგან განსხვავებით, ყაზბეგს არ დაუხატავს მისი მოწინააღმდეგის - ვორონცოვის - პიროვნული პორტრეტი და ყურადღება გაამახვილა რუსი მოხელის პოლიტიკაზე: იმაზე, თუ როგორი დიპლომატიით შეძლო მან ქართველთა დამორჩილება და შემდეგ მათივე დახმარებით დაუმორჩილებელ ჩეჩენტა დასჯა.<sup>190</sup> ვორონცოვისა და შამილის კონტრასტული მხატვრული სახეებით გამოიკვეთა არა მხოლოდ იმპერიისა და პიროვნების კონფლიქტი, არამედ მედროვე ქართველთა პრობლემაც.

ჩეჩენტა პატრიოტიზმის თემატიკებით ყაზბეგის პროზაში შეიქმნა *სხვისი* მხატვრული სახე, რითაც ქართულ ნაციონალურ დისკურსში ახალი ასპექტი გამოიყო: ავტო- და ჰეტეროხატების გვერდით, წარმოჩნდა მესამე ქვეყნის ნაციონალური პორტრეტიც, როგორც იმპერიალისტური პოლიტიკისადმი დაუმორჩილებლობის სიმბოლო. მისი საშუალებით ქართველი მკითხველის

---

<sup>190</sup> „გომპარაშვილის გარდა კიდევ მრავალი ხალხი გროვდებოდა, თავადი თუ აზნაური, ამ ბრძოლისთვის და იმედი ჰქონდათ, რომ იაფად დაუჯდებოდათ ჩინები, რომელსაც ისეთი პატივი დაედო თავადი ვარანცოვის მართველობის დროს; ამან შეაჩვია ევროპიულს განაზებულს დროსგატარებას ჩვენი მებატონეები და აღუძრა სურვილი იმოდენი საშუალების მოპოებისა, რომ შესძლებოდათ თავმართველის ბალებზედ სიარული და თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამისთვის კი, პრიკაზის შემდეგ, ყველაზე უადვილესად დაინახეს სამსახურით და ჩინებით სიმდიდრის მოპოება. იმიტომაც გარბოდნენ ისეთის სიხარულით [...] ამათ ისე ჰქონდათ მოანგარიშებული, რომ რამდენიმე სიმაგრის აღება საკმარისი იქნებოდა ჩეჩენტ დასამორჩილებლად და „რკინის კაცის“, შამილის, მოსახრელად. ბევრნი ძალიან ადვილად უყურებდნენ ამ საქმეს და პეტერბურგშიაც იქამდინ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შამილის დამორჩილება ერთის ძრიელის იერიშით შეიძლებოდა, რომ იქ ყველასთვის გადაწყვეტილი იყო ამ ქვეყნის ჩქარა და სამუდამოდ დაპყრობა. ავიწყდებოდათ მხოლოდ ერთი, რომ საქმე უნდა ჰქონოდათ მამულის მოსიყვარულე გმირებთან, რომელთაც თავი გამოეჩინათ ვაჟკაცობით და სიგულადით, რომელნიც ისე აფასებდნენ თავისუფლებას [...] ამ უკანასკნელმა ბრძოლამ ვარანცოვს დაანახვა, რომ მართო ჯარის სიმრავლე და შეუპოვარი ძალის მიტანა არ კმარა ჩეჩენტ დამორჩილებისათვის [...] იქ სხვაგვარი ბრძოლა ეჭირვებოდა, დაჭერის ადგილებზედ ყაზახების დასახლებით, და ამ დღიდგან დაიწყეს ამგვარი ბრძოლა („მამის მკვლელი“, 1882) (ყაზბეგ 1962, 334, 337).

ცნობიერებაში უნდა გააქტუალურებულიყო კოლონიზატორთა წინააღმდეგობისა და საკუთარი თვითმყოფადობისათვის ბრძოლის აუცილებლობის შეგნება.

ამ მიზნით მწერალმა თავის მოთხრობებში კონკრეტული ისტორიული ფაქტები დაიმოწმა, მათი წყაროები კი სქოლიოებში მიუთითა (მაგალითად, *იხილე თხზულება ბ-ნი დუბროვინისა; დამატება „მთიულების საჩივარი“* - „ელგუჯა“, 1881; *იხ. ზისერმანის თხზულება მე-2 ტ.* - „მამის მკვლეელი“, 1882; *იხილე „დროება“ 1880 წლისა: „მოხვევები და იმათი ცხოვრება“* - „ციკო“, 1883),<sup>191</sup> რითაც ყაზბეგმა თვალსაჩინო გახადა საკუთარი და პერსონაჟების მოქალაქეობრივი პოზიციის ობიექტურობა, სისწორე (ამასთან, მნიშვნელოვნად შეამცირა მხატვრული ტექსტების ფიქციონალობის ხარისხი და თავის პროზას დოკუმენტურობის ხასიათი მიანიჭა). მისი პერსონაჟების ცხოვრებისეული გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილია რუსული კოლონიალიზმის ტრავმა:

რამდენადაც მარტიას რცხვენოდა გაუბედაობა, იმდენად მტრების სატანჯველში მიცემა არ ეთანხმებოდა იმის შეხედულებას და იმის აზრით კი რუსების ხელში ჩავარდნით ყველა კაცი უნდა დატანჯულიყო. მარტია არ იყო დამნაშავე, რომ ასეთი აზრი შეედგინა ახალ გვარ-ტომობის ხალხზედ, რადგანაც ის მოწმად დასწრებოდა იმ სამარცხვინო მოქმედებას, რომელსაც ზოგიერთი იმათი წარმომადგენლები ჩაიდენდნენ. მაგალითად, ის იყო დამსწრე „ორი მთიულის მათრახებით მოკვლისა, რომლებსაც ყაზახებმა უწყალოდ სცემეს გზის კეთებაში, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ერთს ყაზახს ცხენი წაუბორძიკდა, ზამთარში გზის მუშები თოვლის დროს არ გაუშვეს, რომ თავი შეეფარებინათ; ჩამოვიდა ზვავი და სამი კაცი დაახრჩო თოვლმა; დედაკაცები შეაბეს მარხილებში და ცემა-ტყეპით ბარგს აზიდვინებდნენ“. ის იყო მოწამე, როგორც „ანანურში ერთმა ჩინოვნიკმა ორი ოსი დაიჭირა, ჩაუსვრიდა გეჯაში სხვადასხვა უწმინდურება“, რომლის სახელის მოყვანასაც აქ ვერ ვხედავთ მკითხველის პატივისცემით, „და ის აჭამა ძალდატანებით“. მარტიას ამგვარი მაგალითები, მომხდარი სხვადასხვა პირებისაგან, მრავალი ჰქონდა და ამიტომაც ის ასე ფიქრობდა, როგორც დანარჩენი თავისი მოძმეები (ყაზბეგი 1962, 64-65).

ყაზბეგის პერსონაჟთა მეხსიერებაში მთელი სისავსითაა არეკლილი კოლონიური მდგომარეობის სიმძიმე: ისინი ახალი რეჟიმის ან უშუალო მსხვერპლნი,

---

<sup>191</sup> კოლონიალიზმის პერიოდის მთელ რიგ მხატვრულ ტექსტებში, რასაკვირველია, რეალური ფაქტები აისახა (მათ შორის, ავტობიოგრაფიული ხასიათისა), ზოგჯერ ავტორი ფაბულის რეალურობაზე ტექსტის დასაწყისშივე უთითებდა (მაგალითად, „ნამდვილი ამბავი“), მაგრამ ნაწარმოებებს ინფორმაცია ოფიციალური დოკუმენტური წყაროების შესახებ პირველად ყაზბეგმა დაურთო.

ან - თვითმხილველნი არიან; მათ ცხოვრებას ქართულ-რუსული წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ურთიერთობა განსაზღვრავს.<sup>192</sup>

კოლონიზების ტრავმული მეხსიერების ფაქტთა გარდა, ალექსანდრე ყაზბეგმა მოთხრობა „ელგუჯაში“ აღწერა ქართულ-რუსული ურთიერთობის საწყისი ფაზაც, როდესაც ეს პოლიტიკური კავშირი ჯერ კიდევ არ იყო კოლონიზებულთა და კოლონიზატორის სტატუსებით გაფორმებული.<sup>193</sup>

---

<sup>192</sup>უბრალო ქართველისა (და ჩეჩნის) მდგომარეობის აღწერის გვერდით, მწერალი თანაგრძნობის ტონით საუბრობს რიგით რუს ჯარისკაცებზეც: „ყველას მოაგონდა თავისი სახლ-კარი, მიწა-წყალი, ცოლ-შვილი, და ოდესმე მოძულეულს, გაყინულს სამშობლოს ეხლა ნათელი შუქი დასდგომოდა, ნეტარებით იხსენებდნენ. [...] რისთვის შორდებოდნენ თავის სამშობლოს, რისთვის დაეკარგათ მოსვენებული ცხოვრება და რისთვის გადმოხვეწილიყვნენ ამ ადგილებში, თითონაც არ იცოდნენ. მოდიოდნენ თავდახრილები და თავიანთი მოქმედების ანგარიში ვერ მიეცათ. [...] დაკოდილთა ხელები ამაოდ აღიპყრობოდა ზეცისკენ, შველას ამაოდ ითხოვდა, რადგან მათი მზრუნველი არსადა სჩანდა, მშობლიური ხელი თვალს არ უხუჭავდა“ („ელგუჯა“, 1881) (ყაზბეგი 1962, 153). უცხოთა ამგვარი დახსიათებით მწერალი პოლიტიკურ სტატუსთა გვერდით ადამიანურ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას, რითაც ცხადყოფს, რომ *მტრის* მიმართ დამოკიდებულება არაა ცალსახა, განპირობებულია მხოლოდ არსებული რეალობით და არა - პიროვნული არჩევანით. რიგითი რუსი ჯარისკაცის შესახებ ამავე დამოკიდებულებით წერს ვაჟა-ფშაველაც ლექს „ყარსის ბრძოლაში“ (1878).

<sup>193</sup> ქართველთა მოლოდინსა და ამ მოლოდინის საპირისპირო რეალობაზე ვრცლად საუბრობს „ელგუჯას“ ერთ-ერთი პერსონაჟი: „თქვენ ყველას გაგონილი გაქვსთ, რომ განსვენებულმა მეფე გიორგიმ რუსეთს შუაკაცები გაგზავნა იმ პირობათა შესაკრავად და დასამტკიცებლად, რა პირობითაც რუსები ჩვენში უნდა დარჩენილიყვნენ. ჩვენ ყველას ისე გვქონდა გაგებული და გადაწყვეტილი, რომ რუსეთს როგორც მართლმადიდებელს ხალხს, მძური ხელი უნდა გამოეშვირა ჩვენთვის და შეერთებულის ძალით წინააღმდეგობით მაჰმადიანებს, მაგრამ მეფე მაინც ჩვენი უნდა გვეყოლოდა. ამის სამაგიეროდ ჩვენ უნდა შეგვენახა ის ჯარები, რომელიც საქართველოში იქნებოდა და ცოტაოდენი მახტის მაგიერი ხარჯი გვეძლია მათთვის. [...] ... დიად, მეფემ დალია სული, და იმის უკანასკნელი ჟამი მნახველს გულს მოუკლავდა, ისე იტანჯებოდა განსვენებული. იმის სიკვდილის შემდეგ შემოვიდნენ ქალაქში რუსეთს გაგზავნილი კაცები და მაშინდელმა მართებლობამ გამოაცხადა მეფე გიორგის სურვილად - საქართველოს რუსეთის მფლობელობის ქვეშ შესვლა!.. ეს ხმა ზარსავით დაგვეცა თავს, რადგანაც ჩვენ რუსეთისაგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად ყმად კი გადავიქცეთ... მართლა მეფემ გადასცა საქართველო თუ გაგზავნილებმა გამოსცვალეს ქალაქები და მეფე კი ქალაქში მოწამლეს, როგორც ხმა გამოვიდა, - ეხლაც არავინ იცის“ („ელგუჯა“, 1881) (ყაზბეგი 1962, 133-134).

დაბოლოს, მე-19 საუკუნის დასასრულისთვის, როცა კოლონიზატორთან ურთიერთობა აგრესიულიდან მეტ-ნაკლებად მშვიდობიან ფაზაზე გადავიდა, იმ საკითხებმა, რომლებზეც ალექსანდრე ყაზბეგმა ყურადღება გაამახვილა, ქართველთა ცნობიერება მიმართა ეროვნული თავისუფლების დაკარგვის უმძიმესი პერიოდისკენ. დრამატულ/ტრაგიკულ მოვლენათა ხსოვნას უნდა უზრუნველყო *მტრის* შესახებ მყარი, ადეკვატური სტერეოტიპული წარმოდგენის/ნორმატიული ცოდნის ჩამოყალიბება, რომლის მოდიფიცირებასაც კოლონიზატორის მოქნილი პოლიტიკა ვერ შეძლებდა. საამისოდ მწერალმა ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის ყველაზე მტკივნეული, საწყისი, ეტაპი სხვადასხვა (ფაბულის, კომპოზიციის, მოქმედ პირთა, დოკუმენტური მასალების დამოწმებისა და ა.შ.) დონეზე ობიექტური სიზუსტით ასახა. ამ გზით მან ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირებაში შექმნა მნიშვნელოვანი ეტაპი - ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობა კოლონიზებული ქვეყნისა და კოლონიზატორის კონფლიქტის კონტექსტში განიხილა. ამით ქართულ მწერლობაში საბოლოოდ დასრულდა რუსეთის იმპერიის, როგორც მტრის, მარკირება.<sup>194</sup>

---

<sup>194</sup> მე-19 საუკუნის ბოლოს, ანექსიის, დამარცხებული აჯანყებების, გაცემული შეთქმულების, რეპრესიებისა და ფსევდოლიბერალური პერიოდის შემდეგ, 80-იან წლებში, საქართველოს სახელის საჯარო ხსენებაც აიკრძალა, სკოლებიდან, ფაქტობრივად, განიდევნა ქართული ენა, დაიწყო ქართველურ ენათათვის ანბანისა და სახელმძღვანელოების შექმნა... ქვეყანაში აშკარად მიმდინარე რუსიფიკაციის პროცესის შესაჩერებლად ქართულ მწერლობაში ახალი ძალით იქნა აქცენტირებული ნაციონალური თემატიკა. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხოვნათა გვერდით, სწორედ ამ დროს შეიქმნა რაფიელ ერისთავის ცნობილი პატრიოტული ნაწარმოებებიც: პოემა „ასპინძის ომი“ (1880), ლექსები - „დედაენა“ (1881), „სამშობლო ხევსურისა“ (1881), „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?“ (1881), „რაზე მიწყრები, ყვენო?“ (1882) და ისტორიული პოემა „თამარიანი“ (1886-1887). „ასპინძის ომში“ ინსცენირებულია ერეკლე მეფის ბრძოლა ოსმალებსა და ლეკებთან (1770), რომელსაც რუსეთის გენერალი ტოტლებენი არ შუერთდა და შეთანხმების მიუხედავად, ქართველი მეფე ომის წინ მარტო დატოვა. ტექსტში წარმოდგენილია გენერლისადმი ერეკლე მეფის ემოციური მიმართვა: „და უთხრა მას: <<რა მიყავი?... რად დამილუპე ერია?... [...]/ შენ არ მიქადდი სიკეთეს, - რუსეთის მფარველობასა?... / რა იქნა შენი თათბირი?... შენ არ მიქადდი ძმობასა?... / მეც თქვენი კალთა ვირჩიე, ურჯულო თათრის ყმობასა... / ახლა რაღა ვქნა, ბედგრულმა, ვედარ მოვსულვარ ცნობასა!...>>“ (ერისთავი 1936, 14). რაც შეეხება ლექსებს, მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში „დედაენამ“ და „სამშობლო ხევსურისამ“ გამორჩეული ადგილი დაიკავა. პირველ მათგანში ბუნების კანონზომიერების ანალოგიით (ყველა სულდგმულს თავისი ენა აქვს) დასაბუთებულია მშობლიურ ენაზე მეტყველების აუცილებლობა და

### 3. 4. „მე გავცემ იმას პასუხსა“: პიროვნული/ნაციონალური ღირსების საკითხი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

სამშობლოს არვის წავართმევთ,

ჩვენს ნურვინ შეგვეცილება

/ვაჟა-ფშაველა/

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების ორი ძირითადი მოდელი - ალეგორიულ-სიმბოლური და ნომინალური<sup>195</sup> - გამოვლინდა, ცალსახად განისაზღვრა რუსეთის სტატუსი (მტერი):<sup>196</sup> ლიტერატურაში, როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიაში,

ენა აკვნისა და საფლავის (სხვაგვარად - საკუთარი მომავლისა და წარსულის) შენარჩუნების გარანტადაა წარმოდგენილი; მეორე ნაწარმოებში კი, რომელიც რაფიელ ერისთავის შემოქმედების საიდენტიფიკაციო ტექსტად იქცა, უმთავრეს მიზნად დასახულია სამშობლოს ერთგულება (ერისთავი 1935, 110-11, 123-124); პატრიოტული პათოსით დაწერილი ამ ლექსის ფრაზები („როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...“, „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“), არა მხოლოდ თანადროული, არამედ მომდევნო ეპოქების ქართველთა ცნობიერებაშიც ნაციონალური თვითიდენტიფიკაციის ფორმულებად დამკვიდრდა. ამავე პერიოდში დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის პატრიოტულ თემაზე აგებული საყმაწვილო თხზულებები, რომლებშიც განსახონებულია საქართველოს ისტორიული წარსული, სამეფო ოჯახის წევრთა ცხოვრება, თავდადებული მამულიშვილების ღვაწლი. აღსანიშნავია, რომ პუბლიცისტურ წერილებში იაკობ გოგებაშვილი აკრიტიკებდა ბაგრატიონებს, მაშინ როცა ახალგაზრდებს მათ სიყვარულს უნერგავდა მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით. პუბლიცისტურ წერილებშივე იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთთან შეერთება ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სურვილი იყო (რუსეთის იმპერიის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გამოვლენის გამო, სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს იაკობ გოგებაშვილის მხატვრული და პუბლიცისტური დისკურსები). გოგებაშვილის საყმაწვილო მოთხრობები, რომლებშიც ქართველი ერის ისტორიული გმირების ამბები იყო მოთხრობილი, ახალგაზრდა თაობას ეროვნული წარსულისა და ეროვნული ღირსების განცდას უღვიძებდა. ამდენად, მისი პროზის ნაციონალური დისკურსის შესწავლა სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

<sup>195</sup> ტერმინ *ნომინალობაში* იგულისხმება პირდაპირი სახელდებები: საქართველო და რუსეთი.

<sup>196</sup> პოსტმედიევალური ქართული ლიტერატურა ცდილობდა, დაედგინა და განესაზღვრა, რას წარმოადგენდა რუსეთი: მოყვარეს, მოყვრ(ულ)ად მოსულ მტერს თუ იარაღით შემოსულ მტერს. მეტ-ნაკლები სიცხადით რუსეთის მტრობა გაიშიფრა ბატონიშვილთა ლექსებსა და რომანტიკოსების შემოქმედებაში, მკაფიოდ გამოვლინდა აკაკი წერეთლის ნაწარმოებებში, ხოლო პირდაპირ დასახელდა



საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჰეტეროხატი, მაგრამ ავტოხატის ფორმირება კვლავ გაგრძელდა. ამჯერად კითხვებს - ვინა ვართ, რა მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვინ ვიყავით და/ან ვის ველოდებით - დაემატა ახალი - *რა არის/რაშია ჩვენი ღირსება*. ამ უკანასკნელმა არსებითად ახალი რაკურსით გამოკვეთა ნაციონალური ავტოპორტრეტი და კოლონიურ ვითარებაში კოლექტიური თვითრეაბილიტაციის საფუძველი შექმნა.

თავისი პოეტური შემოქმედების ცენტრალურ საკითხად ვაჟა-ფშაველამ აქცია პიროვნული და ეროვნული ღირსება. ამ თვალსაზრისით, მისი ცნობილი ნაწარმოებების გვერდით, აღსანიშნავია ქართველ მწერალთაგან მიძღვნილი ლექსები, რომლებშიც ვაჟამ მათი ღვაწლი განსაზღვრა არა შემოქმედების ესთეტიკური ღირებულების, არამედ სამშობლოსადმი დამოკიდებულების მიხედვით:

მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო, / **ქართლისა წყლულთა მოზარე**, / მშვიდობა, სულო ძლიერო, / **თავის სამშობლოს მოყვარე!**... / მაღლი შენს თანამომძეთა, **მიწა გახილეს მშობელი**, / **შენი სატრფო და სადარდო**, / **გულს ლახვარ-დამასობელი** („ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს“, 1893); **შვილო ტანჯულის ქვეყნისავ**, / სული დაჰლიე ტანჯვითა, / მიუხვალ მამა-პაპათა / ამოღებულის ხანჯრითა, / ცრემლად დამდნარის გულითა, / **დაღლილი მტრისა ჯავრითა** / თავს დგმული ეკლის გვირგვინი / ფერხთ-წინ დაუგდე გმირებსა, / მამულისათვის გამწყდართა / იმ საქართველოს შვილებსა [...] / უჩვენე შენი კალამი, / ნაწები სისხლის გუბეში! („ალექსანდრე ყაზბეგს“, 1893); **სამშობლომ ხევსურისამა** / ყველასიც გული დაღარა. / **გრძნობა შესწირე ზვარაკად** / **შენსა სამშობლო მხარესა** („რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზედ“, 1901); **გვერათობდი თვალფხიზლად**, / **შენ იყავ ჩვენი საფარი**, / მოგკალით ჩვენივე ხელით, / მომძეთთვის ნაჭირმაგარი („ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“, 1907); **მშობელი ქვეყნის მოზარევ**, / უნდა გიმდერო მთურადა [...] / დავალებული გულისა / უნდა ამოთქვას ენამა: / **წყლულები საქართველოსი** / **გაიგო შენმა სმენამა** [...] / **სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა!** („აკაკის საიუბილეოდ“, 1908); **ნამდვილო**

---

ყაზბეგის პროზაში. ამის შემდეგ ქართველთათვის მტრის მხატვრულ/სტერეოტიპულ სახეში მხოლოდ რუსეთი იგულისხმებოდა.

მამულიშვილო, / სამშობლოს ეკლის მკაფაო („დავით გურამიშვილის ხსოვნას“, 1913) (ვაჟა-ფშაველა 2006, 191; ვაჟა-ფშაველა 2008, 11, 169-170, 221, 360).<sup>197</sup>

ყველა ამ ლექსში ხაზგასმულია საქართველოს მდგომარეობის სიმძიმე<sup>198</sup> და მწერლის ღირსებად მიჩნეულია სამშობლოს ჭირისუფლობა. ქართველ მწერალთა (შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის) ღვაწლის წარმოჩენით ვაჟამ ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელ ისტორიულ პირთა პანთეონს (რომელიც ლიტერატურაში გრიგოლ ორბელიანმა დააკანონა და აკაკი წერეთელმა მე-19 საუკუნის მოღვაწეთა სახელებით გაამდიდრა) შეუერთა იმ მწერალთა დასიც, რომლებმაც ქართულ ლიტერატურაში ნაციონალური დისკურსი განავითარეს, უფრო ზუსტად - თავიანთი შემოქმედებით სამშობლოს ინტერესები დაიცვეს.<sup>199</sup> მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ვაჟამ შექმნა არა ზოგადი წარმოდგენა შემოქმედზე, მის როლზე, არამედ ჩამოაყალიბა მყარი შეხედულება ქართული ნაციონალური იდენტობის გადარჩენაში კონკრეტული მწერლების მნიშვნელობის/როლის შესახებ.<sup>200</sup> ქვეყნის კულტურული წარსულის გვერდით, ვაჟას პოეზიაში თანამედროვეობის რეფლექსიაცაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით, განზოგადებული სურათია შექმნილი 1900 წელს დაწერილ „ანდერძში“, რომელშიც ავტორმა აჩვენა თავისი

---

<sup>197</sup> ამ კონტექსტში საყურადღებოა ვაჟა-ფშაველას უსათაურო ლექსის სტრიქონები: „მადლობელი ვარ, დამბადებელო, / ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა, / როგორც ამ დღეს საჭირო არი, / სამშობლოს წყლულებს როგორც უნდა“ (ვაჟა-ფშაველა 2008, 443).

<sup>198</sup> თავისი საზეიმო განწყობით, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც პოეტი საქართველოს (გა)ძლიერებაზე საუბრობს და ქვეყნისთვის თავდადებული თანამედროვე გმირების დალოცვას/კურთხევას სთხოვს რუსთველს: მგოსანო საქართველოსავ, / [...] იხილე შენი სამშობლო[...] / თავს სწირვენ ნესტანისათვის / ტარიელივით ლომადა. / და ივერიის დიდებას / ხალხს აუბნებენ შორადა. / მიილე, როგორც შვილები, / [...] შენი სამშობლოს გმირები. / აკურთხე შენის მარჯვენით („რუსთაველის ნემტს“, 1909).

<sup>199</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით სამშობლოს წინაშე მწერლების დამსახურება მეფეებისა და წმინდანების ღვაწლს გაუთანასწორდა.

<sup>200</sup> ყველა ლექსი მიძღვნილი ხასიათისაა, რითაც ხაზი ესმება ავტორის ემოციურ მიმართებას დასახელებული მწერლების მიმართ, სხვაგვარად - საკუთარი კულტურული წარსულის, მისი მემკვიდრეობის ცოცხალ განცდას.

თაობის დამოკიდებულება ეროვნული პრობლემისადმი და განსაზღვრა ეპოქის ხასიათიც:

ნუ გასჯავრდებით, შვილებო, / და ნუ დაგვიწყებთ გმობასა, / რომ ბევრი საქმე დაგიგდეთ / გასაკეთებლად მოდგმასა. / ჩვენი დრო იყო გრძნობისა, / ჩვენაც ვგლოვობდით, ვტიროდით./ რომ სწულს წამალიც უნდა, / იმას ველარა ვფიქრობდით. / დრო იყო შეუსაბამო, / გარემოება ვერანი, / ამოდ დაგვრჩა მამებსა / ფიქრი და გულთა ძგერანი (ვაჟა-ფშაველა 2008, 364).

გრძნობისა და გლოვის დროდ სახელდებული მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილე კოლონიურ კონტექსტშია წარმოდგენილი ლექსებში: „მემლერება და ვიმლერი“ (1903), „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, (1906), „მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ“ (1908), „ჩვენება“ (1911) და „ხმა სულეთიდან“ (1915):

გულში კი წყლული იზრდება, / სულსა მიხუთავს, მალონებს, / სიკვდილი არა მწადიან, / თუმც ტანჯვა სიკვდილს მაგონებს / და ჩემი ყოფნა ასეთი / საწყალს ამირანს მაგონებს [...] / სწვავს ტანჯვა-ვაების ცეცხლი / პატრონს და იმის ფინასა: / მომავლის სხივი აქარვებს / გმირის ოხვრას და გმინვასა („მემლერება და ვიმლერი“); დაჰბეროს სიცოცხლის სიომ / მომაკვდავს არემარესა, / გაუათასდეს სინათლე / ცაზე მზესა და მთვარესა, / უხვადა სძღვნიდენ წყალობას / ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა. / ჩვენც, მსხვერპლნი ძალმომრეობის, / ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა [...] / ვიხილავ სანატრელს სახეს, / რომ ამდგარიყოს მკვდრეთითა („კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“); ყურს თურმე არავინ მიგდებს, / თავი ბულბული მეგონა... / ბედშავ სამშობლოს პატრონსა / სხვა ვერა გამომეგონა („მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ“); [...] „ღმერთს შეგვავედრეთ! - მივძახდი, - / დაჩაგრულნი ვართ მტრისგანა! / უმწეო-უპატრონონი / შევლას მოველით მისგანა!..“ / [...] „გვიშველოს თავის შვილებსა!“ - / გახელებული ვყვიროდი. / გაჰქრა საამო ჩვენება, / გამომეღვიძა... ვტიროდი („ჩვენება“) (ვაჟა-ფშაველა 2008, 58, 128, 216-217, 315-316).

დამოწმებულ ლექსებში ავტორისა და მის თანამემამულეთა მდგომარეობა უმწეობით, დაჩაგრულობით, უპატრონობითა და მონობითაა მარკირებული, რითაც ცალსახად იკვეთება საქართველოს სახე, როგორც კოლონიზებული ქვეყნისა. ავტორის ოპტიმისტური განწყობა და მტერთან შეურიგებლობის პოზიცია კი თვალსაჩინოს ხდის, რომ პოეტის ვაჟასეული წარმოდგენა ეყრდნობა არსებულ ვითარებასთან შეუგუებლობას, მტრის წინაშე შეუპოვრობას, ეროვნულ წარსულთან ცოცხალი კავშირის განცდასა და მომავლის იმედის ქონას.

ერთიან კონტექსტში ყველა ზემოთ დასახელებული ნიშანი და, ამასთან, ლიტერატურის, როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიის, ნაციონალური მისია

ვაჟამ წარმოადგინა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს დაწერილ ლექსში „ხმა სულეთიდან“ (1915). ტექსტი მთლიანად მიმართულია *მტრის* წინააღმდეგ, რომლის მხატვრულ სახეშიც ადვილად ამოიკნობა რუსეთი; ნაწარმოების მიხედვით, ლიტერატურის ფუნქციად დასახულია ნაციონალური ისტორიის დამახსოვრება/ფიქსაცია, შესაბამისად, განსაზღვრული პოეტის როლიც - მან *მტარვალთა* საქმეები უნდა დაიმახსოვროს და აღწეროს (ეს მოტივი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში აქამდე ასე მკვეთრად ფორმულირებული არ ყოფილა):

**ვინაც ჩემს წილხვედრს უმტერა, / ვინაც მას ცრემლი ადინა, / ობოლსა, უპატრონოსა, / მაგრამ მართალსა ცამდინა, / მე გავცემ იმას პასუხსა / უფლის წინაშე მდგომარე, / მტარვალთ საქმეთა ამწერი / და დაწვრილებით მხსომარე.** / მისის საწყავით მიუწყყავ / და ვაგრძნობინებ თავზედა, / როგორი არი დაჩაგვრა, / დადგომა მხოლოდ ავზედა. / **დაცარცვა ჩემი ტაძრები / და კვლა დაუწყო ენასა, / განდევნა ანგელოზები.** / ქაჯები დასხა კერასა; / **დათრგუნა ერის გრძნობები, / გული მოუკლა მდიდარი, / ეწამოს უნდა ისიცა, / ამის მოქმედი ვინც არი.** / ალალის ოფლით ნაშოვნსა/ ლუკმას სტაცებდა ხელითა. / სიცუდე ანოყიერა, / სიმართლეს სთიბდა ცელითა. / **მე გავცემ იმას პასუხსა / ჩემის სამართლით მთელითა; / ვინც დამიჩაგრა წილხვედრი, - / კმარა, რაც ვიყავ თმენითა!** - / დავჩაგრავე, აღარ დავინდობ, / **მსმენელთ ისმინეთ სმენითა...** / ამოგმხამდებათ, მტარვალნო, / რაც უშვერება ჰქმენითა! (ვაჟა-ფშაველა 2008, 426-427).

მართალია, ვაჟას დროისთვის *მტრის* მხატვრული სახის მთავარი ნიშნები ქართულ ლიტერატურაში უკვე ფორმულირებული იყო და *უცხო*ს სტერეოტიპი, მისი კონვენციონალიზებული პორტრეტი, ფაქტობრივად, არ მოითხოვდა დამატებითი შტრიხების გამოკვეთას, მაგრამ ამ ლექსში ვაჟამ *მტრის* კონკრეტული დანაშაულებანიც დაასახელა და პირდაპირ განაცხადა თავისი, როგორც პოეტის, დანიშნულების - *მტარვალთა* საქმეების ხსოვნითა და აღბეჭდვით მის წინააღმდეგ ბრძოლის - შესახებაც. თუ მანამდელი ქართული ლიტერატურა საკუთარ თავს განსაზღვრავდა ეროვნული ავტოპორტრეტის ხსოვნის მატარებელ და მაფორმირებელ მედიად, ვაჟამ ამ ლექსით მისი ახალი ასპექტი გამოკვეთა: ლიტერატურა გამოაცხადა ჰეტეროხატის დამახსოვრებისა და მტერზე გამარჯვების საშუალებადაც. ეს კი იმაზე მიანიშნებდა, რომ ქართული ლიტერატურის ნაციონალური დისკურსის ფორმირებაში საბოლოოდ დასრულდა ეროვნული ტრავმის ვერბალიზების გზით ცნობიერ დონეზე მისი დაძლევის პროცესი.

ნაციონალური ავტოპორტრეტი ვაჟამ მტერთან დამოკიდებულების კონტექსტში განსაზღვრა - ქართველობა დასახა მეომრობად, მომავალი ომისთვის მზაობად (მტერი, როგორც წესი, მის ლექსებში სახელდებული არაა, თუმცა, ყველა შემთხვევაში იკვეთება, რომ ის მომხდურია და ქართველებისთვის თავისუფლების წართმევა სურს).<sup>201</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ვაჟას მიხედვით, ქართველი არის ის, ვინც მზადაა, ბოლომდე იბრძოლოს სამშობლოს დასაცავად (აღსანიშნავია, რომ სამშობლოს სახეც ვაჟას პოეტურ ტექსტებში ყველგან სამომავლოდ დასახული ომის ფონზე იხატება).<sup>202</sup>

ამავე კონტექსტში წარმოადგინა ვაჟამ *კაი ყმისა*<sup>203</sup> და თანამედროვე ქართველთა კონტრასტულობის პრობლემაც;<sup>204</sup> ერთი მხრივ, დასახა იდეალი და, მეორე მხრივ, ამ ფონზე გამოავლინა მედროვე ქართველობის სახე:

---

<sup>201</sup> ამ გზით მწერალმა ის წარმოადგინა არა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ მოცემულობად, რომელიც ადამიანის ეთნიკური კუთვნილებით ამოიწურება, არამედ ფენომენად, რომლის განცდისთვისაც შინაგანი მზაობაა საჭირო.

<sup>202</sup> გული გავლესოთ გრძნობითა, / საცაა დაჰკრავს ნაღარა; / ერთი დავსძახოთ ქართულად, / ხვალ არ გვეცლება, აღარა („ომის წინ ჯარის სიმღერა“, 1888) (ვაჟა-ფშაველა 2006, 106). მიტომ გაგვზარდა დედამა, / მისთვის გვეტყოდა ნანასა - / ტანზე აბჯარი ავისხათ, / მუდამ ვლესავდეთ დანასა, / რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია / მეზობელს მეტიჩარასა, / არ ვაქელინოთ სამშობლო / მეტოქეს ათასგვარასა. [...] / სამშობლოსათვის სიცოცხლეს / ისე ვწვავთ, როგორც ჩალასა, / ვწყდებით გულდამშვიდებულნი [...] სამშობლოს არვის წავართმევთ, / ჩვენს ნურვინ შეგვეცილება, / თორემ ისეთ დღეს დავაყრით, / მკვდარსაც კი გაეცინება! / არ მივცემთ სხვასა სამშობლოს / ჩვენის ცოცხალის თავითა [...] / არ მივცემთ მტერსა სამშობლოს, / გულში დავიცემთ დანასა, / არ მივცემთ უცხო ტომისას / თავის მამულის დალასა („მხედართა ძველი სიმღერა“, 1904) (ვაჟა-ფშაველა 2006, 100-101). აღსანიშნავია, რომ ამ ლექსებში ასახულ საომარ განწყობასა და ავტორის თანამედროვე ქართულ სინამდვილეს შორის არსებულ დიდ სხვაობას გახაზავს მხოლოდ ნაწარმოებთა სათაურები, რომელთა გარეშეც საბრძოლო პათოსის მატარებელი ეს ტექსტები მთლიანად კარგავს წარსულის რეკონსტრუირების ხასიათს და თანამედროვეთადმი ავტორის მოწოდებად აღიქმება.

<sup>203</sup> *კაი ყმა* ვაჟას შემოქმედებაში იდეალური ნაციონალური ავტოპორტრეტის წარმოსახვითი მარკერია, რომელიც არსებული სინამდვილისთვის მისაბამ მოდელადაა დასახული.

<sup>204</sup> თანამედროვე ქართველთა დახასიათებისას ვაჟა მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში საუბრობს პირველი პირის ნაცვალსახელით (მაგ., „პროვინციის ქებათა-ქება“, 1897; „კაფიები“, 1903). სხვა ტექსტებში, როგორც წესი, ის მათ ემიჯნება.

ვინა, ვინ არი კაი ყმა? [...] / ვინც მიეგებოს მტერს წინა [...] / პირველად ომის დამწყები / ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს [...] / მტრის ჯავრის ედგას ლოგინი, / მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს, / იქ იდგეს ხმალამოწვდილი, / საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს. / დაბეჩავებულს სიმართლეს / უსამართლობა სძალავდეს / [...] არა თქვენ, სადიაცნო, რო ძროხებივით სძლებითა; ღამე მაძღრები დასწვებით, დილით მშივრები სდგებითა; / თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ / არცროს არ გამასდგებითა. / თავისად სცოცხლობთ, მცონარედ / ლეში ალალოთ, ჰკვებდითა; / [...] დაჰკარგავთ სააქოსა, / ვერც საიქიოს სწვდებითა, / არ იცით, დასწნდით რისადა, / ან რისათვისა ჰკვდებითა! („კაი ყმა“, 1909) (ვაჟა-ფშაველა 2006, 239-242).

(თანა)მედროვე ქართველთა მხატვრული სახე ვაჟამ არაერთ ლექსში გამოკვეთა. მათ შორის გამოირჩევა ლექსი „პროვინციის ქებათა-ქება“ (1897), რომელშიც რეფლექსიურობის მაღალი ხარისხითაა ნაჩვენები დაშლილი სახელმწიფო სისტემა და ხალხის გადაგვარება. ტექსტში ჩამოთვლილი და დახასიათებულია სხვადასხვა კატეგორიის/სოციალური ფენის წარმომადგენლები და დასმულია მნიშვნელოვანი სოციოპოლიტიკური საკითხი: გამოკვეთილია საქართველოში, როგორც რუსეთის პროვინციაში,<sup>205</sup> არსებული სავალალო ვითარება, რომლის მთავარი მახასიათებლებია: ეროვნული წარსულისადმი ხალხის სენტიმენტალური დამოკიდებულება, საყოველთაო ინდიფერენტიზმი, უხოეთის ბრმად ნდობა,<sup>206</sup> უსაქმურობა/ფორმალური საქმიანობა, დაბეჩავება და სიდუხჭირე; ქართველები ძველ დროს მისტირიან, მხოლოდ ფიზიკურად არსებობენ, საზღვარგარეთ განათლებამიღებულნი ფარატინა ქალაქებს ავსებენ,<sup>207</sup>

<sup>205</sup> ტექსტის სათაური - „პროვინციის ქებათა ქება“ - ვიწრო მნიშვნელობით საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მცხოვრებთა ყოფის სატირული ასახვაა, ფართო სემანტიკით კი თავად საქართველო აღიქმება ცენტრის - რუსეთის - პროვინციად.

<sup>206</sup> უცხოეთიდან შემოსული ინფორმაციის გაუცნობიერებელ, ბრმად მიღებაზე ვაჟა საუბრობს სატირულ ლექს „თმაგრძელა-ჰკუათხელაშიც“, რომელშიც დასავლურ სივრცესთან ფორმალური კავშირის პრობლემა დასმული (1909): „სამშობლოს ზურგი აქციე, / რადგან კუდი გაქვს სხვაგანა; / აჩუქებ საქართველოსა, / თუ ვინმემ დაგიკაკანა, / ძმობა-ერთობას დაგპირდა / და ღვინით პირი დაგბანა. / [...] გიწყვია ჯიბე-უბეში / ევროპიული აზრები, / უმ-უმი, უღეჭ-უცოხნი, / მაღალი სორტის ფრაზები“ (ვაჟა-ფშაველა 2006, 261).

<sup>207</sup> „ღარავინ გყავს მშიერი, / რაკი თვითონა ვძლებითა. / ვიგონებთ ქართველთ დაცემას, / გულს ვინგრევთ მუშტის ქნევითა. / [...] გულის ნაგრძნობს და ჰკვის ნათქვამს / საქმით ვინ დაემონება! / ისევ

იარაღასხმული ლაშქარი ხარკის გადასახდელად დადის, შემცირებულჯამაგირიანი ჩაფართა გროვა ხმამაღალ საყვედურსაც ვერ ამბობს, მედუქნეებს მუშტარი არ ჰყავთ... ტექსტი სრულდება განმზოგადებელი ხასიათის სტრიქონებით:

გაკოტრებული ხალხია, ვისღა რად ეფერებიან?! / “გაეშმაკებას“ გვიძრაბვენ, / ძლიერაც გვემტერებიან. / ნეტავ, რად გაჰკვირვებით / გაეშმაკება „ობლისა“ / ბევრი ვაება იხილა / ზღვა დგას მის ცრემლის, ოფლისა, / სიტყვაცა სჯერა, შევატყვე, / თავის კეთილისმყოფლისა! (ვაჟა-ფშაველა 2006, 315)<sup>208</sup>

ქვეყანაში საზოგადოებრივი წყობის ამორფულობისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა (სახელმწიფო მოხელეთა, სამხედრო მოსამსახურეთა, ვაჭართა...) ფუნქციების მოშლის ჩვენებით თვალსაჩინოდაა ასახული კოლონიური ვითარება. ამავე თემაზე დაწერილ ვაჟას ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში კი - „საით გეძებო, არ ვიცი“ (1915) - ხაზგასმულია კოლონიურ მდგომარეობასთან მოქალაქეთა შეგუება-მორგების ტენდენცია<sup>209</sup> - *სიყრმის წადილის დაძველება* და ახალ წესრიგში საკუთარი ადგილის პოვნა.

სახელმწიფო სისტემის მოშლისა და სამოქალაქო შეგნების არარსებობის ჩვენების გვერდით, საქართველოში არსებული კოლონიური სინამდვილე ვაჟამ სხვა ასპექტითაც გამოკვეთა: „ფშაველი ჯარისკაცის წერილში“ (1914) მან წარმოადგინა სამშობლოს მომავლისათვის რუსეთის ინტერესების დამცველი ქართველის

---

ტირილი და ოხვრა, / იმას რა შეეწონება?! ქართულს გაზეთებს ვიწუნებთ, / ჟურნალებს ვიწერთ შორითა (ვაჟა-ფშაველა 2006, 311).

<sup>208</sup> აქ ნახსენები *ობლი* ქართველთა (ტრადიციული) მარკერია, *კეთილისმყოფლის* მხატვრულ სახეში კი კოლონიზატორი უნდა იგულისხმებოდეს.

<sup>209</sup> ქართულ-რუსულ სივრცეთა არაბუნებრივი თანაარსებობაზე თავისებურ რეაქციას წარმოადგენს ვაჟას ხელნაწერების (ანგარიშებისა და ლექსების) აშიებზე არსებული ბილინგვური წარწერები (მაგალითად, თვითიდენტიფიკაციის მოდელი „Я - პავლე რაზიკაშვილი, ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი“; ასევე, გოსპოდინ-კოლოკოლჩიკ, კროლიკ. არა მწადიან, არამზადინ). ეს „რუსულ-ქართული კომბინაციები, ფორმის თვალსაზრისით, მსუბუქად, თუმცა საკმაოდ პრინციპული და ტენდენციური შინაარსებით გამოხატული ერთგვარი ირონიზებული აქცენტებია. ენის ერთ მონოლითურ სისტემაში სხვა ენის სტატისტიკურად უმნიშვნელო, მაგრამ საკვანძო ელემენტების შემოჭრა ცნობიერების მარგინალიზაციაცაა და ნაციონალური იდენტობის რყევის ხაზგასმაც. [...] ამ ფაქტის გამო გაჩენილი პროტესტი, როგორც ქვეცნობიერ განცდას შეეფერება, ასე უადგილოდ, ასე მოულოდნელი რემარკების სახით ჩნდება მის სამუშაო-საარქივო ფურცლებზე.“ (მანია 2011, 200, 201).

მხატვრული სახე (კონტექსტი: კოლონიზატორის სამსახურში დგომა როგორც ვალდებულება, ერთგვარი დალა).<sup>210</sup> საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის გადაგვარების საფრთხის შესახებ კი პირდაპირ მიუთითა ლექს „სიმღერაში“ (1890):

რამდენი სთელავს ჩვენს მიწას, / პრისტავები და სუდია, / რამდენსა ჰსვამენ ჩვენს ღვინოს, / რამდენი უსვამთ ლუდია, / ქართველად დაბადებულა / და ერი გაუყიდა. / სავსეა ჩვენი ქვეყანა / აფიცერ-პომპოლიკითა. / იმათ ის გვარგეს, - აგვივსეს / კარ-კური ჩონჩორიკითა, / გულეხს გვიხეთქენ ყველასა / შტიკების ტონტორიკითა. / ქართულად ენას არ დასძვრენ [...] / იფხიზლეთ, ქართველები ხართ, / არ გაჰხდეთ ქვეყნის მასხარა (ვაჟა-ფშაველა 2006, 141-142).<sup>211</sup>

მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილე ვაჟა-ფშაველამ ალევორიულადაც ასახა. ამ ტიპის ტექსტებს შორის კოლონიური რეალობა ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენილია „ამირანსა“ (1884), „ქებათა-ქებაში“ (1897):

სდგას ესე დაჩოქებული, / მომლოდნე ჯაჭვის მტვრევისო [...] / და ჯაჭვი ისევ მთელდება / გულის საკლავად მონისო. / ნეტავ ეს უღვთო წვალეა / ამ გმირს გასწირავს როდისო?!; ვერც წინ წავსულვართ, ვერც უკან / ამ დანჯღრეულის გემითა. / მგზავრობა სად გაგონილა / ზურგზე მათრახის ცემითა (ვაჟა-ფშაველა 2006, 44, 300).

თუ ამ ლექსებში მხოლოდ ინსცენირებულია არსებული რეალობა, სხვა ალევორიულ ტექსტებში („არწივსა“ (1887) და „არწივის დარდში“ (1910)) ხაზგასმულია თავისუფლებისა და საკუთარი ღირსებისთვის ბრძოლის კონცეპტები (ამასთან, როგორც წესი, ეს იდეა უკავშირდება *არწივის* მხატვრულ სახეს):

არწივი ვნახე დაჭრილი, / ყვავ-ყორნებს ეომებოდა. / ეწადა ბეჩავს ადგომა, / მაგრამ ველარა დგებოდა. / [...] ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო, / ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა, / თორო

---

<sup>210</sup> ხვალ ისევ ომში გვიწვევენ [...] / ვცდილობთ, რომ საქართველოსა / ვუშველოთ ჩვენის ხარჯითა. / სამშობლოს ბედნიერება / არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა, / ნადდს ვამღევთ ჯანს და სიცოცხლეს, / ნამუსი დავიცავითა. / რუსეთში მყოფი ვნატრულობ, / სამშობლო ვნახო თვალითა. [...] / ნეტავ, თუ დაგვიფასდება / ქართველთა შვილებს ამაგი, - / არ იქცა საყვავყორნედა / ჩვენი ლამაზი ალაგი (ვაჟა-ფშაველა 2008, 392).

<sup>211</sup> მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილე არეკლილია ისეთ ლექსებშიც, რომლებიც უშუალოდ ნაციონალურ პრობლემაზე არაა დაწერილი (მაგალითად, „ფშავლის სიყვარულში“ (1886) არის სტრიქონები: „ვერ შემაშინებს ციმბირი, / ვერც ნაჩაღნიკი-სუდიო“ (ვაჟა-ფშაველა 2006, 75)).



ვნახავდი თქვენს ბუმბულს / გაშლილს, გაფანტულს ველადა! („არწივი“)<sup>212</sup>; დასდევნებოდა მდევრადა / წეროთა გადმომავალთა / მარტოდ-მარტოკა არწივი, / გამწკრივებულთა, მრავალთა [...] / „მე არაფერსა მკითხავენ, / არიან თავის ძალითა. / მე ვითომ არა ვყოფილვარ / და ჩემის მიწა-წყალითა / ჰსურთ იქეიფონ და მე კი / მაცქერინებენ თვალითა [...] / არწივის რჩოლვა და ქროლვა / მეხად ტყვრებოდა ცაზედა. / შურისძიების შედეგსა / ვხედავდი ქვეყანაზედა: / დაბლა, მიწაზე ვხვდებოდი / თავპირდაჩეხილ წეროთა; / ზოგი გზა-გზის პირს ეყარა, / ზოგი გართხმულა მდელოთა, / თავად ცაშია თამაშობს, / მიმოუქროდა სფეროთა. / კოტრიალობდა ცის მკერდზე, / ყაშყაშებს... დიად, მღეროდა. / საამო თუა, მტრის ცემით / რომ გული მოვიჯეროთა? („არწივის დარდი“) (ვაჟა-ფშაველა 2008, 294-295).<sup>213</sup>

უკანასკნელი კითხვა ლექსის ალეგორიულ ხასიათს კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს. არწივისა და წეროთა ურთიერთდაპირისპირება ქართულ პოეზიაში (და თვით ვაჟას შემოქმედებაშიც) ახალი ანტინომიაა; ხოლო არწივისა და ყვავ-ყორანთა სახეები, ტრადიციულად, საქართველოსა და მისი მტრების განსახიერებად იკითხება (ასეთი სემანტიკით მათი გაშინაარსება შეიძლება ერთგვარ კონვენციადაც იქნეს მიჩნეული).<sup>214</sup>

პატრიოტულ თემაზე აგებულ ვაჟას ალეგორიულ მხატვრულ ტექსტთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „გაოხრებული ბაღი“ (1912), რომელსაც სრულიად გამჭვირვალე ქვეტექსტი აქვს: ნაწარმოებში აღწერილია გაპარტახებული წალკოტი, რომელშიც „გამხმარ ხეებზე, დამჭკნარს ბუჩქებზე / სხედან, ჩხავიან ყვავნი, ყორანნი.“ ლექსის მიხედვით, ბაღი ჯოჯოხეთად ბოროტმა გარდაქმნა, ლირიკული გმირი კი ვერაფერს ცვლის: „მიმქრალი თვალი ჩემზედა ჰრჩება, / ჩემგან მოელის იგი

<sup>212</sup> მიუხედავად იმისა, რომ ლექსის დაწერის იმპულსი პირადი ცხოვრებისეული შემთხვევა იყო, ერთგვარი ზეპირი კონვენციის თანახმად, ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი მთელმა ქართულმა საზოგადოებამ ეროვნული პრობლემის ყველაზე ნათელ გამოხატულებად აღიქვა.

<sup>213</sup> სამართლიანი შურისგების (რომელიც შურისძიებაზე მაღლა დგას) ფენომენი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილია ილიას, ვაჟასა და ყაზბეგის მხატვრულ ნაწარმოებებში (ასათიანი 1982, 415).

<sup>214</sup> „მოიარებით მინიშნება საქართველოს ავბედით ყოფაზე ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებითი პრაქტიკის თანმდევი თავისებურებაა. დატყვევებული სატრფოს ხატსა თუ კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის სახეს „გულისპირს სისხლიანი“ არწივიც ემატება, როგორც ერთობ ორიგინალური და ექსპრესიული მხატვრული შესატყვისი იმპერიის „ბრჭყალებში“ მბორგავი ქვეყნისა...“ (არაბული 2011, 160).

შველასა. / ვაჰ, რომ ვეღარ ვშველ!“ ტექსტში სრულდება ავტორის ვედრებით: „გემუდარებით, ძმანო, ყველასა: უშველეთ რამა, თქვენი ჭირიმე“... (ვაჟა-ფშაველა 2008, 331-332).

სამშობლოს მარკერად მტილი/ბალი/ედემი/წალკოტი ვაჟამდელ ქართულ მწერლობაშიც დასტურდება, მაგრამ პირველად აქ ესმება ხაზი იდეალური სივრცის განადგურების, გადაგვარების საკითხს: ვაჟას ლექსში აღწერილია აღსასრული იმისა, რაც მანამდე ხელუხლებელ, ჰარმონიულ, დიდებულ მოცემულობად აღიქმებოდა და წარმოდგენილია ამ ტრაგედიის ყველა მონაწილის (ბოროტმოქმედის, უღონო მებაღის, აოხრებული ბაღისა და უმოქმედო მშველელის) მხატვრული სახე.

ალეგორიულ მხატვრულ სახეთა გარდა, კოლონიური საქართველოს მარკერი ვაჟას შემოქმედებაში არის *სნეული, მოხუცი, შეურაცხყოფილი, შვილებისგან მიტოვებული დედა* („შინ ბრუნდებიან“ (1906), „დედის ტირილი“ (1908),<sup>215</sup> მისდამი (ქვეყნისადმი) მიმართებაც უღირსი შვილის დამოკიდებულების სახითაა ნაჩვენები.<sup>216</sup> ტექსტებს განსაკუთრებულ ექსპრესიულობას ანიჭებს ის, რომ საქართველო, დედის მხატვრული სახით პერსონიფიცირებული, თავად მიმართავს/ამხელს ქართველებს:

რად მოხდა ასე, როდესაც /ლოგინად ვიწევ სნეული, / ვკვნესოდი, ცრემლებს ვაფრქვევდი / მიტოვებული, ეული, / წყლულებში აღარ მიჩანდა / გვემულ-ტანჯული სხეული; / თქვენ არ მიგდებდით მაშინ ყურს, / ვინ გაბრიყვებდათ წყეული?! / კვდებაო - გულში ამბობდით - / თავს მანდილჩამოხეული; სცდილობთ ცოცხალი დამმარხოთ, / გულზე მაყაროთ მიწა მე [...] / ბუბუს ნუ მომჭრით, შვილებო, / თქვენი დედა ვარ, მიწამე! / თქვენს იქით ვისლა ვედელო, /

---

<sup>215</sup> მე-19 საუკუნის ვაჟამდელ ქართულ მწერლობაში სამშობლოს ანთროპომარკერად წარმოდგენილი იყო *სატრფო* (დატყვევებული ან გარდაცვლილი), რითაც ხაზი ესმებოდა მის მიმართ გრძნობისმიერ დამოკიდებულებას, მარკერ *დედით* კი ხაზი გაესვა გენეტიკურ კავშირსა და პასუხისმგებლობას.

<sup>216</sup> „შინ ბრუნდებიან, ღვთის მადლით, / ვინც დაგვირბოდენ გარეთა, / და თავის უკეთურობას / ეხლა ტირიან მწარედა: / „დედავ, მიგვიღე შვილები, / უნდა მოგიგდოთ ყურიო, / სხვამ გაგვაბრიყვა, მის გამო / გულში ჩავიდეთ შურიო. / გვაწვდიდა სახრავს ლუკმასა, / მიტომ დაგდევიტ წუნო; / ეხლა იმედი მოგვეცა, / რომ შინა ვჭამოთ პურიო; / ჩვენც დავსტკბეთ, შენაც დაგიტკბოთ / მოხუცს სული და გულიო“ (ვაჟა-ფშაველა 2008, 110).

ძუძუ ვაწოვო ვისა მე?.. / მეტს ვედარ გეტყვით, შვილებო, / მხოლოდ გაიგეთ: ვტირი მე... / ნუ მწირავთ უპატრონოდა, / მიშველეთ, თქვენი ჭირიმი!.. (ვაჟა-ფშაველა 2008, 110-111, 187-188)<sup>217</sup> ვაჟას პოეზიის ნაციონალური თემატიკის მნიშვნელოვანი ნაწილია ეროვნული წარსულის გმირთა გახსენება (მათი მხატვრული სახე პოეტის თანამედროვე ქართველების კონტრასტულ მოდელადაა წარმოდგენილი):

სამშობლოს მცველნო, სადა ხართ?! / ერთხელ ვერ გნახეთ თვალითა, / სახე ნათელით, აბჯარში / და მადლიანის მკლავითა [...] / ხვალ აღარ გვეცოდინება / ანდერძი თქვენი და რჯული [...] / დავიარებით სოფლადა / თავზე წაყრილის მტვერითა (“სამშობლოს მცველნო“, 1899); წარსულნი ამა სოფლითა [...] / თურმე ღმერთს კარზე მიუხდნენ, / გაგვაცოცხლეთო - ჰყვირიან, - / გვაჩვენე საქართველოვო, - / უფლის წინ თურმე ჩივიან [...] / გვწადს ბრძოლა, გვწადსო სიკვდილი / მეორედ - ბრძოლის ველადა! („სიყრმიდან საიქიოსთან“, 1908) (ვაჟა-ფშაველა 2006, 191).

ამ კონტექსტში აღსანიშნავია აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი „მოწოდება“ (1915), რომელშიც ვაჟა-ფშაველა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, გამოკვეთს ვაჟკაცის იმანენტურ ბუნებასაც:

აბა, სადა ხართ, გმირებო, / ჩემის სამშობლოს შვილებო, / რომ არ მაცლიდით მღერასა, / გულფიცხნო, დალოცვილებო?! [...] / საქმე ბოლოა: ვისაც სჭირს / სახიერება ერისა, / ბოლომდე არ დაეღევა / შნო და უნარი მღერისა [...] / ვეთაყვანები ვაჟკაცთა / ციდან ძირს გადმოსრეულთა, / მტირალთ სამშობლოს ბედზედა, ქვეყნისთვის ცრემლებნთხეულთა; / ჩაჩანაკთ, მაგრამ მტრის წინა / მაინც ხმალამოღებულთა (ვაჟა-ფშაველა 2008, 402-403).

უკანასკნელ სტრიქონებში, ვაჟკაცის სახე, ერთი შეხედვით, ანტინომიის გზითაა წარმოდგენილი: *გმირი* ერთდროულად დაჩაჩანაკებულიცაა და მედგარიც. *დაჩაჩანაკება* აქ ფიზიკურ უძლურებას გამოხატავს და არა - სულიერი ძალების მოდუნებას. ლექსის მიხედვით, გმირობის განმსაზღვრელი ფაქტორებია, სამშობლოს

---

<sup>217</sup> ამავე კონტექსტში უნდა დასახელდეს ლექსი „სახალწლო“ (1896), რომელშიც *დედის* მხატვრული სახის გვერდით, მის ანტიპოდად, წარმოდგენილია *დედინაცვალი* (რომელიც რუსეთის მარკერად იკითხება): „შორს ჩემგან, მაცდურებაო, / შორს ჩემგან, უქმად დვრენაო! / რა ტკბილი არის, ვინც იცის / თავის მშობელი ენაო. / გვიამბობს წარსულთ საქმეთა / მამა-პაპათას ჩვენაო, / სხვამ რამღა უნდა დაატკბოს / ქართველი კაცის სმენაო? / დედინაცვალმა დედობა / ტყუილად დაიჩემაო!“ (ვაჟა-ფშაველა 2006, 286)

გასაჭირის მიუხედავად, სიმღერის (შინაგანი გაუტეხელობის) შნოსა და უნარის შენარჩუნება და ძალის არქონის შემთხვევაშიც მტრის წინ შემართულად დგომა.<sup>218</sup>

ეროვნულ გმირთა შორის ვაჟას პოეზიაში განსაკუთრებით გამორჩეულია ორი მეფე - თამარი და ერეკლე (ნაციონალური მეხსიერების კონტექსტში თამარის ეპოქა ქვეყნის ისტორიის *ოქროს ხანად* სახელდება, ერეკლეს ეპოქა კი კოლონიალობამდელი რეალობის სიმბოლოა). მათგან პირველის ფიგურა მუდამ ბრძოლამდე ან მის შემდგომად დახატული (თამარი ლოცავს და ეგებება სამშობლოსთვის თავგანწირულთ), მეორის სახე კი უშუალოდ ბრძოლის პროცესს უკავშირდება.<sup>219</sup>

ვაჟას ლექსებში ერეკლე მეფის ეპოქა ის საორიენტაციო მსოფლმხედველობრივი წერტილი და დროითი ვექტორია, რომლიდანაც იწყება და მთავრდება სამშობლოს დაცვაზე ფიქრი. ერეკლეს დრო ავტორის თანამედროვეობისთვის, მაგალითთან ერთად, მხილების საფუძველიცაა.<sup>220</sup>

---

<sup>218</sup> ამ კონტექსტში იკითხება ვაჟას „პაპიჩემის ანდერძის“ (1886) სტრიქონებიც: „ნუ დაისვენებ, ებრძოლე / მტერს, მინამ გიდგა სულიო. / შვილო, მეც ეგრე ვიყავი, / ეგ არის ჩვენი რჯულიო.“

<sup>219</sup> ხმალი გაღესე, ძმობილო, / მტერი გადმოდგა მთაზედა; / აგვიოხრებენ ქვეყანას, / დაგვეცემიან თავზედა [...] / უფლის კურთხევა ანთია / სამშობლოს მცველის ფარზედა, / თამარ-დედოფლის ნაკოცნი / ბეჭდად უსვია ხმალზედა [...] / ხსოვნა კი ჩემის ქვეყნისა / აქვე, ჩემთანა ჰმარხია. / მუდამ თვალეზნი მიელავს / ჩემის სამშობლოს სახეა... / არ დაივიწყებს ივერთა / თქვენი პატარა კახია („ხმა სამარიდან“, 1893) (ვაჟა-ფშაველა 2006, 221-222).

<sup>220</sup> „მთაში კერის პირს მჯდომარე / ხევსური ხმალსა ჰფერავდა, / წარსულთა საქმეთ მნახველი / აწმყოს ვაებას ჰზვერავდა. / ერეკლეს დროის მამგონე / ფიქრებს სჭრიდა და ჰკერავდა. / „სხვაზე არ გავცვლი სამშობლოს“, / რა გულმოდგინედ ჰკვერავდა!..: აგერ, ამოდგა აჩრდილი, / აკლდამის კარი გაიღო; / რა ფრიად შეწუხებულა, / ხელში ფრანგული აიღო... / [...] მაინც არ ტყდება მოხუცი, / ხელი უვლია ხმალზედა / [...] სადაა ქართველთ ბიჭები, / ვით გასძლოს ამის მზერანი? - ვაჰმე, სადა და სადღაა, კრწანისზედ გასწყდენ ყველანი... / უხმობს, უწოდებს მხედართა... / დადუმებულან ენანი... / თამარს და ვახტანგს მიაართვეს ტანზედ წყლულების თმენანი. / ვაჰ, რომ მათ შთამაოებას / დაგვეხმო ყურთასმენანი: სისხლის დაღვრასთან სწორად გვიჩნს / ქაღალდს ნათითხნი მელანი“ („1875 წლის სახსოვრად“, 1895) (ვაჟა-ფშაველა 2006, 280-281). მხილების გარდა, ერეკლეს დროის მოგონება ქართველთათვის საკუთარი ეროვნულობის დაცვისკენ ბრძოლის მოწოდებადაც უნდა წაკითხულიყო: „თქვენი ჭირიმე, არ შესდრკეთ, / ბიჭებო, ქართველის შვილებო, / გული ჩაიდგით მაგარი, / ბრძოლაში გამოცდილებო! / დრო გვადგა, ძმებო, ისეთი, / ტანზე ჩავიცვათ სუდარა. / ნუ გამაწბილებთ, მიიღეთ

დაბოლოს, ვაჟამ „ბახტრიონის“ სახით შექმნა მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში „ეროვნული ჰეროიკული ეპოპეის სრულყოფილი ნიმუში“ (ასათიანი 1982: 419), რომელშიც იდეალად დასახა ეროვნული თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა. ნაციონალურ კონტექსტში ამ პოემის დასასრულის მკითხველისეულმა წაკითხვამ ტექსტს ნორმატიული ცოდნის მაფორმირებელი ძალა მიანიჭა.

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ნაციონალურ დისკურსში ვაჟა-ფშაველას პოეზიამ მნიშვნელოვანი ორიენტირები გამოკვეთა: ლიტერატურის ფუნქციად დასახელდა *კოლექტიური ხსოვნის* გააქტიურება: მწერლობას ხალხისთვის, ერთი მხრივ, უნდა გაეხსენებინა საკუთარი ისტორიული წარსული და მეორე მხრივ, შთამომავლობისთვის უნდა დაეტოვებინა თანამედროვეობის ამსახველი ობიექტური სურათი. სწორედ ეს ორი კონცეპტი იქნა მიჩნეული მტერთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ იარაღად.

---

ჩემი ხვეწნა და მუდარა / [...] უსმენდა ჯარი სიტყვასა, / მხნეობით გამამტკიცარსა: /იჭდედა გულში, ვით მოსეს - / იზრაილ - რჯულის ფიცარსა. / ელოდდა ბრძოლის დაწყების / ჩვეულებრ მეფის ნიშანსა. / მიდიან აზატ-ხანზედა, / ძალს ახსენებენ ღვთისასა („ირაკლი ბრძოლის წინ“, 1911) (ვაჟა-ფშაველა 2008, 320-32). ავტორის მიზანი, გადმოსცეს მეფის სულისკვეთება იმ ბრძოლის წინ, რომლითაც სრულდება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია, ლექსს აქცევს ზეგავლენაზე ორიენტირებულ ტექსტად: ერეკლეს მიმართვა აღიქმება არა მხოლოდ ისტორიულ წარსულში, არამედ თანამედროვეთა მისამართით ნათქვამ სიტყვადაც.

## დასკვნა

პრეკოლონიური და კოლონიური პერიოდების ქართული ლიტერატურის დომინანტური ფუნქცია ხდება ფორმირება ნაციონალური დისკურსისა, რომელიც, კულტურული მარკერების სისტემას დაუფუძნა. მარკერთაგან ძირითადია ქართველი ერის/საქართველოს ავტოხატები და მტრის ჰეტეროხატები. მათ შემდეგ, გამოყენების სიხშირის მიხედვით, დგას კოლონიური ვითარების ამსახველი და ლანდშაფტის, აგრეთვე, ნაციონალური ავტოპორტრეტის მხატვრული სახეები (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილები). დასახელებულ მარკერთა მთავარი ფუნქცია კოლონიური მდგომარეობის ადეკვატური ასახვა და შეფასება ხდება. გარდა ამისა, თანადროული ფაქტების/მოვლენების ობიექტური სახელდების გზით მათ უნდა უზრუნველყოთ რთულ, ე.წ. გარდამავალ პერიოდებში სწორი ორიენტირების დასახვაც.<sup>221</sup>

ერის ისტორიაში საკვანძო კითხვები - *ვინ ვართ / რა მდგომარეობაში ვართ ჩვენ* და *ვინ არის ჩვენი მტერი / მოყვარე* - განსაკუთრებული სიმწვავეით დაისვა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. მას შემდეგ მთელი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა მტრის იდენტიფიცირებას ცდილობდა. ეროვნული ავტოპორტრეტის მთავარი შტრიხები, ფაქტობრივად, ჰეტეროხატის ფონზე, მისგან გამიჯვნის პროცესში ჩამოყალიბდა.

თუკი მე-18 საუკუნის საქართველოსთვის *მტერში აღმოსავლეთის ქვეყნები* (ირანი და ოსმალეთი) იგულისხმებოდა, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ეს სიტყვა სხვა შინაარსით დაიტვირთა: ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ გამოავლინა, რომ *მტერი* მოკავშირედ ხმობილი სახელმწიფო გახდა.

ამ დროიდან მოყოლებული, ქართული მწერლობის მთავარ თემას წარმოადგენს ქართულ-რუსული ურთიერთობები, ნაციონალური დისკურსის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს კი - საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის იმპერიის სტატუსის დადგენა. სხვადასხვა ეტაპზე (დავით გურამიშვილის, ბატონიშვილ

---

<sup>221</sup> მე-19 საუკუნის ქართულ სინამდვილეში სწორი ორიენტირის დასახვა, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის ავტენტური სახის ამოცნობას გულისხმობდა.

ქალთა, რომანტიკოსებისა და რეალისტების შემოქმედებაში) ეს სხვადასხვაგვარად ფორმულირდა (იხ. ცხრილი 2). მარკერთაგან ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა *ჩრდილოეთი* (ამ სიტყვის შემცველ სხვა ლექსიკურ ერთეულებთან ერთად) და *მტერ-მოყვარე* (ბინარული ოპოზიციის პრინციპზე აგებულ ამ ტიპის დანარჩენ მარკერებთან ერთად), რომლებიც თითქმის თანაბარი რაოდენობის (8/7) მხატვრულ ტექსტში დადასტურდა.

პრეკოლონიური და კოლონიური ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ეტაპზე ამ მარკერებმა თვალსაჩინო გახადა რუსეთის იმპერიისადმი დამოკიდებულების გრადაცია პოზიტიურიდან ნეგატიურამდე:

1. *რუსეთის იმპერიის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება*

დავით გურამიშვილის „დავითიანში“, ისტორიული სინამდვილის ინსცენირების, პოეტის ავტობიოგრაფიისა და ავტოპორტრეტის მიხედვით, ხაზგასმულია ქართულ-რუსულ სივრცეთა ჰომოგენურობა; გამოყენებულია ნეიტრალური მარკერები: რუსეთი, ჩრდილოეთი. ამ უკანასკნელმა, *აღმოსავლეთის ფონზე*, პოზიტიური ელფერი შეიძინა; აქვე დასტურდება მარკერი *ვეშაპიც*, რომლითაც, ირანსა და ოსმალეთთან ერთად, რუსეთის იმპერიაც აღინიშნება;

2. *რუსეთის იმპერიის მიმართ სუსტად გამოკვეთილი ნეგატიური პოზიცია*

ბატონიშვილ ქალთა ლექსებში რუსეთის იმპერიული პოლიტიკისადმი პროტესტი ვერ გასცდა ბაგრატიონთა დიდების დამხობის ფაქტის ასახვის ფარგლებს; ალევორიული მნიშვნელობით გამოყენებულმა მარკერმა *ჩრდილოეთმა*, *მზის ალევორიულ სახესთან* შეპირისპირების გამო, მხატვრული სახის ფუნქცია შეიძინა და ნეგატიური შინაარსი მიიღო;

3. *რუსეთის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება*

რომანტიკოსთა შემოქმედებაში დაიწყო უახლესი წარსულის *გადახედვის პროცესი*, რეფლექსია ქართულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობაზე. რუსეთის იმპერია *მოყვრულად მოსული მტრის* მხატვრული სახით იქნა მარკირებული და ამავე ეტაპზე ჩამოყალიბდა *განმანათლებელი რუსეთის*

კონცეპტიც. რუსეთის მარკერებად გამოყენებულ იქნა *ვეშაპი, ჩრდილოეთი. მტერ-მოყვარე*.

#### 4. რუსეთის იმპერიის მიმართ მკვეთრად გამოხატული ნეგატიური პოზიცია

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ თერგდალეულთა თაობის მოღვაწეობით დაიწყო ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის ანალიზი, რამაც ქართული მწერლობის ნაციონალური დისკურსი თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა; შეიქმნა რუსეთის იმპერიის არაერთი მარკერი, რომელთა ნაწილიც ისტორიული და ლიტერატურული წარმოშობისა იყო (მაგალითად, *სკვითი/სკვითობა, ქაჯები/ქაჯეთი*); მხილებულ იქნა ე.წ. რუსული განმანათლებლობის იდეის სიყალბე; საბოლოოდ, რუსეთის იმპერიის სტატუსად განისაზღვრა *მტერი*, რომლის წინააღმდეგაც ლიტერატურულ ასპარეზზე ბრძოლამ პოლიტიკური რეზისტენტობის ხასიათი მიიღო.<sup>222</sup>

სწორედ რუსულ კოლონიალიზმთან ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა საქართველოს მარკერთა აბსოლუტური უმრავლესობა: *პერობილი/ტყვე, ამირანი, ობოლი/უპატრონო, უმწყემსო ფარა, (დაბნელებული) მზე, ავადმყოფი, დაჩაგრული, ცოცხალ-მკვდარი, გარდაცვლილი სატრფო, დანჯღრეული გემი* და ა.შ. (იხ. ცხრილი 1). ამ მარკერთაგან რამდენიმე, ერთი მხრივ, ცხადყოფს კოლონიალური ქვეყნის მძიმე მდგომარეობას და, მეორე მხრივ, გამოხატავს პოზიტიურ პოტენციალსაც (იხ. ცხრილი 7).

მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ნაციონალური პრობლემის საიდენტიფიკაციოდ გამოყენებულ იქნა ლიტერატურული და მითოლოგიური ინტერტექსტები - მიჯაჭვული ამირანის ისტორია და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა.

---

<sup>222</sup> აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, რომელიც, საზოგადოდ, გამოირჩევა რუსეთის იმპერიისადმი, როგორც კოლონიზატორისადმი, გამოკვეთილი პროტესტით, დასტურდება ორი შემთხვევა, როცა რუსეთი პოზიტიურადაა დახასიათებული: პირველი ტექსტი ახალგაზრდობისდროინდელი ლექსია, ხოლო მეორე სიცოცხლის უკანასკნელ ხანებშია შექმნილი. მის შესახებ თავად ავტორი აღნიშნავდა, რომ საგანგებოდ დაწერა მამებლური სტრიქონები. ამდენად, არცერთი მათგანი არ გამოდგება პოეტის ანგაჟირებულობის მაგალითად, იმის საბუთად, რომ ავტორს მყარი პოლიტიკური პოზიცია არ ჰქონია და რუსეთის იმპერიის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდა.



ორივე მათგანს მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა: მითოლოგიური სიუჟეტის ფინალის შეცვლას (ამირანის, ალფეგორიულად - საქართველოს - გათავისუფლებას) და ქართული კლასიკური ნარატივის სიუჟეტიდან ყურადღების გამახვილებას ქაჯეთის ციხეში ნესტან-დარეჯანის ტყვეობაზე (ალფეგორიულად - ქვეყნის კოლონიზაციაზე), უნდა უზრუნველყო საქართველოს მდგომარეობისა და მტრის იდენტიფიცირება.

ამავე პერიოდის ქართულ ლიტერატურაში შექმნილ ქვეყნის კოლონიზაციის ამსახველ მეტაფორათაგან (იხ. ცხრილი 3) ორი - *ოქროს გალია* და *ოქროს ჯაჭვი* - პირდაპირ ამხელდა კოლონიზატორის ფსევდომფარველობას; ცალკეულ პერსონაჟთა მოგონებების სახით კი მოითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობისადმი კოლონიზატორთა არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. ამ გზით საზოგადოების ცნობიერებაში მყარდებოდა რუსეთის იმპერიის, როგორც *მტრის*, შესახებ არსებული წარმოდგენა, რომელიც სრულიად უპირისპირდებოდა ერთმორწმუნე მფარველი ქვეყნის შესახებ „დავითიანის“ მიხედვით შექმნილ შეხედულებას.

ამდენად, თუ მე-18 საუკუნის ბოლოს, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, ხაზგასმული იყო ქართულ და რუსულ სივრცეთა სიახლოვე/ნათესაობა, მე-19 საუკუნის მწერლობამ მთელი სიმწვავეთ გამოკვეთა მათი შეუთავსებლობა.<sup>223</sup>

---

<sup>223</sup> შესაბამისადვე განისაზღვრა რუსულ სივრცესთან ქართველი მწერლების მიმართებაც, რომელიც, პრეკოლონიურ და კოლონიურ პერიოდებში რადიკალურად განსხვავებული იყო: თუ რუსეთის იმპერია დავით გურამიშვილისთვის თავშესაფარს წარმოადგენდა, ბატონიშვილთა და რომანტიკოსთათვის ეს იყო დასჯის, გადასახლების ადგილი, ხოლო თერგდალეულთა თაობისთვის - საგანმანათლებლო სივრცე. ამას გარდა, ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება მილიტარისტულ და ლიტერატურულ კონტექსტთა გადაკვეთაზე მიმდინარეობდა. მე-18 საუკუნის რუსულ სინამდვილეში ქართველი პოეტისა და რუსი სამხედრო მოღვაწის ტიპური სახე დავით შექმნა გურამიშვილმა, მე-19 საუკუნის ქართულ რეალობაში კი სურათი არაერთგვაროვანი იყო: საწყის ეტაპზე, *პოეტი* სამხედრო მოღვაწის ერთგვარ ალტერნატიულ ფიგურას წარმოადგენდა (ბატონიშვილების ეპოქა), მომდევნო პერიოდში მოღვაწეობის ეს ორი სფერო კვლავ დაუკავშირდება ერთმანეთს (რომანტიკოსთა ეპოქა). საბოლოოდ, თერგდალეულთა თაობამ სამხედრო პირი ჩაანაცვლა საზოგადო მოღვაწის, პოეტის, ფიგურით, რომლის მთავარი მახასიათებელიც პიროვნული და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისთვის მეზრძოლი მამულიშვილის სულისკვეთება იყო (ზრძოლა არა ხმლით, არამედ - სიტყვით).

ამ კონტექსტში სპეციფიკური მნიშვნელობა შეიძინა სარწმუნოების საკითხმა: შუა საუკუნეებისაგან განსხვავებით, მე-19 საუკუნეში ქართული ნაციონალური იდენტობა მხოლოდ სარწმუნოების კონცეპტს ვერ დაეფუძნებოდა. ამაზე მიუთითებდა საუკუნის დასაწყისში ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ნათქვამი ფრაზა: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა / არარას არგებს, ოდეს თვისება / ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“ და საუკუნის დასასრულს ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებში კოლონიზატორ ქრისტიანულ იმპერიასთან დასაპირისპირებლად ქართველთა და ჩეჩენთა ერთიანობის აუცილებლობის ჩვენება.

საქართველოსთან მიმართებით რუსეთის იმპერიის სტატუსის განსაზღვრის პარალელურად, დადგინდა ქართული ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელი ფუნდამენტური კატეგორიები (მამული, ენა და სარწმუნოება). სარწმუნოება და ენა ქართული ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელ კატეგორიებს შუა საუკუნეებშიც წარმოადგენდა (ეს დეკლარირებული იყო ჯერ კიდევ „აბოს წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“). საკუთრივ მამულის კონცეპტი კი, რომელმაც მეფის საკრალური ფიგურა ჩაანაცვლა, სწორედ მე-19 საუკუნეში შეიქმნა. ამ ტრიადის შექმნის გარდა, ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნარატივში შემუშავდა ქართული ნაციონალური დისკურსისთვის სხვა მთავარი მსოფლმხედველობრივი კონცეფციებიც: წარსულის გამო გლოვის შეწყვეტის აუცილებლობა; ინდივიდუალური და ნაციონალური თვითიდენტიფიკაციის მოდელების შექმნა; რუსული ფსევდოგანმანათლებლობის იდეის მხილება და პოეტის მისიის განსაზღვრა.

ეს უკანასკნელი საკითხი - ერის ცხოვრებაში მწერლის ნაციონალური მისია - თვალსაჩინოს ხდიდა ლიტერატურის როლს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ლიტერატურას, როგორც მედიას, უნდა ჩამოეყალიბებინა ნორმატიული ცოდნა როგორც ნაციონალური ავტოპორტრეტის, ისე - მტრის შესახებ და დაესახა ორიენტირები, რაც განსაკუთრებით რთული იყო კოლონიურ ვითარებაში.

როგორც კვლევამ აჩვენა, მე-18-მე-19 საუკუნეებში გარელიტერატურული მოვლენები (ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობები) ლიტერატურაში რამდენიმე ეტაპზე განსხვავებულად აისახა (ინსცენირების, რეფლექსიისა და ანალიზის სახით). საბოლოოდ, მკაცრი იდეოლოგიური წნეხისა და ცენზურის ფონზე

ჩამოყალიბებულ ქართულ ნაციონალურ დისკურსში დასრულდა საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირება, როგორც კოლონიზებული და კოლონიზატორი ქვეყნებისა.

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში თანმიმდევრულად ხდება საქართველოს კოლონიური მდგომარეობის გაცნობიერება და რუსეთის იმპერიის, როგორც კოლონიზატორის, სახის გამოკვეთა უარყოფითი კონოტაციის მარკერების მეშვეობით. ჰეტეროხატის ფორმირების პროცესში ქართული მწერლობა თანმიმდევრულია და კოლონიზების პირველი საუკუნის მანძილზე გაივლის გზას რუსეთის როლის ამბივალენტური ინტერპრეტაციიდან ცალსახად ნეგატიურ შეფასებამდე. საქართველოს ავტოხატის შექმნის პროცესში ქართულ მწერლობაში ვარირებს ისეთი სახეები, რომელთაც შეიძლება დაუკავშირდეს ფართო ემოციური სპექტრი: თანარძნობა, სიყვარული, სიბრალული (დაძაბუნების გამო), მფარველობის სურვილი. ხოლო სამოციანალთა პერიოდიდან ნათლად გამოიკვეთება საქართველოს ფარული პოტენციალის მნიშვნელობის შემცველი მარკერები, რომლებიც ოპტიმისტური კონოტაციის მომცველია და გულისხმობს ამ პოტენციალის რეალიზების მოლოდინს.

ამდენად, თუ თვალს გავადევნებთ პრეკოლონიური და კოლონიური პერიოდების ქართულ ლიტერატურაში მარკირების მოდელების განვითარების პროცესს, ცხადი ხდება, რომ ქართული მწერლობა თანმიმდევრულად ახორციელებს რეფლექსიას საქართველოს პოლიტიკურ და ნაციონალურ საკითხებზე და ასევე თანმიმდევრულია ამ პრობლემებისადმი პოზიციის შემუშავების პროცესში; უფრო მეტიც, ქართული ლიტერატურა ქმნის იმ სივრცეს, რომელშიც ყალიბდება დამოკიდებულება საქართველოს კოლონიური რეალობისადმი, რაც განმსაზღვრელია ერთიანი ნაციონალური დისკურსის ფორმირებისას. ნაციონალურ დისკურსში ინკორპორირებული მარკერები გამყარებული, მოდელოური სახით გადასცემს ერის კოლექტიურ სივრცეში ჩართულ თაობებს ქვეყნის უახლოესი წარსულის და თანამედროვე ვითარების შეფასების პრინციპებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონთა ნახატებში დადასტურებული ავტოხატები (ვაზის ლერწები და უპატრონო ცხვრები) მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურულ პრაქტიკაშიც გამოვლინდა.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა იმის საჭიროება, რომ კულტუროლოგიური იმაგოლოგიის პრინციპებით შესწავლილ იქნეს დასახელებული პერიოდის სხვა ქართველ ავტორთა შემოქმედება; ასევე, შესწავლილ იქნეს მწერალთა არამხატვრული ტექსტების ნაციონალური დისკურსი და თარგმანის პოლიტიკა; დადგენილ იქნეს მარკერთა რეცეფციის საკითხი მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების ქართულ მწერლობაში.

## ბიბლიოგრაფია

### წყაროები:

1. ასათიანი, ლევან. 1936. *ძველი საქართველოს პოეტი ქალები: გამოკვლევა და ტექსტები* (რედ. გ. თავზიშვილი). თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემია. საქ. ფილიალი.
2. ბარათაშვილი, ნიკოლოზ. 1972. *თხზულებანი. სრული კრებული: ლექსები, პოემა, წერილები* (ივ. ლოლაშვილისა და აკ. გაწერელიას რედაქციით). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
3. გურამიშვილი, დავით. 1955. *დავითიანი: თხზულებათა სრული კრებული*. თბილისი: სახელგამი.
4. გოზალიშვილი, გიორგი. 1970. *1832 წლის შეთქმულება: წინასიტყვაობა, მასალები, კომენტარები*. ტ. 2. თბილისი: მერანი.
5. ერისთავი, რაფიელ. 1935. *ლექსები*, ტ.1, *თხზულებანი* (შ. რადიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით). ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
6. ----. 1936. *პოემები*, ტ.2, *თხზულებანი* (შ. რადიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით). ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
7. ვაჟა-ფშაველა. 2006. *ლექსები*, ტ.1, *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. თბილისი: საქართველოს მაცნე.
8. ----. 2008. *ლექსები*, ტ.2, *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. თბილისი: საქართველოს მაცნე.
9. ივერია 1881. *საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი*, წელიწადი მეხუთე (VIII). თბილისი. ექვთიმე ხელაძის სტამბა.
10. ორბელიანი, ვახტანგ. 1881. *ლექსნი თ. ვახტანგ ორბელიანისა* (გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან). ტფილისი: გრ. ჩარკვიანის სტამბა.
11. ორბელიანი, გრიგოლ. 1884. *თავადის გრ. ორბელიანის ლექსები* (გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან). თბილისი: არ. კალანდაძის და ამხ. სტამბა.

12. ---. 1959. თხზულებათა სრული კრებული (აკ. გაწერელისა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით). თბილისი: საბჭოთა მწერალი.
13. ყაზბეგი, ალექსანდრე. 1948. *თხზულებანი*, ტ.2, *თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად*. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
14. ---. 1949. *ლექსები და პოემები*, ტ.3, *თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად*. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
15. ---. 1962. *მოთხრობები და რომანები*, ტ.1, *თხზულებანი ორ ტომად*, თბილისი: საბჭოთა საქართველო.
16. წერეთელი, აკაკი. *წერილები ცოლ-შვილთან* (გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ბეს. ჟღენტმა). თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
17. ---. 1950ა. *ლექსები*, ტ.1, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
18. ---. 1950ბ. *ლექსები*, ტ.2 *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
19. ---. 1955. *ლექსები*, ტ.4, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
20. ---. 1956. *დრამატიული ნაწერები ლექსად*, ტ.6, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
21. ---. 1958ა. *მხატვრული პროზა*, ტ.7, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
22. ---. 1958ბ. *მხატვრული პროზა*, ტ.8, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
23. ---. 1959. *დრამატიული ნაწერები პროზად*, ტ.9, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
24. ---. 2010. *ლექსები*, ტ.2. *თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
25. ---. 2010ბ. *საარქივო გამოცემა, წიგნი პირველი: ლექსები, პოემები, თარგმანები, დრამა*. თბილისი. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა.

26. ჭავჭავაძე, ალექსანდრე. 1986. *თხზულებანი: ლექსები, ნარკვევები, დრამების თარგმანები, წერილები* (შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. კენჭოშვილმა). თბილისი: მერანი.
27. ჭავჭავაძე, ილია. 1987. *პოეზია*. ტ.1, *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*. თბილისი: მეცნიერება, საბჭოთა საქართველო.
28. ---. 1988. *მოთხრობები, პიესები*, ტ.2, *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*. თბილისი: მეცნიერება, საბჭოთა საქართველო.

#### სამეცნიერო ლიტერატურა:

29. აბაშიძე, კიტა. 1970. ეტიუდები მე- XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
30. ანდერსონი, ბენედიქტ. 2003. *წარმოსახვითი საზოგადოებანი: მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ* (ინგლ. თარგმნა რ. გოცირიძემ). თბილისი: ენა და კულტურა.
31. ანდრონიკაშვილი, ზაალ. „მამულის დაბადება ლიტერატურის სულიდან: ენის რეფორმა როგორც სეკულარიზაციული პროექტი“. ი. რატიანი (რედ.). *ილია ჭავჭავაძე 170: საიუბილეო კრებული*. 2007. 157-173.
32. არაბული, ამირან. 2011. „მთის არწივისა და არაგვის რეალური და სიმბოლური განზომილებანი ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ნააზრევში“. *ვაჟა-ფშაველა 150, საიუბილეო კრებული* (რედ. ირმა რატიანი). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 151-168.
33. ასათიანი, გურამ. 1982. *სათავეებთან: რამდენიმე ცდა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
34. აფრიდონიძე, შუქია. „სამშობლო და მამული (ქართულ სინონიმთა ლინგვისტური ანალიზი)“. *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი* 1 (2009): 5-36.
35. აღწერილობა 1963: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია*. ტ. 3 (ე.

- მეტრეველის რედაქციით). თბილისი: ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.
36. ბაქრაძე, აკაკი. 2004. *ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე*, ტ. 1, თხზულებანი. თბილისი: მერანი, ლომისი.
37. ბენდიანიშვილი ა., ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე. 2008. *რუსული კოლონიალიზმი საქართველოში*. თბილისი: უნივერსალი.
38. ბერძნიშვილი, მაქსიმე. 1880. *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის*. თბილისი: მეცნიერება
39. ბოლქვაძე, თინათინ. 2010. *ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“*. თბილისი: უნივერსალი.
40. გელნერი, ერნესტ. 2003. *ერები და ნაციონალიზმი* (მთარგმნ. ნინო ცინცაძე). თბილისი : ნეკერი.
41. გონიკიშვილი, მიხეილ. 2002. *ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში* (რედ. ჯ. სტეფნაძე, ვ. გოილაძე). თბილისი: მესხეთი.
42. დობორჯგინიძე, ნინო. 2010. *ენა, იდენტობა და საისტორიო კონცეპტები: რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა ინტერპრეტაციის ცდა*. თბილისი: ნეკერი.
43. დოიაშვილი, თეიმურაზ. „<ბედნიერი ერი>: სტრუქტურა და საზრისი“. ი. რატინი (რედ.). *ილია ჭავჭავაძე 170, საიუბილეო კრებული*. 2007. 43-56.
44. დონდუა, ვარლამ. 1985. „საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში“, *საისტორიო ძიებანი*. III. თბილისი: მეცნიერება.
45. ელაშვილი, ქეთევან. „სიმბოლო ქართულ და ევროპულ რომანტიზმში“. ზ. აბზიანიძე (რედ.). *ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები*. 2012. 226-268.
46. თევზაძე, გიგი. „ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეტალური და სოციეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა“. გ. ზედანია (რედ.). *ქართველი ერის დაბადება: ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007)*. 2009. 5-27



47. თევზაძე, გიგი. „ქართველი და ზღვა“. *სემიოტიკა: სამეცნიერო ჟურნალი* 8 (2010). 11-14.
48. კილანავა, ცირა. „<<ქვეყნის იგავი>> და <<საქართველო>>: ბაგრატიონთა ორი ალეგორიული ნახატი“. *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი* 2 (2010). 48-56.
49. კილანავა, ცირა. „ზღვის სემანტიკა „დავიტიანში““. *სემიოტიკა: სამეცნიერო ჟურნალი* 8 (2010). 157-162.
50. კიკვიძე, ზაალ. 2010. *ენა, გენდერი და ნაციონალიზმი*. თბილისი: უნივერსალი
51. კიკნაძე, ზ. „ილიას მამული“. *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე* (მთ. რედ. ზ. კიკნაძე). თბილისი. 2005. 28-52.
52. კოსარიკი, დმიტრო. 1949. *დავით გურამიშვილი უკრაინაში*. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
53. მაგაროტო, ლუიჯი. 2008. *საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ /1783-1801* (იტალიურიდან თარგმნა ს. კენჭოშვილმა). თბილისი: მწიგნობარი.
54. მანია, ესმა. „საარქივო-პერსონიფიცირებული ინფორმაცია - ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური პორტრეტის კვლევის წყარო“. ი. რატიანი (რედ.). *ვაჟა-ფშაველა 150: საიუბილეო კრებული*. 2011. 195-206
55. მაისურაძე, გიორგი. „“მამული“ და „ქართველის დედა“: სეკულარული სიმბოლიკა ილია ჭავჭავაძის პოეტურ თხზულებებში“. ი. რატიანი (რედ.). *ილია ჭავჭავაძე 170: საიუბილეო კრებული*. 2007. 174-188.
56. მახათაძე, ნინო. „დავით გურამიშვილი პოეტი – მემატიანე“. გ. ბენაშვილი (რედ.). *დავით გურამიშვილი - 300: სამეცნიერო შრომების კრებული*. 2005. 6-12.
57. მენაბდე, ლევან. 1973. *XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა* (სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით). თბილისი: განათლება.
58. მეუნარგია, იონა. 1954. *ქართველი მწერლები*. ტ. 1. (ს. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით). თბილისი: სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამომცემლობა.
59. ნინიძე, ქეთევან. 2009. *მილიტარისტული ნარატივის მორფოლოგია. ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები*. თბილისი: ინტელექტი.

60. ნორაკიძე, ვლადიმერ. 1980. *დავით გურამიშვილი: ფსიქოლოგიური პორტრეტი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
61. პატარიძე, ლელა. 2009. *პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო*. თბილისი: კავკასიური სახლი.
62. რაისნერი, ოლივერ. „ორი სამყაროს მგზავრი. თერგდალეულთა იდენტობის კონფლიქტი და ეროვნული ცნობიერება“. გ. ზედანია (რედ.). *ქართველი ერის დაბადება: ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007)* 2009. 48-66.
63. რატიანი, ირმა. „<<კავკასიისა>> და <<კავკასიელის>> ლიტერატურული რეფლექსიები ქართულ მწერლობაში“. *კადმოსი. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი* 2 (2010): 65-171.
64. რატიანი, სერგო. „<<სარწმუნოებით ქართველი>>: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება“. გ. ზედანია (რედ.). *ქართველი ერის დაბადება: ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007)* . 2009. 28-47.
65. რომიძე, პეტრე. „სარწყავისა და წისქვილის მოხაზულობა“. *ომეგა* 2 (2003): 96-97
66. საქართველო... 2005. *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე* (მთ. რედ. ზ. კიკნაძე). თბილისი: არეტე.
67. სმითი, ენტონი დევიდ. 2008. *ნაციონალური იდენტობა* (თარგმნა ლელა პატარიძემ). თბილისი: ლოგოს პრესი.
68. ქიქოძე, გერონტი. „იოანე ბატონიშვილი“. *რჩეული თხზულებანი: ლიტერატურული წერილები და პორტრეტები*. ტ.1. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
69. ლაღანიძე, მერაბ. 2010. *ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე (ლიტერატურული პორტრეტები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ალბომიდან)*. თბილისი: მემკვიდრეობა.
70. ყუბანეიშვილი, სოლომონ. 1955. *დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში*. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.

71. შადური, ვანო. 1949. *რუსი მწერლები საქართველოს შესახებ ძველ დროიდან მე-  
XIX საუკუნის ნახევრამდე*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
72. შათირიშვილი, ზაზა. „როგორ უნდა დაიწეროს ძველი ქართული  
ლიტერატურის ისტორია?: საკითხის დასმისთვის“. *სემიოტიკა* 5 (2009): 243-250.
73. ჩიქოვანი, სიმონ. 1963. *რჩეული წერილები* (რედ. შ. ძიმიგური). თბილისი:  
ლიტერატურა და ხელოვნება.
74. ჩხარტიშვილი, მარიამ. „ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალები ილია  
ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში“. ი.რატიანი  
(რედ.). *ილია ჭავჭავაძე 170: საიუბილეო კრებული*. 2007. 215-243.
75. ჩხარტიშვილი, მარიამ. „თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის  
მარკერი“. *ქართული წყაროთმცოდნეობა* 11 (2006): 204-218.
76. ჩხარტიშვილი, მარიამ. 2009. *ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში*.  
თბილისი: კავკასიური სახლი
77. წიფურია, ბელა. „ქართული ლიტერატურა: კოლონიზაცია, მოდერნიზაცია,  
ახალი პარადიგმები.“ *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი* 2 (2010): 183-  
195.
78. წიქარიშვილი, ლელა. „1832 წლის შეთქმულება და 1924 წლის აჯანყება  
პოლიტიკური და ლიტერატურული გამოძიებების კონტექსტში“ (მოხსენება  
წაკითხულ იქნა ლიტერატურის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე  
*გამოძიება და პროცესი ლიტერატურასა და ხელოვნებაში* (ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო). თბილისი 27 – 29 ივნისი. 2012 წელი).
79. ჯავახიშვილი, ივანე. 1989 [მეორე გამოცემა]. „დამოკიდებულება რუსეთსა და  
საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში“. *ისტორიული რარიტეტები*.  
თბილისი.
80. ჯოლოგუა, თამაზ. „მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ“. ი.  
რატიანი (რედ.). *აკაკი წერეთელი 170: საიუბილეო კრებული*. 2011. 121-145.
81. Лотман, Юрий. 2002. *История и типология русской культуры*. Санкт-Петербург:  
Искусство.

82. Assmann, Aleida. „Was sind kulturelle Texte?“ Poltermann Andreas (Hg). *Literaturkanon – Medienereignis – kultureller Text. Formen interkultureller Kommunikation und Übersetzung*. Berlin: Erich Schmidt. 1995. 232-244.
83. ---. 1999. *Erinnerungsräume: Formen und Wandlungen des kulturellen Gedächtnisses*. München: Beck.
84. Assmann, Jan. „Kollektives Gedächtnis und kulturelle Identität.“ In: *Kultur und Gedächtnis*. Assmann, Jan & Tonio Hölscher (Hsgg.). Frankfurt a. M.: Suhrkamp 1988. 9-19.
85. ---. 1992. *Das kulturelle Gedächtnis: Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen*. München: Beck.
86. Beller, Manfred/Leerssen, Joep. (Eds). 2007. *Imagology: The Cultural Construction and Literary Representation of National Characters*. Amsterdam: Rodopi.
87. Bhabha, Homi. 1994. *The Location of Culture*. New York: Routledge.
88. Broich, Ulrich/Pfister Manfred (Hgg.). Unter Mitarbeit von Berd Schulte-Middelich. 1985. *Intertextualität: Formen, funktionen, anglistische Fallstudien*. Tübingen: Max Niemeyer.
89. Butzer, Günter/Jacob, Joachim (Hg.). 2008. *Metzler Lexikon Literarischer Symbole*. 2., erw.Aufl. Stuttgart/Weimar: Metzler.
90. D’haen, Theo/Krüs, Patricia (Eds.). 2000. *Colonizer and Colonized*. Amsterdam/Atlanta: GA.
91. Eakin, Paul. 1999. *How our Lives become Stories: making selves*. Ithaca/London: Cornell University Press.
92. ---. 2008. *Living Autobiographically: How Create Identity in Narrative*. Ithaca/London: Cornell University Press.
93. Erll, Astrid. „Literatur als Medium des kollektiven Gedächtnisses“. Erll Astrid/Nünning Ansgar (Hgg.) Unter Mitarb. Von Birk Hanne/Neumann Birgit. *Gedächtniskonzepte der Literaturwissenschaft*. Berlin/ New York: de Gruyter. 2005. 249-276.
94. Fischer, Manfred.. „literarische Imagologie am Scheidweg. Die Erforschung des „Bildes vom anderen Land“ in der Literatur-Komparatistik.“ Blaicher Günter (Hg.).

- Erstarrtes Denken. Studien zu Klischee, Stereotyp und Vorurteil in englischsprachiger Literatur.* Tübingen: Narr. 1987. 55-71.
95. Gymnich, Marion. „Individuelle Identität und Erinnerung aus Sicht von Identitätstheorie und Gedächtnisforschung sowie als Gegenstand literarischer Inszenierung“. Erll, Astrid/Gymnich Marion/Nünning Ansgar (Hg.). *literatur – Erinnerung – Identität.* Trier: Wissenschaftlicher Verlag Trier. 2003. 29-48.
96. Halbwachs, Maurice. 1967. *Das kollektive Gedächtnis.* übers. von Holde Lhoest-Offermann. Stuttgart: Ferdinand Enke.
97. Herman/David, Jahn, Manfred/Ryan Marie-Laure. 2005. *Routledge Encyclopedia of Narrative Theory.* London/New York: Routledge.
98. Lachmann, Renate. 1990. *Gedächtnis und Literatur: Intertextualität in der russischen Moderne.* Frankfurt am Main: Suhrkamp.
99. Neumann, Birgit. 2003. „Literatur als Medium (der Inszenierung) kollektiver Erinnerungen und Identitäten“. Erll, Astrid/Gymnich Marion/Nünning Ansgar (Hgg.). *literatur – Erinnerung – Identität.* Trier: Wissenschaftlicher Verlag Trier. 49-77.
100. ---. Literature, Erinnerung, Identität. Erll Astrid/Nünning Ansgar (Hgg. unter Mitarb. Von Birk Hanne/Neumann Birgit). *Gedächtniskonzepte der Literaturwissenschaft.* Berlin/New York: de Gruyter. 2005. 149-178.
101. Neuman, Birgit. „Grundzüge einer kulturhistorischen Imagologie: Nationale Selbst- und Fremdbilder in britischer Literatur und anderen Medien des 18. Jahrhunderts.“ *KulturPoetik*, Bd. 10, H. 1. Vandenhoeck & Ruprecht. 2010. 1-24. URL: <http://www.jstor.org/stable/40621804> (21/06/ 2012).
102. Nünning, Ansgar. „Erinnerung – Erzählen – Identität. Perspektiven einer kulturwissenschaftlichen Erzählforschung“. *Theorien der literatur: Grundlagen und Perspektiven* (Geppert, Hans Vilmar/Zapf, Hubert (Hgg). Berlin: Franke. 2000. 33-59.
103. ---. (Hgg.). 2001[1998]. *Metzler Lexikon Literatur- und Kulturtheorie: Ansätze – Personen – Grundbegriffe.* 2., erw.Aufl. Stuttgart/ Weimar: Metzler.
104. Olney, James. 1998. *Memory & Narrative: The Weave of Life-Writing.* Chicago/London: The University of Chicago Press.
105. Ricoer, Paul. 1988 [1983]. *Zeit und Erzählung.* Bd.1. München: Fink.


106. ---. 1991 [1985]. *Zeit und Erzählung*. Bd.3. München: Fink.
107. Reisner, Oliver. 2004. *Die Schule der georgischen Nation: Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der „Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgieren“ (1850-1917)*. Wiesbaden: Dr. Ludwig Reichert Verlag.
108. Said, Edward. 1994. *Culture and Imperialism*. New York: Vintage.
109. Sandl, Marcus. „Historizität der Erinnerung/Reflexivität des Historischen“. *Erinnerung, Gedächtnis, Wissen*. Oesterle Günter (Hg.). Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht. 2005. 89-120.
110. Schacter, Daniel. 1996. *Searching for Memory. The Brain, the Mind, and the Past*. New York: Basic Books.
111. Spivak, Gayatri. 1999 *A critique of Postcolonial Reason: Towards a History of the Vanishing Present*. Cambridge: Harvard University Press.
112. Welzer, Harald. 2002. *Das kommunikative Gedächtnis: Eine Theorie der Erinnerung*. München: Beck.
113. Warburg, Aby. 1998. *Gesammelte Schriften*. Studienausgabe. Hgg. V. Horst, Bredekamp/Michael, Diers/Kurt, Forster/Nicholas, Mann/Salvatore Settis/Martin Warnke. Berlin: Akademie-Verlag.
114. Wodianka, Stephanie. „Mythos und Erinnerung: Mythentheoretische Modelle und ihre Gedächtnistheoretischen Implikationen“. Oesterle Günter (Hg.). *Erinnerung, Gedächtnis, Wissen*. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht. 2005. 211-230.

დანართები:

ნახატი 1: დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი (ფრაგმენტი)



ნახატი 2: დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი (მთლიანი კომპოზიცია)





ნახატი 3: კონსტანტინე ზაგრატიონის ნახატის რეკონსტრუქცია (მხატვარი ნ. ჩაკვეტაძე)



ნახატი 4: იოანე ბატონიშვილის „საქართველო“



ცხრილი 1: საქართველოს მარკერები

მარკერი	წყარო
პერობილი/ტყვე (სატრფო)	ალექსანდრე ჭავჭავაძე - „ვისაც გსურთ“, „ვაპ, დრონი, დრონი“; აკაკი წერეთელი - „ნაძალადებ საქმროს“, „სურვილი“, „ჭალარა“, „სატრფოს“
მთვლემარე, მძინარე (მდგომარეობა - ძილი)	ალექსანდრე ჭავჭავაძე - „ჰე, საქართველოვ“; ილია ჭავჭავაძე - „ელეგია“; აკაკი წერეთელი - „მოხუცის გრძნობა“, „ავადმყოფი“, „თორნიკე ერისთავი“, „ომი“
ობოლი, უპატრონო	ვაჟა-ფშაველა - „ხმა სულეთიდან“, „პროვინციის ქებათა ქება“; აკაკი წერეთელი - „ობოლი“, „ვორონცოვი“; ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“
ლომი	დავით გურამიშვილი - „ქართლის ჭირი“ (ამ მარკერის ერთგვარ აღუზიად შეიძლება მიჩნეულ იქნეს „მგზავრის წერილების“ „დამარცხებული და ნათრევი ლომის“ მხატვრული სახე)
უმწყემსოდ დარჩენილი ცხვრის ფარა	გრიგოლ ორბელიანი - „ჰე, ივერიავ“; რაფიელ ერისთავი - „დათვი და ცხვრები“; ალექსანდრე ყაზბეგი - „ელგუჯა“, სოლომონ რაზმაძე - „დათვი და ცხვარი“ [იოანე ბატონიშვილის ალევგორიული ნახატი].
	ალექსანდრე ჭავჭავაძე - „მოკლე ისტორიული ნარკვევი...“; აკაკი

ავადმყოფი, სნეული	წერეთელი - „ავადმყოფი“, „ძველ სამეფოს“; ალექსანდრე ყაზბეგი - „ელგუჯა“; ვაჟა-ფშაველა - „ანდერძი“
ამირანი	აკაკი წერეთელი - „ამირანი“, „საქართველოს დღევანდელი სახე“; ვაჟა-ფშაველა - „ამირანი“, „მემღერება და ვიმღერი“
ედემის ბაღი, წალკოტი, მშვენიერი წალკოტი, ედემი	მარიამ ბატონიშვილი - „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი მუხამბაზი“, „მოვსთქვამ სულთქმითა საბრალოდ“; ქეთევან ბატონიშვილი - „გაფი დუგაში სათქმელი“; თეკლა ბატონიშვილი - „<<რომელთაგან მქონდა სიამე შვების>> ხმაზედ სათქმელი“
მთიები, მზე, მნათობნი	მარიამ ბატონიშვილი - „მიგლოვდით მეცა“; ქეთევან ბატონიშვილი - „ჰოი, ვითარ ვსთქვა“; თეკლა ბატონიშვილი - „პასუხად ქეთევან ბატონიშვილს“
დაჩაგრული, ბეჩავი, ძალმომრეობის მსხვერპლი, დაცემული, უმწეო-უპატრონო, ცოცხალ-მკვდარი	ვაჟა-ფშაველა - „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „ჩვენება“, „ხმა სულეთიდან“; აკაკი წერეთელი - „თორნიკე ერისთავი“
ქართლოსის მტილი, სადავითო მტილი	მარიამ ბატონიშვილი - „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი მუხამბაზი“, „აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია“; ქეთევან ბატონიშვილი - გაფი დუგაში სათქმელი“
ქაჯეთის ციხეში მყოფი ნესტან-დარეჯანი	აკაკი წერეთელი - „ქადარა“, „სალამო“, „სატრფოს“
(ცეცხლმოკიდებული) ვაზის ლერწები,	დავით გურამიშვილი - „ქართლის ჭირი“; თეკლა ბატონიშვილი - „<<რომელთაგან

ვაზის ნასხლევი	მქონდა სიამე შვების“>> ხმაზედ სათქმელი“
გარდაცვლილი (სატრფო)	აკაკი წერეთელი - „მოზარე“; ვაჟა-ფშაველა - „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“
ხომალდს შეკედლებული ნავი/დანჯღრეული გემი	აკაკი წერეთელი - „ნავი“; ვაჟა-ფშაველა - „ქებათა-ქება“
დედა (შვილებისგან გაწირული, მანდილჩამოხეული, მოხუცი, სნეული)	ვაჟა-ფშაველა - „დედის ტირილი“, „შინ ბრუნდებიან“
მოტყუებული	აკაკი წერეთელი - „ვორონცოვი“, „ასი წლის ამბავი“
მოყვასი	ალექსანდრე ჭავჭავაძე - „ვაჰ, დრონი, დრონი“
გერი	აკაკი წერეთელი - „ობოლი“
გაოხრებული ბავი	ვაჟა-ფშაველა - „გაოხრებული ბავი“
ცამდე მართალი	ვაჟა-ფშაველა - „ხმა სულეთიდან“
პროვინცია	ვაჟა-ფშაველა - „პროვინციის ქებათა-ქება“
უფსკრულში ჩატანილი	აკაკი წერეთელი - „ასი წლის ამბავი“
გზადაბნეული/საცოდავი ცხვარი	აკაკი წერეთელი - „ალექსი“, ალექსანდრე ყაზბეგი - „ელგუჯა“

ცხრილი 2: რუსეთის იმპერიის მარკერები

მარკერი	წყარო
<p>ჩრდილო / ჩრდილეთი / ჩრდილოეთი /  ჩრდილოთ ღრუბელი / ჩრდილოს  მძვინვარე, დაუწყნარი, საბავთო (ავის  მომასწავებელი) ქარი / ჩრდილოელი</p>	<p>დავით გურამიშვილი - „ქართლის ჭირი“;  ქეთევან ბატონიშვილი - „ჰოი, ვითა  ვსთქვა“; მარიამ ბატონიშვილი -  „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი  მუხამბაზი“; ნიკოლოზ ბარათაშვილი -  „ძიავ, ყაზახი“, „ბედი ქართლისა“; აკაკი  წერეთელი - „ვორონცოვი“, „ნაძალადებ  საქმროს“, „დაკარგული ქრისტიანობა“</p>
<p><u>საერთო სემანტიკის მქონე ბინარული  ოპოზიციის პრინციპზე აგებული  მხატვრული სახეები:</u>  მტერ-მოყვარე / მოყვარე მტერი / შორით  მოსული მყვედრებელი / მფარველად  მოვლენილი და მპყრობელად ქცეული /  გაიძვერა მოყვარე / ფარისევლობით  სულის მკვლელი / მასპინძლად  გადაქცეული სტუმარი / მტრადქცეული  საშველად ხმობილი</p>	<p>გრიგოლ ორბელიანი - „ჰე, ივერიავ“;  ნიკოლოზ ბარათაშვილი - „სუმბული და  მწირი“; აკაკი წერეთელი - „სატრფოს“,  „ობოლი“, „ვორონცოვი“, „გოგია  მეჩონგურე“; ალექსანდრე ყაზბეგი -  „ელგუჯა“</p>
<p>დედინაცვალი</p>	<p>აკაკი წერეთელი - „ობოლი“, „სატრფოს“,  „ვორონცოვი“, „ასი წლის ამბავი“;  ალექსანდრე ყაზბეგის ლექსები, ვაჟა-  ფშაველა - „სახალწლო“</p>
<p>სკვითი</p>	<p>აკაკი წერეთელი - „გამოთხოვება“,  „სახალხო შაირი“, „მშობა, ერთობა და</p>

	სიყვარული“, „ყიზილბაშური“
ვეშაპი/გველეშაპი	დავით გურამიშვილი - „ქართლის ჭირი“; გრიგოლ ორბელიანი - „იარალის“; აკაკი წერეთელი - „ნაძალადებ საქმროს“ [აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკსა“ და ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ მტრის აღმნიშვნელი, ბოროტი ძალის სიმბოლო - გველეშაპი - მე-17 საუკუნის ირანის გარდა, მე-19 საუკუნის რუსეთის იმპერიის ლიტერატურულ მარკერადაც შეიძლება კლასიფიცირდეს]
უცხო, მწირი ადგილი/უცხოეთი	ქეთევან ბატონიშვილი - „გაფი დუგაში სათქმელი“, ილია ჭავჭავაძე - „ყვარლის მთებს“
გიაური//გიაურები	აკაკი წერეთელი - „შამილის სიზმარი“, ალექსანდრე ყაზბეგი - „მამის მკვლეელი“
ქაჯები/ქაჯეთი	აკაკი წერეთელი - „ჭაღარა“, „საღამო“
„მწყალობელი“/„კეთილისმყოფელი“	აკაკი წერეთელი - „ჩემს მწყალობელს“, ვაჟა-ფშაველა - „პროვინციის ქებათა-ქება“
შორი ქვეყანა	ილია ჭავჭავაძე - „ყვარლის მთებს“
მამინაცვალი	აკაკი წერეთელი - „პატრიოტი“
კუდური (=კუდიანი)	აკაკი წერეთელი - „გიორგის აღსარება“
ლალა-გადია	აკაკი წერეთელი - „მოხუცის გრძნობა“
მგლები	აკაკი წერეთელი - „ალექსი“
ურჯულოები	ალექსანდრე ყაზბეგი - „ელგუჯა“

ცხრილი 3: კოლონიური მდგომარეობის ამსახველი მარკერები

მარკერი	წყარო
მორჩილება/მონობა/პირუტყული მონება/მონება	გრიგოლ ორბელიანი - „მგზავრობა ჩემი...“; „ჰე, ივერიავ“; ილია ჭავჭავაძე - „ჩემო თარიარალი“; აკაკი წერეთელი - „ნამალადებ საქმროს“, „ასი წლის ამბავი“; ვაჟა-ფშაველა - „შაშვო, მასვე ჰმღერ“
გალია/ოქროს გალია	ნიკოლოზ ბარათაშვილი - „ბედი ქართლისა“, „სუმბული და მწირი“
ოქროს ჯაჭვი	გრიგოლ ორბელიანი - „პასუხი შვილთა“
დაჟანგებული ბორკილი	ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“
ულლით გაქნილი მშვიდობა	ილია ჭავჭავაძე - „ქართველის დედა“
საწველი ფური	ილია ჭავჭავაძე - „მეფე დიმიტრი თავდადებული“
სხვის ფეხთ მტვრობა	აკაკი წერეთელი - „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“
უცხო, თვალთმაქცური სენით დაავადება და ფერშეცვლა	აკაკი წერეთელი - „გოგია მეჩონგურე“ ვაჟა-
ზურგზე მათრახის ცემა	ფშაველა - „ქებათა ქება“
მშობლის მკვლელის მსახურება	აკაკი წერეთელი - „დიდი ვინმე“
სკვითურად აჭრელება	აკაკი წერეთელი - „ალბომში, ახლანდელ ქალებს“
რუსობა	აკაკი წერეთელი - „ასი წლის ამბავი“
ყაზახების „ჩაყენება“	ალექსანდრე ყაზბეგი - „მამის მკვლელი“, „ნინო“
ღირსების შემლახვა და ცემით ადამიანთა მოკვდინება	ალექსანდრე ყაზბეგი - „ელგუჯა“



<p><u>კოლონიზატორების მიერ ქართველთა სახელდება:</u>  ბუსურმანი (მუსულმანი),  ბარბაროსი, ბრიყვი, გაუთლელი</p>	<p>ალექსანდრე ყაზბეგი - „მამის მკვლელი“,  „ციკო“, „ელგუჯა“</p>
<p><u>ქართველებისადმი კოლონიზატორთა მიმართვა:</u>  საბაკა (მაღლო), დურაკ (უტვინო),  მერზავეც (საზიზღარო), სვინია  (ღორი)</p>	<p>აკაკი წერეთელი - „საუბარი ორთა შუა“</p>

**ცხრილი 4: ანთროპომარკერები**

მარკერი	სემანტიკა, წყარო
ვორონცოვი	კოლონიზატორის ამბივალენტური მხატვრული სახე: პოზიტიური პროფილი (აკაკი წერეთელი - „ვორონცოვი“, „ჩემი თავგადასავალი“, „ქართული ფულის თავგადასავალი“, „ქართველი ძეგლის წინ“), ნეგატიური პროფილი (ალექსანდრე ორბელიანი - „მოგონებები“, ალექსანდრე ყაზბეგი - „მამის მკვლელი“)
მეფე ერეკლე	ძველი და ახალი საქართველოს (ივერიისა და ქართლის) გამმიჯნავი, ძველი დიდების, კოლონიალობამდელი, თავისუფალი საქართველოსა და ამ იდეისთვის ბრძოლის სიმბოლო (გრიგოლ ორბელიანი - „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდის“, ნიკოლოზ ბარათაშვილი - „საფლავი მეფის ირაკლისა“; ვაჟა-ფშაველა - „ხმა სამარიდან“, „ირაკლი ბრძოლის წინ“)
წმინდა ნინო, თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი	იდელად დასახული წმინდანები (გრიგოლ ორბელიანი - „სადღეგრძელო“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“; აკაკი წერეთელი - „თორნიკე ერისთავი“, ვაჟა-ფშაველა - „დიდი თამარი“)
ამირანი	ტანჯული, მაგრამ დაუმორჩილებელი საქართველოს სიმბოლო (აკაკი წერეთელი - „საქართველოს დღევანდელი სახე“, „ამირანი“; ვაჟა-ფშაველა - „მემღერება და ვიმღერი“)
დიმიტრი ყიფიანი	თანამედროვე ეროვნული გმირი, რუსულ სამსახურში ყოფნის ფონზე, საქართველოს ერთგულებისა და მამულიშვილობის სიმბოლო (აკაკი წერეთელი - „ჩემი თავგადასავალი“, „განთიადი“, „ილიას მოკვლის გამო“)
	ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო (გრიგოლ

<b>ფარნავაზი</b>	ორბელიანი - „სადღეგრძელო“, ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“)
<b>ნესტან-დარეჯანი</b>	კოლონიადექცეული საქართველოს სიმბოლო (აკაკი წერეთელი - „ჭაღარა“, „საღამო“, „სატრფოს“)
<b>ილია ჭავჭავაძე</b>	საქართველოს მარადიულობისა და მისი ბედნიერებისთვის მოწამეობის სიმბოლო, სამშობლოს პერსონიფიცირებული სახე (აკაკი წერეთელი - „ილიას მოკვლის გამო“; ვაჟა-ფშაველა - „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“)
<b>აჩრდილი</b>	საქართველოს „თანამდევნი, უკვდავი სული“, ქართული ნაციონალური იდენტობისა და საქართველოს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის სიმბოლო (ილია ჭავჭავაძე - “მგზავრის წერილები“)
<b>შამილი</b>	რუსულ კოლონიალიზმთან შეურიგებელი ბრძოლისა და დაუმორჩილებელი კავკასიის სიმბოლო (ალექსანდრე ყაზბეგი - „მამის მკვლეელი“)
<b>სვიმონ ჩოფიკაშვილი</b>	კოლონიზატორის სამსახურში მდგომი მეფის ერთგული პოლიტიკოსის მხატვრული სახე (ალექსანდრე ყაზბეგი - „ელგუჯა“)

ცხრილი 5: ნაციონალური ავტოპორტრეტის მარკერები

მარკერი	სემანტიკა, წყარო
ლუარსაბ თათქარიძე	ეროვნულ მანკიერებათა ტიპიზებული სახე (ილია ჭავჭავაძე - „კაცია ადამიანი“)
„ბედნიერი ერი“	კოლონიურ მდგომარეობას შეგუებული და კმაყოფილი ქართველი ერის სახე (ილია ჭავჭავაძე - „ბედნიერი ერი“)
იანიჩარი	კოლონიზატორის სამსახურში ჩამდგარი ქართველის მხატვრული სახე (ილია ჭავჭავაძე - „იანიჩარი“)
ფარისეველი	ნაციონალობის განცდის არმქონე, შინაგანად დაცარიელებული ქართველის სახე (აკაკი წერეთელი - „ფარისეველი“, „ადარ გვაქვს გრძნობა“)
თმაგრძელა- ჭკუათხელა	სამშობლოს უარყოფელი და დასავლური ღირებულებების გაუცნობიერებლად მიმღები ქართველის მხატვრული სახე (ვაჟა-ფშაველა - „თმაგრძელა-ჭკუათხელა“)
დამურა	გადაგვარებულობის სიმბოლო (აკაკი წერეთელი - „დამურა“)
კაი ყმა	იდეალი (ვაჟა-ფშაველა - „კაი ყმა“)
აჩრდილი	ქართული ნაციონალური მეხსიერების სიმბოლო (ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“)

ცხრილი 6: ლანდშაფტის იმაგოლოგია

მარკერი	სემანტიკური ველი	წყარო
არაგვი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ეროვნული პეიზაჟის სიმბოლო,</li> <li>2. დაუმორჩილებლობისა და თავგანწირვის სიმბოლო</li> <li>3. ნაციონალური ისტორიის თვითმხილველი</li> </ol>	<p>ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“, ვაჟა-ფშაველა, „არაგვს“; აკაკი წერეთელი, „ბაში-აჩუკი“; ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“</p>
თერგი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ეროვნული პეიზაჟის სახე,</li> <li>2. ნაციონალური სემანტიკის მატარებელი ამბივალენტური მხატვრული სახე</li> </ol>	<p>გრიგოლ ორბელიანი, „საღამო გამოსალმებისა“; ილია ჭავჭავაძე - „მგზავრის წერილები“</p>
მტკვარი	<p>ეროვნული ისტორიის მოწმე</p>	<p>ნიკოლოზ ბარათაშვილი - „ფიქრნი მტკვრის პირას“</p>
მცხეთა	<p>ეროვნული მეხსიერების ძეგლი, ნეკროპოლისი</p>	<p>ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“</p>

ცხრილი 7: ნაციონალური პოტენციალის გამომხატველი მარკერები

კონცეპტი	მარკერი	წყარო
გათავისუფლება	ამირანი/ ნესტან- დარეჯანი	აკაკი წერეთელი - „თორნიკე ერისთავი“, „საქართველოს დღევანდელი სახე“, „ამირანი“; ვაჟა-ფშაველა - „მემღერება და ვიმღერი“
განკურნება	ავადმყოფი, სნეული	ალექსანდრე ჭავჭავაძე - „მოკლე ისტორიული ნარკვევი...“; აკაკი წერეთელი - „ავადმყოფი“ ; ვაჟა-ფშაველა - „ანდერძი“, „დედის ტირილი“, „შინ ბრუნდებიან“
გამოფხიზლება	ძილი / მძინარე	ილია ჭავჭავაძე - „ელეგია“; აკაკი წერეთელი - „ავადმყოფი“, „მოხუცის გრძნობა“, „თორნიკე ერისთავი“, „ომი“
მომავლის იმედი, ბედნიერი მომავალი	ცისარტყელა	ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“; აკაკი წერეთელი - „თორნიკე ერისთავი“

ცხრილი 8: რუსული განამნათლებლობის/ფსევდოგანამნათლებლობის მარკერები

მარკერი	სემანტიკა	წყარო
რუსეთი - განამნათლებელი	კოლონიზატორის მისიონისტური პროფილი /რომანტიკოსთა თაობის მიერ შექმნილი კონცეპტი/	ალექსანდრე ჭავჭავაძე - „კავკასია“, „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი“; გრიგოლ ორბელიანი - „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურდამდის“, „სადღეგრძელო“; ნიკოლოზ ბარათაშვილი - „საფლავი მეფის ირაკლისა“
თერგდალეული	რუსეთში განათლებამიღებული	ილია ჭავჭავაძე - „მგზავრის წერილები“
პოდპორუჩიკი	რუსი „განამნათლებელი“	ილია ჭავჭავაძე - „მგზავრის წერილები“
რუსეთუმე	რუსეთში განათლებამიღებულის ირონიული სახელდება	აკაკი წერეთელი - „რუსეთუმე“, „ფარისეველი“
ხელჯოხიანი	ჩინოვნიკი, რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი	აკაკი წერეთელი - „ჩემი თავგადასავალი“